

---

---

იაკობ ბაღასაშვილი

ძ ვ ე ლ ი  
თ ბ ი ლ ის ი



სახელმწიფო გამომცემლობა  
თბილისი

1951



## ავტორისაბან

ამ ნაშრომში მკითხველი ვერ იპოვის ქალაქ თბილისის ისტორიას, მისი მოედნების, ქუჩების, სიძველეების, თუ შენობების აღწერას.

ავტორის სწრაფვა იყო დაეხატა ეთნოგრაფიული სურათი მეცხრაშეტე საუკუნის პირველი ნახევრის თბილისისა, — ეჩვენებინა ფეოდალური ცხოვრების რღვევა და ახალი ყოფის დანერგვის პროცესი.

ეს წიგნი მასალების კრებულია მხოლოდ, სხვა მოთხოვნას ნურავინ წარუდგენს.





## 1. ლეგენდა თბილისზე

| მსოფლიოს არც ერთი ქალაქის დაარსებას ისეთი წარმტაცი მითი არ უდევს სარჩულად, როგორც თბილისისას: |

„მთელი არემარე თბილისისა ტყით მოცული იყო.

ერთ დღეს ამ ტყეში ვახტანგ გორგასალი ნადირობდა. მისმა მეძებრებმა ხოხობი ააფრინეს. მისი ქორი ხოხობს გამოედევნა და ორთავე ფრინველნი მალე გადაიკარგნენ. მეფე მხლებლებითურთ ქორის საძებნელად წავიდა.

ბევრი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ქორი და ხოხობი ჩაცვინულან ერთ წყაროში და მოხარშულან. ქორი, თურმე, ისეთის სისწრაფით დასცემოდა ხოხობს, რომ ჰაერში თავი ველარ შეემაგრებინა და ბრჭყალებში შებოჭვილ ხოხობითურთ ძირს წამოსულიყო და წყაროში ჩაეარდნილიყო.

ეს არემარე მეფემ კარგად დააჯვალღიერა და ნახა, რომ ამ მშვენიერ ადგილას იყო მრავალი წყარო: გრილი, თბილი და ცხელი, და ყველას გოგირდის სუნი სდიოდა. მეფეს უთხრეს, ამ წყაროებს სამკურნალო თვისება უნდა ჰქონდეთო.

ვახტანგს მოეწონა წყაროები და მათი ადგილმდებარეობაც, ააშენა ქალაქი და სახელად, თბილი წყლების გამო, „თბილისი“ უწოდა!!“<sup>17</sup>

## 2. „თბილისი სხვა რამ არის“

| თბილისის გარეშე წარმოუდგენელია საქართველო.

უნდა თბილისზე სწერო, რომ საქართველოს შესახებ მოჰყვე-  
გაზ. „კავკაზი“ შენიშნავდა: „თბილისი მთელი მხარის გამო-

ხატულებათ. მისი გაცნობით, შეგიძლიათ წიულოცოთ თავს, რომ იცნობთ საქართველოს“.<sup>2</sup>

თბილისელის სიყვარული უანგაროა დედაქალაქისადმი. „კაცს, — ამბობდა გრიგოლ ორბელიანი, — ყოველგან შეუძლია იყოს, თუნდ იაპონიაში. თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს“.<sup>3</sup>

თბილისის უზადო სიყვარული აქვს გამოთქმული გრიგოლ ორბელიანს ბარბარე საგინაშვილისადმი მიმართულ ბარათშიაც: „მოვედით გახარებულნი თბილისში მის ნახვითა; ახრ, ხომ იცი, რომ თბილისი სხვა რამ არის? მტვერიც დიდია, სიცხეც ძალიანია, ჰაერიც წამხდარია, მაგრამ მაინც კიდევ სხვა რამ არის. აი ჰკითხე მანდა, თუ გინდ შენს ქმარსა. და აქა, თუ გინდ შენს რძალს ქეთევანსა. ორნივე გეტყვიან: „ქალაქი სხვა რამ არის“.<sup>4</sup>

თბილისის ყველაზე უფრო ვიწრო, ბნელი შუკა, თუ ქუჩა ერჩია თბილისელს სხვა ქალაქებსა, დარბაზებსა და სასახლეებს. თბილისს მოშორებული დავით ყორღანაშვილი სწერდა რუსეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს: „რაც უნდა პეტერბურხი კარგი იყოს, მაინც მოგვაგონდება ჩვენი ქალაქი, აქაური ყოველიფერი სასიამოვნოა, რად უნდა ირემს ხალიჩაზე სიარული?“<sup>5</sup>

დ. ყორღანაშვილი გრ. ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში ასე აგვიწერს არათბილისელ მირზაჯანა მადათოვის. „გულის წუხილს“ თბილისის დატოვების გამო:

„გუშინწინ მოველ ქალაქს, სამოთხეა აპრილი და საქართველო. ქალაქს რომ მოვახლოვდი, ვნახე შორით ორი ტროიკა; როდესაც დამიახლოვდა ვნახე მირზაჯან კუპრივით გაშავებული ნაბღის პირისახით მიდიოდა დალისტანს, სადაც არის პახოდები. სამი საათი მეტი ვიყავით ერთად გზაში და მომიყვა თავისებურად, რომ დამწვარი სიყვარულით შორდება ქალაქს და ამის მიზეზით კიდევცა უსევას, როგორც იცი!“<sup>6</sup>

„ქალაქად“ ჩვეულებრივ ჰგულისხმობდნენ „თბილისს“. ბელეტრისტი სოფრომ მგალობლიშვილი შენიშნავდა: „ქალაქს ხალხი ძველათაც და ეხლაც თბილისს ეძახის; სხვა ქალაქებს

ქალაქებად არა სთვლიდა და ამიტომ სახელით იხსენიებდა. როცა თბილისში მოდის გლეხი, თავის დღეში არ იტყვის: „თბილისს სიკდივარო“, არამედ იტყვის: „ქალაქს მივდივარო“.<sup>7</sup>

ამასვე წერდა „ივერიაც“:

„ისტორიულმა დიდებამ თბილისს სახელი იმდენად გაუთქვა, რომ იგი დღეს ყოველთვის ქართველის თვალში მარტო ქალაქია — უხსენებლადაც ადვილ საგარბობელ და საცნაურს. ქუთაისიც ქალაქია, უფრო ძველიცა ვიდრე თბილისი, მაგრამ ქართველი რომ იტყვის: „ქალაქს მივდივარ“, „ქალაქში ვიყავი“ და „ქალაქიდან მოვდივარ“, მხოლოდ თბილისს იგულისხმებს და არა სხვა რომელიმე ქალაქს“.<sup>8</sup>

ხალხს უყარდა თავისი სათაყვანებელი ქალაქი და უმღეროდა მას. იმ დროის ერთს დაუბეჭდავ ლექსში თბილისი ასეა შექცბული:

თბილისო, დედაქალაქო  
შემკულო ყოვლისფრითაო,  
გარემო ბალი-ბალჩანი,  
აღმატებულის მითაო.  
უძველეს ყოვლის სოფლისა  
წელობით დიდის ხნითაო.  
ვის ძალუძს ღირსად შეგამკოს,  
გამომეტყველის თქმითაო.

სხვანი სხვა აღაგს აქებენ,  
უღირს არიან კებისა.  
შენ მსგავსსა რასა ჰპოებენ?  
რათა აქვსთ ენა თნებისა.  
შენსა არ ჰყოფენ ხსენებას  
უსმენნი ჩემის ცნებისა.  
ვის არ უყვარხარ, გიწუნოს,  
იგიმცა დაიმზებისა.  
გარემო შენსა გვიან  
ბალნი, მინდორნი და ველნი.  
ხაფხულით მუნ მოილტვიან  
ქალნი, კაბუკნი, მსცოველნი.  
მუტრიბთა და ჩანგთა ბარბიროთ  
ხმიანობისა მპოჯელნი.

რას სიამოვნით სტკბებიან,  
მუნ მსმენნი კაცნი ყოველნი.

პირველ მეფეთა სამყოფი  
და სადგური იყო ესა.  
შემდეგ მათსა მთავრობამა,  
მმართველობა აქ აწესა.  
ამას სხვა ქალაქი არ სჯობს,  
ცნობილია აწ ეს დღესა.  
ნიჭებით და უნაკლულო,  
შეუქმნია მისსა სვესა.  
მტკვარი მოუდის უმანკო,  
სნეულთა სამკურნალები,  
ხაფხულით მისსა გარეშო,  
ხშირად ყრილობენ ქალები.  
ჩაის სმით, სამზრას შექცევით,  
მათს მკურეტელთ ეგვრძნისთ ალები.  
ზედ სმიან წითელ ღვინოსა,  
სიტკბოთი არა მთვრალები.

აბანოს მსგავსი რა არის?  
არ ნოიძევის არსადა.  
ბუნებით თბილი წყალი სჩქეფს.  
სნეულთ მკურნალი არადა.  
მუნ მიილტვიან ქალ-ყრმანი,  
საბანოდ სასუფთოსადა.  
გამოვლენ, ელვა ჰკრთებიან,  
აწშვეწებს თმანი ტანსადა.  
ზოგს უქია სხვა ქვეყანა,  
გარნა თბილისზე არს შორი.  
არა ვყბედობ უსაფუძვლოდ  
და არ არის ცუდი კორი.  
არა ვმნიქვენლობ ენითა,  
არსად არის მისი სწორი.  
ლაღვით ქვა მკრიბეთ, თუ ვკრუი,  
მრავლად მაყარეთ ქვა ყორი.<sup>9</sup>

თბილისი მუდამ „საქართველოს ბურჯი“ და „ალაყაფის  
კარი“ იყო. საქართველოს დამპყრობნი ცდილობდნენ, თავდა-  
პირველად ფეხი თბილისში მოეკიდებინათ, რადგან თბი-  
ლისის აღება საქართველოს აღებას უდრიდა.



საჯვარედინო გზის საკვანძო ქალაქი თბილისი, „საქართველოს დედაქალაქი“, „საქართველოს გული“ იყო.

თბილისის ნახვა ოცნება იყო უცხოელთათვის.

აქ აპირებდა ჩამოსვლას სახელგანთქული ფრანგი რომანისტი ონორე ბალზაკიც. კერძო წერილში ის სწერდა მეგობარს: „ჩვენ გვინდა ვიმოგზაუროთ ყირიმში, კავკასიაში და ჩავიდეთ თბილისში“.<sup>10</sup>

მზიური თბილისის თვალწარმტაც ბუნებას ალტაცებაში მოჰყავდა უცხოელები. მათი დღიურები, მემუარები და პირადი ბარათები, გადაქრელებულია თბილისის ქება-დიდებათ. ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგი ატყობინებდა თავის თანამეგობარს:

„თბილისში გაზაფხულია, მთელი თავისი მომხიბლველობით. ბუნების სილამაზე წარმოადგენს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე უფრო აღმგზნებელ სიტუბოებას. საუცხოო დღეები ერთი მეორეს ენაცვლებიან. სიკამკამე და სიკაშკაშე თითქოს უფრო ამაღლებს ცის კამარას. მცენარეული იკვირება და იფურჩქნება. ყვავის ნუში. რა არაჩვეულებრივი სილამაზეა აქაური მხის ამოსვლა; ცის უამრავი მგალობელი ზეიმობს სინათლის დაბრუნებას. ჰაერა გაყლენთილა ათასგვარი ბალზამისებური სურნელებით, რომელსაც აფრქვევს მცენარეთა სამყარო. ადამიანის თვალი ვერა ძლება მისი მრავალფერიანობით და ნორჩი სიმწვანით“.<sup>11</sup>

თბილისი გულუხვი სტუმართმოყვარეობით ხედებოდა ყველას. მას ჰქონდა „ისეთი რამეები“, რომ თავი „გამოეჩინა“. იმ დროის თბილისში ზომ განთქმული იყო:

გოცირიძის ხმალი,  
 ყაფლანიანთ კაბა,  
 ციციანიანთ სუფრა,  
 წერეთლის მწვადი,  
 თარხანიანთ წყალობა,  
 ჯავახიანთ გალობა,  
 ოთოთაანთ ქორი,  
 გაბაშვილის საათი,  
 სააკაძის ცხენი<sup>12</sup>.

გრიგოლ ორბელიანი შენიშნავდა: „ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის, თუ რა არის კრასავიცა“.<sup>13</sup>

მოგზაური ჟან შარდენი აღფრთოვანებით წერდა, რომ „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემძლია ვთქვა—მთელ ქვეყანაზედაც. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუციო დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა: მშვენიერნი, თვალტანდანი, წერწეტნი და კეკლუცნი“.<sup>14</sup>

ვიქტორ ჰიუგო „ლამაზ ქალებით განთქმულ ქვეყანას“<sup>15</sup> ეძახდა ამ მხარეს.

ეს გარემოება არა ერთხელ გამხდარა საბაბი თბილისის რბევისა. ნიკოლოზ მურავიოვ-ყარსკი გვიამბობს: „აბაზ მირზას შეუკრებია ცნობები თბილისის ლამაზი ქალების შესახებ და განზრახვა ჰქონია გაეტაცა ჩემი ცოლი და თავადის ქალი ნინო ქავეკაძე“.<sup>16</sup>

„ლექიანობის“ და წარტყვევის მსხვერპლნიც უმთავრესად ახალგაზრდა ქართველი ქალები იყვნენ.

კეთილი სურვილებით ჩამოსულთ თბილისი ფიანდაზად ზედებოდა. იმდროის თბილისმა უმასპინძლა ალექსანდრე გრიბოედოვს, ალექსანდრე პუშკინს, მიხეილ ლერმონტოვს, ლევ ტოლსტოის და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

მართალია თბილისი უამრავ მნახველზე იზიდავდა, მაგრამ იგი მარტო სანახაობათა ქალაქი არასდროს ყოფილა.

საუკუნეთა განმავლობაში დიდი საქარავნო გზის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი—თბილისი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც აგრძელებდა ამ მისიას.

„თბილისში, — შენიშნავდა მოგზაური გამბა, — ერთსა და იმავე დღეს მოდიან სოფდაგრები პარიზიდან, შიკრიკები პე-

ტერბურგიდან, ვაქრები კონსტანტინეპოლიდან, ინგლისელები კალკუტასა და მადრასიდან, სომხები სმირნასა და ეზდიდან და უზბეკები ბუხარიდან. ასე, რომ ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს საკვანძო ადგილად ევროპასა და აზიას შორის“.<sup>17</sup>

სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთის სავაჭრო კაპიტალს, თბილისი სურდა გამოეყენებინა აზიაში შესასვლელ პლაცდარმად. კარლ მარქსი წერდა ამის გამო: „თბილისი, ეს არის ცენტრალური პუნქტი აზიაში რუსეთის ბატონობისა“.<sup>18</sup>

შეხედულებით მე-19 საუკუნის დამდეგის თბილისი ნამდვილი აზიური ქალაქი იყო. ვიწრო, ბნელი და უსუფთაო ქუჩებიო.

„ქუჩები, — წერდა კლაპროტი, — იმდენად ვიწროა, რომ ურემს გავლა შეუძლია მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომელიც შედარებით ფართოა. უფრო ვიწრო ქუჩებში ძლივს გაივლის ცხენოსანი, ხოლო მაშინ, როდესაც ეს ქუჩები ტალახით არის დაფარული, ორი ქვეითად მიმავალიც კი გზას ვერ აუქცევს ურთიერთს“.<sup>19</sup>

სახლების უმრავლესობა მიწით ან კირით შეწყობებული შენდებოდა ქვისა და აგურისაგან. მოგზაური ილექსანდრე ნეგრი ასე აღწერს მათ:

„აქაური სახლი წარმოადგენს ცოტად თუ ბევრად მოზრდილ ოთხკუთხედს, რომელსაც რამდენიმე სარკმელი აქვს დატანებული. სარკმელი ფანჯრის მაგივრობას სწევს; შიგნით ბნელა.“

მეტწილად სახლებში ერთი სართულია, რომელიც ამასთან მიწაშია ჩაფლული. შესავალი თითქმის ყველა სახლს ძალიან პატარა აქვს. სახლების სახურავი ბრტყელია და მიწით არის დაფარული. სახლების უმრავლესობა თალიანია, ხოლო თალს შუაში დატანებული აქვს სარკმელი. ჭებობის გასანათებლად.

უფრო შეძლებულნი თავიანთ სახლებს ზემოდან ადგამენ „დარბაზებს“, ე. ი. საკმაოდ ვრცელ თაღებს, ამ თაღებქვეშ მოქცეული ოთახები ყველაზე დიდი და საუკეთესოა მთელ სახლში. დღის სინათლე იქ ჩადის მხოლოდ მაღლიდან. ამგვარი სადგომი, მართალია, ოდნავ ბნელი და ნაკლებად მიმ-

ზიდველია, მაგრამ ზაფხულის დიდ სიცხეებში ყველაზე გრილია“.<sup>20</sup>

თბილისის რეკონსტრუქცია ახალი ტიპის ქალაქად დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდანვე.

ფართოვდებოდა და ქვაფენილებით იფინებოდა ქუჩები. შენდებოდა სახელმწიფო და კერძო სახლები.

„საკმაო იყო, — წერდა გამბა, — სამი წელიწადი, რომ ძველ ქალაქს, რომელიც მთელი თავისი ნანგრევებით მოწმობდა აზიური თვითნებობის რეჟიმს, მისცემოდა ევროპული ქალაქის ელფერი.“

ასეთი ძირითადი ცვლილების მოსახდენად, პოლიციის უფროსი, ინჟინრისა და რამდენიმე მოსამსახურის თანხლებით, ნიშნავდა ქუჩების სიგანეს იმ ანგარიშით, რომ მათზე შესძლებოდა გავლა ურემს. ამასთანავე ყურადღება ექცეოდა სწორი ქუჩების გაყვანასაც.

მცხოვრებთ ძალიან მცირე დრო ეძლეოდათ იმისთვის, რომ აეგოთ აგურისაგან თავიანთი სახლები, რომელთა სიმაღლეც ჩვეულებრივ 12-15 ფუტს არ აღემატება.

სამუშაოების დაჩქარებისათვის გამოყოფილ იქნა მეტად დიდი ადგილი აგურის დასამზადებლად. ამ სამუშაოებზე მრავალ ჯარისკაცს ჰგზავნიდნენ, სხვა ჯარისკაცები სკრიდნენ ტყეებში მუხის ხეს და მტკვრით გორიდან თბილისში ჰგზავნიდნენ.

ასეთ პირობებში ძველი ქალაქის აღდგენა წარმოუდგენელი სისწრაფით მიმდინარეობდა. თხრილებს, რომლებიც გარს-ერთყა ძველ ქალაქს, თანდათან აესებენ და ამგვარად რამდენიმე წლის შემდეგ ძველი ქალაქი ახალს შეუერთდება.

ახალ ქალაქში, სადაც ბევრი თავისუფალი ადგილია, გაჰყავთ სამოცი ფუტის სიგანის ქუჩები, მშენიერი მოედნები, ყაზარმები, რომლებიც ააგეს ნაწილი ცეცხლში გამომწვარის და ნაწილიც მზეზე გამომშრალი აგურისაგან, სამხედრო საავადმყოფოები, მთავრობის დაწესებულებათა შენობები“.<sup>21</sup>

იკვლებოდა შინაგანი გაფორმებაც სადგომებისა. თუ წინათ კედლებს საღებავით ღებავდნენ, ახლა შემოვიდა შპალერი.



ანდრეი ფადეევი თავის მემუარებში ასე აგვიწერს ალექსანდრე ქავკაძის ბინის შინამორთულობას: „სადარბაზო აქედელი იყო ანტიური შპალერიტ, რომელზედაც ეხატა მითოლოგიიდან აღებული სცენები. სასტუმრო და პატარა ოთახი მის გვერდით დანშვინებული იყო მთლიანი სარკის შუშებით ფანჯრებში“.<sup>22</sup>

სახეს იცვლიდა ყოფაც.

ფეოდალური ცხოვრება ბურჟუაზიულს უთმობდა გზას. გაზ. „კავკაზი“ შენიშნავდა: „თავისუფალმა ვაჭრობამ ადგილობრივი მცხოვრებნი გააცნო განათლებას და ისინიც, სტოვებენ რა აღმოსავლეთის ცრუმორწმუნეობას, უახლოვდებიან რუსულ საზოგადოებას“.<sup>23</sup>

თბილისის სახეცვლა უფრო შესამჩნევი იყო ქალაქის იმ მკვიდრთათვის, რომელნიც თბილისს რაიმე მიზეზის გამო იყვნენ მოშორებულნი. „მომავალი ქართველი მწერალი ქალი“ სწერდა თავის „ავტობიოგრაფიაში“:

„დიდი ხანია არ ვყოფილვარ საქართველოს დედაქალაქში და იქ დაბრუნებისას ვეღარ ვიცანი იგი. ჩემი არყოფნისას მომხდარი ცვლილება განსაცვიფრებელი იყო.“

რომელ ნაცნობ ქუჩაშიც არ გავიხედავ, რომ გამოვიცნო ოდესღაც ნახული სახლი, ჩემი მზერა ხედება მაღალ და ლამაზ შენობას. წინანდელი ქონმახების ადგილას წამოკიმულან საუცხოო ხუროთმოძღვრების სახლები: აივნებზე დარბიან გამოპრანქული ლაქიები.

ფანჯრებზე მოსჩანან მდიდრული ფარდები და მაღალ ლარნაკებში ჩასმული ყვავილები. კედლებსა და აივნებზე ელავენ მოოქროვილი შანდლები, სანათები და ქალები. ყოველი ქუჩიდან ისმის ფორტოპიანოს ხმები.

ხანდახან გაშეშებული შევჩერდები შუა ქუჩაში და ვფიქრობ: „ნუთუ ეს საუცხოო სახლი სწორედ ის ქობია, რომელიც წინათ მინახავს დანგრევის პირს მისულნი?“

მაგრამ თითქოს ამ ჩემი კითხვის საპასუხოდ მშვენიერ შენობის აივანზე ჩნდებიან მოხუცები — სწორედ. ის ქალები, რომელთაც წინათ ვიცნობდი. მოხუც ქალების უკან კი—ვხედავ, გამოდიან, ალბათ, მათი შვილიშვილები, ახალგაზრდა ქა-

ლები, რომელთაც არავინ ჩასთვლიდა ამ ადამის-ჟამის ბე-  
ზიათა შვილიშვილებად.

მაგრამ მესმის, ისინი ქართულად ლაპარაკობენ და მოხუ-  
ცებს უწოდებენ ხან ბებიას, ხან ძალუას... უთუოდ ესენი  
ქართველი ქალები არიან... მაგრამ რა ცვლილება!

ნორჩი კეკლუცები გამოირჩევიან ევროპული ფეხსაცმელითა  
და ევროპულად დახვეული თმით: ისინი თავიანთ ჩეხობელ ქა-  
ლებს აივნიდან ესალმებიან რუსულ და ხან ფრანგულ ენაზეც-  
ვხედავ, მესმის ყველაფერი ეს და კვლავ ვკითხულობ: „ნუ-  
თუ ესენი იგივე ადამიანები არიან, რომლებიც ქურსის გარ-  
შემო შემომსხდარნი — რთაედნენ და ქსოვდნენ?“<sup>21</sup>

ცხოვრება წინ მიდიოდა.

საეპრო ბურჟუაზია იკავებდა „უპირველეს ადგილს“ მმარ-  
თველობაში, ბალებსა, „ვეჩერებსა“ და „სობრანიებში“.

„სობრანიებში“, — წერდა ან. თუშანიშვილი, — მხიარუ-  
ლობაა. დიდ ზალაში სკამზე სხედან თავდახურული ქალები,  
კრიალოსანს ათამაშებენ. ზოგიერთს ბრილიანტის ვარსკვლა-  
ვები აქვს თავსაკრავებში გაკეთებული. ამათ წინ ბოლთას  
სცემენ ამათი ახალგაზრდა ქალები. კაცები ცოტა მოშორე-  
ბით ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ქალებს სინჯავენ. ეს კაცები  
თითქოს სულ ნაცნობები არიან, სადღაც მინახვანან; მართლა,  
მალაზიებში დახლთან“.<sup>22</sup>

ქართველი თავადაზნაურობა, საეპრო კაპიტალის ჩქარი  
მიმოქცევის წყალობით, ეკონომიური კრახის მოლიპულ გზაზე  
მიექანებოდა. ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავდა გულის-  
წყრომით: „პური მოგვდის, სხვა ეპკობს. ჩვენი ვენახები  
სხვის ხელშია. ჩვენს ღვინოს სხვა ჰყიდის და სხვა კი არა  
გვაქვს რა“.<sup>23</sup>

„იერემიას გოდებას“ ჰგავს ქართველი თავადაზნაურობის  
მიერ ხელისუფლების „წინამძღომელისადმი“ მირთმეული  
„თხოვნის“ შემდეგი სიტყვები:

„1801 წელს დაემკვიდრა რუსეთის მმართველობა; გაიხს-  
ნენ სხვადასხვანი სამაჯგრონი. შემოვიდა ჩვენ შორის ჟამი-  
თი-ჟამად ევროპიელნი ჩვეულებანიცა და ცხოვრებაი, რომელ-  
ნიცა კვალადვე მოითხოვდნენ და აწცა ითხოვენ უდიდესსა

ლონისძიებასა, რათამცა ჩვენის უმის და მამულის შემოსავალი დაშთნენ იგივესა მდგომარეობაშიღ, რითაც კსცხოვრობდნენ წინაპაონი ჩვენნი.

ამის გამო შთავარდით ჩვენ დიდსა შეწყუბებასა და ვალშიდ, რომელიც გვაძევს ზოგთ პრიკაზისა და ზოგთ გარეშე პირისა და რომლისა გარდახდისათვის ვერა რაიმე ლონისძიება ვერ მოგვიპოვებია.

ამასთან რაოდენიმე წაწილნი საუკეთესო მამულებისანი, კუთვნილნი რაოდენათმე ჩვენგანაცა გარდავიდნენ ვაჭართ ხელში; ზოგი მოსყიდვით, ზოგი დაგირაფებით და ზოგნი სახალხოს გასყიდვით სასამართლოებშიდ. არა გვაქვს ჩვენ არც ზაოდები, არც ფაბრიკები, არც მანუფაქტურები, არც საიჯარონი და არც ვათ მისაცემნი აღგილნი<sup>27</sup>

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებიდან გაჩნდნენ ქართველი ვაჭრებიც, რომლებიც ლებ მიცემობას ეწეოდნენ, როგორც თბილისში, ისე საქართველოს გარეთაც.

„ბედს სცდიდნენ“ ქართველი არისტოკრატებიც. მოსკოვის ბაზარზე აბრეშუმის ძაფის გატანას ეწეოდა ალექსანდრე გიორგისძე ორბელიანი. ამ კომერციულ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. ასევე იზარალა გრიგოლ ორბელიანის კომერციულმა ნაბაჯმაც.

„მე შეეიტყვე, — წერდა გრ. ორბელიანი, — რომ რკინა ატრახანში იათად ისყიდება. გავგზავნე ასი თუმანი, — ის ნავი, რომელშიაც იდვა რკინა, მოიტაცა ქარიშხალმა და ყიზლარს ჩით გააგდო, და თამამშოვის გემები კი ატარა, ატარა და პეტროვსკში კი მოიყვანა, სწორედ პრისტანში. ტყუილია, მე ფულის ანგარიშში არ უნდა შევიღე. Не надо идти против своего назначения“<sup>28</sup>

მაგრამ თანდათან გაჩნდნენ პროფესიული ქართველი ვაჭრებიც. მოზდოკისა და წინინოვგოროდის „მაკარიის იარმურკაზე“ ხშირად შეხვდებოდით თბილისის ქართველ ვაჭართა მიერ გამოტანილ „ქალაქის ჩითს“.

ვაჭრობდნენ და სხვადასხვა საფაბრიკო წარმოებებს მართავდნენ: ზარაფიშვილი, მიზანდარი, ზუბალაშვილი, სარაჯიშვილი, ფარეშაშვილი და სხვები.

საკაპრო კაპიტალის სწრაფმა ვანვითარებამ და რუსეთის

საფაბრიკო საქონელმა დასცა თბილისისა და საერთოდ საქართველოს ხელოსნური წარმოება. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი შენიშნავდა:

„თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური“ სარეწობი, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო.

ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს.

ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნაღებების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტუმის ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ლენინსათვის, რომელიც პირველად გამოქონდათ გასაყიდათ (რაც იწვევდა მექასრეობის განვითარებას) და რომელიც თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს.

ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევედა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ჰქმნიდა—ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“.<sup>29</sup>

სულ მალე თბილისმა ახალი ლამაზი ქალაქის იერი მიიღო. ლევ ტოლსტოი სწერდა მეგობარს: „თბილისს ემჩნევა ცივილიზაცია, თბილისი ბაძავს პეტერბურგს“<sup>30</sup>.

გავიდა კიდევ მცირე დრო და ჰქვე თბილისს „პატარა პარიზს“ ეძახდნენ.

„ჩვენი თბილისის ქალაქი, — აღნიშნავდა „ცისკარი“, — პატარა პარიზი შეიქმნა. მე ამას მოგახსენებთ შესახებ ქუჩების გამშენებისა, სახლების ევროპული ხელოვნებით გაკეთებისა.

ახლა საითაც მიიხედო: სამი და ოთხი ეტაჟი ჩინებული მაგაზინები. ღამით გაივლის კაცი, თითქოს ცეცხლი ეკიდებოთ,

ქუჩებში ნახავთ აქეთ-იქით ამწვანებულ ხეებს, ასე, რომ მალ-ლიდან კაცმა გადმოხედოს, იტყვის, მთელი ქალაქი ბაღში აშენებულიაო".<sup>31</sup>

თბილისი თანდათან ჰკარგავდა ძველ იერს და მალე სრულად იცვალა სახე.

### 3. თბილისის გაღვიძება

მეფოვემ კიბე დაიდგა და იმხანად ქალაქში, მხოლოდ მთავარმართებლის სახლთან, მბეჭუტავი ორი ფარანი ჩააქრო.

ზოგისთვის ტკბილ ძილში, ზოგისთვის თეთრად გატარებული თბილისის ღამე მოკვდა, ქალაქმა გამოღვიძება დაიწყო. ი. ევლახიშვილი წერდა:

„როგორც კი აენტება ცისკარი, ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, ხალხი რაღაც ჯადოსნური ძალით იღვიძებს და გუნდ-გუნდად მიეშურება მოედნისაკენ.

აქ დაინახავთ მუშების წყებას: ღურგლებს, კალატოზებს, თულუხჩებს, კურტნიან მუშებს. ხედავთ სოფელელ დედაკაცთა გროვას, რომელთაც წინ უღვეთ ქოთნები მაწვნით, კალათები შინაური ფრინველით.

წამწკრივებულნი, ფეხმორთხმულნი სხედან ეს ქალები და რაღაცას გატაცებით მოუთხრობენ ერთმანეთს. აი მოიზღაზნება მწკრივი სახედრებისა დატვირთული შეშით, ნახშირით, ხილით და მწვანილით სავსე კალათებითა და ტომარებით...

სახედრების გამოჩენისას, მაშინვე იკრიბებიან ხელზე მოვაჭრე გადამყიდველები, მეღუქნენი, დიასახლისები და უსაქმოდ მოხეტიალე ფალანშოკიდებული მუშები, უეჭველი მოწმენი ყოველი თავყრილობისა“.<sup>32</sup>

თბილისის განთიადის ამ პირველ მეკვლეთა შემდეგ, მზის ამოსვლისთანავე, მოემართებოდა მეორე წყება ქალაქის მცხოვრებლებისა. იმდროინდელი გაზ. „კავკაზი“ აღნიშნავდა:

„აღმოსავლეთი უკვე აენტო ამომავალი მზის ოქროსფერი სხივებით. ხალხი მოძრაობს, ხმაურობს, ფუსფუსობს. ერთ-

მანეთში ირევიან კოსტუმები, სახეები და მორთულობანი. ქართველი, სპარსელი, ოსი, ლეკი. ჩოხები, ჩერქეზურები, ჩალმები, ნაბდები სწრაფად ელავენ თქვენს თვალწინ და ვერც კი ასწრებთ გამვლელთა დათვლიერებას. აი, ქალაქის გარეუბნებიდან მოსული ქალები კარაქით, ერბოთი, ლორითა და რძით. აი, ქართველი ებრაელები, ფართლის, ქალთა ხელსაქმის, ტუალეტის, -საწვრილმანოთა დამტარებელნი“.<sup>33</sup>

იღვიძებდნენ ქუჩები და თბილისი იწყებდა გარჯას.

„ქუჩის ერთი მხარის სახლიდან, მის მოპირდაპირე მხარის სახლზე გაბმულია თოკი, რომელზედაც სარეცხი შრება. თითქმის თლილ ფილაქანზევე ამზადებენ ქებაბს, სწვავენ მწვადს. გამვლელთა სააშკაროდ ჰპარსავენ და ჰკრეკენ წვერსა თუ თაეს“.<sup>34</sup>

სავაქრო ღუქნები იხსნებოდნენ.

„წარმოიდგინეთ, — გადმოგცემს ფრედერიკა ფონ-ფრეინგანგი, — გრძელი ოდნავ გამრუდებული და ვიწრო ქუჩა, რომლის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია პატარა ღუქნები სახურავებით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ქუჩასაც ახურავს.“

აქ იშოვება ყოველგვარი სახის სურსათსანოვანე და სავაქრო საქონელი. განსაკუთრებით თვალში გვხვდებათ ქართული და სპარსული ქსოვილები, ხალიჩები, შალები, აბრეშუმეული, ფირუზები. ბოსტნეული, ყურძენი, ბროწეული, კომში და სხვა აკიდობად არის ჩამწკრივებული ქუჩების გასწორივ“.<sup>35</sup>

ხმაურობდნენ სახელოსნოები.

„ღია ღუქნებში თოქმაჩები წითელი სპილენძის ფურცლებიდან ქვაბებს აკეთებენ. ერთფეროვანი დარტყმებისაგან საშინელი ხმაურია. მკედლები უროზე ჩაქუჩების ცემით ჰქმნიან ასევე საშინელ მუსიკალურ ორატორიას. — თიხის მექურქლენი ძერწავენ წყლისა და ღვინისათვის კოკებს.“

ოქროშკედლებისა და ვერცხლისმკედელთა მწკრივებში ხელოსნები ქუჩაში ადნობენ და სქედენ ოქროსა და ვერცხლს. სხვებს გამოჰყავთ ბეკდები, საყურეები და სხვა სამკაულები. მეწაღეები, დერციკები და ქონები სჭრიან და ჰკერა-

ენ, აბრახუნებენ და ჰყვირიან, დამჯდარნი იღებენ შეკვეთებს, სამოსს აზომებენ მუშტრებს, აბარებენ დამზადებულ შეკვეთებს".<sup>36</sup>

მთავარმართებლის შენობასთან სამხედროები მიდი-მოდი-ოდნენ, „კანცელარიებში“ მოხელეები ისხდნენ, „სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციასთან“ მომჩივანნი ირევოდნენ. სასწავლებელთა ეზოებიდან მოწაფეთა ჟივილ-ხივილი ისმოდა.

ზოგი ლუკმაპურს ეძებდა. ზოგი სალამოს ტუალეტისა და ქეიფის თადარიგში იყო. თულუხჩები წყალს ეხიდებოდნენ. ისმოდა სახედრების გამყოლ მენახშირეთა და მემაწვენეთა ხმები. თავზე თაბახდადგმული ყარაჩოღელები ომახიანად გაჰკეოდნენ.

ზარაფები, დალალები „საქმეს შესდგომიან“. აგერ უსაქმურ ბიჭთა ხროვა. ვინ მოსთვლის, ვინ რა საქმისთვის და რისთვის გამოსულა გარეთ!

სხვადასხვანაირი ეროვნება და ტანისამოსი ირევა ერთმანეთში. პლატონ ზუბოვი შენიშნავდა: „ეროვნულ ტანისამოსში, მუნდირებსა და ფრაკებში გამოწყობილი ოსმალები, სპარსელები, ინდოელები, თათრები, გერმანელები, ინგლისელები, მთიელები, სომხები, ქართველები და სხვანი; ევროპული ეტლები, გერმანული ფორშპანები, ქართული ურმები, საპალნიანი კამეჩები, ხარები, აქლემები, სახედრები,—ყოველივე ეს ყოველ წუთს განუწყვეტელ პანორამად იშლება თვალწინ და ორიგინალურ სურათს იძლევა“.<sup>37</sup>

სრულიად შეუმჩნევლად გადიოდა დრო.

ანაზღად გაისმოდა ზარბაზნის ხმა, შუადღის მაუწყებელი. მას მოჰყვებოდა შტაბის საათის გაძლიერებული რეკვა.

მშფოთვარე ქალაქი რამდენიმე საათით დუმდებოდა. მოედნები და ქუჩები შესამჩნევად ცარიელდებოდნენ. ცხელოდა, პატრი შეხუთული იყო, ირგვლივ მტვერი იდგა.

მაგრამ არც თუ ისე საშიში იყო ამ დროს თბილისში ყოფნა. მცხოვრებთ ეხმარებოდათ გრილი სარდაფები და ზამთარში მომარაგებული ყინული.

ასევე შეუმჩნევლად დგებოდა სალამოც.

„რა შეედრება, — წერდა ი. ევლახიშვილი, — თბილისის სალამოს. როგორც კი მზე მამადავითის მთას მიეფარება, წყნარი და საამო ნიავე მოეფინება თბილისის ქუჩებს და აგრილებს ჰაერს“.<sup>38</sup>

აივნები და ბანები ხალხით ივსებოდა. შვეიგერ-ლერხენფელდი ალტაცებით გვიამბობს:

„სალამოს ეამს, როცა ფრთამალი სიო ეალერსება მტკვრის ზვირთებს და მათა სილუეტები ცისფერ ჩრდილებს აფენენ, თბილისელი ლამაზი ქალები დახშული ოთახებიდან გამოიშლებიან ხოლმე გარეთ. სახლების ტერასები და აივნები ივსება მოჩურჩულე, ან მოკისკისე ქალთა გუნდებით“.<sup>39</sup>

სწორედ მათ შესახებ სთქვა ბოდენშტედტმა:

Иль балкон, иль галерея  
Каждый домик окружает...  
Придет вечер, и балконы  
Рой красавиц наполниет.  
Месяц блеском серебряным  
Овещает их так мило:  
Видны маленькие ножки  
Сквозь узорные перила.  
Опершись на балюстраду  
Смотрят девушки с улыбкой;  
На их лицах покрывала  
Веют легкой, белой дымкой;  
Но сквозь дымку покрывала,  
Лучезарней всегда средь ночи,  
Ослепительней алмазов,  
Блещут чудные их очи.<sup>40</sup>

მოსახლეობა გუნდ-გუნდად დასეირნობდა ქალაქში და მის-წრაფოდა ბაღებისაკენ. ხმაური, ხარხარი და გამველელ-გამომველელთადმი გახუმრება თან ახლდა მათ გასეირნებას.

ყველაზე მეტ მოსეირნეს იზიდავდა კათოლიკეთა ახალი სასაფლაო, განთქმული შირაზის ვარდებით. გამბა შენიშნავდა: „კათოლიკეთა ახალი სასაფლაო გადაიქცა სასეირნო ადგილად, სადაც დადიან იმისთვის, რომ დასტკბენ შირაზის მშვენიერი ვარდებით. ეს ვარდები გამოგზავნა მონსინმა, ინ-



გლისელმა სამხედრო ინჟინერმა, რომელსაც დიდხანს უცხოვრია ინდოეთში“.<sup>41</sup>

როგორც კი თერთმეტჯერ ჩამოჰკრავდა შტაბის საათი, მოსიერნეთა გროვა ნელ-ნელა მიეშურებოდა სახლებსაკენ.

იწყებოდა ვიზიტები, ნადიმები და ბალები. თბილისის მშრომელთ უკვე ეძინათ. მერე არისტოკრატიული თბილისიც იძინებდა.

განთიადიდან იგივე მეორდებოდა და ასე მიჰყვებოდნენ დღეები ერთმანეთს.

#### 4. ქალაქის მოურავი, მელიქი და ნაცვალი

თბილისის მმართველობის სათავეში იდგა მეფის მიერ დანიშნული მოურავი, რომლის თანამდებობა გადადიოდა მემკვიდრეობით.

მოურავი განაგებდა სამართლისა და საპოლიციო საქმეებს, მაგრამ, თუ მეფე უბრძანებდა მოურავს ქალაქის „ყველა საქმეებისთვისაც“ უნდა მიეხედნა. ქალაქის მოურავის „სარგო“ გვამცნობს:

„რაც ბატონმა (მეფემ) ქალაქს ან სთხოოს, ან შეაწეროს, ან სხვა რამე საქმე იყოს, ქალაქის სამოქალაქოსი, ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს“.<sup>42</sup>

მოურავის შტატში შედიოდნენ: მელიქ-მამასახლისი, ნაცვალი, ქელხუდი, ასასბაში, ასასი; იასაული და სხვ. იმავე „სარგოში“ ვკითხულობთ:

„ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამითხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში, და მოურავი თუნდა მელიქ-მამასახლისის და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და თუ უნდა, არ დაისწრებს.

ქელხუდები ახლდებიან. ამაზე აქვს სარგო თუმანზე სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს და ამ სამდივანბეგოში ხელი არა აქვთ მელიქ-მამასახლისის, ნაცვალს და ქელხუდებს, ისრე უნდა ახლდნენ.

მოურავთან რომ მოჩივარი მოვა, თუ თითონ არ ინებებს, სამართალს, თავის იასაულს გაატანს, ორი უნდათ თუ სამი მოქალაქე, იმად დასმენ და სამართალს მოქალაქენი იკმნენ.

მაგრამ იქიღამაცა თუმანზე ხუთი აბაზი მოურავისა არის, რადგანაც მოურავი გაგზავნის ამისათვის.

ასაზბაში და ასასები მოურავს უნდა ახლდნენ და იმას კარზე უნდა იყვნენ, რომ ასასები მოურავის იასაულები არიან“. 43

საქართველოს რუსეთთან შერთების შემდეგ მართველობის ამ სისტემამ ცვლილება განიცადა.

1840 წლის დამდეგს, საქართველოს მთავარმართებლის გოლოვინის განკარგულებით, შემუშავდა „დებულება ქალაქ თბილისის საზოგადო საქალაქო მმართველობის შესახებ“. მეფის მიერ დამტკიცებული, მოქმედებაში შევიდა იმავე წლის 21 აგვისტოდან.

ამ „დებულებით“ დაარსდა „ექესი ხმოსნის სათათბირო“ („უბრადა“), რომლის სათავეში იდგა ქალაქის თავი.

თბილისის პირველი ქალაქის თავი იყო ივ. იზმიროვი.

სათათბიროში შედიოდა ექესი ხმოსანი. ორს ირჩევდნენ მესაკუთრენი (სახლის მესპატრონენი), ორს — ვაჭრები და ორს ხელოსნები.

„თითოეული წოდება ირჩევდა ათ-ათ კაცს (სულ 30 კაცს), — ამ ოცდაათი კაცის თანადასწრებით უნდა გაენაწილებინა სათათბიროს ქალაქის გადასახადები. ქალაქის სათათბიროს დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად დასახელებული სამი წოდება ირჩევდა კიდევ უსტაბაშებსა და მათ თანაშენწევებს: თითოეული წოდება ორ უსტაბაშსა და ორ თანაშემწეს“. 44

ამის გარდა ქალაქში არსებობდა საქალაქო პოლიცია, რომელსაც სათავეში ედგა პოლიცმეისტერი.

ქალაქი ოთხ საპოლიციო ნაწილად იყო გაყოფილი. თითოეულის ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა უფროს ბოქაულს. ამის გარდა, საპოლიციო განყოფილებაში იყო გამომძიებელი-ბოქაული და ე. წ. საქალაქო კომისარი.

ქალაქის პოლიცია თბილისის გუბერნატორს ემორჩილებოდა.

## 5. ძეგლი

ფეხშიშვე, მშობიარობის მოახლოვებას იგრძნობდა თუ არა, გზავნიდნენ ბიქს ქალის მშობლების, ნათესაეებისა და ახლო მეგობრების დასაძახებლად.

ფეხმარდი შათირი, რა დროს და ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, დარბოდა თბილისის სხვადასხვა უბნებში, აბრახუნებდა კარებზე, იძახდა: „ქალბატონს მუცელი სტკივა“, და სხვაგან გარბოდა.

მაშინვე ქალები იკრიბებოდნენ მელოგინესთან, რომელსაც დარბაზის შუა ადგილას აწვენდნენ.

მშობიარესთან იჯდა ბებია-ქალი და ორი ან სამი დამხმარე. ქალთა მარაქა ჭამაში, ამბების მოყოლაში ატარებდა დროს.

როგორც კი გაისმოდა ახლადშობილის ბმა, ქალები ლხინს იწყებდნენ. ამ ლხინს „ძეობას“ ეძახდნენ.

ქმარს უფლება არ ჰქონდა შესულიყო მშობიარესთან ბავშვის სანახავად. ქალის დაბადება დიდ უქმაყოფილებას იწვევდა. მამას არათუ ვერ ეუბნებოდნენ და არ ულოცავდნენ. ამით ხვდებოდა, რომ ქალი შეეძინა.

მაგრამ თუ ვაჟი დაიბადებოდა, მაშინ ამ სასიხარულო ამბავს თოფის სროლით აღნიშნავდნენ. ამბის მიმტანი მოახლე ქალი ღებულობდა საჩუქარს, რომელსაც „სამახარობლო“ ერქვა.

მთელი კვირისა და ხშირად მეტი დროის განმავლობაში არ სწყდებოდა ქალების მიერ მელოგინისა და ბავშვის ნახვა. მოსულები ხშირად მთელ დღესა და ღამესაც ატარებდნენ იქ.

ბავშვს გამდეღს ჩააბარებდნენ. ვაჟი სრულ თავისუფლებაში იზრდებოდა. ქალის აღზრდას კი დედა ხელმძღვანელობდა.

„იმ ჩვენ დედაკაცებს, — გადმოგვცემს ალექსანდრე ორბელიანი, — ჯერ ყმაწვილობაში საღმრთო წერილს ასწავლიდნენ, კერვა-ხელ-საქმეს და მას უკან საერო წიგნებს, ანუ ხელწერილებს აკითხებდნენ. ამასთან კარგ ზნეობას, კარგ თვისებას ასწავლიდნენ, შემდეგ ქცევას, მიმოხვრას, თავის უმანკოების სიწირფელის სიმართლითა. თან ცდილობდნენ ყოველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაეწვეთათ თავისი მოთმინებით, იმათ ბუნებაში“.<sup>16</sup>

ხშირად ქალებს აკვანშივე ნიშნავდნენ.

## 6. ქორწილი

✦ როცა ქალი სრულწლოვანი ხდებოდა, მშობლები ცდილობდნენ ჩქარა დაებინავებიათ იგი.

უმზითვო ქალს მაშინ არავინ თხოულობდა. ამიტომ მას აკენიდანვე უმზადებდნენ მზითვეს.

დატრიალდებოდა მაქანკალი და საქმეს გაარიგებდა. ხშირად კაცსა და ქალს ერთმანეთი ნახულიც არ ჰყავდათ.

სასიძო საცოლეს ბეჭედს ან სხვა რაიმე ნივთს უგზავნიდა. ეს იყო ქალის დაწინდვის ნიშანი. მერე საქმრო მიდიოდა მომავალი ცოლის სანახავად, თან მიჰქონდა საჩუქრები. ქალიანნი სასიძოს სადილს უმართავდნენ, რომელსაც „ორკამა“ ერქვა.

ქორწილის თადარიგის მოგვარება საქმროს ევალებოდა. ამ საქმის შესრულებას სასიძო ჩვეულებრივ თავის მეგობარ მეჯვარეს, ანდა ნათლიას ჩააბარებდა.

თუ ბინა დამაკმაყოფილებელი არ იყო, ქირაობდნენ „დარბაზს“. ასეთი საქორწილო დასაქირავებელი დარბაზი იყო ფეთხანის უბნის ძირას, მუნთუაშვილების სახლში. ამიტომ ამ დარბაზს „მუნთუანთ დარბაზს“ ეძახდნენ.

ქორწილის წინ მეჯვარე, რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილ მაყართან ერთად, აბანოში გასაბან-გასაპარსავედ წაიყვანდა სასიძოს.

საპატარძლოც ამხანაგ ქალებს მიჰყავდათ აბანოში.

ჯვრისწერა ეწყობოდა საღამოთი. ეკლესიიდან ჯვარდაწერილები სიმღერის, მუსიკისა და სროლის ხმათა თანხლებით მიჰყავდათ საქორწილო დარბაზში. შესავალ კარებთან მათ ხვდებოდათ მეჯვარე ხმლებგადაქდობილი. ნეფე-დედოფალი ხმლების ქვეშ გაივლიდა.

მერე იწყებოდა ნადიმი.

დედოფალს სამი დღის განმავლობაში პირბადით ჰქონდა დაბურული სახე. სტუმრებს პირისსანახავი მიჰქონდათ დედოფლისთვის.

„სამ დღეს“, — წერს ალექსანდრე ორბელიანი, — და დამეს ქორწილი უნდა ყოფილიყო, თანშექცევა და ლხინი. ვახშმის

შემდეგ ყველანი თავის სახლში წავიდოდნენ და მეორე დილაზე კიდევ იქვე უნდა მოსულიყვნენ. ასე, რომ მესამის ღამის ვახშმის შემდგომ ნეფე-დედოფალს თავიდან, გვირგვინს მოხსნიდნენ“.<sup>46</sup>

ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგი ასე აღწერს თბილისურ ქორწილს:

„აქ ჯვარს იწერენ ძალზე ახალგაზრდა ასაკში. არის შემთხვევა, როდესაც დანიშვნა ხდება აკვანში და მეტ წილად საპატარძლო არ იცნობს თავის დანიშნულს.

ქორწილის დღეს პატარძალი, თავიდან ფეხებამდე საბურველში გახვეული, ძვირფასი ქვებით და სხვა სამკაულით მორთული, ჯდება ხალიჩაზე ჯვარედინად მოკეცილი ფეხებით. პატარძალი რჩება ამ მდგომარეობაში ვით ხის ქანდაკება. მთელი დღის განმავლობაში არა სკამს, არა სევამს და, რაც მთავარია, სრულებით ხმას არ იღებს. მაგრამ ერთი მანუგეშებელი გარემოება ამ მონანიე ცოდვილისათვის არის ის, რომ სასიძოც ექვემდებარება იმავე ცერემონიალს.

როგორც კი სასიძო შეჰყავთ პატარძლის სახლში, ის ჯდება თავის ტურფა უცნობის გვერდით და იცავს ხანგრძლივ სიჩუმეს. ერთმანეთს რომ ზურგი შეაქციონ, შეიქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გაბუტულნი არიანო. მაგრამ მოკრძალებული პოზა, რომელსაც ისინი იცავენ, თითქოს დადადებს: „ჩვენ შეგვაუღლეს, ნუ გაგვიჯავრდებით, ეს ჩვენი ბრალი არ არის“. ქორწილის ცერემონიალის დასასრულს პატარძალს ხსნიან თავსაბურავს და ხშირად სიძე პირველად ხედავს თავისი საცოლის სახეს.

ერთხელ დავესწარი ქართველი პატარძლის თავსაბურავის ჩამოხსნას. ვცდილობდი შემემჩნია მღელვარება, რომელიც, ჩემის ფიქრით, უნდა გამოემჟღავნებულებოდა იმ ახალგაზრდა ნეფე-დედოფლის სახეზე, რომელთაც პირველად იხილეს ერთმანეთი. გულდასმით ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერაფერი ვერ ამოვიკითხე. პატარძალი ქანდაკებასავით გამოიყურებოდა, სასიძოს სახეზე კი იღვავა სწრაფწარმავალი მოწონების გამომეტყველებამ, როდესაც მან დაინახა თავისი ძალზე ახალგაზრდა და საკმაოდ ლამაზი ცოლი“.<sup>47</sup>

გაივლიდნენ პირველი დღეები, კაცი კვლავ მეგობრების წრეს უბრუნდებოდა. ცოლი კი შინ იჯდა.

ასე იყო თბილისში კაპიტალიზმის შემოქრამდე. მერე კი მდგომარეობა შეიცვალა.

ცოლი ქმარს წინადადებას აძლევდა „აი ეს მიყიდე“, „აი ეს შემოვიდა მოდაში“, „იმას აცვია, მეც უნდა მეცვასო“ და სხვა.

ა. ფადეევს თავის მემუარებში მოჰყავს ერთი ქართველი „პორუჩიკის“ აზრი ცოლის თხოვაზე; „აი, ძველი დრო რომ ყოფილიყო, დიდი ხნის წინათ მეყოლებოდა ნათხოვი ცოლი. მე ვუყიდი ჩემს მეუღლეს ექვს აბაჯად საბურველს და იგი მას ექვს წელს ატარებდა.

ახლა კი, რომ დაექორწინდე, მაშინვე მეტყვის: „მომიტანე ბაშმაკი, მომიტანე კლოკი, მომიტანე შლიაპა!“ ვეტყვი. „რად გინდა ბაშმაკი? რად გინდა შლიაპა?“

ის მიპასუხებს: „თამანშოვის ქალს აქვს ბაშმაკი, თუმანოვის ქალს აქვს კლოკი, ორბელიანის ქალს აქვს შლიაპა. მიყიდე ბაშმაკი, მიყიდე კლოკი, მიყიდე შლიაპა“.

საიდან ვიშოვნო ფული ბაშმაკისათვის, კლოკისათვის, შლიაპისათვის. სჯობია სულაც არ შევიერთო ცოლი“.<sup>48</sup>

როცა ყველაფრის საზომი ფული შეიქნა, გაქირდა მრავალდღიანი და მრავალსულიანი ქორწილების გადახდა. მოლაყბე (მიხეილ თუმანიშვილი) წერდა:

„ეშმაკად და ქაჯად, არ არის დიდი ხანი, რაც ჯვარი დავიწერე. ისეთი ქორწილი გადავიხადე, რომ რალა მოგახსენოთ, მინამ ჯვარს დავიწერდი, სუ იმას ვფიქრობდი, რა ვქნა, როგორ მოიქცე, რომ ქვეყანა გავაკვიროვო მეტქი.

გავაკვირვე კიდევ! ისეთი გავაკეთე, რომ როდესაც სამის კვირის ლხინის და შექცევის განმავლობის შემდგომს, სტუმრები თავთავისაკენ წავიდნენ, სულ თურმე მლანძღავდნენ და მათრევდნენ.

ზოგი წუნს ღვინოსა სდებდა, ზოგი პურსა; ზოგი იძახდა, ცხენები მშიერი დაგვიწყვიტაო. ზოგი იძახდა, სამი ბიჭი მიყიდავანე, ორი ცხენების მომვლელი, ერთი ხელზე მსახური და

მწყურვალე კინალამ მომიკლესო. წარმოიდგინეთ, თვითო თუნგს ლეინოს დღეში კაცის თავს აძლევდნენო.

ვაი იმისი ბრალი, რომელიც ასე ჩემსავით მამაპაპურს ჩვეულებაზე წავა, ერთს დაპატიებებს, ოთხნი მოვლენ, ოთხს ცხენს მოიყვანენ; ოთხ ცხენს დღეში რამდენი ქერი, ბზე და თივა მოუნდება, ეს კი თქვენ იანგარიშეთ.

ეს იცოდეთ, თუ ორასი სტუმრის ანგარიში გაქვსთ, ექვსასი უთუოდ მოგივათ, მაშ თვითო კაცს რომ ორი და სამი მოსამსახურე მოჰყვება, ისენი კი სტუმრები არ არიან?.

ახლა ცხენები, რომლებიც სტუმრებზე უფრო მომეტებულნი იასაულები არიან; ახლა ამდენის სულისათვის სადგომი? ვაი ოჯახო დაქცეულო! მტრის კარს! ახლა რამდენი რამ დაიკარგება!<sup>49</sup>

ზოგმა დროზე შეიგნო ასეთი ქორწილების ზედმეტობა და გვერდი აუქცია მას.

„ჩემს შემდგომ, — გადმოგცემს მოლაყბე, — ორი კვირის უკან მებუკემაც დაიწერა ჯვარი. ჯერ პლანებს აწყობდა, ასეთი გამოჩენილი ქორწილი უნდა გადავიხადოვო, როდესაც ჩემი დაქცევა ნახა, სულ სხვაფრივ მოიქცა.

შეჩვენებულმა, რომ არ დამპატიეა. აფსუს ჩემო პურო და ლეინო! იმდენი სვა, ჭამა, იმ სამ კვირაში პირი არ დაუყენებია, რა არის მუქთიაო და მე არც კი შემატყობინა.

გარეშე ხალხისაგან შევიტყვე, ქორწილი აქვსო. მივედი, შევედი ღერეფანში, შევხედე—ვნახე: ოთხნი პირნი სხედან ტახტზე მოკეცილები; ლურჯი სუფრა წინ გაშლილი, ნახევარი თუნგი ლეინო, მწყვანილი და სხვა რაც რაჟ შეეფერება შინაურ ვახშამს. თურმე ნუ იტყვიოთ, ის ოთხნიც ვინ იყვნენ! ჩიფე, დედოფალი, მეჯვარე და მღვდელი, რუმბსავით გასიქული“.<sup>50</sup>

თბილისის ზოგიერთ ოჯახში ფეოდალური ქორწილის ტრადიცია კვლავინდებურად ძალაში იყო.

## 7. გლოვის წესი

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს აღარ გადმოჰყოლია მიცვალებულის დაკრძალვის ძველი წესები.

იმდროინდელ თბილისში დამარხვის ასეთი ცერემონიალი იყო:

• გაიგებდნენ თუ არა ვინმეს სიკვდილს, ეთქვათ—ქმრისას, ქვრივთან მაშინვე გროვდებოდნენ ნათესავ-ნაცნობნი, რომ ენუგეშებიან და ეტირათ.

ტირილით ყველას უნდა ეტირა, ამისთვის ხშირად საგანგებოდ ქირაობდნენ მომტირლებს.

„რომ უფრო კარგად, — წერდა ვაზ. „კაკეაზი“, — გქონდესთ წარმოდგენა ქართულ ტირილზე, წაზმოიდგინეთ ოთახი, რომლის იატაკზე თმებგაშლილი, ძაძებში ჩაცმული გაფითრებული ქალი ზის. ის შეუწყვეტლივ ტირის, იგლეჯს თმებს, ხელს ირტყამს მკერდზე, მისუსტებული ხმით ჰყვება გარდაცვლილის ღირსებებს და თავის უმწეო, უნუგეშო მდგომარეობას.

მის გარშემო ქალებია, რომელნიც ტირიან და ანუგეშებენ ქირისუფალს. როცა ოთახში გარდაცვლილის ნათესავი ან მეგობარი მოდის, უახლოვდება ქვრივს, იჩოქებს, აქებს მიცვალებულს, ამბობს, რომ მკვდარი საუკეთესო მეგობარი იყო და მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია.

დაასრულებს რა თავის საკმაოდ გრძელ და გონიერ იმპროვიზაციას, იწყებს ქვითინს. ქვითინებს შეუწყვეტლივ, მის ტირილს აჰყვებიან ოთახში მყოფი ქალები და იქმნება გულამაჩუყებელი კონცერტი“.<sup>51</sup>

ყოველი ახალი ნათესავის თუ მეგობრის შემოსვლისას იგივე მეორდებოდა.

ასეთი ტირილი გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ რაგუნდნიმე დღე გრძელდებოდა. დასაფლავებას მოჰყვებოდა ქელები, — მიცვალებულის საცხონებელი პურის ჭამა.

მამაკაცები ექვსი თვის განმავლობაში შავ სამოსს ატარებდნენ, ხოლო ქალები—ხელმეორედ გათხოვებამდის.

თბილისის ხელოსნებს, დაობლებულ ოჯახის დასახმარებ-



ლად, ასეთი წესი ჰქონდათ შემოღებული: „ქვრივს ყოველ-  
დღე მოსდიოდა ხორაგი და არავინ იცოდა, თუ ვინ იყო  
მისი გამგზავნელი. ეს იყო ჩუმი დახმარება იმ ოჯახისადმი,  
რომლის გარდაცვლილი პატრონიც ამქრის წევრად ან გამ-  
გზავნელ ყარაჩოღელის პირად მეგობრად ითვლებოდა.

როცა ქვრივის ბავშვები დაიზღებოდნენ, ვაჟებს სახელოს-  
ნოებში მიაბარებდნენ, ხოლო ასაკოვან ქალებს დახლიდან  
ეძლეოდათ გასამზითებელი თანხა. ამ ფულით დედა თავის  
ასულს ადათით დაწესებულ მზითევს უკერავდა“.<sup>52</sup>

ეს წესი თბილისის ხელოსნებს შერჩათ ამქრის დაშლის  
შემდეგაც.

## 8. ტანისამოსი

ყოველ ერს თავისი ნაციონალური ტანსაცმელი ჰქონდა.  
ქართველებიც შესაფერ ეროვნულ სამოსს ატარებდნენ.

გლეხის ქალს ეცვა: •

1. კაბა გულისპირით, 2. ჩიხტა-კოპი ქინძისთავით, კავე-  
ბით და ლეჩაქით, 3. სარტყელი.

მაღალი წოდების ქალს:

1. ქათიბი, 2. ბაღდადი, 3. ჩიხტა—კავებით, 4. კოპი,  
5. კაბა — სარტყელ-გულისპირით, 6. გულის სამკაული, 7. თავ-  
საკრავი — ქინძისთავით, 8. ალითანის ყამბა, 9. ქისა, 10. ახა-  
ლოხი, 11. სარტყელი, 12. ქოშები.

გარეთ გამოსვლისას ამ ტანსაცმელზე ქართველი ქალები  
საბურავს ისხამდნენ. ეს ჩვეულება თბილისში და მის მახ-  
ლობელ ადგილებში იყო გავრცელებული. უფრო შორეულ  
მხარეში ეს ტრადიცია არ იყო. თედორე ტორნაუ წერდა:

„ქართველი ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები, ძალიან  
კოხტად და ნაზად იბურებიან, მხოლოდ თვალები უჩანთ.  
თუმცა უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდები და ლამაზები მაინც  
და მაინც არა ცდილობდნენ მასში გახვევას. ხშირად  
მამაკაცის შეხვედრისას, საბურველი ოდნავ აეხსნებათ ხოლმე

და ეს ერთი წუთიც კმაროდა იმისთვის, რომ მამაკაცი დარწმუნდეს ქალის ავკარგიანობაში“.<sup>53</sup>

ტანისამოსის ფერად ქართველი მანდილოსნები რომელიმე ფერს აირჩევდნენ და მერე ამ ფერს ალარ შეიცვლიდნენ ხოლმე.

კაბების ფერების მიხედვით, მათ შესაფერისი ფერის ყვავილის სახელებს შეარქმევდნენ და ეს შერქმეული სახელი საკუთარზე უფრო ვრცელდებოდა. თეიმურაზ ბატონიშვილი ქალთა ერთი მარაქის შესახებ წერს: „მას ქალს წითელი ტანისამოსი უყვარდა და ამას ორნი ქალნი ყვნენ მეგობარნი: ერთი იისფერი ტანისამოსით იმოსებოდა და მეორე ნარგიზის ფერითა. ბესარიონ თავის ლექსში პირველს ვარდად უწოდებს, მეორეს.— იად, მესამეს ნარგიზად“.<sup>54</sup>

ამ ქალთა მოახლეებს კი ვარდისახარს, იისახარს და ნარგიზისახარს ეძახდნენ.

რუსეთთან ურთიერთობის შედეგად საქართველოშიც შემოიქრა ახალი ტანისამოსის მოდა.

ტანისამოსის ცივილიზაცია ქალთა ფეხსამოსიდან დაიწყო. ქოშები — ბათინკებმა შესცვალეს. ძველები აღშფოთებულნი იყვნენ ამ სახეცვლით. გრიგოლ ორბელიანი იგონებს:

„ერთხელ ივანე მალხაზიჩის (ანდრონიკოვის) დედასთან, მარიამთან, შევედი და ბატონიშვილი დიდად და დიდად გაჯავრებული დამხვდა.

— რაო, ბატონიშვილო, რამ გაჯავრა ასე, ვინ რა გაწყენინა?

— როგორ რამ გაჯავრა; უი სირცხვილო! შვილო, გაგონილა? ოთარის ცოლსა ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს“.<sup>55</sup>

ლეჩაქის ნაცვლად მოდიოდა „შლიაპა“. „ზოგიერთ წარჩინებულ ქართველ მანდილოსანთ, — წერდა იაზიკრკი, — ახურავთ მოსირმული ან მერდინიანი და ბადიანი შლიაპები. ხელში ქოლგები უჭირავთ“.<sup>56</sup>

ტანსაცმელიც იცვლებოდა.

ჩაცმის ახალი ყაიდა ცვლიდა ქართულ კაბას.

ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უკეთეს კაბის შეკერ-  
ვაში. ვილაც ანა თავის მძახალს შესჩიოდა:

ჩემო მზახალო, არ გებრალეები?  
გუშინ სტოლზედა მცბა თვალები.  
სუფრას ვინ ჩივის, რომ წაეახდინე,  
ჩემ გოგროზედაც გარდავიდინე.  
მობრძანდით, ნახეთ — როგორ წამიხდა,  
რა უცხო კაბა ასე გამიხდა!  
შერე რა კაბა, იყო ორუერი,  
სადლა ჩამეცმის! უ! შენი მტერი.  
ნეტა მოდნოდა, რომ წაეახდენდი, —  
თორე ყუბალოვს ფულს არ მივსცემდი.  
აბა შენმა მხემ მე დღეს მკრეს თვალი,  
ქალებს შეშურდათ როგორც სამსალი.  
ასე აენთნენ მეტის შურითა,  
მეც გამაგონეს ჩემის ყურიითა:  
„შეხედეთ, ანა როგორ მორთულა,  
გასაახოვებლად შეხამებულა!“  
მაგრამ მე იმათ მოვსთხრი თვალეხსა,  
ხვალ დაეიბარებ სულ დალალებსა  
და შევიკერავ გაჯავრებულნი  
ასეთ კაბასა, რომ უსკდეთ გული.“<sup>57</sup>

თავადაზნაურებისა და ვაჰრის ქალებს დაბალი ფენის ქარ-  
თველი ქალებიც აჰყვნენ.

„მეზობლად, — წერდა მ. თუმანიშვილი, — ამ ახლოს ხანში  
ერთი საწყალი ხურო გვიდგა ლაზარე. საცოდავს თავის სი-  
ცოცხლის ორმოცი წლის განწავლობაში შეეკრიბა ათი თუ-  
მანი ფული. შეერთო ბოლოს ცოლი; ეს ათი. თუმანი, რასა-  
კვირეელია, მიბარებული ჰქონდა ცოლთან.

ჩვეულებრივ ხურო ლაზარე გადიოდა დილით და შემო-  
დიოდა საღამოზედ. ამ დროს ჩვენ ქალაქში გაისმა ხმა „ახა-  
ლი ფარჩა შემოსულა მოდათა და ყველანი იკერავენო“.

ამ ხუროს ცოლს, გვერდით ერთი დიდის კაცის ცოლი  
უდგა, თავისს საუბედუროთ აკი იმისს ტანზედ არ დაინახა  
ეს ახალი შემოღებული ფარჩა, — მოეწონა და იფიქრა: მოდი  
შევიკერამო, მობარებულის ფულებიდგან დაეხარჯამ, მაინც

ხომ ქმარი ჯერ არა მთხოვს, შემდგომს ხელსაქმეს გავაკეთებ, ცოტ-ცოტათი შევაგროვებ და ისევ შევაგებო.“<sup>56</sup>

გადასწყვიტა და აასრულა კიდევ.

ორი თუ სამი კვირის მერე ხურო ლაზარემ ტივები იყიდა, მეტივე სახლში წამოიყვანა ფულის მისაცემად. თქვენს მტერს, რაც დღე ხუროს ცოლს დაადგა, როცა ლაზარემ გაიგო, რომ მიბარებული ფული „ანტიკ მორაში“ იყო დახარჯული.

შემოვიდა ყოვლად უცნაური კაბა „ხაბარდაც“.

„ხაბარდაც“, — შენიშნავდა „ცისკარში“ მოლაყბე, — მოდად გახლავსთ შემოღებული. არა, რა მოდაა თქვენი ქირიმე მაშინ, როდესაც რომ ქალსა, როგორ ქალს? ესეც უნდა მოგახსენოთ, იმისთანა ქალს, რომელიცა ისრე რომ დავაყენოთ, სწორედ ერთი ციდა ალაგი უჭირავს, და ხაბარდით იმდენი ალაგი უპყრია და იმდენი დედამიწის სივრცე, რომელზედაც შეიძლება ათი კაცი მოთავსდეს.

მამა ვაცხონე იმისი, ვისაც თავდაპირველად დაურქმევია ხაბარდა. მოდი და გზას ნუ დაუგდებ! მე გავზომე ერთს მაღაზიაში ეს ხაბარდა, რომელსაც გამოუვიდა გარშემო რვა ადლი.

მოდებს ზიანიც მოაქვს და თითქმის სიკვდილიც. წარსულს ყველიერში, პეტერბურღში ერთი დიდი კაცის ბალში, გასათხოვარი ქალი, როგორღაც სანთელს მიჰკარებია, წაჰკიდებია იმის ხაბარდას ცეცხლი და მიმშველებელნი ქალებიც იმასთან დამწვარან რამდენიმე“.<sup>59</sup>

ბურჯუაზიული წრის ქალები ათას ხერხსა და საშუალებას ხმარობდნენ, რომ გამოეერთმიათ ქმრებისათვის „ხაბარდის“ საყიდელი ფული. ერთ ლექსში გახარებული ქალი ამბობს:

ფული დავსტყუე დღეს მე ჩემს ქმარსა,  
დღესვე ვიყიდი მე ხაბარდასა.

იქვე ჩავიცვამ, შინ ისე წავალ.

ახალ-მოდურად ჩემს ქმართან შავალ,  
რა შამომხედავს, მართლად გაოცდება.

ხაბარდის ნახვა მას ეამება.

აი ვიყიდე დიდი ხაბარდა,  
იქვე ჩავიციე, აღარ დამხარდა!  
და რა რიგიან ვერ მოვიკერვე,  
იმავ დუქანში წუთს შევიფერხე!  
შაგირდმა მითხრა: ახ ქალბატონო,  
აბა მე თავი რით მოგაწონო!  
მაგ ხაბარდასა მე გაგიმართავ,  
გაგიწყობ რიგზე, ლამაზად მოგრთავ!<sup>60</sup>

ახალი ყაიდის ტანისამოსთან ერთად ჩვენში შემოვიდა ქალის სხეულის დამმახინჯებელი კორსეტის. მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად „კორსეტმა“ არისტოკრატიულ წრეში მაინც გაიკვლია გზა.

„ერთი გასათხოვარი ქალი, — წერდა კორსეტის უარსაყოფად მ. თუმანიშვილი, — პარიჟის პირველ საზოგადოებაში, ბალში ტანცაობის დროს უცებ წაიქცა თურმე და მოკვდა. მეორეს დღეს მთავრობამ ინება გაკრა, თუ საიდან წარმოსდგა ეს უეცარი სიკვდილი. ჰაქიმებმა გასკრეს და შეამოწმეს, ნახეს, რომ კარსეთებისაგან იყო მკვდარი. თურქე კარსეთების ძალიანის მოკერით, გულ-ღვიძლი შეიწროებინა ისე, რომ დაიარაგებოდა. რამდენჯერ შეეხვედრილვარ სადილზე ზოგიერთ ქალს, რომელიცა მშიერი ამდგარა და ფერწასულს გაუწყევია შინისაკენ, რა არის მოდურად მორთული ვიყო და ჭამას ვინ დასდევსო!“<sup>61</sup>

მაგრამ ამაო იყო ყოველი, ჩაცმის ახალი მოდა მოედო თბილჩისს.

გაჩნდნენ მოდური ყაიდის მკერავებიც. ერთი პირველთაგანი ოდესიდან ჩამოსული მკერავი რუარი იყო. რუარს კრაკერვის მასწავლებელი ველნერი მოჰყვა.

„ჩამოვიდა, — აცხადებდა გაზეთი „კავკაზი“, — ბრესლავის მცხოვრები ვ. ველნერი, რომელიც მის მიერ გამოგონილი ახალი მეთოდით ასწავლის მანდილოსნებს უკანასკნელი მოდეების კრაკერვას და ქალთა სამოსის ყველა სახეობას: კაპოტებს, კაბებს, მოსასხამებს, კორსეტებს და სხვ.

სწავლის ხანგრძლივობა ოთხ-ხუთ საათს გრძელდება. ველნერს 1837 წლიდან აქვს ალბომი, რომელიც აქრელებულია

მისი გერმანელი, ავსტრიელი, პოლონელი, პეტერბურგელი, მოსკოველი და ოდესელი მოწაფეთა ქებითი ჩანაწერებით.

ეს სხვადასხვა ენიანი წმინდა ქალური ატესტაციები, რომელიც აფერადებულია მასწავლებელ ხელოვანისადმი სხვადასხვანაირი გამოთქმებით, სანიაზოა სახელგვართა ნაირფეროვნებითაც.

ველნერის ალბომი უფრო სანიაზო გახდება, როცა: ამალიების, კაროლინების, ლიდიების, სუსანების, სოფიების, ლიზების სახელებს მიემატება პოეტურად მკლერი სახელები ქართველი ქალებისა.

ქრა-კერვის შესწავლის პირობების გასაგებად შევიძლიათ მიმართოთ პირადად ველნერს, მცხოვრებს ბარონის ქუჩაზე, ბაზილევჩის სახლში, სამების საყდრის პირდაპირ.<sup>62</sup>

საუკუნეობით ეროვნულ ტანსაცმელს შეჩვეულ ადამიანისათვის არც ისე იოლი იყო ახალი ტიპის სამოსთან შეგუება. ხშირად ჩაცმულობა ევროპული იყო, მაგრამ მიმოხვრა აზიურით. ეურნალ „მნათობში“ თორელი შენიშნავდა: „აი, მოდიან ევროპულად ჩაცმულები, მაგრამ ფეხის გადადგმაში მაინც ემჩნევათ, რომ ჩვენები არიან“.<sup>63</sup>

ქართული კაბა ნელ-ნელა ისპობოდა. ნიკო ქავჭავაძისადმი მიმართულ ბარათში აღშფოთებული გრიგოლ ორბელიანი სწერდა:

„მოვიდა გამოჩენილი მხატვარი ზიჩი, რომელსაც ჰსურდა დაეხატა კარტინისათვის, Клеми, ქართველი კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით, და ვერავინ ვიპოვეთ.

ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობჯიოს, ამან მისცა თავისი საქორწილო ტანისამოსი ყამჩითა, ჯილითა, ქინძისთავებითა და ძველებურის ნივთებითა და ამით დიდად გაახარა ზიჩი. ასე განათლდა, ასე წახდა საქართველო, რომ თავისი აღარა უნდათ რა და დიდად ჰრცხვენინანთ ქართულად ჩაცმა!“<sup>64</sup>

კაცების ტანსაცმელმაც იცვალა ფერი. ჩაკეცილმა ქუდმა გზა დაუთმო „კატილოკს“. ჩოხა, ქულაჯა და ყურთმაჯიანი კაბა შეიცვალა მუნდირითა და კოსტუმით.

## 9. ს ა ლ ა ყ ბ ო

წინათ, თუშკა გაზეთი და ფოსტა-ტელეგრაფი არ იყო, მაგრამ სხვადასხვა შინაურ, თუ პოლიტიკურ ამბებს და მთავრობის ბრძანება-განკარგულებებს მაინც ჰკებულობდნენ.

„ქვეყნის ამბების“ გასაგებ და გამავრცელებელ ადგილს ძველ თბილისში, რომელიც „ზეპირი გაზეთის“ როლს ასრულებდა, ერქვა სალაყბო.

„ჩვენში, — წერს პროფ. პაატა გუგუშვილი, — მსგავსად სხვა ქვეყნებისა, ჟურნალ-გაზეთების წარმოშობას წინ უსწრებდა ე. წ. „ზეპირი გაზეთის“ ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი ზეპირსიტყვაობის სახით ავრცელებდა ხალხში, ეპოქის თავისებურებისდა მიხედვით შესაფერ ამბებს, რომლებიც შეეხებოდნენ საზოგადოებრივ, თუ ბუნებრივ მოვლენებს და რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით წარმოადგენენ ცნობისმოყვარეობის საგნებს. პრესის წარმოებამდე ამგვარი ამბების გასავრცელებლად და გასაგებად ზოგიერთ ხალხში სპეციალურად მიჩნეული ადგილები და ხშირად შენობებიც იყო აგებული.

ამგვარი ინსტიტუტი თავის დროზე იყო თბილისშიაც, აქ იურ საყოველთაოდ ცნობილი ადგილი, სადაც თავს იყრიდა, როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა მხარეებიდან, თუ ქვეყნებიდან ჩამოსული ხალხი და სადაც შეიძლებოდა გაგება „ახალი ამბებისა“. თბილისში ამ დაწესებულებას სალაყბო ეწოდებოდა. როგორც ჩანს, სახელწოდებაც წარმომდგარა „ლაპარაკის“, „ლაყბობისაგან“, რაიც იყო ამ ინსტიტუტის დანიშნულების გამომხატველი“.

1862 წლის ჟურნალ „ციცკრის“ შეფელებტონე ასე ახასიათებს სალაყბოს:

„ძველ დროს არ იყო — არც ახლა გახლავს გაზეთები, მაგრამ ქართველებს არა დროს არ მოკლებიათ ახალი ამბები: უძებნიათ და უპოვნიათ. დაბეჭდილ გაზეთების მაგიერ იყო სიტყვიერი გაზეთები. თბილისი, საქართველოს დედაქალაქი გადასცემდა ყოველ მხარეს ახალ ამბებს. თვით თბილისში გაისმოდა ამბები სალაყბო მეიღნიდამ. აქ შეიყრებოდნენ, აქ შეიტყობდნენ ერთმანეთისაგან ქვეყნის ოთხ კუთხეს ვინ

როგორ იყო, სად რა მოხდა: თითქმის მეფის დარბაზის საპოლიტიკო საიდუმლოებასაც კი, ნამდვილებს, თუ გადაკეთებულებს, გამოიტანდნენ, გამოიკვლევდნენ, მოიწონებდნენ ანუ დაიწუნებდნენ“.<sup>66</sup>

ზეპირი გაზეთის ინსტიტუტი არსებულა საქართველოს პროვინციებშიაც. პროფ. პაატა გუგუშვილი თავის წერილში „ქართული ეურნალისტიკის სათავეებთან“ ამის გამო შენიშნავს:

„ძველი დროიდანვე არსებული ზეპირი გაზეთის ფორმა, თანამედროვე გაზეთის წინამორბედი. 1934 წლის აგვისტოში, მოგზაურობის დროს ვნახეთ მას საფეხნოს (ფეხონს) უწოდებენ. სოფ. შატილში საფეხნოს სპეციალური შენობაც კი აქვს, რომელიც, როგორც გადმოგვცეს, უხსოვარი დროიდანაა აშენებული.

საფეხნოში: „იამბობენ ზოგ სამტროს, ზოგ საკეთოს. ვინა ვინ მოვალს, ყველა იქ მივა; დასხდებიან, ილაპარაკებენ უცხო ამბებს“-ო, მიპასუხა ადგილობრივმა ჩემს შეკითხვაზე საფეხნოს რაობისა და დანიშნულების შესახებ. გარდა ამისა საფეხნოში მომსვლელ გლეხებს თან მოაქვთ რაიმე შესაფერი ნამუშევარი: აქ ნაყავენ თოფისწამალს, გრეხენ თოქს, გამოქნიან ტყავს; ამ საქმიანობაში ისინი ერთმანეთს ეხმარებიან.

აქ მუდამ ინახება ხიმუნი, რომელიც ტყავის გამოსაქნელ დაზვას წარმოადგენს, როგორც საფეხნო, ისე ხიმუნი მთელი სოფლისაა. აქვე იმართება კრებები (დღესასწაულისხატობის, მგლოვიარობის დროს). სხვა სოფლებშიაც არსებობს საფეხნო, მაგრამ ამისთვის შენობა მხოლოდ შატილშია დღემდე დარჩენილი“.<sup>67</sup>

თბილისში სალაცხო მოთავსებული ყოფილა მეფე ერეკლეს სასახლის წინ, ყოფილ ეგზარხოსის მოედანზე.

„წავიდეთ, — წერდა მ. თუმანიშვილი, — ჩვენს სალაცხოზე. ხომ იცით სალაცხო რა არი, ან სად არი? არც კია გასაკვირველი, რომ არ იცოდეთ, ან დაგვიწყებოდესთ.



სალაყბო არი პატარა მეიდანის, აი იქ, ძველი შეფეების წინ. იქ ძველ დროს იყო შუაგული; სადაც ყოველი ახალი ამბავი მოგროვდებოდა და ჰპოვებდა ბინას. აქ სცნობდა კაცი კარგსაც და ავსაც ქალაქისას, ქართლისას, სანამდისაც კი გაჰსწვდებოდა გეოგრაფიული ცნობა მაშინდელთა ქართველთა“.<sup>68</sup>

სად იყო სკამები. სკამების ნაცვლად სალაყბოზე ტივის მორები ეწყო, სადაც „სალაყბოდ“ ჯდებოდნენ, როგორც ადგილობრივნი, ისე ჩამოსულნი.

„აი, — შენიშნავდა მ. თუმანიშვილი, — ნელ-ნელა აქა-იქ ქუჩებიდან ჩამოვლენ ხანში შესულნი კაცნი, ჩამოსხდებიან ტივის ხეებზე და დაუწყებენ ერთმანეთს საუბარს:

— კნიაზო დიმიტრი, შეიტყე რა მიუქარავს განჯის ხანს?

— რა მიუქარავს? არ შემიტყვია.

— ჩვენს ბატონს გადასდგომია.

— ეს მერამდენე ლალატია? — აი შეურცხვა თავი, შეურცხვა კაცობა, ფუ იმის წვერ-ულვაშს... შენ კი შეგიტყვია, კნიაზო ესავე, სარდლის სასახლეში რა მომხდარა? ნარდის თამაშობაში იოანე მდივანს გოგია მოურაგისათვის კამათლები პირში მიუყრია და იმასაც კომბალი თავში უსროლია.

ამგვარი და კიდევ სხვა ამბავი, სალაყბოში გამოაშკრებული, მოიფინებოდა მერმე მთელს ქალაქში. განიბნებოდა სახლებში, და ესრეთ საზოგადო ხალისის მოყვარება იყო მოკლული და კმაყოფილი“.<sup>69</sup>

სალაყბოზე იფინებოდა დღიურ ქირ-ვარამზე გამოთქმული სხვადასხვა სახის ლექსები, სატირები, პამფლეტები, ზმები თუ შაირები.

კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისათვის თბილდსიდან დომინიკელი პატრების გაძევების გამო, სალაყბოზე ასეთი ორსტრიქონიანი სიმღერა გაისმა:

ქალაქში მოსულა თეთრი ბატები,  
იანვარში გარეყეს ფრანგის პატრები.<sup>70</sup>

საქართველოს ეგზარხოს ისიდორეზე, რომელსაც მეტად თხელი წვერი ჰქონია, სალაყბოზე მღეროდნენ:

ქალაქში მოსულა ახალი ქერი.

ქართლის არქიერსა არა აქ წვერი. <sup>11</sup>

თბილისის სომხის ეპარქიის უფროსს, ცალთვალა ეპისკოპოსს სალაყბოს პოეტებმა შემდეგი სიმღერა უძღვნეს:

ქალაქში მოსულა წითელი ბალი,  
სომხის არქიერსა არა აქვს თვალი. <sup>12</sup>

სალაყბოს არსებობამდე მეფისა და მის ხელქვეითთა ყოველგვარ ბრძანება-განკარგულებებს, საგანგებოდ შერჩეული ფეხმარდი შათირები, ბინებზე უცხადებდნენ მოსახლეებს.

მერე როცა სალაყბო „გაიხსნა“, მისი აქ ერთი გამოცხადება საკმარისი იყო, რომ მთელ ქალაქს მაშინვე გაეგო ახალი ამბავი.

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში სალაყბო ეგზარხოსის მოედნიდან ერევნის მოედანზე გადავიდა. ა. ზისერმანი ერევნის მოედანზე გადმოტანილ სალაყბოს შესახებ შემდეგს წერს თავის მემუარებში:

„ყოველი ორი ქართველის შეხვედრისას პირველი კითხვაა: რა ამბავია? ორი სომხის: ინჩ ხაბარე? (რა არის ახალი). ორი თურქის: ნე ხაბარ (რა იცი ახალი). უამისოდ აქ საუბარი არ იწყება.

მათი ყოველდღიური შეხვედრები ბინდისას ასე 7-8 საათისათვის ერევნის მოედანზე ხროვად დაყრილ მორებზე ეწყობა. ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილნი ჯგუფებად სხედან ისინი, მარცვლავენ კრიალოსანს და დაბალ ხმაზე უყვებიან ერთმანეთს ახალ ამბებს.

არავითარი საიდუმლოება არ გამოეპარებათ მათ: რაც არ უნდა მომხდარიყო, რაგინდ საქმეც არ წამოწყებულიყო, საკმარისი იყო ერევნის მოედანზე გასელა და თქვენ ყველაფერს შეიტყობდით.“ <sup>13</sup>

ამ „ხაბარების“ გამო ათასგვარ ანეკდოტებს ჰყვებოდნენ.

ერთი საშუალო წოდების მოხელე თურმე დიდხანს ელოდა დანაპირ ადგილს. ნაცნობ მოხუცს შეხვედრისას მან გადასცა თავისი მწუხარება. ქალარაშერეულმა ურჩია მოხელეს, გაეგზავნა ვინმე სალამოს ჟამს ერევნის მოედანზე. მოე-

დანზე გაგზავნილმა ახარა მოხელეს, რომ მოედანზე ლაპარაკობდნენ მისი დანიშვნის შესახებ. მეორე დღეს ამ კაცს, მართლაც მოუვიდა ნათხოვნ დაწესებულებიდან სამსახურში დანიშვნის ოფიციალური ქაღალდი“.<sup>74</sup>

მერე ერევნის მრედნის სალაყბოც მოიშალა და თბილისელებს მხოლოდ ტბილი მოგონება დარჩათ მასზე.

„ჰო, ნულარას მიბრძანებთ, — ეუბნება გ. ერისთავის გმირი, იაია, ამირინდოს, — სად არის სალაყბო გახსოვს, ამირინდო, ხეებზე რომ დავსხდებოდით, ჰეი, ჰეი, დროვ, ვაი დარბაისელთა მოწყვეტასა. ყმაწვილ კაცს რომ შევეყარო, ერთ ნიმუტს არ დადგება ხმა გაგცეს, ერთს ქულს მოგიხდის, გაგიღრეკს უკაცრაოთო და მირბის“.<sup>75</sup>

ახალ ამბების გასაგებ პუნქტად მალე „თბილისის ტროტუარი“ იქცა.

„ეხლაცა, — წერდა ეურ. „ცისკარი“, — როგორც უწინ უქონლობის გამო დაბეჭდილის გაზეთისა, ახალ ამბებს შეიტყობთ ხოლმე სიტყვიერის გაზეთითა. ეს ამბები გამოიჩეკებიან თბილისის ტროტუარზედ. ხალხი სტეკანის და სცვითავს ტროტუარსა. ყურებს გაგიჟედს ყოველგვარ სიცრუითა, ყოველგვარ მკეხარობითა, განკიცხვითა, სხვაზედ დაცინვითა. ტროტუარზედვე ნახავთ ჭკვიან და დარბაისელ ხალხსაცა, კარგა განვითარებულსა. ამათგან მრავალს ნამდვილს ახალ ამბავს შაიტყობთ, მრავალს ისწავლით.

იქვე ნახავთ ჩინოვნიკებს. ამათგან გაიგებთ, სად რა მომხდარა, ვის რა უმოქმედია და რა უთქვამს; გაიგებთ, რომელ სასამართლოში როგორ გარდუწყვეტიათ საქმე, სამართლიანად, თუ უსამართლოდ; შაიტყობთ ახალ გამოსულ სჯულებსა, მთავრობის განკარგულებასა, ჩინოვნიკების გამოცვლასა და განწესებასა. ტროტუარზე კიდევ ნახავთ სხვა ხალხსაც სხვადასხვა ხელოვნებისას. ▼

გარდა ახალ ამბებისა ტროტუარზედ იცნობთ კაცსა—ამიტომაც გირჩევთ, კვირაში ერთხელ მაინც ორიოდ საათი დაჰყოთ ტროტუარზედ და თუ გსურთ ახალი ამბავი ჩქარა შაიტყოთ, უნდა გაისარჯნეთ და ყოველ დღე გაბრძანდეთ ტროტუარისაკენ, თორემ თუ შინ დარჩათ, და ახალ ამბავის შემომტანიც არავინ გაგიჩნდათ, თქვენამდინ ახალი ამბავი გვიანდა მოაღწევს“.<sup>76</sup>

მოსახლეობას ჰქონდა კიდეც სხვა შესაქრები ადგილები, სადაც „მოდოდა“ და საიდანაც „იფინებოდა“ ახალი ამბები. თბილისის არისტოკრატიის ასეთი პუნქტი საფაროვის მაღაზია იყო. გრიგოლ ორბელიანი სწერდა თავის მეგობარს: „ნაპოლეონის თავის მოკვეთა საფაროვის მაღაზიაში პირველად ითქვა და იქიდან სვიმონს ახარეს“.<sup>77</sup>

ქალაქის ხელოსანთ სალაცხო „ბერუა ნალბანდის“ დუქანიში მოეთავსებინათ.<sup>78</sup> „მკედელი, — წერდა კ. ბოროზდინი, — ყველგან ხალხში უბრალო კაცად არ არის მიჩნეული. მკედელი უფროსერთ შემთხვევაში იცნობს სხვადასხვა სამკურნალო ბალახებს. სამკედლოს გვერდით დუქანიცაა და შიგ კიდეც სულ მუდამ ირევა ხალხი. აქ ეუბნებიან ერთმანეთს ახალ ამბებს, ერთ ჯგუფის ალაგას მეორე მოდის, განუწყვეტლივ ლაუბობენ, ერთიმეორეს თავის აზრს უზიარებენ, ზოგჯერ საქონელსა სცვლიან და ვაჭრობენ. ყოველ სადაო შემთხვევაში ეს ხალხი მიმართავს ხოლმე მკედელს, რომელმაც ლაპარაკი იცის თავდაჭერით“.<sup>79</sup>

ბერუა ნალბანდის დუქანი ასეთ სამკედლოთა რიცხვს ეკუთვნოდა.

ყოფილი ერევნის მოედნის მახლობლად „ორბელიანთა აულში“ თბილისის წარჩინებულ მანდილოსნებს თავიანთი სალაცხო ჰქონდათ.

„მის აივნიდან, — წერდა გრ. ორბელიანზე იონა მეუნარგია, — გაჰყურებდა პოეტის ორბელიანთა ქალების კრებას. ამათ კრებას ის ეძახდა აკადემიას, ადგილისა გამო, საცა ისინი იკრიბებოდნენ, კიბეს. რა არ ითქმოდა ამ კრებაში! დღის ამბავი, ნიშნობა, ჯვარის წერა, ახალი ტანისამოსი. წასვლამოსვლა, სხვადასხვა საიდუმლოები და სხვადასხვა“.<sup>80</sup>

თვითონ გრ. ორბელიანი მეგობართან მიწერილ ბარათში ასე აღწერდა ქალთა შეკრებებს სალაცხოზე:

„სალამ-სალამოდ აკადემია ჩვეულებრივ გროვდება, ხან სახლის კარებთან, სადაც დედოფლობს ელისაბედ, რომლის მარჯვნივ ჰზის სოფიო, მარცხნივ — მაიკო და პირდაპირ — ნინო და მღვდელი. ხან ესევე ყრილობა ჰსხედს სოფიოს კარებთან და ამის გამო მაშინ პირველობს სოფიო.“

ლაპარაკის საგანი არის ეს ქვეყანა და მისი დაუსრულებელი

სხვადასხვაობა ამბებისა. ხანდახან გაკვრა-გადაკვრით. ვითომ შეძრწუნებით, მოიხსენებენ ოხვრითა აწინდელის ქალების ყოფაქცევას, და სხვათა ზოგიერთთა, რომელნიცა შარშანდელს კაბასავით დიახ აღვილად და გულუტკივრად თავს ანებებენ ქმარსა და დასდევენ ხან მამიდას, ხან ბებიდას და ამგვარს უმანკოს საუბარ-შექცევაში ატარებენ დროს შუალამეშდის“. <sup>81</sup>

„სალაყობა“, „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“, „საფაროვის მალაზია“, „ბერუა ნალბანდის დუქანი“, „კიბეზე ჯდომა“ აბა რა მოსატანია პერიოდულ ორგანოსთან, რომლის უქონლობა ყოველი შეგნებული ქართველის სამართლიან გულისწუხილს იწვევდა. გაზეთის დაარსების საქიროების საკითხი დღითი-დღე მწიფდებოდა.

„რომელ სახლშიაც მიბრძანდეთ, — წერდა „ცისკარი“, — თქვენ ნახავთ შემდეგ სცენას: მოვიზიტე ქალი მობრძანდა ფაეტონით კარგა ჩაცმული; შემდეგ მოკითხვისა, პირველი სიტყვა იქნება უთუოდ შესახებ ახალ ამბებისა: „ახალი ამბავი, ხომ არ ნოვხსენებიათ?“. ჰკითხავს სახლის პატრონი, „არა თქვენმა მზემ! გუშინდელი და დღევანდელი დღე, სწორეთ მოგახსენო, მოწყენილი გახლავარ! რა უბედურებაა! ერთი ქართული გაზეთი არ გვაქვს! მთელმა განათლებულმა ქვეყანამ შეიგნო საქიროება და სარგებლობა გაზეთისა, ჩვენ კი, ჩვენ, არ იქნა, ვერ შევიგნეთ““. <sup>82</sup>

სხვება უფრო სამართლიან საბუთებს აყენებდნენ ქართული პერიოდულ გაზეთის გამოცემის აუცილებლობის შესახებ.

## 10. ყ ა ბ ა ხ ი

ყაბახი — მოედანია თავშესაქცევად და სამხედრო ვარჯიშობისათვის, ძველად მას ასპარეზი ერქვა.

ასპარეზი ნიშნავს მოედანს, სარბიელს.

პლატონ იოსელიანის სიტყვით: „ქალაქის კედლის ჩრდილოდ, მეფე იესეს სასახლის პირდაპირ, იყო საჯირითო ჰიპოდრომი სახალხო გასართობებისა და სამხედრო ვარჯიშობისათვის. ყაბახი ნიშნავს ბოძალს, რომლის ზემოთ იდგმებოდა ჯილდო იმისათვის, ვინც მიზანში მოარტყამდა.

ორი თალარი აშენებული იყო აგურიდან. ვრცელი მოედნის ორ მოპირდაპირე მხარეს უნდა დადგმულიყო ვერცხლისა და ოქროს თასები საუკეთესო მოისართათვის. ამავე ასპარეზზე თამაშობდნენ ბურთაობას. იყო მარულა და სამხედრო შადლული. ეს მოედანი იყო სიგრძით 250 საენი, სიგანით 120".<sup>83</sup>

პოეტი გრიგოლ ორბელიანი ყაბახის შესახებ წერს:

„ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დასმიდნენ თასსა და ესროდნენ ჯირითს, და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო, ჯილდოდ გამარჯვებისა“.<sup>84</sup>

პლატონ იოსელიანისა და სხვა ავტორთა ცნობების სხვადასხვაობის შესახებ „ივერია“ შენიშნავდა:

„ჩვენ არ ვიცით ვის დაუუჯეროთ: სამიზნო თასებს ქვებზე დასმიდნენ, როგორც პლატონ იოსელიანი წერს. 1882 წლის გაზეთ „კავკასში“ ქართველების ძველ გართობათა აღმწერი ამბობს: „ერთი ამ აგურის თალადთაგანის ნაშთი კიდევ სჩანდა ამ საუკუნის დამდეგს“;

თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში პლატონ იოსელიანს უნდა დავეთანხმოთ. თასები სადაც უნდა მდგარიყვნენ, მაინც და მაინც საჭირო არ არის ვიცოდეთ, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ყაბახზე ჯირითის და თასების სროლა მშვენიერ სურათს წარმოადგენდა“.<sup>85</sup>

ყაბახს მართავდნენ ქორწილისა და დღესასწაულების დროს. ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით ყაბახი აღდგომა დღეს იმართებოდა:

„ხოლო აღდგომის წესი იყო, ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე, და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარესსა ზედა, და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა, ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და; რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი“.<sup>86</sup>

ფეოდალური არისტოკრატის ახალგაზრდობისათვის სხვა „მცენებათა“ შორის სავალდებულო იყო ცოდნა ყაბახის ხელოვნებისა. ყაბახის სროლას ბავშვებს ბალღობითვე აჩვენებდნენ.

„რუსუდანიანის“ ავტორი ჯიმმეთ მეფის აღზრდის შესახებ გადმოგვცემს: „ხუთი წლისა რომ გათავდა ძალზე ცხენს არ-ბეგდა და ყაბახს ესროდა, არა ხნეობა და მოწიფულობა არა აკლდა რა, რომ არ იცოდა“. 87

შესანიშნავად აქვს აღწერილი „ყაბახი“ თეიმურაზ მეორეს თავის თხზულებაში „სარკე თქმულთა“:

როდის იქნების ქორწილი ან სხვა დღეობა კარგიო, ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგიო, კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიო, კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: „სროლაში, მკლავო, მარგიო“

ცხენს ისხდენ კარგსა, დაკაზმულს რახტითა, უნაგრითაო, მძიმეს ნაკერის ორთუქით, მუშტით და ყუთაზითაო, ვაჟაკთა ეცვას კურტაკი პრტყელისა ზორტებითაო, დაუწყონ სროლა ყაბახსა მათ ცხენის ქენებითაო.

ასე უნდა მას დღეს კაცმან ამ გზით სროლას ეცადოსა, მკლავზე მშვილდი შემოიცივას, წელს ყოდალი გაირქოსა, ცხენი შეძრას, პირველ მშვილდსა ხელით ფეშრი მან უყოსა, მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად დაზიდოსა.

უნდა მშვილდი დახეული ცოტა ხანი გაატაროს, ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი აღარ დაახაროს, ყაბახს მუხლი გააცილოს, მაშინ უნდა გარდიზაროს, ესროლოს; თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

ასე უთქვამთ: „მისვლა სჯობსო უფრო ჩამოგდებისაგან“. თუ ორივე სჭრის, ზომ ისი სჯობს, უფრო იქოს ბევრისაგან, სანამდის არ ჩამოაგდონ, არ მოეშენენ სროლისაგან, მას დღეს ღმერთი ვისაც მისცემს, მოხვდეს მისის ხელისაგან.

ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, მიართმევს მეფეს წინადა, ფირცხლავ ჩააცმევს ხალათსა თავიდან ფერხამდინადა.<sup>88</sup>

1820 წლიდან ყაბახის მოედნის ნახევარი — სიგრძეზე გა-შენებული იქნა კერძო და სახელმწიფო სახლებით.

მე-19 საუკუნის რკალი ყაბახის თემატიკისა გრიგოლ ორბე-ლიანიმა გახსნა.

1832 წელს ქალაქ ნოვგოროდში დაწერილ ლექსში „იარა-ლის“ აღწერილობა ყაბახისა თბრობის ვირტუოზობამდის აღის:

გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,  
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,  
კაბუჯ მხედარნი ყაბახსა ვრცელსა,  
ტურჟად დარახტულ და დაკაზმულნი.  
ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად,  
ესრედ მოჰქრიან ვითა ნიავი;  
ჰკრეს ნალარასა — განიყვენ ორად,  
აჰა, საამო სჩანს სანახავი.

ცხენთა გრიალი,  
შუბთა ტრიალი,  
ჯირითთ სრიალი,  
ყურთ მაჯთ ბრიალი,  
ცხენით ჭეე ხტომა,  
კვალად შეხტომა,  
უხანგთა ცემა,  
და ხმალთ კრიალი!..

ზოგი არწიესა

ზეცას მფრინავსა

ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა,

ჯირითი ზოგის

ზუზუნით მიჰქრის,

და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა.<sup>89</sup>

ყაბახი სასეირნო ადგილი იყო ძველ თბილისში, სადაც „სალალობოდ“ გამოდიოდა ქალაქის მოსახლეობა. 1831 წლის 24 აგვისტოს დავით ყორღანაშვილი თბილისიდან სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „შენი წიგნი, კვირას ბაღიდან რომ დაებრუნდით, ბინდისას მოვიტანე თქვენსა. დედაშენი, ნინო და სხვა ქალები ყაბახზე დაიარებოდნენ, მივეც წიგნი და საკვირვლად იამათ.“<sup>90</sup>

ყაბახზე გატარებულ „ტკბილ დღეებს“ გადასახლებაში მყოფი პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი ასე იგონებდა:

#### ყაბახისადმი

ჰოი, მოედანო, მიყვარდა მე ეამს გაზაფხულის  
მიმოსვლა შენზედ, დაესტკებოდნი წმინდის ჰაერით,  
შენიდგან ვკერეტდი მჯდომარესა სატრფოსა გულის,  
სეირნობაში დამათრობდი ლილას ნხერით.



ოდეს რახმედმე, ან რისთვისმე, რა ვკმუნვარებდი,  
შენზედ სეირნით მყის კაეშანს განვიქარებდი!  
ვით გრძნობის სარკე ამაო სოფელს დამანახებდი.  
ვითა მეგობარს, ხვაშიადს გულს — შენ გარწმუნებდი!

შენსა პირზედა ვკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ,  
შენზედ ჰსწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ,  
შენ შთაბერავიდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას,  
და ჩანგზე დაკვრით დავიწყებდი მამულის მკობას.

მითხარ, ხომ ჩემებრ შენცა დროით არ იქმენ ცვლალი?  
კვლად ჰაბუკნი შენზედ ჰუნეთ ხომ ახტუნებენ?  
მარტვი, ვინ არის შენი გმირი ტრფობით შემულილი?  
ლეილას თვალნი ნეტარ თუ ვის აწ ეძიებენ?

დახშული კარი მამულისა რომ განმეღების,  
რომ ერთ გზისცა კვლავ მელირსოს შენზედანვე სვლა,  
თუ მოაჯრით ლეილაცა განმიღიმდების —  
ურთვევ მოვეკვდე, შენ საშუალ მელირსოს დაფლვა. <sup>91</sup>

ნ. ბარათაშვილი ხშირი სტუმარი იყო ყაბახისა. 1837 წლის თებერვალში იგი სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

„ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შევნიერს, მთვარიან ლამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შევნებამ, ს ა ტ რ ფ ო ლ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი. წარმიღეს გონება!

კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მრმაგონდით, მაშინ მომაგონდა:

„განცეცხლებულთა ღვინისაგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ლამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის მეტქი, და კიდევ აღვასრულე; მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველი დამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის“. <sup>92</sup>

## ღამე შაბახზედ

მიყვარს ყაბახის არე-მარე, თვალად საამო,  
მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;  
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით  
მოჭფენს ყაბახსა და კოჯორი დაჭკრის ნიავით,  
და მომდინარე ხან ზვირთთცემით, ხან ნელად მტკვარი,  
მოოხრავს შორით, ვ-თ მიჯნური, ჟამთ მოჩივარი!

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე  
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.  
აქა გუნდ-გუნდად დარახმულნი აქ-იქა ქალნი,  
პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც-მოსილნი,  
და მათ გარემო შეჭფრფინვიდენ ყმაწვილი კაცნი.  
ზოგნი დამძილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი;  
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ფფარა:  
როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდნენ და მას კი არა.—

„სთქვი რამ“, ეტყვიან ყაფლანს ზოგნი ერთი ქალები;  
„თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანქვას ნუ კი მოჭყვები“.—  
ყაფლანც სულდგმული აშიკობით გაილილინებს  
გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.  
ვის არ ჰსმენია ლექსი ესე, რომ მყის სეედები—  
არა აშლოდეს ჩვენსა ქალსა — ტრფობის კირები!

უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი  
და — მეყვსეულად მან მიმილო ჩემნი ცნობანი.  
არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ. უფროს ცეცხლისა.  
სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა?  
ენახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,  
მას აქეთ თვალი ვეღარ მოვჭკარ და ახლა ერთი  
სდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი ვეფხეთა შორისა  
ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი ვითა კირისა!  
თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა:  
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდგვი წინა  
და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე, რომ მელირსა კვალად  
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად“.—

„გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ;  
ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ“.  
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები  
ვერ მაშიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროება!“.  
ამას სიტყვაზე ვარდი ღაწვთხედ მყის აეფურცლა,  
ამ დროს ნიავემანც თეთრი კაბა მიმოუქროლა

და ბუდეშური მის ფეფები ლაშაზად მოჩნდა,  
რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა.  
ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტეზა ბროლსა,  
რომელმან შეება სილამაზით ჰჳინა ჩემს გულსა;  
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრეფოსა ქალსა,  
როჳელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა! <sup>93</sup>

1837 წლის 10 ოქტომბერს ყაბაზზე სისხლისმსმელმა მონარქმა ნიკოლოზ პირველმა ფლიგელ-ადიუტანტობა ახადა პუშკინიანთ ოჯახის ნათესავს — ალექსანდრე ლევანისძე დადიანს. ელისაბედ ყაზბეგი თავის მეწუარეებში ასე აგვიწერს ამ ამბავს ალექსანდრე ყაზბეგის დედის კეკეს და ბებუის სოფიოს საუბარში:

„კეკე, ხომ გახსოვს ნიკოლოზ ხელმწიფის მობრძანება და იმისი ყაბაზზე ჯარების გაშინჯვა. ღმერთო ჩემო, რა ამბავი იყო! იმის მრისხანე ხმა ეხლაც რომ მომაგონდება, შემაშინებს ხოლმე... გახსოვს, ბარონ როზენის სიძეს — დადიანს აქსელბანტები რომ თავის ხელით ააგლიჯა?

— ქა, როგორ არ მახსოვს, კნ. მანანა ორბელიანის სახლის აივანზე ვისხედით, რომელიც ყაბაზს ზედ გადაჰყურებდა. ბარონის ცოლს და ქალს გულეები შემოეყარათ და ერთი წიოკობა გაიმართა“ <sup>94</sup>

ბოლო ყაბაზობა ორმოციან წლების დასასრულს გაიმართა მანანა ორბელიანის ძმის — კონა ერისთავის მონაწილეობით. „უქანასკნელ ჯირითში, — წერს გრიგოლ ორბელიანი, — კონა ერისთავმა გაიმარჯვა“ <sup>95</sup>

გავიდა დრო.

ყაბაზის მოედანმა თანდათან დაჰკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება და მერე იგი მხოლოდ სასეირნო და დასასვენებელი ადგილის როლს ასრულებდა.

მთავარმართებელ ა. ი. ბარიატინსკის განკარგულებით მოედნის დარჩენილი ადგილი ალექსანდრეს ბაღად გადააქეთეს. ბაღში მოაწყვეს შადრევანი და აუზი, რომელიც 24.000 ვედრო წყალს იტევდა. ეს შადრევანი მარაგდებოდა მტკერის წყალით.

„ალექსანდრეს ბაღში“ ახლა ისმოდა რუსული და ევროპული მუსიკის ხმები და უცხოეთიდან ჩამოსული აკრობატები საციკო

ნომრებს ასრულებდნენ. ყაბახზე მომხდარი „ფერისცვალება“ ზოგიერთს „აწუხებდა და ადარდებდა“. ერთი მათგანი ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე სინანულით შენიშნავდა:

„სალამოს ჟამს ჩაველ ყაბახზე, მუზიკა იკვროდა და იყო დიდი ხალხის დენა. იქ წარმოადგენდნენ თავიანთს უნარებს ჯამბაზები და გვიჩვენებდნენ თავიანთს ცხენოსნობას.

დაიწყეს ჯერ გაკიმიულს თოკზე ხტომა ქალებმა და კაცებმა. მერმე ატყდა ცხენების ქენება, ვუყურე, ვუყურე. თუ როგორ ტიტველა დედაკაცები უბელო ცხენებს გავაზე ახტებოდნენ.

აი, თქვენც შეგარცხვინათ მეთქი და ამის იქით თქვენთან მომსვლელიც. ამის შემდგომ დაიწყეს მალაყები და სხვა კიდევ რალაც მიქარებები.

წამოვდექე საჩქაროდ და გამოვეარდი გარეთ. ბნელი და ცივი ღამე აწვა ყაბახს. თუმცა ვარსკვლავებს ყინვისაგან მოქედილს გაჰქონდა კაშკაში. მომაგონდა ძველი დროის შექცევები, უწინდელი ასპარეზობა, უწინდელი ჯირიტობა ყაბახზე“.<sup>86</sup>

ყაბახის ადგილას ახლა გაშენებულია 26 კომუნართა სახელობის ბაღი.

## 11. სადგომები და სასტუმროები

თბილისში, ქართველ მეფეთა სასახლის სამხრეთით, მდინარე მტკვრის პირად, მოთავსებული იყო შენობები მოსულთათვის. ეს შენობები იმხანად სასტუმროების მაგივრობას სწევდნენ.

ირანელ დამპყრობელს ალა-მაჰმად-ხანს, თავის 1795 წლის ლაშქრობისას, დაურბეველი არ დარჩენია ეს სადგომებიც.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს სადგომ-სასტუმროთა საკითხი მეტად მწვავედ დადგა.

თბილისში რუსეთიდან მოსულ დიდძალ ჯარს, ოფიცრობას, ჩინოვნიკობას და სავაჭროდ ჩამოსულ რუს და ევროპელ ვაჭრებს სადგომები ესაჭიროებოდათ.

ამას დაუმატეთ ცნობისმოყვარე მოგზაურები და საერთოდ სხვადასხვა მიზნისთვის მოსიარულენი, რომელთა რიცხვი, მე-19 საუკუნის დამდეგიდანვე, გასაოცრად იზრდებოდა.

ხელისუფლებას ამ გარემოებისთვის ყურადღება უნდა მიექცია და მან არ დააყოვნა სათანადო გადაწყვეტილება შეემუშაებინა.

ჯარისათვის ბინა-ყაზარმების აგებას დიდი რესურსები და დრო ესაჭიროებოდა. იგივე უნდოდა სამოქალაქო სადგომ-სასტუმროების აშენებასაც. ამის გამო საქართველოს გამგებელმა გასცა განკარგულება, ჯარისა და ჩინოვნიკების იძულებითი წესით ჩასახლების შესახებ კერძო ბინებში.

მთავარჩარებელ ციციანოვის მიერ გამოცემულ ბრძანებით თბილისის სახლის მფლობელთ უნდა დაეთმოთ 1/5 ნაწილი თავიანთი ბინებისა. ჩასახლებას ქალაქის პოლიცია აწარმოებდა.

ხდებოდა ათასგვარი უკანონობა. პოლიცია ზოგიერთ სახლის პატრონს შეღავათს აძლევდა, სამაგიროდ სხვებს გადაჰარბებით ავიწროებდა. ეს დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა ქალაქში.

თბილისში სავაჭრო კაპიტალის ზრდის გამო, ქარვასლების შენებისას, ნავარაუდები იყო ოთახებიც ჩამოსულთათვის.

„ბატონიშვილების“ ქარვასლასთან 62 სასტუმრო ოთახი იყო ჩამოსულ ვაჭართათვის. არწრუნისეულ ქარვასლას 33 სასტუმრო ოთახი ჰქონდა, სარქისოვის ქარვასლას 30 სასტუმრო ოთახი, სარაჯიშვილის ქარვასლას 18 სასტუმრო ოთახი და სხვ.

მერე თბილისში პატარ-პატარა სასტუმროების აგებაც დაიწყო. ოციან. წლებში თბილისში რამდენიმე სასტუმრო იყო.

ოცდაათიან წლების დასაწყისში, ერევნის მოედნის მახლობლად, „ტალახიან ქუჩაზე“ პოლ მატასიმ მომცრო და ვიწრო სახლში გახსნა სასტუმრო, სადაც მგზავრს შეეძლო ღამე გაეთია და ესადილა. ამ სასტუმროში ცხოვრება მოუხდა გამბას.

ჩვენ, —წერს იგი, —გავჩერდით პროვანსალელთან, სახელად პოლთან, საფრანგეთის ჯარის ყოფილ გრენადერთან, რომელიც ტყვედ მოჰყვა 1812 წლის კამპანიის დროს. ის საქართველოში ჩამოვიდა ერთ რუს გენერალთან ერთად, როგორც მისი მზარეული, და გახსნა თბილისში სარესტო-

რანო დაწესებულება. იგი პატიოსანი და პატივცემული კაცი იყო“.<sup>97</sup>

მატასის ტრაქტირ-სასტუმროში გაჩერდა 1829 წელს თბილისში ჩამოსული ა. ს. პუშკინიც. ნიკოლოზ პოტოცკი, რომელიც პუშკინმა ავადმყოფი ჩამოიყვანა თბილისში, გადმოგვცემს: „თბილისში ჩვენი თანამგზავრები პატარა სასტუმროში მოთავსდნენ, რომელიც უცხოელ მატასის ეკუთვნოდა, როცა ჯარში წავიდნენ, მე პაწია ოთახში გადამიყვანეს“.<sup>98</sup>

ორმოციან წლებში რიყეზე იყო სასტუმრო, სადაც მცირე ხანს ცხოვრობდა ა. ზისერმანი. ეს სასტუმრო ეკუთვნოდა ზალცმანს. 1843 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ამ სასტუმროს ბინადარი ცნობილი ეთნოგრაფი ავგუსტ ჰასტ-ჰაუზენი შენიშნავდა: „მე კარგად მოვეწყვე შეაბელ კოლონისტ ზალცმანთან, სასტუმროში. ესარგებლობდი ძვირფასი კომფორტით და საუცხოო კერძებით“.<sup>99</sup>

ორმოციან წლებშივე დღევანდელ ბერიას სახელობის მოედანზე იყო სასტუმრო, რომელიც იმდროინდელ თბილისში ყველაზე უფრო კომფორტაბელურ და ძვირფასიან სადგომად ითვლებოდა.

„H. A-B“ — ის ფსევდონიმს ამოფარებული რუსი მოგზაური წერდა თავის მოგონებებში: „ჩვენ გაჩერდით ერევნის მოედანზე ებრაელ სოლომონის სასტუმროში, რომელიც ქალაქის ყველაზე კარგ სასტუმროდ ითვლებოდა. ორ, არც თუ ისე სახარბიელო ოთახში დღეში ვიხდიდით ორმანეთნახევარს ვერცხლით, ხოლო სადილსა და ნახევარ ბოთლ კახურში — მანეთს“.<sup>100</sup>

რა თქმა უნდა, თბილისში კიდევ იყო სხვა სასტუმროები; მაგრამ ჯერ მათ შესახებ არაფერი ვიცით.

## 12. „ტკბილია ტივზე ჯღომა“

რკინიგზის გაყვანამდე ტივს, როგორც მიმოსვლისა და საქონლის გადასაზიდ საშუალებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ შეკრულ, ორთაყვირებით დასმულ, თბილისისიგნ ვამომგზავრებულ ტივიდან ომახიანი „მეტივეური“ ისმოდა:

სატიოზე ტივი შეეკარ,  
ტივი არის ნაძვის ხისა.  
ორთაყვირები მოვასხი,  
მოსასმელი არი წყლისა.

ჩემო ტივო, მაშინ გაქებ,  
რომ ქალაქში ჩასულიყო,  
თავს მუშტარი დაგვხეოდეს,  
სხვაზე მეტად გასულიყო.<sup>101</sup>

ერთი ლეგენდა ამბობს, რომ: „ნანანია-გლახამ ტივის მემ-  
ვობით ააფეთქა ზეტეხის ციხე“.<sup>102</sup>

ტივზე მგზავრობისა და საქონლის გადაზიდვის გარდა,  
მეჯლის-ქეიფებსა და ქორწილებსაც აწყობდნენ:

„მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ  
და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ: აქეთ ნეფე-დედოფალი  
იყო მღვდლით, ეჯობით და მდადეებით; იქით ნაქეთიერი ბი-  
ჭვები ორთაყვირს ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში; ერთ  
მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო დუღუკზე. მეორე მხარეს ცეცხ-  
ლი ჩახჩახებდა, რომელზედაც წყლით სავსე კოკობი იდგა  
ცოცხალ თევზისთვის“.<sup>103</sup>

ცნობილია ისტორიკოს პ. იოსელიანის და სახელოვანი  
მხატვრის გ. გაგარინის „მგზავრობა ტივით“, რომელნიც  
ტივზე თავისუფლად „კითხულობდნენ და სწერდნენ კიდევ“.

ამ მოგზაურობას თვითონ პ. იოსელიანი ასე აგვიწერს:  
„ტკბილია ტივზე ჯდომა და სიარული მტკვრის გზითა.  
გიორგი გაგარინმან მოინდომა წამოსვლა გორიდან თბილისს  
და ვიარეთ ამ გზით მე და მან 1851 წელსა სექტემბრის  
თვეში — დილით წამოსული მოვედით მეორესა დღესა მ  
რიცხვსა ქალაქსა თბილისსა.“

ტივზე მჯდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ვი-  
კითხავდით წიგნთა და ვსწერდით. ესე ქმნა მან, რათა შეაჩ-  
ვიოს ქართველნი ტივითა შამოსვლასა თბილისად, მაგალი-  
თითა მით, რომელ ტიროლში მდინარითა აწარ, მოყლენან  
ესრეთ ტივითავე მუნხენში“<sup>104</sup>.

პლატონ იოსელიანის და გ. გაგარინის ტივით მგზავრობამ  
მისცა საბაბი დრამატურგ ზურაბ ანტონოვს დაეწერა თავი-

სი ცნობილი კომედია „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“. რომელიც 1852 წელს დაიდგა თბილისის სცენაზე.

### 13. ავლაბრის ყაზარმა

1832 წლის 11 დეკემბერს „ფარულ საზოგადოებაში“ მონაწილეობისათვის დაპატიმრებულები ავლაბრის ოფიცერთა პოკროვსკის ყაზარმებში მოათავსეს. შეთქმულების თვალსაჩინო წევრი ალექსანდრე ორბელიანი იგონებს:

„მეტეხის ხიდს რომ გაეცილდით, მე მეტეხის საპყრობილის ციხისაკენ შევბრუნდი, მაგრამ პრისტავმა ავლაბრისაკენ ამატარა.

წამიყვანა და ოფიცრების ყაზარმაში შემიყვანა, საიდგანაც ყარაულის ოფიცერი გამოვიდა, მალა ატაეში ამიყვანა ერთს განმარტოებულს ოთახში, დამსვენს შიგ და ჩესავოი დააყენეს თავის იარაღით.

მცირე ხანს უკან ყური დაუგდე, დიდი ფეხის ხმიანობის, წასვლის-წამოსვლის ხმა იყო გარეთ კარიდორში და კარების ჯახაჯუხი. მივხვდი ჩემს ამხანაგებსაც სმენ საპყრობილეში მეთქი.

როდესაც კარგად გათენდა, რუსის კალატოზი შემოვიდა, ფანჯრებზე სქელი გაჯი წაუსო და ოთახი ასე დააბნელა, რომ მზის შუქი ძლივს დაინახებოდა.“<sup>105</sup>

ასე მოექცნენ სხვა პატიმრებსაც.

თავდაპირველად ტუსაღები სათითაოდ ჩასვენს ოთახებში და მათ შიგვე დარაჯები დაუყენეს.

დაიწყო გამოძიება. საგამომძიებლო კომისიაში შედიოდნენ: გენერალი ბაიკოვი, გენერალი ვალხოვსკი და პოლკოვნიკი ტრიტოლევინი. პირველ ხანებში პატიმრებს კარგად ექცეოდნენ, ყველა შესაძლებელ სურვილებს უსრულებდნენ და საქმლითაც კარგად კვებავდნენ.

მესამე თვეზე ორ-ორი, სამ სამი კაცი მოათავსეს თითო ოთახში. შტაბის ბიბლიოთეკიდან „სულის საცხონებელი“ წიგნები დაურიგეს და ნება დართეს სახლებიდან საქმელი და საცვალის მიეღოთ. რამდენიმე ხნის შერე კოპისიის თავმჯდო-



მარედ პეტერბურგიდან მოვიდა გენერალი ჩევიკინი. მან სრულიად შესცვალა ტუსაღებთან მოპყრობის წინათ არსებული „ადამიანური წესები“.

„შემოიღეს, — წერს დიმიტრი ყიფიანი, — ფეხების დაბრავუნება, დაყვირება, შეტევა; ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც“. <sup>106</sup>

მეთვალყურეობის მკაცრი სისტემის მიუხედავად ავლაბრის ყაზარმაში მოთავსებისთანავე „შეთქმულებმა“ მოახერხეს კავშირი გაებათ და მიმოწერა ეწარმოებინათ ერთმანეთთან. შეთქმულების საქმეში შენახულია თეთრი სქელი ქაღალდი, რომელზედაც ნახშირით მსხვილი ასოებით წერია:

„მამა ფილადელფოს ხარ თუ არა? სოლომონ დოდაშვილი ხარ თუ არა? შენი იარაღი დაიბარეს.“ <sup>107</sup> ამ ქაღალდს ტუსალი ტალიაშვილი უჩვენებდა თავის ოთახიდან.

1833 წლის 17 ივლისს პატიმარმა მამუკა ორბელიანმა საგამომძიებლო კომისიას წარუდგინა საპირფარეოში ნაპოვნი ორი წერილი. პირველში ეკითხულობთ: „ქ. იახშიოლ! ქეიფი იახშიდურ? ბიჭო, რა დაგემართა, ამ ხაზებს ტყვილა რათ უსვამ. მე ვოპროსნი პუნქტების მეტი არა მიმიღია რა შენი და ხომ არ მოგიწერია რა იმის უკან? გამიგონე, სამნი ვიღანიც გაუშვიათ, მე კი მგონია აი ვინა: ბარათოვი, კარაპეტა მღვდელი და მგონია მელნიკოვიც. შენ რა იცი? ვოობრაზი კომისიაში ვინ ვის ეარშიყებოდა. ყველა იციან ვის ულაყბია ეს გლუპოსტი, ჩორტ ზნაეტ იმისი თავი და ტანი. პეტრებუხში ქართველები სულ დაქერილნი არიან, ციხეში კი არა, სასახლეში სხედან. მაგას წაუკითხეს ოზვინენიე? ჩემი არაფერი ამბავია. რაც იცოდე, ყველა განაცხადე გულის წმინდითა, რომელიც დაგიხსნის შენ ბაკინბარღებით დაკიდებისგანა. — ადიო, ო პლეზირ დე ვუ ვუარ“. <sup>108</sup>

ნეორე ბარათში წერია: „ეს კედელზედ ხაზი რათ იყო?“ <sup>109</sup>

მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან დიმიტრი ერისთავს, მამუკა ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს. წერილობით ურთიერთობის გარდა შეთქმულნი ურთიერთშორის ლაპარაკსაც ახერხებდნენ. მამუკა ორბელიანი გვიამბობს:

„მე ველაპარაკებოდი ფანჯრიდან დიმიტრი ერისთავს, თუნცა მისგან არავითარი ბარათი არ მიმიღია. აგურით ამოშენებული კარიდან ველაპარაკებოდი თეიმურაზ ამილახვარს, ბარძიმ ამილახვარს, ჩოლოყაშვილს, ყიფიანს და ივანე ამილახვარს.“<sup>110</sup>

ხშირად შეთქმულნი თავიანთ სათქმელს სიმღერით გადასცემდნენ ერთმანეთს. თეიმურაზ ამილახვარი უჩვენებს:

„მამუკა ორბელიანის ოთახის წინ როცა გაივლიდნენ ხოლმე სხვანი დაქერილთაგანნი და არ ვიცი სახელდობრ ვინ და მღეროდნენ ხოლმე მაშინ და ეს მღერა ორსავე მხარიდან თუმცა შესმოდა ოთახში, მაგრამ აზრი რა იყო, არ ვიცი, რადგანაც მე თათრული არ მესმის.“<sup>111</sup>

ავლაბრის ყაზარმიდან კარგად ჩანდა უბანი, სადაც „შეთქმულთა“ უმეტესობა ცხოვრობდა. პატიმრები დურბინდით უყურებდნენ ოჯახის წევრებსა და კარმიდამოს. ალექსანდრე ორბელიანი ციხიდან წერდა თავის მეუღლეს:

„დღეს რომ სამშაბათია და სადილი გაუკეთებიათ კეთილშობილთ მხედრობისათვის, ამ დროს მოვიდა ბარონი. მე ამითი ვისარგებლე, და შენ, ჩემ სიცოცხლეს, გხედამდრი დურბინდით ფანჯარაში რომ იყურებოდი, მე შენის მეტი აღარავინ დამინახავს.“<sup>112</sup>

ავლაბრის საპატიმროს სარკმლიდან უცქეროდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი, როგორ მიჰქონდათ მისი სათაყვანებელი დედის — ხორეშანის კუბო. თვითონ პოეტი ასე აღწერს ამ გულამაჩუყებელ ამბავს:

„სწრაფად მიფრინდი თბილისს, მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარმებში ამოვყავ თავი, სადაც სამი თვე ვიჯექ, დირვიშივით დუმილსა და ამ ქვეყნიურ ამოების შესახებ ფილოსოფიურს მსჯელობაში გართული.“

სწორედ ამ დროს დედაც მომიკვდა. ვხედავდი ჩემის ფანჯრის პატარა ქუქრუტანიდან, როგორ გაასვენეს მისი კუბო. მტერსაც კი არ ვუსურვებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა. ქვად ვიქეც, ყველა დაგივიწყე, დედის სიკვდილიც კი და რამდენსამე დღეს უქმელ-უსმელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადმომიგდია.“<sup>113</sup>

დაპატიმრებულები სახლიდან საკმლისა და საცვლების გარდა სხვა ნივთებსა და წიგნებსაც იბარებდნენ. ცოლისადმი მიმართულ ბარათში ალექსანდრე ორბელიანი სწერდა: „ბესიკის ლექსი, ცრემლთა ისარი („ცრემლთა ისარნი“ — ი. ბ.) დამიწერე და გამომიგზავნე და ორი თაბახი ქალაღიც“. <sup>114</sup>

ციხიდანვე გამოგზავნილ წერილში პოეტი ვახტანგ ორბელიანი სწერდა თავის რძალს ეკატერინეს: „ჩემს რძალს მაიკოს სთხოვეთ, რამდენიმე დღით მათხოვოს ლეოგრაფიის კარტები, რომელსაც ჰქვიათ: ატლას ლაპი, ადრეც გამოეგზავნა, მაგრამ მაშინ ნება არ მომცეს კომისიაში, ახლა მგონია აღარ დამიშლიან, თუ შეიძლება, დღესვე“. <sup>115</sup>

საგამომძიებლო კომისიის მუშაობის დასრულებისთანავე, ვიდრე რუსეთიდან მეფის გადაწყვეტილება მოვიდოდა, საქართველოს მთავარმართებელმა ბარონ როზენმა ნება დაართო პატიმრების ნახვისა.

ნათესაების გარდა ტუსალების სანახავად მოდიოდნენ გარეშენიც. მათ შორის მოსულან თბილელი ყარაჩოღელებიც. „სალამოს პირზე. — იგონებდა შემდეგში გრიგოლ ორბელიანი, — ჩვენს ყაზარმას დაუპირდაპირდა — ზურნა — დალაბანდი მოქეიფე ბიჭებით, ღვინითა და სიმღერით. მოქეიფენი შეჩერდნენ ჩვენს ფანჯრის პირდაპირ და სიმღერით დაგვიწყეს ნუგეში: „ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, მოთმინება იქონიეთ, ღმერთი მოწყალეა“. ერთხანს გვალხენდნენ და გვანუგეშებდნენ. ვინ იყვნენ ისინი, დღესაც არ ვიცი“. <sup>116</sup>

შეთქმულებაში გარეულთა დიდი ნაწილი პოეტები და მწერლები იყვნენ. მათმა მოთავესებამ ავლაბრის ყაზარმაში შექმნა „ციხის ლიტერატურის“ მთელი სერია, რომელიც არალეგალური სახით ხელიდან ხელში გადადიოდა.

ასეთ ნაწერთა რიცხვს ეკუთვნის გრიგოლ ორბელიანის „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“, „სავათნავს მიბაძვა“, „ჩემ დას ეფემიას“. გიორგი ერისთავის „სვიმონ მაჩაბელს“ და სხვ. ლექსების ამ ციკლშივე შედის 1832 წლის შეთქმულების წევრის სიმონ მაჩაბლის ნაკლებად ცნობილი ლექსი „საპყრობილესა შინა უეცრად ფრინველის შეფრენა და პყრო-

ბილისაგან ლაპარაკი“, რომელიც გ. ერისთავმა თავის „ცისკარში“ გამოაქვეყნა. ეს ლექსი აგვიწერს ავლაბრის ყაზარმაში მყოფ პატიმარის განცდებს.

გამოძიების დასრულების შემდეგ თითქმის ორმა წელმა განვლო გადაწყვეტილების მოსვლამდე.

„1834 წელსა, — წერს ალექსანდრე ორბელიანი, — გაზაფხულსა, ერთს საღამოზე, ცხრა საათი რომ შესრულდა ღამისა, უეტარ ოფიცერი მოიქრა და ჩვენი ოთახის კარებს კლიტე დაადო გარედამ და როგორც ჩვენს პირველს ამბებში იყო დაკეტილი, ისევ ისე დაგვირაზეს კარები.

ჩვენ სამნივ გაეშტერდით რა ამბავი უნდა იყოსო. მცირედი დავაცალეთ, კაპიტანი იაკუბოვიჩი შემოვიდა სრულის ფორმით და მკაცრი სიტყვით გვითხრა: „ქვემოთ კამისიაში ჩამობრძანდითო“.

ქვემოთ ჩავვიყვანეს და სადაც აღრე გამოძიების და სულის კამისია იყო, იქვე შეგვიყვანეს. სულერთიან ჩვენი ამხანაგები იქ დაგვხვდნენ.

მარჯვნივ რომ შევიხედეთ, სადაც აღრე სტოლი იდგა ხოლმე და ჩვენები იმის სტოლის გარშემო ისხდნენ, ისევ ისე იდგა სტოლი, ისევ იმისთანა წითელი მაუდი გადაეფინათ. სტოლის თავზედ შტაბნაჩალნიკი ვალხოვსკი იჯდა სრულის ფორმით, შეკმუხვნილი სახით. წინ რალაც დაწერილი ქალაღდი ელო და რამდენიმე აფიცრები სრულის ფორმით იდგნენ ცოტა იმის მოშორებით.

ჩვენ რომ იქ შევედით, ჩვენ ამხანაგებში ჩავდევით, ნაჩალნიკ შტაბმა მიგვიხმო, ჩვენც წავდექით წინ. შემდგომ დღესასწაულისად მკაცრის სიტყვით დაიძახა: „თქვენი შემცოდებლობა ხელმწიფე იმპერატორმა განიხილა და თავისი მოწყალე ყურადღება თქვენზე მოაქცია. აი, იმისი მოწყალე გადაწყვეტილობა“.<sup>117</sup>

განაჩენის წაკითხვამ მსჯავრდადებულთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. ზოგი ამბობდა: „უდიდესი შემცოდელნი აქ დაადგეს და მცირედ დამნაშავის მქონებელნი უნდა გაიგზავნონო“, მაგრამ ხელისუფლებას მათთვის ყურადღება არ მიუქცევია.

## 14. მთაწმინდაში

მთაწმინდა უნატიფესი მხარეა თბილისისა, ქალაქელთა ნა-  
ნატრი სასიერნო და დასასვენებელი ადგილი.

მთაწმინდის ერთ-ერთი პირველი ბინადარი „ცამეტ სირი-  
ელ მამათაგანი“ დავითი იყო, საქართველოში, მეექვსე საუ-  
კუნეში მოსული.

მან ააშენა აქ მცირე საცხოვრებელი სენაკი და სამლოც-  
ველო. ხუთშაბათობით ქალაქს ჩამოდიოდა ქრისტეს რჯუ-  
ლის გასაერცელებლად. დიდხანს არ მოუხდა „სირიელ და-  
ვითს“ მთაწმინდაზე ყოფნა. მოშურნეებმა, თბილისიდან მისი  
განდევნის მიზნით, საშინელი ცილი შესწამეს.

ქალაქის დატოვების წინ, დავითმა, ლეგენდის თქმით —  
ლმერთს შესთხოვა მთაზე ისეთი წყარო, რომელიც უშვილო  
ქალებს — მისი დაღვეით — შვილოსნობას მიანიჭებდა. გად-  
მოცემა დასძენს, განგებამ თხოვნა აუსრულაო. დავითი  
მცირე ხანს თბილისში მტკვრის პირად ცხოვრობდა, მერე  
გარეჯაში გადასახლდა.

მეცხრე საუკუნეში მამადავითის დანგრეული ეკლესია  
გააახლეს „ათონის ივერთა ლაურის“ თაოსნობით. ამ დღი-  
დან როგორც მთას, ისე მასზე აშენებულ საყდარს ათონის  
მთის სახელი „მთაწმინდა“ ეწოდა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში, როცა ამ მონასტერს მღვდელი  
იოსები და მისი მეუღლე ანასტასია ემსახურებოდნენ, საჰი  
ახალგაზრდა დანი: ანა, ბარბარე და მართა შეეხიზნენ.

შაპაბასის ხელქვეითებმა, თბილისის აოხრებისას, მთაწ-  
მინდის ეკლესიას მიაშურეს და ხუთივეს რჯულის გამოცემა  
მოსთხოვეს. ხუთნივე მოკლულ იქნა უარის თქმისთვის. ხალ-  
ხმა მთაწმინდაზე დაასაფლავა ისინი.

მეფე ერეკლე მეორე, თავის შვილის, სოლომონის, სიკვდი-  
ლით დამწუხარებული, რამდენიმე ხანს მთაწმინდის მონას-  
ტერში ცხოვრობდა და იქიდან განაგებდა „სამწყსოს“.

1795 წელს, თბილისში ალა-მაჰმად ხანის შემოსევისას,  
მოსახლეობის საკმაო ნაწილმა მთაწმინდას შეაფარა თავი და

ამით გადურჩა ზოგი სიკვდილს და ზოგი ტყვედ წაყვანას. მტერმა ვერ აბედა მთაზე ასვლა.

მთაწმინდა უმთავრესად ქალთა სამლოცველო იყო. „ხუთშაბათობით, — წერდა თედორე ტორნაუ, — მთელი თბილისის ქალები დილაადრიან შეუდგებოდნენ ხოლმე მამადავითის აღმართს ეკლესიაში სალოცავად. ქალები შეუთქვამდნენ ფეხშიშველა ასვლას მამადავითის აღმართზე: გასათხოვარი ქალები შესაფერ საქმროსა სთხოვდნენ, უშვილონი — შვილს, ფეხმძიმენი — ბედნიერ მშობიარობას, მიტოვებულნი — ახალ ბედნიერებას. ეს ქალები ეკლესიის ნესტიან საძირკველს პატარა კენჭს მიაღებდნენ, თუ მიეკვრებოდა — ნატვრა აუსრულდებოდათ, თუ კენჭი ჩამოვარდებოდა, მაშინ ყოველი იმედი ამაო იყო.“<sup>118</sup>

განსაკუთრებულ გაჭირვებასა და მწუხარებაში უშვილო ქალები იყვნენ. არსებული წესის თანახმად, გათხოვილ ქალს არ ჰქონდა უფლება დალაპარაკებოდა ქმრის მშობლებსა და ძმებს, ვიდრე ბავშვი არ ეყოლებოდა.

ზოგიერთი ქალის უშვილობა რამდენიმე წელს გრძელდებოდა, ზოგს ბავშვი სულაც არ აპყვებოდა ხოლმე. აი, ეს უშვილო ქალები ყველაზე მეტად „თავს აკლავდნენ“ მამადავითს ლოცვით. შვილის გამოსათხოვრად მოსიარულე მლოცველ ქალს ერქვა „ბერი“. ასეთ „ბერს“ თეთრი სამოსი ეცვა და თმებგაშლილი იყო.

აღდგომის მეშვიდე ხუთშაბათს მთაწმინდაზე საერთო საეკლესიო დღესასწაული „მამადავითობა“ იმართებოდა. თბილისის და მის ახლო ადგილთა მცხოვრებნი ფეხით, სახედრებით, ცხენებით და ურმებით მოდიოდნენ მამადავითობაზე. ზოგნი ერთი, ორი და მეტი დღის სავალი ადგილებიდანაც.

ვაჭრები სახელდახელოდ პატარა დუქნებს აწყობდნენ. მაუდის ჩონხებში გამოწყობილი მოჯირითენი უშიშრად დააქროლებდნენ ზღვა ხალხში თავიანთ ბედაურებს. ქალები დასერილობდნენ ჯგუფ-ჯგუფად. უკრავდა ზურნა და დუღუკი, ისმოდა ტაშის ხმა. ცეკვავდნენ ლეკურს. ზოგი ქეიფობდა, ზოგი ყორჩების ჭიდილს უმზერდა და სხვ.

მთაწმინდა უსაყვარლესი ადგილი იყო ა. გრიბოედოვისა. თეირანში გამგზავრების წინ „ვია ჭკუისაგან“-ის უკვდავმა ავტორმა სთხოვა თავის მეუღლეს — ნინო ჭავჭავაძეს: „თუ სპარსეთში მოვეყდე, ნუ დასტოვებ იქ ჩემს ძველებს, თბილისში მამადავითის მონასტერში დამკრძალო“. <sup>119</sup> მოსიყვარულე ცოლმა ნატვრა აუსრულა გრიბოედოვს.

მთაწმინდა მონინახულა გენიალურმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა. არზრუმიდან დაბრუნების შემდეგ, 1829 წლის პირველ აგვისტოს, მან ნახა თავისი მეგობრის გრიბოედოვის საფლავი.

პოეტი ნიკოლოზ პოტოცკი გადმოგვცემს: „პუშკინთან და სანკოვსკისთან ერთად დავათვალერეთ გრიბოედოვის ახლადგაპრილი სამარე. იმის წინ ალექსანდრე სერგეის-ძემ მოიყარა მუხლი და დიდხანს იყო თავჩაქინდრული, ხოლო როცა წამოდგა, მისი თვალეები ცრემლებით იყო სავსე“. <sup>120</sup>

მამადავითზე გრიბოედოვის დაკრძალვის შემდეგ მთაწმინდის სახელი რუსეთშიაც „განითქვა“. შორეულ გადასახლებაში მყოფი დეკაბრისტი პოეტი ალექსანდრე ოდოევსკი ნატრობდა:

О, дайте горьких слез потокам  
Его могилу оросить,  
Её согреть моим дыханьем  
И с ненасытным страданьем  
Вопьюсь очамъ в прах его,  
Исполнюсь весь моею утратой  
И горсть земли, с могилы взятой,  
Прижму, как друга моего.  
.....  
Предамся всей порывной силе  
Моей любви, любви святой  
И приросту к его могиле,  
Могилы намятник живой. <sup>121</sup>

გრიბოედოვის დაიკი ოცნებობდა, სახლში ჰქონოდა საყვარელი ძმის საფლავის მიწა. „გრიბოედოვის დის სურვილი იყო, — გადმოგვცემს ი. ფალავანდიშვილი, — ჰქონოდა მიწა ძმის საფლავიდან. მე პატარა პარკით ჩავუტანე იგი მას მოსკოვში“. <sup>122</sup>

ოცდაათიან წლებში მამადავითზე ასვლას „ერთმანეთს ას-  
წრებდა“ თბილისის ყმაწვილკაცობა; სალოცავად კი არა,  
მათი გულის „გუშანი სხვა იყო“. ანონიმი ავტორი ძვირფას  
მოგონებებისა ოცდაათიანი წლების თბილისზე მოგვითხ-  
რობს:

„ნახევარ მთაზე ჩიტის ბუდესავით ჰკილია დავითის მონას-  
ტერი. მასში ამჟამად თავის ნებასურვილით აღკვეცილია უმ-  
შენიერესი სოფიო. ქალი. იმდენად ლამაზია, რომ უღვაშწა-  
მოზრდილი ქაბუკები — საერთო სახელით „სოფისტებად“  
წოდებულნი, არბიან იქ, რომ დაუბრუნონ იგი ამქვეყნიურ  
ცხოვრებას, სასიხარულო სიყვარულისათვის“. <sup>123</sup>

\*\*\*

მთაწმინდა „მკმუნვარების განსაქარვებელი“ ადგილი იყო  
ბარათაშვილისათვის. თავისი ერთი უშესანიშნავესი ლექსთაგანი  
მან მთაწმინდას უძღვნა („შემოლამება მთაწმინდაზედ“), რომ-  
ლის პირველი ვარიანტი დაწერილია 1833 წელს. საგულის-  
ხმოა პოეტის მიმართვა მთისადმი:

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო  
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება  
არა იპოვოს, არ ნუგეშყოს გულთა ვაკება,  
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო <sup>124</sup>

თუ „გულდახურულებში“ ნ. ბარათაშვილის მოასაკენი იგუ-  
ლისხმებიან, მაშინ მათ თავშესაკრებ პუნქტებს: ორთაქალის  
ბალებს, კლდის უბანს და სხვ. უნდა მივიმატოს მთაწმინდაც.

1837 წელს, როცა პუშკინის სიკვდილის ამბავი მოვიდა თბი-  
ლისში, მწერალი ალექსანდრე ბესტუჟევი-მარლინსკი ავიდა  
გრიბოედოვის საფლავეზე „ორი ალექსანდრესათვის“ პანაშვი-  
დის გადასახდელად. დასახელებული წლის 23 თებერვალს  
ბესტუჟევი-მარლინსკი თბილისიდან სწერდა თავის ძმას:

„მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მომიჭუტავს და  
განთიადისას უკვე იმ ხვეულ გზაზე ვიყავ, რომელიც მამადა-  
ვითისაკენ მიიმართება. იქ მისულმა მოვიხმე მღვდელი და  
ვთხოვე გადაეხადა პარაკლისი გრიბოედოვის საფლავეზე, უგუ-  
ნურთა მიერ ფეხით გათელილ პოეტის საფლავეზე, რომელსაც  
უბრალო ქვაც კი არ ადევს და არც რაიმე წარწერა აქვს.



მე ვტიროდი მაშინ, როგორც ეხლა ვსტირი ცხარე ცრემლებით. დავეტიროდი მეგობარს და ამხანაგს არმიიდან, ვტიროდი საკუთარ თავზე. როცა მღვდელმა წარმოსთქვა „*аа унне-пннх ннннр Александра, и Александр*“, მე ქვითინით ლამის დავიხრჩვი“. <sup>125</sup>

1938 წლის 15 ოქტომბერს, „ერთ საუკუნეში მესამედ დამარხვისას“, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის საყვარელ მთაწმინდაზე დაასვენეს.

## 15. ქარბვის ოსტატები

ქართული ქარგულობა ძველი დროიდანვე იყო მსოფლიოში ცნობილი. განსაკუთრებით მას აღმოსავლეთ ქვეყნებში ჰქონდა გასავალი.

მეცამეტე საუკუნის ცნობილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო წერდა: „საქართველოში ბევრი ქალაქი და ციხეა. სიუხვეა ყველაფრისა, რაც ცხოვრებისათვის საჭიროა. ბევრი მოდის აბრეშუმში, რისგანაც აწაადებენ ოქრომკედით ნაკერ ქსოვილებს. ამ ქვეყანაში არის საუცხოო ქალაქი თბილისი. იქ აწაადებენ აბრეშუმს და მრავალ სხვა ქსოვილს“. <sup>126</sup>

ქართული ქარგულობის საინტერესო აღწერა დაგვიტოვეს მეჩვიდმეტე საუკუნის მოგზაურებმა სტოლნიკმა ტოლოჩანოვმა და დიაკმა ივლეევმა. თეიმურაზ პირველის სამეფო ჩარდახის დათვალიერების გამო მოსკოველი ელჩები შენიშნავენ:

„მეფის ჩარდახი ყოველმხრივ მოფენილია ხალიჩებით. მეფის საჯდომ ტახტზე გადაფარებულია აბრეშუმის დიდი ხალიჩა, რომელსაც აფარია მარგალიტებით მოქარგული ქსოვილი. ქსოვილს ზევით დაგებულია ფალასი, რომლის სოსანისფერ ატლასზე ამოქარგულია ნაირნაირი ყვავილები. ხოლო მოქარგულ ფალასზე აღმართულია დიდი დორი აღუბლისფერ ატლასზე მოქარგული ოქრომკედით და ვერცხლისმკედით. მეფე თეიმურაზის ზურგ უკან, კედლის გასწვრივ მეორე ბალიშია ალისფერ ატლასზე მოქარგული ოქრომკედითა და ვერცხლისმკედით“. <sup>127</sup>

მეთვრამეტე საუკუნის ქარგულობის სახელგანთქმული ოსტატი იყო ანასტასია როინის ასული ამირაჯიბი. პლატონ იოსელიანი წერს: „მეფემან თეიმურაზ მეორემან, შვიდისა წლისა მეფისა ძესა გიორგის შვილიშვილსა თვისა, 23 აპრილისა დღისათვის, ე. ი. სახელწოდებისა მისისა, ბრძანა მოუმზადონ დროშა საუფლისწულო. მისისავე ბრძანებითა მოიღეს ყვითელი ატლასი და მასზედ მოქსოვეს ხატი მეტეხთა ღვთისმშობლისა ფერადებითა და კილიტებითა. მომქსოვი მისი იყო ამირეჯიბისა როინის ასული და ქვრივი როსტომ ციციშვილისა ანასტასია, რომელიცა ახლდა დედოფალსა ანა ხანუმა, თეიმურაზ მეფისა მეუღლესა და არღა შორდებოდა მეფისა სასახლესა, და რომელიცა იყო საყვარელი და დაახლოვებული დედოფალისა თამარისა, პირველისა ცოლისა თვით თეიმურაზ მეფისა.“<sup>128</sup>

მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ქარგულობის ექსპორტი ისე დიდი იყო, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტი მასზე ბაჟი დაეწესებინა. 1812 წლის 2 მაისს რუსეთის ფინანსთა მინისტრი იურევი საქართველოს მთავარმართებელს რტიშევს სწერდა:

„ქართული ნამუშევარი ოქრომკედის და ვერცხლისმკედის ქარგულობა, რომელიც გააქვთ ირანსა და თურქეთში, ითვლება აზიის საუკეთესო ნაწარმოებად, რის გამო მათი ფასი 50-400 მანეთამდე აღწევს ქარგულობის სიმდიდრისა და ღირსების მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ საგნებს სპარსელები და თურქები მხოლოდ ფუფუნებისთვის ხმარობენ და ამ ხელსაქმის მეშვეობით შეუმჩნეველად იზიდება საზღვარგარეთ ოქრო და ვერცხლი, — მაშინ სასარგებლო იქნებოდა, ამ ნაკერების საზღვარზე გაშვებისას, აგელოთ შეფასების ყოველ მანეთიდან ერთი შაური ვერცხლით“.<sup>129</sup>

ბარათაშვილის თბილისსაც ჰყავდა თავისი ქარგვის ოსტატები. ხელსაქმის ოსტატნი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყონ: პირველ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ისინი, რომელთათვისაც ქარგვა შემოსავლის წყარო იყო, მეორეს კი, რომლებიც „თავგასართობად“, „გამოჩინისათვის“ და „გასასაჩუქებლად“ ხელსაქმობდნენ.

ხელსაქმის ოსტატი ქალი თავის „ავთანდილს“ უძღვნის ქისას ამოქარგული წარწერით:

თვლად ტანად ლომსა,  
გოლიათსა მსჯობსა,  
პავლე მაჩაბლისშვილსა.<sup>130</sup>

მეორე ნაქარგზე ვკითხულობთ:

გიძლენი ლენტსა,  
ჩემსა მზესა,  
ლომებრ მხნესა,  
თარხნის ძესა.<sup>131</sup>

მქარგველებს უყვარდათ ერთმანეთისაგან საჩუქრების მიღება. ვილაც „ლიზასადმი“ ჰიძღვნილ მძივის ქისაზე ასეთი ქარგული წარწერაა:

აპა ჩვენო ლიზაო!  
მოგვიქსოვე ქისაო.  
შაინც აღარ მოგეშვებით,  
გინდა გაზღე სხვისაო.<sup>132</sup>

ზოგი მქარგველი გრძნობდა თავისი ნამუშავეის ღირსეულობას. ქისაზე წარწერილი გვამცნობს:

მე ვარ ქისა მინანქრისა  
შიართმევი მიჯნურისა.<sup>133</sup>

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის ქარგვის ოსტატთაგან პირველ რიგში უნდა მოხსენებულ იქნას მართა (მაკა) ავალიშვილი-ჭავჭავაძისა. აღრე დაქვრივებული მართა პოეტ. ა. ჭავჭავაძესთან იყო შეხიზნული. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი-სა გადმოგვცემს: „კნ. ავალოვა, ნინას ძიძა, ქვრივი იყო და ჩვენთან ცხოვრობდა. ხელსაქმე კარგად იცოდა“. <sup>134</sup>

მართა ავალიშვილმა მოქსოვა პირველი რედიკული თბილისში. ქეთევან ორბელიანი გვიამბობს: „უწინ რედიკულები არ იყო. მაკა ჭავჭავაძისა ხელსაქმის კარგი გამკეთებელი იყო. მარიამმა მოაქსოვინა იმას სალომესათვის რედიკული

მარგალიტით. მერე ქალებმა დაუწუნეს და დაარღვევინეს“. <sup>135</sup>

ა. ქაეჭავაძე მაკაზე დაწერილ ლექსში „მართას ავადმყოფობა და ექიმის ნახვა“ ქარგვის ოსტატს ათქმევინებს:

წყენა... წყენა... ოღონდაც, ეგ არის სენის ბინა!  
აი დედა-შვილობამ, მე გეტყვი, რაც მეწყინა:  
ხელ-საქმე დიდათ მიყვარს, ეს შენც გეცოდინება.  
ერთ რედიკულსა ღქსოვდი, რომ რა ვჰსთქვა მისი ქება.  
იმის მსგავსი ამ ქართლში არავის რა უნახავს,  
რომ გენახა, იტყოდი, ეს მხატვარს დაუხატავს.  
მაგრამ ჩვენი ქალები, ყოვლის კორის დედები,  
ღმერთმან ყველას აშოროს შურით წინ-აღმდეგები;  
რა ნახეს რედიკული, ჯერ ყველამ მითხრეს ქება,  
მერე ცოტას ხანს უკან მიძაგეს შეხამება.  
მერე სახისა მითხრეს, ამას ვერ ეწყობაო,  
მერე მარგალიტისა,—ესეც არ უხდებოა.  
ბოლოს ესეც კი მითხრეს, ბაწრის პაპიქსა ჰგავსო!  
ამდენმა დაწუნებამ მწარედ სევდით ამავესო...  
იმათთან კი ვითმინე, მაგრამ მერე კი მოვკედი,  
დაუჯექ გაჯავრებული, ხან ვარღვევდი, ხან ფთრთოდი“. <sup>136</sup>

მართამ თავის გაზრდილ ნინო და ეკატერინე ქაეჭავაძეებს მშვენივრად შეასწავლა ხელსაქმე. ქაეჭავაძის ასულებმა ერთ-ერთი ნახელავი შემდეგი წარწერით მიაართვეს ბოლბის ეკლესიას: „მიიღე ესე უნდო ძღვენი წმ. გვამისა შენისა საფლავის გადასაფარებლად ჩვენ მხევალთა მიერ ნამუშავევი. ღენერალ მაიორისა და კავალერიის თავადი ალექსანდრე ქაეჭავაძის ასულის ნინა გრიბოედოვისა და დისა მისისაგან ეკატრინასაგან“. <sup>137</sup>

მქარგველის განთქმული სახელი ჰქონდა ალექსანდრე ორბელიანის ცოლს — ეკატერინე დავითის-ასულ ბარათაშვილს. ეკატერინეს დავალებული ჰქონდა გაეყეთებინა 1832 წლის შეთქმულების ორი დროშა „ერთი მხრიდან ღვთისმშობლისა და მეორე მხრიდან წმ. ნინოს გამოხატულებით და მეორე დროშაც ორივე, თუ მარტო ერთი მხრიდან წმ. გიორგის გამოხატულებით“. <sup>138</sup>

ალექსანდრე ორბელიანიც ირწმუნება: „კატინაც ერია ჩვენს საქმეში, სხვანი ქართველი ქალებიც ბევრი, რომელსაცა ჩემს კატინას ვალად დასდეს, რევალუციის ბაირალი შეეკრა“.<sup>139</sup>

მანანა ორბელიანიც ითვლებოდა ქარგულობის სახელგანთქმულ ოსტატად. არა ერთი გულისპირი, სარტყელი, თავსაკრავი, შეიდიში, ლეჩაქი, ქისა, წინდა, ქოში და სხვა ამგვარი გამოსულა მისი ხელიდან.

როცა მანანას ნაცნობ-მეგობრისაგან რაიმეს მიღება უნდოდა, ანდა ვინმესთვის უნდა დაევალებინა რამე, იგი პირდებოდა „ამას და ამას მოგიქსოვო“. „მე მოგიქსოვ, — სწერდა მანანა გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს, — ქისას კარგს, თუ შენ პორტრეტს გამომიგზავნიო“.<sup>140</sup>

ახალგაზრდა ქალნი ამაყობდნენ, როცა მანანა თავის ქარგულობის ნიმუშებს თავაზობდა. ეს იცოდა მქარგველმა და ამიტომ არ იშურებდა არმალანებს ქალიშვილებისათვის. საჩუქრის გაგზავნასთან ერთად მანანა ჩვეულებრივ მოიბოდიშებდა: „რა ვქნა, თქვენი საკადრისები არ არიანო“. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იგი ჩინებული ოსტატია ამ საქმისა.

ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ქავჭავაძისადმი გაგზავნილ ბარათში მანანა ორბელიანი სწერდა: „უსაყვარლესო დაო ეკატერინე! იმ დღეს მოგახსენეთ, თქვენის ქალისათვის ორი სარტყელი და ერთი თავსაკრავი მომირთმევია, თუმცა არ არის მაგისი შესაბამი ლამაზები, მაგრამ გიყვარვართ და ჩემგან სიამოვნებით მიიღებთ და არ შემრისხავთ. ყმაწვილი ქალია და გაებედება მცირე რამ ჩემგან“.<sup>141</sup>

მანანას მოწაფეები იყვნენ ქარგვაში და მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ: მანანას ქალი ანასტასია, ელენე ერისთავი, მარიამ ორბელიანი.

ერთ ბარათში ქალებმა აღუთქვეს თემირხანშურაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს: სამთავენი გაგიწყობთ კარგ საბნის პირს და გამოგიგზავნითო. მაგრამ დანაპირი იგვიანებდა. მანანასადმი გაგზავნილ ბარათში გ. ორბელიანი კითხულობდა: „ახლა მოვიდეთ ჩემს საყვარელ ტასიკოსთან, რატომ არ

მიგზავნის ქისას, ანუ რათ დაავიწყდეთ მაგას, ელენეს და მარიამს საბნის პირი, რომლისა მოქსოვა აღმითქვეს“.<sup>142</sup>

მანანას ხელქვეით ქარგავდა მაიკო ორბელიანიც. 1845 წლის 10 აგვისტოს მურუტიდან ნ. ბარათაშვილი მანანასა და მაიკო ორბელიანს სწერდა: „ხელთსაქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა“.<sup>143</sup>

ქარგად ქარგავდნენ სოფიო შალვას ასული ერისთავი და სოფიო თარხნიშვილისა. ნ. ბარათაშვილი თბილისში სწერდა მაიკო ორბელიანს: „ახალ დანიშნულს, თუ პატარძალს, სოფიოს მოახსენე, თუ შეგვხვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ, ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზონარს მომიქსოვს, აგრე ჩქარა გათხოვდება“.<sup>144</sup>

ეპისტოლარულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მქარგველთა თხოვნას ოქრომკედლისა და ძაფების შოვნის შესახებ. მეცხრამეტე საუკუნის ერთ ბარათში ვკითხულობთ: „მონავარდისა! ოთხ მანეთს გიგზავნი, გეთაყვა! მალე მიყიდვინე ერთი კოჭი ყვითელი ოქრომკედი. დუფათილის საკერავათ მინდა“.<sup>145</sup>

ცარსკოე სელოში მყოფი ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა სწერდა მეთოდი ხოშტარიას: „პატივისცემას განუცხადებ თქვენს მეუღლეს და დიდს მადლობას წიგნის გამოგზავნისათვის და მასთან სხვადასხვა ფერადის ძაფებისათვის“.<sup>146</sup>

ქარგულობის ამ ოსტატთა ნამუშავეი ძვირფას რელიქვიებად გადადიოდა თაობიდან თაობაში.

## 16. შინაყმები და ხელზე მსახურნი

ბარათაშვილის თბილისის შეძლებულ მებატონეთა ოჯახებში მსახურთა ასეთი შტატი იყო. მსლებელი ქალები: 1. გამდელი, 2. პირის ფარეში, 3. მედოშაკე, 4. მოლარე, 5. გამდლის მოახლე და სხვ. მსლებელი კაცები: 1. შათირი, 2. მერიქიფე, 3. მზარეული, 4. თუშმალი, 5. ხაბაზი, 6. მოლარე, 7. ფარეში, 8. ზენდარი, 9. სუფრაჯი და სხვ.

შინაყმების უმეტესობას შეადგენდნენ დასავლეთ საქართველოდან გაყიდულ-გაცვლილი და გასაჩუქრებული გლეხები.

შინამსახურთა წყებიდან ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოახლეების შტატი იყო. ზოგიერთ „ქალბატონს“ ხუთი-ექვსი და ხანდახან მეტი მოახლე ჰყავდა.

თურმე, ერთი ქალბატონის გამდელი ყოველდღე სისხამ დილით დაადგებოდა მოახლეთა სამყოფს და ასე გასძახებდა შინამსახურ გოგოებს:

„იისახარ,  
ვარდისახარ,  
მუშკისა და ამბრისახარ,  
შუშპარ, ბატონი გიბრძანებს,  
წამოდექ, ლამაზისახარ!“<sup>147</sup>

რა უნდა ექნათ მოახლე ქალებს? მაშინვე ფეხზე წამოვიარდებოდნენ ხოლმე.

რაფიელ ერისთავს აქვს: ლექსი „გამდელთ ქება“:

ვიშ, ვიშ ერთი შეხედვით,  
ამა გამდელთ კრებასა,...  
მაგრამ მე რას დამცდარვარ,  
ვამბობ ვისსა ქებასა,  
ზოგნი კიდევ ნატრობენ  
მოახლეთა ხლებასა;  
ისიც ბედი, თუ ვპოვებთ  
ფუტ კაკალში ლებანსა;

გამხდარო აისახარ,  
შედგენილი ძვლისა ხარ,  
ციავ, ცხელვებას ელტვი  
ყვაილი კი ტბისა ხარ,  
შენ რალას იტყვი, ქალო,  
კაჭკაჭავ, ნარგისახარ!  
დაჩეჩილხარ ყვაილით,  
ყვაილს სიყრმით უყვარხარ!

მსუქანო ვარდისახარ,  
ყვაილი რა მზრისახარ!  
ჩემი ვილა იქნები,  
თუ რომ შენ ვარდისა ხარ!

მოდი, ლომისეულო,  
ახლოს დაჯექ, წყვეულო!  
მოდი, იველო, შენცა,  
მოჰყე გმირისეულო!

შენც მხარი დამიმშვენე,  
თორმეტის წლის სნეულო!  
პაწიავე, შენც აქ დაჯექ,  
ოხერო და ეულო!..<sup>148</sup>

მეფე ერეკლეს უმცროს ასულს, პოეტ ვახტანგ და მწერალ ალექსანდრე ორბელიანების დედას — თეკლეს, სამი მოახლე ჰყოლია. ალექსანდრე ორბელიანი გვიამბობს: „ბატონიშვილს დედაჩემს სამი მოახლე ჰყვანდა სასახლიდგან მზითვეში გამოტანებული. პირველი ლომისახარ (ჩემი გამდელი იყო), მეორე ნაისახარ (ჩემი ძმის დიმიტრის გამდელი) და მესამე ვარდისახარ (ჩემი ძმის ვახტანგის გამდელი).“<sup>149</sup>

ალექსანდრე ჭავჭავაძეს მოსამსახურეთა მთელი ლაშქარი ჰყავდა. მოახლე ქალთაგან აღსანიშნავია დარეჯანი და თალალა.

დარეჯანს ხვდა ბედნიერება ალ. გრიბოედოვის წერილში მოხსენიებისა. 1828 წლის 24 დეკემბრის თარიღით ნინო ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ ბარათში გრიბოედოვი სწერდა: „მე მხოლოდ დარეჯანის იმედზე ვარ. ვიცი, რომ მეტად ფხიზელი ძილი იცის და შენ არ მოგშორდება. აკოცე მას.“<sup>150</sup>

დარეჯანი და თალალა ნახსენები ჰყავს. გრიგოლ ორბელიანსაც. 1835 წლის 25 ივლისს რიგიდან - ის სწერდა სალომე ჭავჭავაძეს: „ამას წინათ ჩვენმა პოლკოვნიკმა ბალი გააკეთა ბალში, სადაც იყვნენ მიწვეულნი ჩინებულნი რიგის მცხოვრებთაგანნი, რომელთა შორის იყო აქაური პირველი კრასავიცა. რიგის კამენდანტის ღენერალ დრიზენის ქალი. მერწმუნეთ თქვენი დარეჯანა და თალალა უმჯობესნი არიან.“<sup>151</sup>

გრიგოლ ორბელიანის მოსამსახურეების შესახებ იონა მეუნარგია გადმოგვცემს: „უცოლშვილო კაცის ცხოვრებაში მოსამსახურეს, მეტადრე იმისთანა მოსამსახურეს, რომელიც განუშორებლად ახლავს კაცს, მთელი მისი სიცოცხლე, დიდი ადგილი უჭირავს. ნებით თუ უნებლიეთ ასეთი კაცი ემორჩი-



ლება მოსამსახურის გავლენას. ორბელიანისათვის მოსამსახურენი ნამდვილი მეგობარნი იყვნენ, რომელთაც ის სიტყვას უგონებდა, რომელნიც ისე დაახლოვებულად გრძნობდნენ თავს პოეტთან, რომ ზოგჯერ უჯავრდებოდნენ კიდევც“.<sup>152</sup>

გ. ორბელიანის პირველი მოსამსახურე ნინიკა ბაქრაძე ბავშვობითვე იყო პოეტთან, თან ახლდა რუსეთში და ემსახურა ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

ნინიკა თავდაპირველად მოხსენებულთა პოეტის მიერ 1834 წ. 2 აპრილს „კაზანსკის სტანიციდან“ გამოგზავნილ ბარათში. აი ეს ადგილი ძმის ზაქარიასადმი გაგზავნილი წერილიდან:

„წუხელის მოველ ყაზანსკის სტანიცაში დიდის წვალებით. დიდს განსაცდელს გადურჩი დონზე გამოსელის დროს, თერთმეტი ვერსი წყლით ვიარე. საზარელმა ქარმა მოგვასწრო შუა წყალზე და რა მოვახლოვდით აქსაის, ნავი გადმოგვიბრუნდა. არა ვჩივი შინლისა, ერთის ზანდუკისა ტანისამოსით და ხმლისა დაკარგვასა, ჩემი პატარა ნინიკა არ ვიცი როგორ მორჩა. გეთაყვანე, ანჩხატში აუნთე სანთელი შენა და ეფემიამ სიონის ღვთისმშობელსა!“<sup>153</sup>

იმავე წლის 15 აგვისტოს, როცა „როტა“ ქ. დინაბუგს მივიდა, ნინიკა იყო ერთადერთი კაცი, რომელიც არ მოშორებია ავადმყოფ გრიგოლ ორბელიანს და ბავშვეური გულამოჯდომით ქვითინებდა. თვითონ პოეტი ასე აღწერს ამ ამბავს:

„15 აგვისტო. მოვედით ქალაქს დინაბურლს. დასუსტებული და ძალიან ავადმყოფი ვიწექ ... მარტო, უწამლოდ. უნუგეშოდ. მხოლოდ პატარა ნინიკა ჩემი გულხელდაკრეფით დამყურებდა მწუხარედ დაღუშებული, ფიქრი სიკვდილისა შორს ჩემთა ძმათა და მეგობართაგან, შორს ყოველთა მათგან.

ცრემლნი წყაროებ გადმოედინენ თვალთაგან პატარა ნინიკას; მხურვალეებითა მომწვდა ხელსა ჩემსა და დამიწყო კოცნა ტირილითა. გული ამიდულდა და ორი ცრემლი მეცა გადმომცვივდნენ თვალთაგან. ვიხილე უანგარო, ქვემარტი წმინდა ჩემდამი მისი სიყვარული მას წამსა, ოდესცა ვიყავ ყოველთაგან ანუ დავიწყებულ, ანუ დატოვებულ და ანუ განშორებულ. წამი ესე არ დამავიწყდების, ვიდრე ვარ ცოცხალი“.<sup>154</sup>

გ. ორბელიანის პირად ბარათებში ნინიკა მრავალჯონის არის მოხსენებული: „ჩემი ნინიკა დაიქრა“<sup>155</sup>. „ჩემი ნინიკა კიდევ დაიქრა, ტყვია მოხვდა ყურში“<sup>156</sup>. „ჩემს ნინიკას ჯვარი დაეწერე“<sup>157</sup> და სხვა.

მეორე მისი „საყვარელი ბიჭი“ იყო კაკალა. კაკალა, უფრო მეტად თბილისში, პოეტის მსახურის როლს ასრულებდა. ერთ დროს კაკალას ყმობიდან განთავისუფლება უცდია, მაგრამ საქმე რატომღაც ვერ მოაგვარა. გ. ორბელიანი 1839 წლის 11 მარტს გორიდან თავის ძმას ილიას სწერდა:

„დაიბარე კაკალა, და თუ მანდ იყოს, უბრძანე, რომ სადაც იყოს ერთი ლეკური იაბო გიშოვოს და იმის მაგიერ, როცა დავბრუნდებით, დილობოზის ჯოგიდან მივეცემ კარგსა ცხენსა, თორემ ნუ მისცემ ამ წიგნსა განთავისუფლებისას. ესეც ერთი ღონისძიება არის“.<sup>158</sup>

ყმადვე დარჩენილი კაკალა შამილთან ბრძოლის დაწყების-თანავე გაჰყვა გრიგოლ ორბელიანს. ამ პერიოდში ნაცნობ-მეგობარ-ნათესავებისადმი გაგზავნილ წერილებში პოეტი კაკალას ამბავსაც ამცნობდა. აი რამდენივე ამონაწერი:

„სადილსუკან დავეარით მე და კაკალამ მათრახი და დერბენდს სალამოზე თავი დაუქართ“.  
„ჩემმა კაკალამ, არა შენმა კაკალამ, — სწერდა გრ. ორბელიანი თავის უმცროს ძმას ილიას, — მდაბლად მოგიკითხა.“

„ეგ ჩენი კაკალა ძალიან გაფუქდა, სულ ფულის ანგარიშ-შია; და ხომ იცით, ჩემი დოსტი არ იქნება ფულის მოყვარე. ამისმა ძმამ ერთხელ რალაც შემიკერა, არც კი მახსოვს, დღეს კი მიანგარიშა მაშინდელი ვალი ათი თუმანი. აბა როგორი დარდიმანდია?“  
„კაკალა რომ დურაჩკს თამაშობს, საწყალი იოსებ თათულაშვილი რას იტყვის?“  
„არ ვიცი რა დაემართა ამ ჩემს თმებსა, ძალიან შესუსტდნენ, მე აქაურ წყალს ვაბრალებ, კაკალასაც წინა კბილები ჩაეარდა, ესეც წყალს აბრალებს“.

კაკალა გარდაიცვალა 1865 წლის ოქტომბრის დასაწყისში. დასახელებული წლის 19 ოქტომბერს გ. ორბელიანი ატყობინებდა დ. ჯორჯაძეს: „ჩემი კაკალა მომკვდარა, შენ თვით

მიხვდები რაოდენად შემაწუხებდა ეს ამბავი: თითქმის სიყრმიდანვე იყო ჩემთან შეზრდილი; ბევრი ვაივავლაბობა გაგვიწევია ერთად და მისი სამსახური, მისი ერთგულება, მისი მეგობრობა იყო მარადის ჩემდამი შეუცვლელ-შეურყვეელი“.<sup>159</sup>

გ. ორბელიანის მესამე მსახურს ზაქარას წილად ხვდა დარლოში წასვლა შამილის მიერ დატყვევებულ ქავჭავაძიანთ და ორბელიანთ ოჯახებთან. 1854 წლის 25 აგვისტოს პოეტი სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს: „თუ პასუხი მომივიდა შამილისაგან, მაშინ ესთხოვ და გავგზავნი ზახარკასა დარლოში ქალებთან მოსამსახურედ“.<sup>160</sup>

ხოლო თვითონ შამილს გ. ორბელიანი სთხოვდა: „გთხოვთ ამასთანავე ნება დაჰართოდ ჩემს ბიჭს ზაქარას, რომ დარლოში მოვიდეს და ჩემს ნათესავ ქალებს ემსახუროს“.<sup>161</sup> როცა შამილის ნებართვა მოვიდა, ზაქარა წავიდა დარგოს და იქ იყო ტყვეების გამოხსნამდე.

გრიგოლ ორბელიანს მოხუცებულობაში ჰყავდა მოსამსახურე სოლომონი, რომელმაც დაუხუჟა თვალები პოეტს.

თბილისის ბურჟუაზიასაც ჰყავდა შინაყმები. ყმებს ისინი სულ უმნიშვნელო ფასებში იძენდნენ, მალალ 100% და მეტ პროცენტთან სარგებელში. მეფახშეთათვის შინამოსამსახურეებად ბავშვების მიცემა ვალის სარგებლის ანგარიშში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მაშინ.

ჩვენს ხელნაწერთა საცავებში ამის დამადასტურებელი არა ერთი დოკუმენტია შენახული. ერთ-ერთ ნასყიდობის ბარათში ვკითხულობთ: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე კიკოლა ბერიძემ და ნასყიდა ბერიძემ შენ მემანისვილის გიორგის, ასე რომე შენი ცხრა ფრული თეთრი მემართა და მისი სარგებელი სამი მარჩიელი ველარ შევიძელი, შენი თეთრი ვერ გადავიხადე და ჩემი ჩვილი მოგყიდე გოგო მარინა; ხელმოახლედ მომიცია, — არას კაცი, არც მე და არც სხვა, აღარ გედაოთ და თუ ვინმე გედაოს, შეჩვენებული იყოს.“<sup>162</sup>

როგორც მებატონეთა, ისე მეფახშე-ვაქარ ოჯახებში შინაყმათა და ხელზე მსახურთა ცხოვრება მეტად მძიმე და აუტანელი იყო.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თბილისში ათამდე აბანო იყო. შათ შორის აღსანიშნავია: მეფის ირაკლის ანუ დარის, მეითარის, სიონის, ბებუას, მელიქაანთ, ციხის, ეინალის. გრილი და სხვ.

თბილისელები ამაყობდნენ თავიანთი აბანოებით. ხალხური ლექსი ამბობს:

ქალაქში აბანოები  
ბადალი ხმელეთისაო,  
ძირიდამ აშენებული  
აუზებია ქვისაო.  
მალღიდგან ამოგედილი  
წითელ იაგუნდისაო.  
გვერდიდამ ფანჯარაები  
სანათურია მზისაო.  
ვინც შევა, აგრე გახდების,  
როგორც თოვლია მთისაო.  
ქალი და რძალი გამოდის,  
ვით რო ყვავილი ხისაო.<sup>163</sup>

იმის გარდა, რომ თბილისის აბანოებში ბუნებრივად ცხელი წყალია, იგი სამკურნალოცაა. ძველი ლეგენდა ამბობს: „საქართველოს მეფეს უღრან ტყეში ნადირობისას (ახლანდელ თბილისის ადგილზე) ირემი დაეკოდა ისრიო. გასისხლიანებული ნადირი შევარდნილა გოგირდოვან წყაროში, გაბანილა და, მეორე ნაპირზე გასულს, მეფის თვალწინ ტყისკენ გაუქროლია. თურმე თბილი წყლისაგან ირემს სისხლის დენა შეწყვეტია და ქრილობა სრულიად გაჰკურნებია“. <sup>164</sup>

მოგზაური ჟან შარდენი შენიშნავს: „თბილისის აბანოების წყალი გოგირდიანია და ძლიერ ცხელი. კარგად მყოფების გარდა, აქ ბანაობენ, აგრეთვე, სნეულებიც სამკურნალოდ“. <sup>165</sup>

ამასვე წერს ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგიც: „თბილისის აბანოები საუცხოოა. ცხელი წყალი გადმოსჩქეფს კლდიდან თვით აუზში. წყალი შეიცავს დიდი რაოდენობის გოგირდს და ძალზე სამკურნალოა რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, სირსველის და ქრილობის შედეგების მოსარჩენად“. <sup>166</sup>

1795 წელს თბილისის დამპყრობელ ალა-მახმად-ხანს ეგონა, რომ „მის უკურნებელ სენს“ უშველიდნენ თბილისის აბანოები, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მემატიანე მოგვეთხრობს: „ალა-მახმად-ხანს ბევრი რამ გაეგონა მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა შესახებ, რის გამოც დამდენჯერმე მიიღო აბაზანა, მაგრამ რაკი სნეულებისაგან ვერ განიკურნა, განრისხდა და ბრძანა დჭენგრიათ და მიწასთან გაესწორებინათ აბანოები“.<sup>167</sup>

ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგი მეტად ლამაზ ფერებში აგვიწერს თბილისის აბანოებს: „წყალი მაღალი და დაბალი ტემპერატურისაა, დაახლოებით 20-დან 30 გრ. რეომიურით, მათ შორის მხოლოდ ერთი აბანოა, სადაც 15 გრ. ტემპერატურის წყალია.

აბანოები მოწყობილია გამოქვაბულებში. პირველად შედიხართ ბნელ თაღებიან დარბაზში, რომელსაც რამდენიმე ლამპიონი მკრთალი შუქით ანათებს. იქ სდგას ორი ტახტი, ხალიჩებგადაფარებული. ტახტზე სურვილისამებრ გაშლიან ქვეშაგებს, რომელზედაც ისვენებ რამდენიმე ხნით, რომ მოემზადოთ საბანაოდ. ორი-სამი თაღებიანი დარბაზის გაელის შემდეგ შედიხართ აბანოში და ეშვებით აუზში, როჴელიც დაუყლებლივ ივსება წყლით ონკანის საშუალებით. აუზი ყველაზე უფრო ცხელი წყლით უკანასკნელ თაღებიან შენობაშია. აუზი, ისევე როგორც კიბე, რომლის საშუალებითაც ან აუზში ჩადიხართ, ამოკვეთილია კლდეში“.<sup>168</sup>

ბუნებრივად მუდამ ცხელ და სამკურნალო წყლებით მოხიბლულნი აღტაცებაში მოდიოდნენ მექისეთა ოსტატობითა და ხელოვნებით. გენიალური პოეტი ალექსანდრე პუშკინი წერდა:

„აბანოს პატრონმა ჩემი თავი მექისე თათარს გადასცა. მას უნდა ეზრუნა ჩემთვის. ჰასანმა (ასე ეძახდნენ ამ თათარს) დაიწყო იმით, რომ ქვის თლილ იატაკზე დამაწვინა, რის შემდეგაც შეუდგა ჩემი სხეულის ასოების მტრეფას, სახსრების დაკიმვას, მუშტით ძლიერად ცემას, მე არა ვგრძნობდი მცირეოდენ ტკივილსაც კი, პირიქით საოცარ შეებას განვიცდიდი. აზიელი მექისეები ზოგჯერ აღტაცებაში მოდიან, გახტე-

ბიან მხრებზე, დასრიალებენ ფეხებით თეძოებზე და ბუქნავენ ზურგზე. ამის შემდეგ დიდხანს მხება მატყლის ქისით, გადა-  
მავლო თბილი წყალი და დამიწყო ბანვა ტილოს აქაფებული  
ბუშტით, აუწერელი განცდაა: ცხელი საპონი ჰაერივით გე-  
ფრქვევა. საპნის გარდაფქვევის შემდეგ ჰასანმა ჩამიშვა აბა-  
ზანაში და გათავდა ცერემონია“.169

ბანაობა ჩვეულებრივი „წახემსებით“ სრულდებოდა. თბილი-  
სის აბანოებით აღტაცებული ევგენი მარკოვი აღნიშნავდა:  
„აბანო ჩვენ აზიურად დავასრულებთ. მახლობელ სამზა-  
რეულოდან მოვითხოვეთ ქაბაბი, მწვადი, ლავაში და კახუ-  
რი ღვინო, რომ სავსებით განგვეცადნა თბილისის აბანოთა  
სიამოვნება.

რა მაღიანად იკვებოდნენ ეს ცხელი და გემრიელი კერ-  
ძები, რომლებიც პირდაპირ ცეცხლიდან მოჰქონდათ უთეფ-  
შოდ ირანულ ლავაშებში გახვეული. თავისებური დაზელვისა  
და აუზში საათიანი წოლის შემდეგ, მოშვიდება ყველაზე აღ-  
თქმულ მარხვის შემნახველსაც. ჩვენ, ორთავე ჰამა-სმაში ჩამოგვ-  
ტოვა, პატარა, ქერა, ჩერქეზმა მექისემ, რომელიც თვალის-  
დახამხამებაში ანადგურებდა სურნელოვან ხორცს და ზედი-  
ზედ სვამდა წინანდლის საუცხოო ღვინოს“.170

მაგრამ მარტო ამით როდი იყვნენ განთქმულნი თბილისის  
აბანოები. ბუნებრივად ცხელი სამკურნალო წყლისა და მექი-  
სეთა ხელოვნების გარდა, ჩამოსულთ ანცივიტრებდათ თბილი-  
სის აბანოთა სხვა მხარეც.

აბანო მაშინ კლუბის მაგივრობას სწევდა. განსაკუთრებით  
აქ ქალები ერთობოდნენ. მათი საბანებელი დღე იყო სამშა-  
ბათი. თბილისში ამ დღის სახელობის აბანოც იყო—სიონის  
აბანო, რომელსაც ეწოდებოდა „სამშაბათისა“. ქალები მთელ  
დღეს რჩებოდნენ აბანოში. ხელმოკლენი ბოხჩით წამოღებულ  
სარეცხსაც რეცხდნენ. ზოგი საპონსაც ხარშავდა.

ბელისუფლებამ მერე ხმა აღიმალლა ამ ჩვეულების წინა-  
აღმდეგ. გაზ. „საქართველოს გაზეთი“ შენიშნავდა: „საპნის  
ხარშვა დედაკაცთ აბანოში აწყენს ვითარცა აბანოში მოსიარუ-  
ლეთა, აგრეთვე მეზობელთაც თავისის შეზავებულის სუნითა,  
გარდატანილ იქნეს მოზოკებით მდ. მტკვრის პირზედ“.171

პლატონ ზუბოვი ქალთა ამ თავისებური „კლუბის“ შესახებ შემდეგსა წერს თავის მემუარებში: „ქართველ ქალებს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის აბანოში წასვლა და იქ დარჩენა განუწყვეტლივ ათ საათს და მეტ ხანსაც. იქ სადილობენ, იცვამენ ყველაზე ძვირფას ტანისამოსს, საუბრობენ ნაცნობებთან — ერთის სიტყვით აბანო მათთვის იგივეა, რაც ჩვენთვის საჯარო შეკრება“.<sup>172</sup>

სანამ ქალთა საპარიკმახეროები გაიხსნებოდა, აბანო საკოსმეტიკო პუნქტის მაგივრობას სწევდა. ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგი შენიშნავს:—

„ქართველები, განსაკუთრებით კი დიდებული ქართველი ქალები, კვირაში ერთხელ მთელ დღეს და ხშირად ღამესაც აბანოში ატარებენ. პირველ თაღებიან შენობაში ისინი წამოწვებიან ტახტზე ზარმაცი ნებივრობით და იღებავენ თმას და ფრჩხილებს, თვით მოხუც ქალებს, თმის მუდმივი შეღებვის გამო ნაწნავეები გიშერივით შავი აქვთ. იქ ისინი ისვამენ პირსახეზე ფერუმარულს, ცდილობენ შეიღებონ და შეაერთონ წარბების ისრები და სხვა. უამისოდ აქ სილამაზე წარმოუდგენელია. ეს დიდი დღეა მათთვის, დღე ტკივილისა და სიხარულისა“.<sup>173</sup>

ფრედერიკა ფონ-ფრეიგანი არ სცდება. „სამშაბათი დღე“ ქალთათვის მართლაც იყო, „დღე ტკივილისა და სიხარულისა“. აქ ხდებოდა ახალი ტუალეტისა და ტანისამოსის გამოფენა. აქ ირჩევდნენ სარძლოებს. აქ სინჯავდნენ გასათხოვარ ქალებს, ხინჯი ხომ არა აქვთ რაო. აქ „არიგებდნენ“ მაქანკლები საქმეს. ოჯახურ კირთებაში დამონებული ქალები აქ თავისუფლად გრძნობდნენ თავს და სხვ.

\* მობანავე ქალებს თავიანთი აშული ჰყავდათ: „გერაგერმი-შაანთ უსინათლო მაია, რომელიც თავის სიმღერით ართობდა დასაპანილ და ინადადებულ ქალთა მარაქას“.<sup>174</sup>

აბანოში დროს ატარებდნენ მაძაკაცებიც. ამწვანებულ ბაღში, ღუქანში, თუ სახლში დაწყებული ნადიმი, ხშირად აბანოში გაგრძელებულა. ხანდახან ქეიფი პირდაპირ აბანოში იწყებოდა.

„აბანოში“, — წერდა ი. ევლახიშვილი ქეიფს მართავდნენ მამაკაცები. ისინი ხშირად იკრიბებიან იმისათვის, რომ იქეიფონ და შემდეგ გაგრილდნენ აბანოში. სიმღერის, თარისა, დუდუკის ხმები აზანზარებენ აბანოს თაღებს. ქართველს ყველგან უყვარს სიმღერა, მაგრამ განსაკუთრებით აბანოში, სადაც მისი ხმა დაირხვევა თაღებში და მქლეროვანად გაისმის“. <sup>175</sup>

მამაკაცები ქალების დარად ხშირად მთელი დღე-ღამეს რჩებოდნენ აბანოში.

## 18. წერა-კითხვა

ბრძენმა ბელადმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა ენათმეცნიერების საკითხებისადმი მიძღვნილ თავის გენიალურ ნაშრომში განმარტა:

„ენა არის საშუალება, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“ <sup>176</sup>.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ამა თუ იმ ეროვნებაში, არსებობს საერთო-სახალხო ენა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთ გაგების საშუალების „უმალღესი ფორმა“.

ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი, ეყრდნობოდა რა დიდი ბელადის მოძღვრებას ენის შესახებ, თბილისის XX პარტიულ კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნავდა:

„ახალი ქართული ლიტერატურული ენის საფუძველს წარმოადგენს ქართულ-კახური დიალექტი, რომელიც შევსებულია სხვა ქართული კილოების ენობრივი მასალით და რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები“ <sup>177</sup>.

ანტონ კათალიკოსმა და მისმა არაქაისტულმა სკოლამ საგრძნობლად შეუშალა ხელი ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივ განვითარებას.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი ალექსანდრე ორბელიანიც ქართულ ენას სამ ეარგონად ჰყოფდა.



ა. ორბელიანი წერდა ამის გამო: „ქართული სამათ გაიყო-  
ფება. პირველი: საღმთო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე  
მდაბიურად ანუ დარბაისელთ უბნობად და მესამე გლეხკაცების  
ენად“.<sup>178</sup>

ალექსანდრე ორბელიანს ნიმუშად მოჰყავს დავითის „ფსალ-  
მუნის“ ერთი ადგილი ქართული ენის „სამი ჟარგონის“ საი-  
ლუსტრაციოდ.

„ეკლესიური წერილის“ ნიმუში:

„მისაჯე მე ღმერთო, დასაჯე სჯა ჩემი თესლისაგან არა  
წმინდისა ცრუსა და მზაკვრისაგან მიხსენ მე, რამეთუ შენ  
ღმერთი ძალ ჩემ და ხარ, რად განმიშორებ მე, და რად  
მწუხარე ვარ მე ქირთა მტირისათა. ესენი მომიძღვნეს და  
მიმიყვანეს მე მთასა წმინდასა შენსა, და საყოველთა შენთა.  
და შევიდე მე წინაშე საკურთხეველსა ღვთისასა, ღვთისა  
მიმართ, რომელმან ახარა სიკბაბუკესა ჩემსა, აღვიარო შენ  
ბობღნითა, ღმერთო ჩემო. რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო: ანუ  
რად შემიძრწუნებ მე: ესედვე ღმერთსა რამეთუ მე აუარო  
მას მაცხოვარსა პირსა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა“.<sup>178</sup>

იგივე „ფსალმუნი“ „დარბაისელთა სიტყვიერებით“:

„განსაჯე: გამიმართლე, თუ ბრალეულად დავიღო ცუდისა  
ადამიანისაგან დამსაჯე მე ღმერთო. ცრუ კაცისა და მზაკ-  
ვრისაგან დამიხსენ მე, რადგან ჩემი იმედი ბრძანდები შენ.  
რისთვის მიშორებ? რისთვის შეწუხებული და შექირვებული  
დავიარები მტრისაგან? მიწყალობე მე ქეშმარიტი სამართალი.  
ამან გამაბედღინოს შენთან ხლება შენს უმანკო სასახლეში,  
სადაც ნოგმართო და შემოვიდე შენს საუკეთესო სენაკში.  
რითაც მოეცემა ჩემს სიკბაბუკეს დიდი ნუგეში მაშინ გულის  
სიწმინდით აღვიარებ საკრავით, შენს დიდს მსაჯულლებას.  
ამისათვის სულო ჩემო, რაღად მწუხარებ შენ? ანუ რისთვის  
შამაძრწუნებ მე? მიენდე იმ დიდ მსაჯულს, რომელსაც მივა-  
ხლოვდები ჩემს განმაცოცხლებელ პირსა და ღმერთსა ჩემსა“.<sup>180</sup>

იგივე ტექსტი „გლეხკაცების ჟარგონით“:

„გასინჯე, ისე მიბოძე სამართალი, ღმერთო, თუ ავმა კაცმა  
დანაშაული დამდოს, გადამახდევინე. მტყუანის კაცისაგან და

ლგარძლიანისაგან გამომიხსენი მე, ამიტომ ჩემი მფარველი პრძანდები შენ. რალად მიწყრები მე? ან შეწყუხებული და დიჩაგრული რალად დავდივარ მტრისაგან? შენს წყალობას მოველი, სწორე სამართალი მიბოძე, იმან გამაბედდინოს შენთან გეახლო, მეტად კარგს სასახლეში, რომ შენს საკუთარს სადგომში შემოვიდე და შემოგეხიზნო. ეს იქნება ჩემი ყმაწვილკაცობისათვის დიდი წყალობა შენი. შემოგიდგები დაფით ღმერთო ჩემო. ახლა ჩემო სულო, რალათ უნდა შესწყუხდე და ან შუოთავდე? იმისთანა დიდს მოსამართლეს მიენდე, დაგიახლოვოს იმ ჩემმა შემწყმა და იმ ჩემმა დიდმა მოსამართლემ ღმერთმა“. 151

ალექსანდრე ორბელიანი მოითხოვდა, რომ „გაბატონებული“ ეარგონი „მდაბიური ანუ დარბაისელთ უბნობა“ ყოფილიყო.

ქართული რეალიზმის ერთ-ერთი წამომადგენელი ლავრენტი არღაზინი ჟურნალ „ცისკარში“ მოთავსებულ წერილში სრულიად სამართლიანად იცავდა „სახალხო ენის“ პრიორიტეტს. „საერო ენით, — წერდა იგი, — ლაპარაკობდა ხალხი, სწერდნენ მოლექსენი და სხვა მწერალნი... გამშვენებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე“. 152

წერა-კითხვას „საერო ენაზე“ ასწავლიდნენ.

ქალების აღზრდა ასე სწარმოებდა:

ასწავლიდნენ წერა-კითხვას, კრა-კერვას, ქსოვას, ოქრომკედს, სახეების ამოკერვას, საღებავების კეთებას, ქილობის კეთებას, ბოსტნის მოვლას, წამლების მომზადებას, წერა-კითხვას. მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების ერთი დოკუმენტი გვამცნობს:

„აღზრდა მისი იყო ამგვარი, ვითარსაცა მიიღებენ ანუ მიიღებდნენ ოდესმე საზოგადოთ ყოველნი ქაღნი თავადთა და კეთილშობილთანი ყოველთა კავკასიის აქეთ მდებარე საქრისტიანოთა თემთა შინა. რა ეამს წარმოსდგებოდა პირველი ღონისძიება სწავლების დაწყებინებისა, მაშინვე მოაყოლებდნენ დავითნს, შემდგომად დაუჯდომელს, სამოციქულოს, სახარებას, დაბადებას და სხვათა საღმრთოთა წიგნებთა, რომე-

ლთაც ქილნი კეთილშობილნი სწავლობდნენ აქანომდე, რომელ ხშირად გაუძნელდებოდათ ბაასი მათთან თითქმის ღებღელ-თაცა კარგად მცოდნეთა.

ხოლო საეროსა აღზრდასა მათსა დააბოლავებდნენ ხელთსა-ქმენი; განწყობილება მოკითხვის წიგნისა ნათესავთა და მოკეთილეთა მიმართ; მოთხრობითი აღწერა მამისა ანუ ნათესაჲისა ვისიმე მოქმედებათა; კითხვადი საგმიროთა პოემათა და სხვათა ამგვართა თხზულებათა, რომელნიცა აღამალლებდნენ გრძნობათა მათთა ყოველივე კეთილობითა და წარმართვადი შინაურთა საქმეთა სასიამოვნოდ, მამის ანუ ქმრისათვის. ერთი სიტყვით, წიგნობრივი აღზრდა ქალთა მრავალით აღემატებოდა აღზრდასა კაცსათა“. 183

ვაჟების აღზრდაში უმეტესად ყურადღება ექცეოდა „საქმეთა შინა სიმარდისა და მხნეობისათა“.

იმ დროს თბილისში, მამაპაპეულ სასწავლებელთაგან, შემორჩენილი იყო გიორგი კალოუბნელის ეკლესიასთან არსებული „სამრევლო სკოლა“, რომელშიაც ერთ ხანს სწავლობდნენ გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვები.

„სკოლა კალოუბნის ეკლესიის მახლობლად ყოფილა. შეგირდები ეზოში შეგროვდებოდნენ, ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში — დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელი იყო თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ ყიდულობდნენ. შეგირდები რომ პურს მოიტანდნენ, ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თვითონ დაიტოვებდა და ნახევარს შეგირდს მისცემდა. ახლა შუადღისას დაუძახებდა შეგირდებს: სათითაოდ ზოგს კოკას მისცემდა, ზოგს ლიტრას, ღაირეკამდა ყმაწვილებს წყალზე წასასვლელად და თვითონ მასწავლებელიც თან მიჰყვებოდა“. 184

ბავშვის პირველი გაგზავნა სკოლაში დიდი ამბავი იყო. „ამისთვის, — წერს პროფ. გ. თავზიშვილი, — აღრიდანვე ემზადებოდნენ: უკერავდნენ ახალ ტანსაცმელს და ჩანთას, იძენდნენ მისთვის სასწავლო ნივთებს, ხოლო სკოლაში გაგზავნის დღე ხომ ერთგვარ დღესასწაულს წარმოადგენდა. სასკოლოდ „გამოწყობილ“ ყმაწვილს მთელი ოჯახი აცილებდა სახლის

ეზოდან, მაგრამ სანამ მამა ან ოჯახის უფროსი მას სკოლაში მისაბარებლად წაიყვანდა, ბებია, დედა, ან გამდელი მიიყვანდა მას მახლობელ მდინარესთან ან წყაროს წყალთან, ფეხსაცმელებს გაახდევებდა, ხელში რაიმე წიგნს ან ნაბეჭდ (ნაწერ) ქალაქის მისცემდა, ორივე ფეხით ჩააყენებდა წყალში და იტყოდა: „ასე, წყალივით კითხვა (ესე იგი შეუჩერებლად, რაკრაკით, თავისუფლად) ისწავლეო“. <sup>186</sup>

ვაჟებს სწავლას შვიდი-რვა წლის ასაკიდან აწყებინებდნენ, ქალებს — ათი-თერთმეტი წლიდან. ეს წესი, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაცული არ იყო. მეცადინეობა უმთავრესად დილით სწარმოებდა: ზოგან მზის ამოსვლამდე, ზოგან წირვაზე წასვლის დროს. რასაც ჩვენ გაკვეთილს ვეძახით, მას ზოგან ერქვა „ალო“, ზოგან „ჟამი“, ზოგან „განარკვი“. დღეში ორი — სამი გაკვეთილი ჰქონდათ. გაკვეთილის ხანგრძლივობას აღნიშნავდა ოსტატი მამინ, როცა მოწაფეებს დალლას შეატყობდა.

მ. ბეთანიშვილი გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ქართული წერა-კითხვის შესწავლის შესახებ შემდეგსა წერს: „ექვსი წლისა ვიყავი, როდესაც ჩემმა მშობლებმა მიმაბარეს ერთ მღვდელსა. მე დილით წავიდოდი მღვდელთან და საღამოს მოვიდოდი ხოლმე სახლში. მღვდელმა პატარა ქალაქზე დაწერა „ა“ - ნ. „ბ“ — ანი. გადააკრა პატარა ფიცარზე. მამცა ხელში გადაკრული ფიცარზე ანბანი, მაჩვენა პირველი ასო „ა“ და მითხრა, რომ „დღეს საღამომდის მარტო ეს გაიზეპირეო“.

მეც მიხაროდა ადვილი დასასწავლი არის მეთქი და მთელ დღეს ერთ ასოს ვეზეპირობდი. \*საღამოზე მღვდელმა მათქმევინა ზეპირად ასო „ა“, მეც იმ წამსვე წამოვიძახე. გახარებულმა მღვდელმა გამიშვა სახლში და თანაც დაუმატა: „ამალამ ლოგინშიაც რომ დაწვე, ნასწავლი ასო მაინც იზეპირეო. თორემ დაგავიწყდებაო“ და ასე შემდეგშიც“. <sup>186</sup>

წერას წინასწარ მომზადების გარეშე იწყებდნენ. ოსტატი დაასახლებდა ასოს და შემდეგ „დასწერდა მას ხის უბრალო, შეუღლებავ დაფაზე, და თუ დაფა არა ჰქონდათ — უბრალო ფიცარზე, ხოლო პატარა ჯგუფების ან ინდივიდუალური

წესით მუშაობის შემთხვევაში ხარის ბეკის ძვალზე. ბავშვები იწერდნენ მასწავლებლის მიერ დაწერილ ასოს თავიანთ ქალაქ-ლდებზე ან ბეკის ძვლებზე. ყოველი ასოს გადმოწერა გრძელდებოდა მანამ, სანამ მოსწავლეები ხელს არ გაიწაფავდნენ მის წერაში, სანამ არ მიამსგავსებდნენ მასწავლებლის დანაწერს“. 187

პლატონ იოსელიანიც „დროთა ჩვეულებისა გამო“ „ქართულსა კითხვასა და წერასა ხარის ბეკის ძვალზე“ 188 სწავლობდა.

1825 წელს დაიბეჭდა ტარასი მღვდელ-მონაზონის ანბანი, 1838 წელს — პლატონ იოსელიანის ანბანი, რომელმაც საკმაო როლი ითამაშა წერა-კითხვის სწავლების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს და უფრო ადრინდელ ხანაშიც, წერა-კითხვის მცოდნეთა კონტიგენტი ქალთა შორის უფრო მეტი იყო.

არისტოკრატიულ ოჯახებში თითქმის ყველა ქალმა იცოდა წერა-კითხვა. რუსეთის ელჩი იაზიკოვი გადმოგვცემს: „რაც შეეხება კეთილშობილ ქალებს, ყველა წერა-კითხვის მცოდნეა. წარჩინებული ოჯახები თავიანთ ქალებს უსათუოდ ასწავლიდნენ წერა-კითხვას“. 189

ქართველ ქალებს დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული წერა-კითხვის შენარჩუნებისა და გავრცელების საქმეში. მოგზაური არაქანჯელო ლამბერტი თავის მემუარებში გვიამბობს: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილ იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ. ისე, რომ თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიეზაროს სასწავლებლად“. 190

• საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სახელმწიფო სასწავლებელთა გახსნამ, საკმაოდ შეკვეცა ქართველ ქალთა ინიციატივა წერა-კითხვის სწავლების საქმეში.

## 19. მენახშირეები

იმ დროს თბილისში ბინათა ერთადერთი გასათბობი საშუალება იყო ქურსი. გ. ერისთავი თავის კომედია „ძუნწს“ ასე იწყებს:

### მოქმედება პირველი

თეატრი წარმოადგენს დარბაზს: შუა დარბაზში ქურსი დგას, გარშემო უშლია ხალიჩები. კედელთან სდგას ლიტრა წყლით.

### გამოსვლა პირველი

#### კარაპეტა და მონავარდისა

კარაპეტა გამოვა ძველის ხალათითა, ქოშებით და სალამურის ქუდით, მივა ქურსთან, ახდის საბანს, გამოიღებს მაცალს, სავეს გალუვებულის ნახშირით.

კარაპეტა: ვაი, ამისთანა ბალა იქნება! (წყალს დაახამს, ნახშირს ჩაყრის კალათაში). გოგო ნავარდისა! (გოგო გამოვა, კარაპეტა უჩვენებს მაცალზე). ეს ვისი ნაქნარია.

მონავარდისა — ჩემი.

კარაპეტა — განა ჩემი ოჯახმა შენ უნდა დალუპო. განა ღმერთი აიღებს, არ გებრალები. ხედავთ, ღარიბი ვარ, ყოველდღე ამთენი გამდის, გამდის, ერთი დაბლიც მიჩვენეთ და ამთენი ნახშირი იქნება. საპა. ღნე რვა აბაზი ღირს, ორი კვირა არ გასულა ნაყიდული არის<sup>191</sup>.

თბილისის ყოველ ოჯახში, ყოველ ღუქანსა, სახელოსნოსა, ტრაქტორსა, ყავახანაში, ერთი სიტყვით, ყველგან იდგა ქურსი. მაცალზე თბილისელები სწვავენენ უსაყვარლეს კერძს — ცვრიან მწვადებს, ხარშავდნენ ნაირფერ კერძებს.

ამოდენა ქურსა და მაცალს ნახშირიც ბევრი უნდოდა. იმდროინდელი თბილისი ზამთრობით, ღღეში ათას ტომარამდე ნახშირს ხარჯავდა. სახედარზე გადაკიდებული ორი ტომარა ნახშირი, რომელიც ერთ ფუთამდე იყო, 25 კაპიკიდან 40 კაპიკამდე ღირდა ვერცხლით.

ვირის მოედანი (შუა ბაზრის მახლობლად) იყო მთავარი შესაკრები ადგილი მენახშირეებისა. საღამოთი მენახშირეები სურსათ-საყიდლებით დატვირთულნი, ხშირად, შეზარხორ-შებულები ბრუნდებოდნენ თავიანთ „სახლებში“ — ქალაქის გარეუბნებში. გაუყიდავ ნახშირს ისინი სტოვებდნენ სოლოლაკის მხარეს მკედლებთან და სხვა ხელოსანთა დუქნებში. ნახშირს სწვავდნენ თბილისიდან 3-30 ვერსამდე დაშორებულ ხშირტყიან ადგილებში. მენახშირეები მთლიანად დასავლეთ საქართველოდან გამოქცეული ყმები იყვნენ. მენახშირეთ პატარა ამხანაგობები ჰქონდათ. ამხანაგობა კოლექტიურად ქრიდა ხეებს, თხრიდა ორმოებს, წვავდა ნახშირს და თანასწორად იყოფდა ფულს. ტყის მეპატრონეს ერთ ორმო ნახშირიდან კვირაში ტომარი ნახშირი ეძლეოდა.

„ზოგი მენახშირე მრავალ წელთა განმავლობაში კაპიკს კაპიკზე ადებდა, რომ შეერთო ცოლი და რამდენიმე ხანი მაინც ადამიანურად ეცხოვრა. მაგრამ სწორედ აქ იჩენდა თავს უბედურება. ვიდრე ის, უკაცრიელ მთებსა და ტყეებში ცხოველივით განმარტოებული იყო, მას არავინ ეძებდა და კითხულობდა.

როგორც კი ოჯახს მოეკიდებოდა, საზოგადოებაში გაერეოდა, ამას გაიგებდა თუ არა მისი პატრონი, დაესხმოდა თავს და გამოსაყიდს სთხოვდა: რაღა ჩარა იყო, მენახშირე „წელზე ფეხს“ დაიდგამდა, გაისტუმრებდა ბატონს. სამწუხაროდ საქმე ამით არ თავდებოდა. მერე მოდიოდა მეორე ბატონი, რომელსაც ეს საწყალი მენახშირე სულაც არ ეკუთვნოდა. აი ჩხები, აი პოლიცია, დავა, დამტკიცება. ამასაც აძლევდა გამოსაყიდ ფულს და მერე სხვა ბატონი მოდიოდა და ა. შ.“<sup>192</sup>

ხშირად მენახშირეს ხუთ-ექვსჯერ გამოუტყდიდა თავი „კანონიერ“ და „არაკანონიერ“ მებატონისაგან.

## 20. პურიის საცხოვრებელი

ეროვნებათა შორის ერთ განმასხვავებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს პურიის განსაკუთრებული ფორმა და მისი გამოცხოვის თავისებურება.

ქართულ პურის სახეობანია: მურასა, საგარეჯო, პირვაქ-რილი, კაკალა და შოთის პური.

იმდროინდელ თბილისში გავრცელებული იყო თორნის შოთი პური: „აი, — წერდა ანდრეევი, — მკვიდრთა პურის საცხოზი, რომელსაც თორნეს უწოდებენ. თეთრ წინსაფრიან მეთორნეს მარჯვენა ხელისგულზე უჭირავს ნახევარ მთვარი-სებური ცომის ნაჭერი. მარცხენა ხელით, ეკიდება თორნის თავს, ძვრება შიგ თაედაყირა და რამდენიმე წამის შემდეგ ამოდის უცომოდ. თორნე მიაგავს უძირო ქვევრს. ცომის ნაჭრები — მომავალი შოთები — იკვრება თორნის შიგნით გაცხელებულ კედლებზე. ქვევიდან ზევით — თორნის ავსებამ-დე. თორნის ზედა პირი იხურება ფიცრებითა და თბილი საბურავით“.<sup>193</sup>

თორნეშივე ცხებოდა სიფრიფანა ლავაში, რომელიც თბი-ლისელთათვის პურიც იყო, საკმლის გასახვევიც, ხელსახო-ციცა და თეუშიც.

თორნის პურებსა და ლავაშებს თაბახზე — ხონჩაზე დადებულებს დაატარებდნენ ბაზრებში, მოედნებსა და ქუჩებში. „მოედანზე, — წერს ძველი მოღვაწე, — ჯვარის მამის ნაზუქ-ნაზუქი პურები უწყყიათ ხონჩაზე მეპურეებს გასაყიდათ და ყვირიან: ჰაი, აქეთ კარგი პურიო“.<sup>194</sup>

რუსეთთან ურთიერთობამ, რუს სამხედრო სამოქალაქო მოხელეთა ყოფნამ თბილისში, ბუნებრივად გამოიწვია რუსუ-ლი პურის საცხოზის მოწყობა, „ერევნის მოედნიდან ქვევით, — გადმოგვცემს დუნკელ-ველინგი, — მოსჩანს ფურნე, რომელშიაც აცხოზენ პურს“.<sup>195</sup>

რუსულ პურს ფრანგული ბულკები მოჰყვა. თავდაპირვე-ლად თბილისში რუსი მებულკე ჩამოვიდა, რომელიც „ფრან-გული ბულკის ცხოზას ვერ ასდიოდა“.<sup>196</sup> რუს მებულკეს, მერე ორი ფრანგიც მიშველებია.

„ფრანგულ ბულკებს“ „პიროკები“, „სტრანსბურგის ღვე-ძელები“ და სხვა რუსული და ევროპული ნამცხვრები მოჰყ-ვნენ.



„ხმალში“ და „დამბაჩაში“ გაწვევა საქართველოში ძველ-განვე იცოდნენ. ჩვენს საისტორიო წყაროებში შემონახულია რამდენიმე ცნობა თბილისში გამართულ ორთაბრძოლისა. 1650 წელს, ქ. თბილისში, როსტომ მეფის ბრძანებით, შიომ ბარათაშვილისა და ბაიანდურ თუმანიშვილს შორის, ტახტის მემკვიდრის მკვლელის გამოსააშკარაებლად, მოხდა ორთაბრძოლა. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს:

„შიომ ბარათაშვილმან წარმოსთქვა, რომ თუმანიშვილმან ბაიანდურ ჰკრაო ბატონიშვილს თოფიო. იმან აშორო თქვა. ამისთვის სამართალზედ შეაბეს და ბრძანებითა მღვთისათა სამართალი გაცხადდა. ორნივე თავიანთ რჯულის წესი გარდიხადეს. მეფე და თათარნი სომეხთკენ მოდგნენ და დედოფალი და ქართველნი შიომს მიუდგნენ.

მეფეს მოახსენეს: ამ რიგი საქმენიო უხმლოდ არ გარდასწყდებისო. მეფემანც ბრძანება ჰქნა — თავიანთ რჯულში რაც მართებული იყოს, გარდიხადონო და ჰაემანი დაუდვან ერთმანეთსაო. შებმის დროს ჩვენს კარს მოვიდნენო. მეფის ბრძანება გაათავეს, გაენდგნენ და ინანეს და თობა და თმობა აუთქვეს. ანდერძები გაათავეს და ეზიარნენ და ავის ნაქმარნი ინანეს და ვისთვისა შეცოდებინა, შეეხვეწნენ და შენდობა იმოვნეს და ვისაც რამე ემართა გარდუხადეს, თავიანთ სალდრები დაიარეს და შესაწირავი მიართვეს და რაც შეეძლოთ გლახაკთა და უღონოთ მისცეს.

ბორჯალსა და ჰაემანზედ თბილის ქალაქს მოვიდნენ და მეფის სასახლის პირდაპირ მტკვარს გაღმა საომრის ალაგად უჩინეს, რომ ყველგნით დასჰკრეტდეს. ორნივე საომრის იარაღით შეიმოსნეს და ცხენს შესხდნენ და გაღმა გავიდნენ და მეფემ ექვსი იასაული უჩინა საომრის ალაგზედანი და ცოხის კარები დაუგდეს, რომ არცვინ შეუშვან და არცვინ გამოუშვან და ერთმანერთის მოშორებით ცხენით იდგნენ.

გამოლმიდან დაუძახეს—ომისა და შეტევების დრო არისო უწინ ცხენს ქენებით შიომ მოუხდა და შუბი შემოსცა და ზედ შეამტვრია, ჯაკვი გაუტეხა და გვერდში გასჩარა, შუბის

პირი ამტვრია და გასცილდა. აწ სიანოშ წაეწია და ლახტი სცა და გასცილდა. აწ კიდევ ბაინდურ მიეწივა და ლახტი სცა, მაგრა ვითაც თავისის სისხლით ხელი სოველი აქონდა, ლახტი გასხლტა და ცხენმან თავგამზიდვარობა უყო და სიანოშ ლახტის ცემით მისდევდა. ბაინდურ ხმაღს ხელი წაიკრა და უკან უკუ ქნია და სიანოშს საცხვირეში მოახვედრა და ფირც-ლავე ცხენით გარდმოვარდა. თათართა და სომეხთაგან შეიქნა ხმამაღლა — ალაჰ, ალაჰ! — ძახილი.

ბაინდურ მოსაკლავად სიანოშს მიუხდა. იასაულეებმან არ დანებეს, მაგრა ცხენი მაშინაც მოუკლა. მეფემ ბძანა: შიოშ ციხოვანთ ტყვეთ მიაბარეს და ბაინდურ ამ დაკოდნილობით, ისრევე საომარ ცმული, თავისივე ცხენ იარალით გამოდმა გამოვიდა და მეფეს თაყვანი სცა და ასრე მოახსენა: თქვენს მტერს უნდოდა შეგებმოდითო, ორნივე უბრალონი ტყვილათ შევიხოცენითო და თავის სადგომს წავიდა. მეფემან ჯარა და მომია გაუგზავნა მრავლის სარჯლით შუბის პირი ამოართ-ვეს, ორს წლამდისინ დაკოდილი ძლივს გაუმთელდა სიანოშს და ქართველთ იპატივეს და მისი ჯაჭვი და იარალი მეფემ ბაინდურს მისცა“.<sup>197</sup>

მოგზაური უან შარდენი ერთ მეტად საინტერესო ორთაბრ-ძოლას აგვიწერს თავის მემუარებში:

„კახეთის საჰეფო ახლა სპარსეთის მეფეს ემორჩილება. შაჰ-ნავაზ-ხანმა დაიმორჩილა. მისი შვილი არჩილი არის იქ მეფის მოადგილედ. არჩილს უყვარდა იმერეთის მეფის ქვრივი ნესტან-დარეჯანი, ეს ქალი ტყვედ იყო ახალციხეში. ფაშამ 1660 წელს გაანთავისუფლა ნესტან-დარეჯანი. არჩილმა ჯვარი დაიწერა ნესტან-დარეჯანზე. ამის გამო ერთი საყურადღებო საქმე შეემთხვა.

არჩილი სიყმაწვილითვე დანიშნული იყო ქართველთა პირ-ველ თავადიშვილის ქალზე. ქალს დიდი იმედი ჰქონდა, მალე არჩილის ცოლი შევიქნებო. როდესაც გაიგო ქალმა, არჩი-ლმა ნესტან-დარეჯანი შეირთოო, გაუგზავნა კაცი და შეუთ-ვალა, რად შეურაცხავ ჩემი სახელიო. ქალმა მიმართა სასა-მართლოს. რაკი ამ გზით ვერა გაიწყო რა, მიუძღვა 400

შეიარაღებულ კაცს და საომრად გამოითხოვა მოლაღატე. არჩილმა უარი თქვა: არ მსურს ქალთან ბრძოლა; ეგრე გამოიღებ თავს, თორემ გავამეღაენებ, რომ სიზი კვენსულობდა, შენ იმას მოწყალის თვალით უყურებდიო.

ქალი უფრო განრისხდა და ახლა სიზის გადაეკიდა. ქალმა გამოითხოვა სიზი ხმალში, მაგრამ თავადიშვილმა უარი თქვა, მაშინ ქალი ადვა, ჩაესაფრა იმას ერთ ალაგას, გააქცია, გამოუღვა და 20 კაცზე მეტი მოუკლა. ქალს ძმა ჰყავდა და დის მაგივრად ახლა იმან დაუწყო დევნა სიზის. მეფე და მთლად კარისკაცი ცდილობდნენ შეერიგებინათ, ვერ მოახერხეს; მისცეს ნება იარაღით გადაეწყვიტათ დავა. სიზი და მისი მოწინააღმდეგე გავიდნენ მოედანზე, მაგრამ ჯარისკაცებმა დააშორეს ისინი, როდესაც მათ მიჰყვეს იარაღს ხელი. ქალი თითქმის მოკვდა სირცხვილით და ჯაერით, როდესაც ნახა, მეფის ბრძანებით, მისი ძმა იძულებული შეიქნა შერიგებოდა არჩილს და სიზისა.<sup>188</sup>

შემდეგ „ხმალში გაწვევა“ დამბაჩით ბრძოლით შეიცვალა. 1818 წლის 23 ოქტომბერს თბილისში დამბაჩებით დუელში გაჰყვნენ ერთმანეთს რუსეთის გამოჩენილი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი და ი. ა. იაკუბოვიჩი.

ჩვენ, — გადმოგვცემს ორთაბრძოლის მონაწილე ნ. მურავიოვი, — დავნიშნეთ მოაჯირები ექვსი ნაბიჯით დაშორებული ერთმანეთისაგან, დაეტენეთ დამბაჩები, დავაყენეთ ადგილებზე მებრძოლები და რამდენიმე ნაბიჯით მოვშორდით. გრიბოედოვიცა და იაკუბოვიჩი უსერთუკებოდ იყვნენ. იაკუბოვიჩმა მაშინვე სწრაფი ნაბიჯით მიიწია თავის მოაჯირთან და გრიბოედოვის გასროლას ელოდა. გრიბოედოვი ორი ნაბიჯით წინ წამოვიდა. ერთ წამს ისინი ამ მდგომარეობაში გაჩერდნენ.

„ცელქობ, მეგობარო“, — სიცილით სთქვა იაკუბოვიჩმა, — ეს სულგრძელობაა, მაგრამ უთავაზობაა. თუ დუელია, დუელი იყოს, აი, შენ გიყვარს ფორტოპიანოზე დაკვრა, მაგრამ აწი ველარ დაუკრავ!“ გრიბოედოვი ისმენდა ამ წინათქმას, იდგა სწორად მარცხენა ხელჩამოშობილი. იაკუბოვიჩმა გაის-

როლა. ტყვია მარცხენა ხელის ტერფში მოხვდა გრიბოედოვს და ხელი დაუზიანა.

მოვიდა გრიბოედოვის ჯერი. მას არ სურდა ესარგებლა უპირატესობით, უკან მივიდა მოაჯირთან და გაისროლა. ტყვიამ კეფასთან გაუქროლა იაკუბოვიჩს და მიწაში ჩაეშვა<sup>199</sup>.

ყოველგვარ ღონისძიების მიუხედავად, დუელის ამბავი მაშინვე მოედო ქალაქს და ხელისუფლებამდე მიაღწია. იაკუბოვიჩი ჰაუპტეხატში ჩასვეს და მერე უკან გაგზავნეს თავის ნაწილში. გრიბოედოვი კი დასჯას გადაარჩა.

1829 წლის 26 მაისს თბილისში ჩამოსული პოეტი ა. ს. პუშკინი ვერ გადაარჩა დუელის „ხათაბალას“. წითელწყაროში ამხანაგების სანახავად ჩასულმა პუშკინმა შემდეგნაირად ჩაატარა ორთაბრძოლა პაპკოვსა და კარაიანის შორის. დუელის მომსწრე პ. ხანჯონკოვი მოგვითხრობს:

„ნადიმზე, როცა სასმელმა ზოგ დამსწრეს თავი გაუბრუნა, ოფიცერთა შორის გაიბა ისეთი საუბარი, რომელიც არ უნდა დაწყებულიყო პაპკოვმა აუგად მოიხსენია პოლკოვნიკის ცოლი და გადაჰკრა სიტყვა ოფიცერ ნიკოლოზ კარაიანს. კარაიანი აღშფოთდა. მათ შორის გაიმართა მოურიდებელი დიალოგი, რომელიც იმით დასრულდა, რომ კარაიანმა პაპკოვი დუელში გაიწვია.“

ორივემ პუშკინს მიმართა თხოვნით, ყოფილიყო მათი სექუნდატი. პუშკინი ცდილობდა როგორმე შეერიგებინა მოწინააღმდეგენი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. როდესაც პუშკინი დარწმუნდა, რომ მათი შეერიგება შეუძლებელი იყო, ძალიან ნაწყენმა და ჩაფიქრებულმა დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა. წაჩხუბებულნი მოუთმენლად ელოდნენ პასუხს. ალექსანდრე სერგეის-ძე უცებ შეჩერდა, მიუბრუნდა კარაიანსა და პაპკოვს და უთხრა: „კეთილი, თქვენ ორში კენჭის ყრით ერთის სექუნდანტი ვიქნები, შეორე სექუნდანტის არჩევის უფლებას, ალბათ, მომცემთ“.

კარაიანი და პაპკოვი ხმაამოუღებლივ დაეთანხმნენ. პუშკინმა დანიშნა ადგილი და დრო დუელისა. „ხვალ დილის 6 საათზე, — სთქვა მან, — ყარაღაჯის ტყეში გაიმართოს ორთაბრძოლა“. პუშკინმა მოამზადა ორი ბილეთი, დაწერა მათზე მეტო-

ქეთა გვარები, ჩაყარა ქუდში და მიუტანა კარაიანსა და პაპკოვს. ორივემ ამოიღო ბილეთები. პუშკინს წილად ხვდა პაპკოვის სეკუნდანტობა. კარაიანის სეკუნდანტად ალექსანდრე სერგეის-ძემ დანიშნა თავადი მირზაჯანა მადათოვი.

კარაიანმა მაშინვე დატოვა პაპკოვის ბინა. ნახევარი საათის შემდეგ პუშკინმა წინადადება მისცა პაპკოვს წასულიყო რომელიმე ოფიცერთან და იქ ყოფილიყო, ვიდრე არ დაუძახებდნენ. როდესაც პაპკოვი გავიდა, ალექსანდრე სერგეის-ძემ გაისტუმრა მსახური ქალი, გადაარაზა კარი და დამსწრეთ გვამცნო გეგმა ხვალინდელი დღის ღუელისა.

მთელი უძილო ღამე ჩვენ, თორმეტმა ოფიცერმა, დაეყავით ალექსანდრე სერგეის-ძესთან. თვითონ პუშკინს ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს. იგი ორჯერ გავიდა სადღაც მადათოვთან ერთად.

როცა ირიჟრაჟა, ჩვენ ყველანი, მადათოვის გარდა, რომელიც ძალიან ადრე წასულიყო, გამოვედით პუშკინის ოთახიდან და გავსწიეთ ტყისაკენ. ნახევარი საათის შემდეგ დანიშნულ ადგილას მოვიდნენ: კარაიანი და მადათოვი. მერე პაპკოვი და პუშკინი.

ალექსანდრე სერგეის-ძე მიესალმა კარაიანსა და მადათოვს, რაღაც გადაულაპარაკა უკანასკნელს. როდესაც მოწინააღმდეგენი დამბაჩით ხელში დანიშნულ ადგილას დადგნენ, პუშკინი მიუბრუნდა მათ და დაიწყო:

„ბატონებო! გთხოვთ უსმინოთ განკარგულებას, სროლა იყოს მესამე დათვლაზე. ვიწყებ. „ერთი“. უცებ ტყეში გაისმა მოხერხებულად მიმალული ორკესტრის ხმა. თვალის დახამხამებაში ჩვენ, ოფიცერნი, ორ-ორი ბოთლი შამპანურით ხელში ჩავდექით კარაიანსა და პაპკოვს შორის.

ამ ამბავმა ძალიან გააოცა და შეაკრთო ორივენი. „ბატონებო,—დაიწყო კვლავ პუშკინმა,—თუ მკვლევლობა მოხდება, ეს ჩვენ ყველას დაგვლუპავს, გემუდარებით შერიგდეთ“. ალექსანდრე სერგეის-ძე მეტისმეტად აღელვებული იყო, მძიმედ სუნთქავდა, მისი მოკრიალე თვალები ცრემლებით ავისი-

ლიყო. უჩქარესი ნაბიჯით მიდიოდა იგი ხან ერთთან, ხან მეორესთან და ცდილობდა დაეყოლებინა ისინი.

ორივენი მტკიცე უარზე იდგნენ. განვლო საკმაოდ დიდმა ხანმა. ბოლოს პაპკოვმა დაუშვა დამბაჩა, მივიდა კარაიანთან და უთხრა: „ნიკოლოზ მიხეილის-ძეე! მე არ ვარ შენთან მართალი იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც გუშინ მოგაყენე, გთხოვ მომიტეო“. კარაიანმა პასუხისა და კმაყოფილების ნიშნად ხელი გაუწოდა პაპკოვს.

ჩვენ, იქ მყოფი ოფიცრები, მეტად გაგვახარა პაპკოვის ასეთმა საქციელმა, მივცვივდით კარაიანს, პაპკოვს, პუშკინს, და დავუწყეთ კოცნა. ჩაეჯექით იქვე და შევეუდექით გამალებულ სმას. დაილია რამდენიმე დუყინი ბოთლი შამპანური. სევამდნენ და ლხინობდნენ ოფიცერთაგან გათამამებული ორკესტრის წევრნიც“.<sup>200</sup>

არანაკლებ ორიგინალურად დასრულდა დუელი სახელოვან პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის ბიძა ილია ორბელიანს შორის.

„იმ ხშირ საღამოებს, — წერდა იონა მეუნარგია, — რომლებსაც ოჯახებში ატარებდა იმ დროს ქალაქელი უთეატრო საზოგადოება, ბარათაშვილი ხვდებოდა ერთ თავის ამხანაგს მაღალაშვილს. ეს მაღალაშვილი ენამახვილი კაცი იყო და ხშირად დასცინოდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს. დაცინვაში ხანდახან ბარათაშვილიც წაეხმარებოდა მაღალაშვილს.

ორბელიანმა დიდხანს ითმინა დაცინვა, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა გადაწყვიტა პირველსავე კრებაში ჩხუბი აეტეხნა იმათთვის და მაღალაშვილი გამოეთხოვა ხმალში. საუბედუროდ, პირველ კრებაზე მაღალაშვილი არ მოვიდა და ორბელიანმა ჟინი ბარათაშვილზე ამოიყარა. ის დისწულობით არ დაერიდა უკანასკნელს და დუელში გამოითხოვა.

იქ მყოფ ამხანაგებს, სხვათა შორის, ლევან მელიქიშვილს, უნდოდათ ხუმრობაში გაეტარებინათ ეს გამოთხოვა, მაგრამ რომ ვერ მოხერხდა შერიგება, სეკუნდანტები აირჩიეს. ილია ორბელიანმა ყაბარდოელი ატაყუკინი და ბარათაშვილმა — მაღალაშვილი. დანიშნეს დრო, ადგილი და გაემგზავრნენ ორივე

დუელიანტი და მათი სეკუნდანტები ერთად, ფეხით. პირობა დასდევს, ვინც ცოცხალი და უვნებელი გადარჩებოდა, იმას უნდა დაზიანებული მიეყვანა ჭირისუფლებისათვის, ან მკვდარი ან ცოცხალი. გზაზე ლევან მელიქიშვილმა დაუწყო გახსნევაბა ბარათაშვილს. ეს რომ ორბელიანმა გაიგონა, იწყინა და უთხრა მეგობარს:

— შე კი არ გებრალეები, ლევან?

— არა, არ მებრალეები, იმიტომ, რომ შენ ხარ მიზეზი ამ დუელისა, — უპასუხა მელიქიშვილმა.

მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, გაზომეს ნაბიჯები, გატენეს დამბაჩები და დააყენეს მოპირდაპირენი. სეკუნდანტის ხმაზე ერთი, ორი, სამი — მოწინააღმდეგეთ ჩამოუშვეს ჩახმახი. იგრიალა ბარათაშვილის დამბაჩამ, ორბელიანის ფალიაში მხოლოდ წამალი ამოიწვა. ორბელიანს ეგონა, რომ მოატყუეს, მოითხოვა ხელახლად გაეტენათ.

მეორეჯერ გაჯარდა დამბაჩა და ბარათაშვილი წაიქცა... ორბელიანს ეგონა, რომ მოკლა და სასოწარკვეთილი მივარდა თავის დისწულს, დასწვდა და შიშით წალებულმა მოავლო ხელი მწოლარეს ჯიბის ახლო.

— აი! ქიშმიში მაქვს, ქიშმიში! ჯიბიდან არ ამომაცალო! — დაიძახა უეცრივ განგებ წაქცეულმა ბარათაშვილმა.

— უი, შენ დაგწყევლოს... შე შეჩვენებულო, — იყო ხმა ორბელიანისა.

თურმე სეკუნდანტებს, როცა ორბელიანმა თავისი არ დაიშალა, ერჩიათ დამბაჩები უტყვიოდ გაეტენათ და პირველი სროლის შემდეგ; რომ საიდუმლო არ გამოაშკარებულყო, მაღალაშვილმა წასჩურჩულა ბარათაშვილს: მოხვდებოდა თუ არა ტყვია, უთუოდ წაქცეულიყო. ორბელიანმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ასე ბედნიერად გადაურჩნენ სიკვდილს ორნივე ბიძა-დისწული“. 201

ორთაბრძოლის ველურმა ტრადიციამ კიდევ საკმაო ხანს იბოგინა.

სიონის ქუჩაზე მეფეთა „სასახლის სამხრეთით, რამდენიმე საენის მანძილზე ზარაფხანა იყო, რომელსაც პირი მტკვრისკენ ჰქონდა მიქცეული. იგი მთლად თაღებით იყო გადავლული და ამ თაღებს ზემოდან ხერგელები ჰქონდა სინათლისათვის“. 202

მეფე გიორგი XII სიკვდილის წინა ხანებში ზარაფხანაში მოიქრა ქართული ფულის უკანასკნელი ცალები.

„ფულს, — წერს პ. იოსელიანი, — სკრიდნენ მეფისა გიორგის დროსა ვერცხლისა აბაზიანსა, ორ-აბაზიანსა, ორშაურიანსა და ერთ ფულიანსა. ლეკთა გამო, რომელნიცა თხოულობდნენ ჯამაგირსა, მეფემან უბოძა ვერცხლის ბადიები და ვერცხლის კოკები და აქედან მოაქრევიანა 700 თუმანი“. 203

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თბილისში მოიქრა რუსულ-ქართულ ემბლემიანი ნაშალი ფული. იგივე პ. იოსელიანი გადმოგვცემს: „მუსინ პუშკინის დროსა, ზარაფხანაში, რომელსაც უწოდეს მონეტნი დგორი, ახტალისა მადნებიდამ გადმოტანილსა ვერცხლისა მოსკრეს სახედ და საჩვენებლად რუსთა და ქართველთა რამდენიმე ბრონზისა ფულნი; მათხედ იყვნენ გამოჩენილნი ერთსა მხარეს არწივი რუსეთისა და მეორესა ღერბი ქართველთა მეფისა, ესენი შემდგომად წარუვლინეს რუსეთისა დიდთა კაცთა“. 204

1802 წლამდე თბილისის ზარაფხანაში აღარაფერი მოუქრიათ. აღნიშნული წლის 25 აგვისტოს გაიკა ბრძანება თბილისში ახალი ზარაფხანის გახსნის შესახებ. იმპერატორის განკარგულებით თბილისის ზარაფხანისთვის უნდა მიეცათ პეტერბურგის ბანკის გაუქმებულ ზარაფხანის უქმად გდებული ფულის საჭედი ოთხი თუჯის ურო, ბეჭდები და ლიტერის პუნსონები, უნდა გაგზავნილიყვნენ ზარაფხებიც. პეტერბურგიდან უნდა მოსულიყო მინცმეისტერი, ტულის თოფიარალის ქარხნიდან — ფულის ორი მომქრელი, ყველა საჭირო ხელსაწყოებით და ფოლადის მარაგით.

ახალი ზარაფხანის საერთო ხელმძღვანელი მუსინ-პუშკინი იყო. ტექნიკური ხელმძღვანელობა ებარათ სამთო ინჟინერებს: მარკშიდერ — პ. ზაიცევს, რომელიც მეორე ზარაფხანის



მექანიკურ ნაწილს განაგებდა და ბერგ პრობირერა—ა. კარპინსკის, ზარაფხანის ქიმიური ნაწილის გამგეს.

მინცმეისტერი და ზარაფხანის სხვა მოხელენი ჩამოვიდნენ 1802 წლის მაისში. ზარაფხანამ მუშაობა 1804 წლის სექტემბრიდან დაიწყო. ახალმა ზარაფხანამ ვერცხლის შემსყიდველად აიყვანა სამეფო ზარაფხანაში ამავე თანამდებობაზე ნამყოფი იასე ნაზარიშვილი.

ზარაფხანა მოთავსებული იყო ყოფილ სამეფო ქვის აბანოებში. მას ოთხი საკანი ეკავა. ზარაფხანის ამუშავებასთან ერთად შემოღებულ იქნა სინჯის დასმა თბილისელ ხელოსან ოქრომჭედელთა და ვერცხლეულის სხვადასხვა ნაკეთობაზე.

1831 წლის ივლისში დიდი წვიმების შედეგად ზარაფხანის ძველი და საესებით შერყეული შენობის ქერი ჩაინგრა. ზარაფხანის იარაღ-მოწყობილობა იქვე მახლობელ ძველ მეჩეთში გადაიტანეს.

თბილისის ზარაფხანის არსებობის მთელ მანძილზე (1804—1834 წ. წ.) „სპილენძის მონეტები აქ იჭრებოდა მხოლოდ 1804—1810 წლების განმავლობაში. იჭრებოდა სულ სამი სახის მონეტა: 1. „ე ქართული ფული“, ანუ „ერთფულიანი“, რომელიც უდრიდა რუსულ ნახევარ კაპიკს; მეორე „ი ქართული ფული“ ანუ „ორფულიანი“, უდრიდა 1 კაპიკს; მესამე „კ ქართული ფული“ ანუ „ბისტი“, უდრიდა 2 კაპიკს.

ვერცხლის მონეტები იჭრებოდა 1804—1834 წლის განმავლობაში. იჭრებოდა სამი სახის მონეტა: 1. „რ ქართული თეთრი“ ანუ „ორშაურიანი“, რომელიც რუსული ფულით უდრიდა 10 კაპიკს; 2. „ს ქართული თეთრი“ ანუ „აბაზიანი“, უდრიდა 40 კაპიკს.“<sup>205</sup>

1834 წელს თბილისის ზარაფხანამ შეწყვიტა მუშაობა და რუსული ფული იქნა შემოღებული.

## 23. ფაიფურისა და შუშის ჭურჭელი

XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებამდე თბილისში ფაიფურისა და შუშის ჭურჭელს არ იცნობდნენ. „საქართველოში, — წერდა რუსი რეზიდენტი იაზიკოვი, — ჩვენი კორპუ-

სის შესვლის შემდეგ მეფე ერეკლემ გააკეთებინა მაგიდები და სკამები, გამოიწერა ფაიფურის ჭურჭელი“. 208

ფაიფურის ჭურჭელს შუშეული მოჰყვა. პუშკინის ბაზრის მახლობლად იყო წყება შუშეულობის დუქნებისა. მოგზაური დუნკელ-ველინგი შენიშნავდა: „ქარგაღ დიდ მანძილზე გაქიმულია ჭურჭლის დუქნები, სადაც თვალისთვის გამოფენილია ბრკვეიალა შუშის ნივთები და ქაშანურის ნაწარმოები დაწყებული ვეება სასმისით, რომელშიაც ერთი ბოთლი ჩავა და გათავებული კიბოს ან კომბოსტოს თავის მსგავსად გაკეთებული საკარაქეთი. ყველაფერი ეს მოაქვთ რუსული ფაბრიკებიდან“. 207

შუშეულობით გატაცება ავადმყოფობად გადაექცა ზოგიერთს. ყაფლან ორბელიანი ერთი იმათგანი იყო. ნინო ქობულაშვილი იგონებს: „უყვარდა შუშეულობის ყიდვა. კვირაობით სახლს შუშებით აავსებდა. ცოლი სულ ესაყვედურებოდა: რა არის, კნიაზო ყაფლან, ამდენი მინეულობის ყიდვა“. 208

შუშეულობაზე დიდმა მოთხოვნილებამ აიძულა ხელისუფლება ეზრუნა მინის ფაბრიკის დასაარსებლად. 1828 წელს თბილისში ჩამოვიდა მინის წარმოების მკოდნე ივანე ლევაშოვი, რომელმაც მოიარა საქართველოს კუთხეები და ყველაზე ხელსაყრელ ადგილად ბორჯომის ხეობა აირჩია.

1830 წელს დაიწყო ბორჯომში მინის წარმოება. დასახელებულ წელს ლევაშოვს მოუკვდა თანაშემწე, როპელმაც სათანადო გავლენა იქონია წარმოებაზე, მერე მეპატრონეც გარდაიცვალა. ლევაშოვის ფაბრიკის ნაწარმი შავი ფერისა იყო, რუსეთიდან მოტანილ შუშეულს ვერ უტოლდებოდა, ამიტომ ბაზარს ვერ იპყრობდა. ბორჯომიდან მინის წარმოება აწყურში გადაიტანეს, მაგრამ აქაც ვერაფრითარ შედეგი ვერ მიიღეს.

ორმოციან წლებში გორელმა მემამულემ ელიზბარ ერისთავმა სოფელ ღვარებში განაახლა მინის წარმოება. ერისთავის მინის ქარხანამ შედარებით უკეთესი პროდუქციის გამოშვება დაიწყო. დასახელებული წარმოება შუშეულით ამარაგებდა თბილისის „სათადარიგო აფთიაქს“ და აკეთებდა ღვინის ბოთლებს.

ორთაჭალის ბაღები გიორგი XII ეკუთვნოდა. გიორგი მეფის სიკვდილისა და მისი ვაჟის — დავით ბატონიშვილის პეტერბურგში გადასვლის შემდეგ, ეს ბაღები დოსითეოს ფირცხალაურის ხელში გადავიდნენ.

პ. იოსელიანი წერს: „ბაღი ეს იყო ორთაჭალას. შემდგომად მეფის ძისა რუსეთისა წასვლისა მიეცა იგი დოსითეოს არქიეპისკოპოსსა, გვართა ფირცხალაურსა, და შემდგომად ამისა შეისყიდა იგი სომეხმან, თბილისელმან, მოქალაქემან ტერ-შიმოვანოვმა“. 208

„მცენარეთა სამეფო“ — ორთაჭალის ბაღები უსაყვარლესი თავშესაფარი იყო ზაფხულის პაპანაქების დროს.

თბილისში ჩამოსულთა საპატივეცემო სადილები და ნადიმები ორთაჭალის ბაღებში ეწყობოდა. 1829 წლის 27 მაისს საქართველოში ჩამოსულ რუსეთის გენიალურ პოეტს ა. ს. პუშკინს თბილისში მყოფმა მისმა ლიცეუმის ამხანაგებმა ორთაჭალის ბაღში მოუწვევეს შესახვედრი სადილი. ნადიმის ხელმძღვანელი კონსტანტინე ივანეს-ძე საეოსტიანოვი წერს:

„თბილისის თვალწარმატად ადგილებში ძნელი არ იყო პატარა ადგილის პოვნა რუსი პოეტის სამასპინძლოდ. მე ავირჩიე ქალაქის გარეუბნის ბაღ-ვენახი, მტკვრის ვაღმა, ორთაჭალაში და აქ მოვუწყვე შეხვედრა ჩვენს ძვირფას სტუმარს ევროპულ-აზიური გემოვნებით.

აქ იყვნენ შეკრებილნი სხვადასხვანაირი მემუსიკენი, მოპლერალნი, მოცეკვავენი და აზიელი მუტრიბნი, რომელნიც მაშინ საქართველოში იყვნენ. მთელი ბაღი იყო განათებული მრავალფეროვანი ლიფლიფებით და ცვილის სანთლებით ხის ტოტებზე. შუა ბაღში კი იყო აღმართული ხეულწერილად იმისი სახელი, ვის პატივსაცემად გამართული იყო ეს ნადიმი.

ნადიმის ოცდაათზე მეტი ერთსულოვანი მასპინძელი ბაღის შესასვლელთან გამოეგება ძვირფას სტუმარს. როგორც კი გამოჩნდა პუშკინი, ყველანი ეცნენ კარს „ვაშას“ ძახილით.

მთელმა საღამომ შეუმჩნეველად გაიარა ბაასში სხვადასხვა საკითხებზე, აპბების თხრობაში და სასაცილო ანეკდოტების მოყოლაში. ყველანი მხიარულობდნენ, მუსაიფობდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. ყველა განიცდიდა უდიდეს აღმაფრენას. აქ იყო ზურნაც და თამაშიცა, ლეკურიც და სევდიანი ჰანგებიც“. <sup>210</sup>

კ. სავოსტიანოვის ცნობითვე ხსენებულ ნაღიმზე უმღერიათ „ახაჰო - ც“. <sup>211</sup> ექვი არაა, ხსენებული მოგონების ავტორი გულისხმობს პოეტ დიმიტრი თუმანიშვილის ცნობილ ლექსს „ახალ აღნაგოს“. აი თითონ ლექსიც, რომელიც ორთაქალის ბაღში უმღერეს პუშკინს:

ახალ აღნაგო სულოდა,  
ედემში აღმოსულოდა!  
ჩემს ეტლზედ დანერგულოდა,—  
სიცოცხლეს შენგან მოველი,  
უკვდავება ხარ ცხოველი!

ორი კვირისა მთვარეო,  
ნათელ ბრწყინვალე არეო,  
ანგელოზ მიწყინ ფარეო,—  
სიცოცხლეს შენგან მოველი,  
უკვდავება ხარ ცხოველი!

ბუნების ხატო შემკულო,  
ცისკარო მრჩობლად დართულო,  
ბეზიკო ეშხით მორთულო,—  
სიცოცხლეს შენგან მოველი,  
უკვდავება ხარ ცხოველი.

პირის კამკამის ელვარებ,  
მშვენებით მეტრფეს ახარებ,  
ნახის ქცევით მიმოარებ,—  
სიცოცხლეს შენგან მოველი,—  
უკვდავება ხარ ცხოველი!

საუკუნოთ მაქვს სურვილი,  
ტრფიალებიისა წყურვილი,  
სატრფოს ქვეყნისა ურვილი,  
სიცოცხლეს შენგან მოველი,  
უკვდავება ხარ ცხოველი!

შმაგო მიჯნურა და ხელო,  
თრიაყის ტურფად შემსმელო,  
სატრფო ქვეყნისა დამწველო,  
სიცოცხლეს შენგან მოველი,  
შკვდავება ხარ ცხოველი!

მთის ვარდო, ნამით ცვრეულო,  
ყვავილ ხელმწიფად რჩეულო,  
კეთილ მშვით მარად ჩვეულო, --  
სიცოცხლეს შენგან მოველი,  
შკვდავება ხარ ცხოველი! <sup>212</sup>

პუშკინს იმდენად მოეწონა ეს ლექსი, რომ მას იგი ქართულად ჩაწერილი გადასცეს და რუსულად უთარგმნეს. ეს ჩანაწერი ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოჩნდა პუშკინის პირად არქივში უცნობი პირის მიერ ჩაწერილი. პუშკინი თავის „არზრუმში გამგზავრებაში“ შენიშნავს: „ქართული სიმღერის ხმა სასიამოვნოა. ერთი სიმღერა („ახალ აღნაგო“ — ი. ბ.) სიტყვასიტყვით გადმომითარგმნეს; მასში რაღაც აღმოსავლური უაზრობაა, რომელსაც თავისი პოეტური ღირსება აქვს“, <sup>213</sup> — და იქვე მოჰყავს ლექსის რუსული თარგმანი.

თავის მოგონებაში სავოსტიანოვი წერს, რომ ამ ნადიმზე განათლებულ ახალგაზრდათაგან იყო ხშირი ხსენება ბაირონისა აღმოსავლეთის მწერლებთან ერთად. „პუშკინს, — გადმოგვცემს ნადიმის ხელმძღვანელი, — ყველა აღტაცებაში მოჰყავდა, ყველას ართობდა იგი თავისი მუნასიბეზმებით და ამბებით. ამ დღეს პუშკინმა თავისი სულიერი მხიარულების მწვერვალს მიაღწია.

იგი არამც თუ ენაწყლიანობდა ამ დღეს, არამედ მკვერმეტყველებდა კიდევ. როგორ ორიგინალურად ეძლეოდა ის აზიურ ღრეობას, ხშირად წამოხტებოდა ადგილიდან, როდესაც გულსაკლავ სიმღერას სათამაშო ლექური შესცვლიდა. პუშკინი თავს ანებებდა საუბარს მაშინვე და ისწრაფოდა მოესმინა ქართული სათამაშო ან მესტვირე.

ყველაფერს აქვს დასასრული და ჩვენი დაუვიწყარი ღამე უკვე იცვლებოდა გარიჟრაჟით. სამხრეთის ცის ლაქვარდი არღვენის ფრად შეიღება და ყველანი წამოიშალნენ რუსული

პურძარილის მოსამზადებლად ჩვენი სტუმრისათვის. უმაღვე გაიშალა სუფრა, დამზვენებული ვერცხლის ლარნაკებში მოთავსებული ყვავილებით, ხილით, ფიალ-ჯამებით, ქართული აზარფეშებითა და კულებით. ყველანი ახლო შემოუსხდნენ სტუმარს, რათა მოესმინათ მისი სიტყვები, ეკვრიტათ მისთვის.

ყველაფერი კვლავ ალაპარაკდა, ამხიარულდა, ამღერდა. ბოლოს აღიმართა სადღეგრძელო ფიალა შუშხუნა სასმისისა, მთელი თანამესუფრენი კვლავ ერთ ცოცხალ აღტაცებულ გრძნობას მიეცნენ და როდესაც საზეიმოდ ადღეგრძელეს პუშკინი, კვლავ გაისმა „ვაშას“ ძახილი შამპანურის წინწყლებთან ერთად, დღესასწაულის სტუმართ-სტუმარის სასახელოდ. „ვაშას“ ძახილი, ორკესტრები, მუსიკა, სიმღერა, სასმისთა შეჯახება და მეგობრული ამბორი აირია ჰაერში.

ყველაფერი ზეიმობდა, როდესაც ევროპულმა ორკესტრმა პუშკინის სადღეგრძელოს დროს დაუკრა მარში ოპერა „თეორი ქალიდან“, პუშკინს დაადგეს ბაბთაწნულის გვირგვინი, ჩასვეს სავარძელში და მხრებზე შეიდგეს „ვაშას“ განუწყვეტელ ძახილთან ერთად, რომელიც ორკესტრის ხმოვანებას ჰფარავდა. შემდეგ იგი დასვეს ამაღლებულ, ყვავილებით მორთულ თალარში და ყველა, ვინც მიუახლოვდებოდა, სადღეგრძელოს სირჩით გამოხატავდა თავის გრძნობებს და ბედნიერებას, რომ პუშკინს ხედავდა.

პუშკინი ჯერ სდუმდა ამ მისალმებებზე, შემდეგ ცრემლებით აევსო თვალები, რომლებიც გამოხატავდნენ საამურო გრძნობებს, რომლითაც იყო იგი მოცული. ბოლოს, როცა აღტაცების ხმები მისწყდა, პუშკინმა თავის მჭევრმეტყველო სიტყვაში მადლობა გადაგვიხადა მეჯლისისათვის, რომელიც ამგვარად თავდებოდა: „მე არ მახსოვს, — ამბობდა პუშკინი, — დღე ამაზე მეტად მხიარული, მე ვხედავ როგორ ვლყვარვარ ხალხს, როგორ მათასებენ და ესმით ჩემი, ეს მბედნიერებს მე“. როდესაც პუშკინმა გაათავა სიტყვა, მეგობრულად გადაგვიხვია და გულითადად გვემადლიერებოდა ამ დაუფიწყარ მისალმებებზე“.<sup>214</sup>

დილამდე გასტანა ნადიმმა. ეს დრო წარუშლელ კვალად დარჩა პუშკინის მეგობრებს შორის.

ლხინები, ნადიმები და მეჯლისები ერთმანეთს მიჰყვებოდნენ ორთაქალაში. 1832 წლის 15 სექტემბერს დავით ყორღანაშვილი თბილისიდან სწერდა გ. ორბელიანს: „წრევანდელისთანა ლხინები არ ყოფილა, რიგის პურსავით ყველას კამპანია გამართული აქვსთ და სულ ბალებში. ზეგ, ე. ი. შაბათს მე მყვანან დაპატიებულნი ბაღში ვახშმად და კვირას სადილად ნინო, თარხნიანთ სალომე დედითურთ, ჩვენი დედა ხორეშან, ელისაბედ, ყორმაზის და სოფიო თავის ქმრით — გრიგოლ ბარათოვით, იაგორ სტეპანიჩის და, სტეფანოვიჩის ცოლი. კაცები: ბ-ნი იაკობ, იაგორ სტეპანიჩი, გერასიმა, ყორხმაზ, ანდრია და სხვა ახალი მეგობრები, რომელსაც შენ არ იცნობ.“<sup>216</sup>

ორთაქალის ბაღში არა ერთხელ „ჩამსხდარა“ გრიგოლ ორბელიანიც. ერთ-ერთ ქეიფს პოეტის ასე აღწერს ტასო აგლობეიოსადმი გაგზავნილ ბარათში: „ამას წინად შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები — მე, ჩილაევი, გიორგი მუხრანსკი, შახავსკოი, მირსკი, ლევან, ისაკ, ჯორჯაძე, სულთან გირევი, სოსიკო და ალაღაროვი. წავედით საღამოზე ორთაქალას და მტკვრის პირზე ჩავსხედით ზურნით, ქიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერალითა და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი.

ამ დროს საღ იყო, საღ არ იყო — წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენს პირდაპირ შუა მტკვარზე დადგა. მოთავემ დაიძახა: „წმინდა სანთლები აანთეთ!“ და აენტო ნავის გარშემო წმინდა სანთლები ჩირალდნად! დაიძახა: „გაშალეთ სუფრა!“ და გაიშალა. მოართვეს მოთავეს თეფში, ოთხი ქიქებით და დაილია ოთხივე დიდის მოლხენით; მერე თვითონ აავსო ოთხივე და ჩაურთვა რიგზე ყველას ოთხ-ოთხი და ამით გაჩაღდა ლხინი — ჩვენი აქედან, იმათი შუა მტკვრიდან.

გამოჩნდა, რომ ნავის აღმირალი იყო კუნძუას ძმა, ყასაბი! შუა ლხინში რომ შევიდნენ, დაიძახა აღმირალმა — ასე დავარქვით მოთავეს — „ებლა მწუადები მოვიდეს!“ ამ სიტყვებზე ერთი ნავიდან გადმოვიდა. მალაყსა, ჯერ ჩაიღუპა და მერე მძოვრით ამოვიდა, მოუსვა ვეება მკლავები და გამოვიდა

ტიტველი მიკიტნის დუქანთან, საიდანაც ცხელ-ცხელი შამფურები პუტნალაღით გაიტანა ნავეში და შეიქნა კვლავ ახალი ჩამორიგება ოთხ-ოთხი ჭიქებისა ერთად. ჩვენი საზანდრების სიმღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და სშირად იძახოდნენ: „ერთი კიდევ, გეთაყვა, ჯანუმ! გიოზუმ!“ დიდის სიამოვნებით უყურებდა შახავსკოი იმათ დარბაისულ შექცევას. პირველ საათზე ჩვენ აქედამ ავეყარენით და იქიდანაც იმათი ნავი ნელ-ნელა ცურავით წავიდა ზევით ხიდისაკენ“. <sup>216</sup>

როცა გრიგოლ ორბელიანი თბილისში არ იყო, მისი „დოსტები“ იგონებდნენ მასთან ერთად ორთაქალის ბაღში გატარებულ დღეებს და კვლავ ერთად შეყრას ნატრობდნენ. „იქნება, — სწერდა დ. ყორღანაშვილი პოეტს, — ჩქარა გადმოხვიდე საქართველოში და კიდევ ველირსოთ ორთაქალას ჩვენებურად სხდომას, ჰაზარფეშებით, წითელის ლალის ღვინით, ჭანარის ტყჩით ვაზის ფოთოლზე, თარფით თავისის შემკობილობით, მოტანილით ფეხთშიშველ წალდ გარკობილ წელში მებადრისაგან“. <sup>217</sup>

ზაფხულის გასატარებლად ორთაქალაში სადგომების აშენება დაიწყეს, საიდანაც განუწყვეტლივ მოდიოდა ქეიფისა და ზურნა-საზანდრის ხმა. 1834 წლის ივლისის 26 უცნობ პირს თავის დღიურში შეტანილი აქვს:

„ერთმა მეგობართაგანმა მიგვიწვია ქალაქს გარეთ საკუთარ ბაღში, ორთაქალას, რომელშიაც ახალი აშენებული სახლები იყო, დიად საუცხოო საბაღოს ოთახებით და ბალკონი(კ) ქალაქის მხრისაკენ ჰქონდა. მივედით იმ ბაღში, შევიყარენით მე და ჩემი მეგობრები ორმოცამდისინ. იმ ღამეს ჩემის ჰეგობრებისაგან მხიარულება, საზანდართაგან მღერა, სუფრის სიმშვენეიერე, ქართულს რიგზედ გაშლილისა იმ ბაღის ოთახში“. <sup>218</sup>

ორთაქალის ბაღისა და საერთოდ თბილისის ნადიმები მტკვრის თევზეულის გარეშე არასოდეს არ ჩატარებულა. თევზის საჭერად თბილისის არისტოკრატიას საგანგებო კაცები ჰყავდა. ბაღი, კონით, ფაცრით, ნეესკავით, საფიჩხურითა და ოჩხით იჭერდნენ მეთევზენი სხვადასხვა სახის თევზეულს და მიჰქონდათ პატრონებთან.



ზ. კიკინაძის ცნობით ნ. ბარათაშვილის მამას — მელიტონს „ორი ყა კაცი გლეხი მიჩენილი ყაედა ყოველდღე ზამთარ-ზაფხულს თევზი ეკირნათ მტკვარში“. <sup>219</sup> გ. ორბელიანს თევზით ამარაგებდა ცნობილი ორთაქალეელი „მეჩანგლე“ და „მოკრივე“ ლოპიანა.

„ლოპიანას, — გადმოგვცემს გრიგოლ მამრაძე, — ყოველდღე მიჰქონდა გრიგოლ ორბელიანთან „ცოცხალი“, თვითონვე გამოშიგნავდა, შეამზადებდა „ორთაქალურად“ და მერე ერთად შეექცეოდნენ სადილს საზანდრებით! წელიწადი — თორმეტი თვე სულ ერთად იყვნენ. ორბელიანს „პარადის“ დროსაც კი თან დაჰყავდა ლოპიანა და ეს ვეება ვაჟყავი ყველას ჰხიბლავდა თავის სიტყვა-პასუხით, ნაკვთიერობით, ბუდალი ფერით და ნიკაპზე აყვავებულ ცნობილ ხალით“. <sup>220</sup>

გ. ორბელიანი ერთ თავის „მუხამბაზში“ ლოპიანას ასე ალაპარაკებს:

ჩემს დარდებსა ვინ იწაღვლის, ვინ არის?

ვის რათ უნდა, ლოპიანა ვინ არის?

მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?

ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?

შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,

თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ორთაქალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!

დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!

ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!

აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!

მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ“!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,

თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ“. <sup>221</sup>

თბილელ მეთევზეებს არა ერთი კაცი გადურჩენიათ მტკვარში დახრჩობისაგან. წყალდიდობების დროს „მეჩანგლე ლოპიანა დადიოდა თავის ჰამსონებით და ნავტიკების საშუალებით იხსნიდა თბილისის მოქალაქეთა-სარჩო-საბადებელს“. <sup>222</sup>

ორთაქალის ბაღები თანდათან კერძო მესაკუთრეთა შორის დანაწილდა და დაქუცმაცდა.

გასული საუკუნის დასაწყისში, მთაწმინდაზე, ადვილად შესამჩნევი იყო გენერალ თედორე ისაის-ძე ახვერდოვის ძვირფას ბაღიანი, ლამაზი სახლი.

ახვერდოვს ცოლად ჰყავდა პრასკოვია ნიკოლოზის-ასული არსენიევა, რომელიც ლერმონტოვის დედის ბიძაშვილი იყო. 1818 წელს პრასკოვია ნიკოლოზის-ასულმა დაჰკარგა ქმარი. ის ცხოვრობდა ქმრის პენსიით და მამულის შემოსავლით. მერე დაქვრივებულმა, ახვერდოვამ „გულის გადასაყოლებლად“ და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად პანსიონი გახსნა.

პატარა ნინო, შემდეგ ეკატერინე და დავითი ალექსანდრე ქვეკვაძემ ახვერდოვას ქალს მიაბარა. ამ პანსიონში იმხანად იზრდებოდნენ: პრასკოვიას გერი—ეგორუშკა, ძმისშვილი ანა ანდრიას-ასული ახვერდოვა, მარიამ ივანეს-ასული ორბელიანი, სოფიო ივანეს-ასული ორბელიანი, ახვერდოვას ნათლული ბარბაღე გიორგის-ასული თუმანიშვილი, პრასკოვიას ქალიშვილი დარია და სხვები.

ხელსაქმეს, ხატვას და ენებს ასწავლიდა თითონ ახვერდოვა. ხოლო მუსიკის მასწავლებლად მიწვეული ჰყავდა თბილისის სამხედრო ორკესტრის კაპელმეისტერი, კომპოზიტორი ი. ა. სოკოლოვსკი.

პრასკოვია ახვერდოვამ მცირე ხანს მართა თავისი პანსიონი. მისი მოწაფენი მალე გადავიდნენ აბრეშუმ-სახევეი ფაბრიკის მეპატრონე კასტელას მეუღლე—მატილდასთან. არც ამ პანსიონმა იარსება დიდხანს. ორიოდვე წლის შემდეგ კასტელას ქვრივი გათხოვდა და პანსიონიც დაიხურა.

1832 წლის პირველ თვეებიდან თბილისში უცხო ენათა სკოლა გახსნა ეკატერინე ფელიქსმა. გაზ. „თბილისის უწყებებში“ ვკითხულობთ: „ცოლსა ფრანციურის ენის უჩიტლისა ტფილისის ღიმნაზიასა შინა-ტიტულარნის სოვენტიცასა ეკატერინა ფელიქსსა, რომელიც მოვიდა ეხლახან ქალაქსა ამას შინა, აქეს პატივი განუცხადოს საზოგადოებასა, რომელ ამ მომავალს თვეებში გაიხსნება მის მიერ სწავლის

კლასები დილით 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე კეთილ-  
შობილთა ქალთათვის და ასწავლის ენებს ეგრეთვე საგნებსა-  
ცა, რუსულად, ფრანციულად და ნემეცურად და მუზიკასაცა.  
უკეთუ ჰსურთ ვისმე ქართულსა ან სომხურისა, ამ ენებსაც.  
როდესაც რიცხვი მოწაფეთა იქმნება თორმეტი, მაშინ მოუ-  
მატებს ტანცაობის კლასსაცა კვირაში ერთხელ. ვისაცა ჰსურ-  
დეს მიცემა შვილთა თვისთა აღსაზრდელად მას ძალუძს ნა-  
ხოს იგი სახლსა შინა ახვერდოვისასა“. 223

როზენის მთავარმართებლობის დროს ქალთა პანსიონს  
ხელმძღვანელობდა მორდვინოვა-დანილევიჩი.

დანილევიჩის ქალთან ჰყავდა გაბარებული მანანა ორბე-  
ლიანს თავისი ვაჟი ივანე და ქალი ანასტასია. 1835 წ. მა-  
ნანა თბილისიდან ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩემი  
შვილები პირს გკოცნიან. ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს,  
რაც შეეფერება. ფრანციულს კი ლაპარაკობს ცოტად და  
სწერს, კითხვითაც კითხულობს. ქალიც მადამ დანელოვიჩთან  
მყავს, წელიწადში 25 თუმანს მართმევს თეთრს ფულს, ისიც  
სწავლობს, მაგრამ ივანეს გონება კარგი აქვს, მინემ ტა-  
სოს“. 224

1838 წლიდან ქალთა პანსიონს სათავეში ჩაუდგა მასწავ-  
ლებელ პერიერას ცოლი. ეს პანსიონი 1840 წელს გადაკეთდა  
„აპიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად“.

1843 წელს ამ პანსიონს ესტუმრა ცნობილი ეთნოგრაფი  
ავგუსტ ჰაკსტაუზენი, რომელიც თავის მოგონებების წიგნში  
ამის გამო წერს: „თბილისში არსებობს დიდი პანსიონი, სა-  
დაც ქართველი ქალიშვილები ფრანგულად მუსაიფობენ და  
კითხულობენ ბალზაჟის რომანებს“. 225

1846 წელს თბილისში გაიხსნა „წმიდა ნინოს სახელობის  
სასწავლებელი“, რომლის მიზანი ყოფილა „კეთილი ცოლე-  
ბისა და ოჯახის კარგი დედების მომზადება“.

## 26. ბაზრები და იარმარკები

მაშინდელი თბილისის ცენტრალურ ბაზრად თათრის  
მოედნის ბაზარი ითვლებოდა. სხვა ბაზრების დარად მას  
„ფიცრის ყავრულები ჰქონდა, დახურული, სიციხის მოსა-

ჩრდილებლად და ავდარისთვისაც, რომ მშრალად გაეარათ ხალხსა“. 226

თათრის ბაზარზე, ქალაქის ახლომახლო ადგილებიდან, მოდიოდა სხვადასხვა საქონელი და სურსათ-სანოვაგე:

„შორაგალიდან, მარნეულიდან და დურნიკიდან — ფქვილი, ხორბალი;

ყარაიაზიდან — ბრინჯი;

აღდაშიდან — საზამთრო;

ზაქათალიდან — „ლეკური მსხალი“;

შახლოიდან — ყველი;

თუშეთიდან და ყარაბაღიდან — ცხვარი, მატყლი, ერბო.

ჰამამლიდან — კვერციხი;

ჯალალოლიდან და მანგლისიდან — კარტოფილი;

ლამბალულიდან — კარაქი;

ყულფიდან და ქალზმანიდან (აღზევანიდან) — მარილი;

ბორჩალოდან — ბოსტნეულობა: ხახვი, ბადრიჯანი და სხვ.;

თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო — ყაფანი, — დიდი სასწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა. სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორ-ვაჭრებს. როცა ყაფანზე ბაირალი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ევაჭრათ. სრულ 12 საათზე ბაირალს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფლელთა აღებ-მიცემობა“. 227

თათრის ბაზრის გარდა, თბილისში სხვა ბაზრებიც იყო: სარდარ-აბადის, სადაც უმთავრესად ჰყიდდნენ პურსა და ბოსტნეულს, ავლაბრის, სადაც სურსათ-სანოვაგით ვაჭრობდნენ და ერევნის მოედნის, სადაც დილ-დილაობით იყიდებოდა შეშა და თივა.

ყოველდღიურ ბაზრებს გარდა თბილისში იყო. საკვირაო ბაზარი — იარმარკა, რომელსაც მოსახლეობა „იარმუკას“ ეძახდა. პირველი იარმარკა გაიხსნა თბილისში 1828 წლის 10 ოქტომბერს და ერთ თვეს გაგრძელდა. მთავრობის გადაწყვეტი-

ლებით, ეს იარმარკა, რომელსაც „პოკროვსკის იარმარკტა“ ეწოდა, ყოველწლიურად უნდა განმეორებულიყო. ამ იარმარკის მიზანდასახულების შესახებ გაზ. „ტიფლისკიე ვედომოსტი“ წერდა:

„თბილისის ხელსაყრელი მდგომარეობა, ერთის მხრივ, ირანის საზღვრებთან სიახლოვე, შესაძლებლობას ქმნის მიიზიდოს აზიის ის ვაჭრები, რომელთაც სიშორე, ადგილების უცოდინარობა და საფრთხე ხელს უშლიდა ემგზავრათ ორემბურგში, ტროიცკში და ნიჟნინოვგოროდში; მეორეს მხრივ, შავი ზღვის სანაპიროებით, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენ ვფლობთ რიონის შესართავს, ხელსაყრელია ჩვენთვის ევროპასთან მიმოსვლაში და, დასასრულ, მესამეს მხრივ რუსეთი მიიღებს შესაძლებლობას პირველი ხელიდან მიჰყიდოს აზიელებს თავისი ფაბრიკების და მანუფაქტურების ნაწარმოებნი“. 228

ჩვენ არ ვიცით, მოეწყო თუ არა შემდეგ წელს ერთთვიანი იარმარკა. ერევნის მოედანზე კი ყოველკვირაობით იმართებოდა საკვირაო ბაზრობა. განთიადიდანვე ასობით მოვაჭრე თავს იყრიდა მოედანზე. ამგვარად ეწყობოდა მწკრივები, რომელიც იწყებოდა ქალაქის გამგეობის შენობიდან და მიდიოდა სემინარიამდე. ზოგი ძველ ტანსაცმელს, ზოგი ძველ ავეჯს, ზოგი ქურქელს და ზოგიც სხვადასხვა ნახმარ საოჯახო ნივთს ჰყიდდა. ზოგიერთს ახალი და ხმელი ხილი გამოეტანა, ზოგს კომპოსტო, კარტოფილი და სხვა სანოვაგე ჩამოეტანა თბილისის მახლობელ ადგილებიდან.

იარმარკობა დღეს ერევნის მოედანზე, ღია ცისქვეშ, ეწყობოდა აკრობატული სენსები ჯამბაზებისა. გაბმულ თოკზე ისინი ასრულებდნენ სხვადასხვანაირ ნომრებს. დაბლა კი სასაცილო ტანსაცმელში ჯამოწყობილი ტაკიმასხარები ამ ნომრებს მიწაზე „იმეორებდნენ“.

ხშირად თავის ხელოვნებას აჩვენებდნენ მძლეოსნებიც. მათ შორის სახელი ჰქონდა გავარდნილი ვინმე აბელს, რომელიც ხელობით დურგალი იყო. სამი-ოთხი და მეტ არშინიან ოჩოფებზე შემდგარი აბელა, საყოველთაო გაკვირვებას იწვევ-

და, თავისი სწრაფი და მოხერხებული სიარულით. აბელი აჩვენებდა წვრილ ფოკუსებსაც.

ასე იყო სალამომდე. მხოლოდ ბინდის მოტანება შლიდა ხალხს იარმარკიდან.

## 27. დალაქეპი და პარიკმახეპები

ყოველ ეპოქას თმის თავისებური ყაიდა ჰქონდა. როგორც წესი იყო დადებული, ჩვენი წინაპარნი, წვერ-ულვაშს არ იპარსავდნენ.

მიუხედავად ამისა, სამართებლების ხელოვნება მაინც იყო განვითარებული. მე-18 საუკუნეში სამართებლების ხელოვნება ისე მალა ავიდა, რომ სწარმოებდა მისი ექსპორტი. პ. იოსელიანი გადმოგვცემს: „მოხუცი სლივიცი იყო ზუბოვისა ადიუტანტი დერბენდსა, და როდესაც იმპერატორმან დააბრუნა ჯარი რუსეთად, მაშინ მოვიდა იგი თბილისს 1791 წელს და მოისყიდა სამართებლები. თვითოში მივე თვითო აბაზიო. არცა ერთი ევროპაში ნაკეთი არ შეედრება თბილისის სამართებლებსაო“. <sup>229</sup>

იყო დრო, როცა მამაკაცის ულვაშს ფასი ედო. ეკონომიურად ხელმოკლე თავის კრედიტორს გირაოდ ულვაშის ერთ ღერს მისცემდა და ამით თავისუფლდებოდა „ვერქსილის“ რთული ოპერაციისაგან.

წვერას მოპარსვა და თმის დაბლა დაყენება ქართველებმა რუსებისაგან გადმოიღეს. „საბარათიანოს“ სარდალი ივანე დავითის-ძე ორბელიანი იყო პირველი ქართველი, რომელმაც „რუსულად გაიკეთა“ წვერ-ულვაში და თმა.

გ. ორბელიანი წერს: „ივანე სარდალმა ორბელიანმა ნიშნად ერთგულებისა რუსეთისადმი მოიპარსა წვერი და მრავალთა თავადიშვილთა მოპარსვინა წვერი თავისთანავე, ასე რომ ტომრები ბალნით გატენილი გადაყარეს მტკვარში“. <sup>230</sup>

1837 წელს, როდესაც ნიკოლოზ პირველი ჩამოვიდა თბილისში, ზოგიერთ ქართველ თავად-აზნაურს იძულებით გაპარსეს წვერი.

„როცა ხელმწიფე, — წერს ი. მეუნარგია, — მოვიდა საქართველოში, იმათაც კი დაიპარსეს წვერ-ულვაში, ვინც საზოგადოების არჩევანით მსახურობდა, ასე რომ თვით ყაფლან ორბელიანს ჩამოაცალეს წვერ-ულვაში. გაგეგონებათ სვიმონ მაჩაბელის ნაღვლიანი ჩივილი ამ საგანზე: „ღმერთო, ეს რა დღეს მოვესწარით, ჩვენი დედ-მამები ამბობდნენ: თუ ეს ლეჩაქი მხურავს, თუ ეს ულვაშები მასხია და ჩვენ ერთი დაგვეკარგა და მეორეცაო“.<sup>231</sup>

წვერის გაპარსვასთან ერთად საქართველოში ქილვაშების ტარებაც დაიწყეს. ზოგი ხელოვნურ ქილვაშებს იკეთებდა. პ. იოსელიანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ქილვაშები დაიყენა. ნ. ბარათაშვილი ირონიულად სწერდა გ. ორბელიანს: „ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდებზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ რომ მოიპარსოს, მაგრამ ვერ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს“.<sup>232</sup>

აბანოში „გასაბანად“ წასვლა და „სამართებლით გალამაზება“ ერთი აქტი შეიქმნა. თბილისის „მექისე“ მექისეც იყო და „დალაქიც“: ამიტომაც, რომ „მექისეს“ ხშირად „დალაქს“ ეძახდნენ. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ გადმოგვცემს: „მოვიდა დალაქი შეაბანოვე. იოანემ უთხრა: „ქისა წაუსვი მაგ საბრალო ბერს და კარგად დაბანეო!“ მაშინ მიჰყო დალაქმა ხელი და, ქისის სმა დაუწყყო ამ ბერს“.<sup>233</sup>

თბილისის მკვიდრ დალაქებიდან აღსანიშნავია ვინმე „გრიქულა“, რომელიც მერე თეატრის „მეპარიკე“ გამხდარა. ჩამოსულ პარიკმახერებიდან სახელი ჰქონდა გავარდნილი ფრანგ ბერლემონს.

ძველ თბილისს ჰყავდა თავის დალაქ-პარიკმახერები. ისინი ქალებს კავებს უკუთვლავდნენ, თმებსა და თითებს უღებავდნენ ინით.

როცა „პრიჩოსკა“ შემოვიდა მოდად, საპარიკმახერობთან ქალთა სპეციალური ოთახები გაიხსნა. ცნობილ ბლოტის

ძალაზიას ქალთა და მამაკაცთა საგანგებო საპარიკმახერო ოთახები ჰქონდა.

მოთავსებული იყო ბლოტის საპარიკმახერო ჯერ კეთხულოვის სახლში, ხოლო შემდეგ ერეენის მოედანზე, ზუბალოვის სახლში. გაზ. „კავკაზი“ შენიშნავდა: „ძალაზიასთან ძველებურად არსებობს საპარიკმახერო ბლოტისა, რომელიც პარიზიდან. დაბრუნებისთანავე გააგრძელებს თმის კრეკვასა და დახვევას. ახალ ბინაზე ბოწყობილია სრულიად განცალკავებული ოთახები ქალებისა და კაცებისათვის“. <sup>234</sup>

იმდროს თბილისში სხვა საპარიკმახეროებიც იყო, მაგრამ მათი მფლობელთა ვინაობა ჯერჯერობით არ ვიცით.

## 28. ს ა ტ ი ო

ორთაქალის შემდეგ მეორე სასეირნო ბაღი იყო „სატიო“, ულამაზესი ნაწილი ვერის უბნისა.

„ვერა, — ვკითხულობთ ძველ აღწერაში, — ძვეს ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. ვერა მდიდარია ვენახებითა და ხეხილის ბაღებით, რომელნიც ქალაქის მცხოვრებთ ეკუთვნით. აქვე მრავლად არის დუქნები და ფუნდუკები მეურმეთათვის, რომელთაც ქალაქში შემოაქვთ სხვადასხვა ტვირთი და პირველი საჭიროების საჭონელი. სოფლელები (მეურმეები) აქ საჭონლის საკვების სიაფის გამო ჩერდებიან და ხშირად ღამეს ათევენ, რათა მეორე დღეს დილით ადრე შევიდნენ ქალაქში“. <sup>235</sup>

სატიო დარჩია ბებუთაშვილს ეკუთვნოდა. 1820 წლის 3 ივლისს ა. ჭავჭავაძემ ვერის ბაღში გამოსამშვიდობებელი სადილი გაუმართა იერუსალიმში მიმავალ თავის ბიძას, ცნობილ ქართველ მწერალს, გიორგი ავალიშვილს. გ. ავალიშვილი თავის „მგზავრობაში“ ასე აგვიწერს ამ სადილს:

„აქაით მოქცეული სახლსადმი ჩემისა, წამოველ მყისვე თბილისით, გამოცილებული ქვემო ხსენებულთა ერთა მიერ, სახელდობით:

არიხმინდრიტისა ელფეთერისა, პროთოიერისა იოსებ წინამძღვაროვისა, უფალთა სტატსკის სოვეტნიკისა ელიზბარ



ფალავანდოვისა, პოლკოვნიკთა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და იოსებ ბებუთოვისა, კოლეჯის სოვეტნიკისა გიორგი თუმანოვისა, ნადვორნის სოვეტნიკისა ნიკოლაოს ფალავანდოვისა, მაიორისა სოლოჰონ თარხანოვისა, კოლეჯისა ასესორთა დიმიტრი ვახვახოვისა და ზაქარია გურამოვისა, სამარადლო ორბელიანისა, უფალსა გუბერსკის სეკრეტრის კეთილშობილისა პეტრე ლარაძისა და ვიეთამთაჲ სომეხთა მოქალაქეთა მიერ.

ოდესცა გამოვლეთ კარი ვერისა, შევედით აღმოსავლეთ ჩრდილო კერძოდ მდებარე, ბალსა უფლისა პოლკოვნიკისა დარჩია ბებუთოვისა, საღაცა იყო სადილი გამზადებული ალექსანდრე ჭავჭავაძისა ხარჯითა და ვისადილეთ მუსიკომომღერალებითა“.<sup>238</sup>

„სატიო“ საყვარელი ადგილი იყო ნ. ბარათაშვილისა. პოეტი ხშირად მოდიოდა აქ „ფიქრთ გასართველად“. ერთი უშესანიშნავესი ლექსთაგანი ქართული მწერლობისა „ფიქრნი მტკერის პირას“ აქ ხილულ და განცდილ შთაბეჭდილებათა შედეგად შეიქმნა:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად.  
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;  
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინაჲე ცრემლით,  
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;  
ნელად მოღელავს მოდუღუნე მტკვარი ანკარა  
და მის ზვირთებში კრთის ლაყვარდი ცისა კამარა.  
იდაყვ დაყრდნობილ ყურს ვუვადებ მე მისსა ჩხრიალსა  
და თვალნი რბიან შორად შორად, ცის დასავალსა!<sup>237</sup>

ზაფხულის ცხელ დამეებს ბარათაშვილი სატიოზე სეირნობაში ატარებდა. 1838 წლის 6 აგვისტოს ნ. ბარათაშვილი თბილისიდან სწერდა მიხეილ თუმანიშვილს: „ჩვენ სიცხისაგან მოწყენილ, მტკერისაგან შეხუთულ ქალაქში არა არის რა საგულისხმიერო. მე ვცოცხლდები მხოლოდ მთვარიან დამეებში, რომლებიც ასე მშვენიერია თბილისში. გუშინ, ერთ-ერთ ასეთ საღამოს გავსწიე მოსკოვის სადარაჯოსკენ; უცბად სასაფლაოზე გავჩნდი, გამოგიტყდები, ცოტა არ იყოს შეეკრთი. როცა გადავხედე ამ დამუნჯებულ არე-მარეს. ლა-

მის 11 საათია. ძე ხორციელი არ არის. გარშემო სიცარიელე მარადიული; მთვარე მქრთალად ანათებს საფლაგებს, როგორც ძვირფასი კანდელი მიცვალებულს; ჩუმად და მდორედ მიიმართება მტკვარი, თითქო ეშინიან დაარღვიოს ამ მკმუნვარე სამყაროს სიწყნარე“. <sup>238</sup>

ეს ბალი ახლა გაფართოებულ-გამშვენიერებულია.

## 29. მემკურტნეები

ფლანმოკიდებულ ანუ როგორც მათ ეძახდნენ „კურტიან მუშების“ მრავალრიცხოვანი ლაშქრის მთავარი შესაკრები ადგილი იყო თათრის მოედანი.

„შეხვდებით აქ, — წერდა ღუნკელ ველინგი, — აუარებელ მუშას (ტვირთვის მზიდველს), რომელიც მზად არის უმნიშვნელო საყიდლით წაილოს ტვირთი ქალაქის შორეულ უბნისაკენ. მათ თავიანთი ამქარი აქვთ და ჰყავთ უსტაბაში, რომელიც მკაცრად ადევნებს თვალყურს, რომ სამუშაოზე ერთმანეთს არ შეეცილონ. ვერც ერთი თბილისელი ვერ უსაყვედურებს მათ და ვერც იტყვის, რომ მუშას დანიშნულ ადგილას არ მიეტანოს ის, რისი წაღებაც მისთვის დაუვალეზბიათ. ეს საცოდავნი უპატიოსნესი ხალხია. თათრის მოედანი წარმოადგენს მუშების თავმოსაყრელ ადგილს. აქ შეგიძლიათ დაიქირაოთ მუშები, როგორც მთელი დღით, ისე მთელი კვირაობით“. <sup>239</sup>

ტვირთმზიდველთა სიმრავლის გამო სამუშაოს შოვნა მეტად ძნელი იყო და მუშები ხშირად მთელი დღის განმავლობაში უსაქმოდ იყვნენ. ყველაზე მძიმე ტვირთის გადატანა ორშაურს, აბაზს არ აღემატებოდა. შაურიანი პური და პატარა ნაჭერი ყველი იყო მათი დღიური სარჩო.

ავდრიან დღეებში კურტიან მუშებს „ახალი საქმე“ უჩნდებოდათ. ეს იყო ქალების გადაყვანა ქუჩიდან ქუჩაზე. დ. ყიფიანი იგონებს: „არა ერთხელ მინახავს მე, როგორ მოიყვანდნენ ხოლმე მანდილოსნებს იმგვარადვე ორიგინალურად, როგორც შორეულ იაპონიაში იყო შემოღებული, მისი

განახლების წინა ხანებში: ქოლგის ქვეშ შეფარებულს, ზორბა მუშის კისერზე დამჯდარს“. <sup>210</sup>

ტანჯვა-წამებით აღსაესე ცხოვრება მუშისა ასე აქვს აღწერილი გრიგოლ ორბელიანს ლექსში „მუშა ბოქულაძე“.

რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა  
ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა?  
მკერდი ღია, ოფლით გასვრილი, მტვრიანი,  
ფერით რკინა, კისერ ჩაქანგებული,  
კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,  
სიყრპიდანვე სიღარიბით დევნილი,  
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქვევია  
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..

ჰჩანს არ იცი, რომ არიან ღარიბნიც,  
არის სადმე სიმწართა ცხოვრება!..  
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...  
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!..  
მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!..  
ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!..  
მაღვით ვიწმენდ თვალში მორეულ ცრემლსა...  
ეჭ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰქვენის?.. <sup>211</sup>

მწერალმა დუნკელ-ველინგმა „უპატიოსნესი ხალხი“ უწოდა თბილისის კურტნიან ტვირთისმზიდველ მუშებს. ეს სახელი ალალა თბილისის პროლეტარიატის წინაპართათვის. ამასვე წერს მოგზაური ევგენი მარკოვიც: „თბილისის კურტნიანი მუშები ატარებენ უპატიოსნეს ადამიანთა სახელს. ჩამოსულები სრულიად უშიშრად ანდობდნენ თავიანთ ბარგს და საჭიროდ არ სთვლიდნენ უკან გაჰყოლოდნენ. თავისუფლად ანდობდნენ არამარტო ბარგს, არამედ ფულს და ძვირფას ნივთებსაც“. <sup>212</sup>

თბილისის ტვირთმზიდველ მუშებს ზედამხედველობდა ამქარი, რომელიც მკაცრად ადევნებდა თვალყურს მუშების სინდისიერებას.

რუსეთი საქართველოში დამკვიდრებისთანავე ცდილობდა გამოეყენებინა ამქვეყნის სიმდიდრენი, უზრუნველყო თავისი წარმოება ამიერკავკასიის ნედლეულით, გაეხსნა გზა სავაჭრო კაპიტალისათვის აღმოსავლეთში და მთელი ამიერკავკასია დაერაზმა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ.

ამ მიზნის განხორციელება მარტოოდენ საკუთარი საშუალებებით ძნელი იყო, ამიტომაც ცარიზმმა დამხმარე ძალად ქართველი თავად-აზნაურობა აირჩია. რუსული ენის არმცოდნე, რუსულ კანონებს შეუჩვეველი, თან ბიუროკრატიული მმართველ-გამგეობისათვის რუსულად „გაუნათლებელი“, მაგრამ მორჩილი კლასი, ბევრად გამოსადეგი რომ არ იქნებოდა, ეს ცარიზმა კარგად იცოდა, ამისათვის რუსული სკოლის გახსნას შეუდგა.

„რუსული სკოლა, მთავარი იარაღი იქნებოდა, რომელიც მთავრობას ახლო მომავალში ახალი მმართველ-გამგეობისათვის შესაფერ კადრსაც მისცემდა აღდილობრივ თავად-აზნაურთაგან და ამ უკანასკნელსა და მათ შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობას შეუწყობდა ხელს“.<sup>243</sup>

ამ მოვალეობის შესრულება რომანოვების დინასტიამ დააკისრა მეფის რუსეთის პირველ სკოლას საქართველოში — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს“. 1802 წლის 22 სექტემბერს საქართველოს მმართველის კოვალენსკის ინიციატივით მოეწყო პირველი სკოლის საზეიმო გახსნა თბილისში.

კოვალენსკის მიერ შემუშავებული გეგმით, პირველ ხანებში სასწავლებელი ორკლასიანი იქნებოდა. პირველ კლასში მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ: რუსული და ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოკმედება, მეორე კლასში — ორივე ენის გრამატიკა, კათეხიზისი, საღვთო და საერთო ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია, არითმეტიკა, დარიგებანი და ცნობები ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ და ხატვა.

1803 წელს, თბილისში ჩამოსულ ახალდანიშნულ კავკასიის მთავარმართებელ ციციანოვს არც სასწავლებელი, არც მასწავლებლები და მოსწავლენი არ დახვედრია. ყოფილმა გამგებელმა კოვალენსკიმ განმარტა, რომ მოწაფეებმა თავი დაანებეს სკოლას, „ადგილობრივი ხალხის მიუჩვეულობის გამო“.

ახალი მთავარმართებელი შეუდგა სასწავლებლის აღდგენას. 1804 წლის მაისის 31 ხელახლა გაიხსნა „კეთილშობილთა სასწავლებელი“. პავლე ციციანოვის მიერ შემუშავებული პროექტით, სწავლა დილის 7 საათზე იწყებოდა. 11 საათზე ბავშვები შინ მიდიოდნენ. ნაშუადღევს 3 საათიდან სწავლა ახლდებოდა და გრძელდებოდა 6 საათამდის. სასწავლებელში წლის ბოლოს ორმაგი გამოცდები ეწყობოდა. მოწაფეს ჯერ მასწავლებელი გამოცდიდა.

„გამოცდებს, — გეიამბობს დ. ყიფიანი, — თავთავიანთ საგნებში თვით მასწავლებელნი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასიენისა (დირექტორი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), დემენტიევისა (რუსული სიტყვიერების მასწავლებელი) და არლუთინსკი-დოლოგორუკოვისა, სხვა დანარჩენ მასწავლებლებელბთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ. გეოგრაფიის მასწავლებელი, მაგალითად, გამოცდის ორი კვირით ადრე გაკვეთილს აძლევდა მოსამზადებლად: ერთს — შვეციაზე; — არა, სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ! — კარგი, პორტუგალიაზე იყოს; — მეორეს — ესპანეთზე. — ჰა? რაო! შვეციაზე გინდა? შვეციაზე იყოს? მესამეს ინგლისზე და სხვადასხვა. ამნაირად იქცეოდნენ დანარჩენი მასწავლებელნიც“.<sup>214</sup>

მერე კი იმართებოდა „საჯარო აქტი“ მოწაფეთა გამოსაცდელად. „გამოცდებს თან მოსდევდა ჩვეულებრივი საჯარო აქტი. აქტის დროსაც იგივე ხერხი იყო მიღებული, კიდევ უფრო ზერელეთ და უფრო მოკლედ. ამის გარდა, წარმოთქვამდნენ სიტყვებს და ბოლოს საუკეთესო მოწაფეთ ჯილდოს მისცემდნენ, უფროს კლასებში გადაყვანილთა სახელებს გამოაცხადებდნენ და კურსდამთავრებულთ ატესტატებს დაურიგებდნენ. რაკი სხვა გასართობი არ იყო, საჯარო

აქტები წლიურ სადღესასწაულო წარმოდგენას უდრიდა. აქტებს ღირსად ხდიდნენ და ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარმართებელი, საქართველოს ეკზარხოსი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და საერთოდ ყველა, შემთხვევითა თუ მუდამ თბილისში მცხოვრებნი წარჩინებულნი. მაგრამ ამ წარმოდგენაზე მანდილოსნები არასდროს არ ყოფილან.<sup>215</sup>

საჯარო აქტებს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში უფრო ფართო და ბრწყინვალე ხასიათი მიეცა მას შემდეგ, რაც ამ სკოლის მმართველობა გადავიდა თბილისის სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორის გენერალ ხოვენის ხელში.

1830 წლის მარტში კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიასთან არსებობდა პანსიონი „სახელმწიფო ხარჯზე მყოფ 40 მოსწავლისათვის, რომლისგანაც 30 ადგილი განკუთვნილ იყო უმთაგრესად ღარიბ ქართველ თავადაზნაურთა შვილებისათვის, ხოლო ათი — საქართველოსა და კავკასიის მხარეში მომუშავე რუს მოხელეთა შვილებისათვის.

პანსიონში ღებულობდნენ აგრეთვე სხვა თავადაზნაურთა და მოხელეთა ბავშვებსაც, მაგრამ საკუთარ ხარჯზე, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ეხადათ წლიური გადასახადი. პანსიონში მყოფნი სწავლობდნენ გიმნაზიაში სხვა მოწაფეთან ერთად, კლასგარეთ კი იმყოფებოდნენ პანსიონის ხელმძღვანელთა მეთვალყურეობის ქვეშ.

ამისათვის პანსიონთან იყვნენ ოთახის ზედამხედველნი, განთქმულნი თავისი სიმკაცრით. ამათ იცოდნენ ერთი ან ორი ევროპული ენა, რომელსაც გიმნაზიაში გადიოდნენ. პანსიონის მთავარი მეთვალყურეობა დაკისრებული ჰქონდა საპატიო მზრუნველს, უშუალო ხელმძღვანელობა და სამნეო ნაწილი კი, დირექტორის მეთვალყურეობის ქვეშ, ინსპექტორს ებარა.<sup>216</sup>

გარეთ თავისუფლად ცხოვრებას შეჩვეულ ახალგაზრდობისათვის მეტად ძნელი იყო პანსიონის რეჟიმთან შეგუება. მწერალი გიორგი ანდრონიკაშვილი თავის გამოუქვეყნებელ მოგონებებში წერს: „პანსიონში შესვლის პირველ დღეებში. როგორც გარეთ თავისუფლებისა და ჩემს მახლობელ ნათე-

სავებში ნებიერობას ჩვეულსა, საშინლად მადარდიანებდა იმ-  
გვარი შეეკტილი მდგომარეობა და რაღაც საპატიმროდ მი-  
მაჩნდა ეს შემწყვედელი ცხოვრება“. 247

მიუხედავად ამისა მოწაფენი მაინც ახერხებდნენ პანსიონის  
კელლების იქით გადასვლას. „კვირაობით მონაწილეობას  
იღებდნენ კრივში, ქიდაობაში და მასთან ორთაქალის ბა-  
ლებშიაც ხშირად სეირნობდნენ“. 248

იმხანად მეტად გავრცელებულ კრივს მოსწავლენი გიმნა-  
ზიის კელლებშიც აწყობდნენ.

ამ გიმნაზიის გარდა თბილისში 1817 წლიდან არსებობდა  
მართმადიდებელთა სასულიერო სემინარია. ოციან წლებში  
თბილისში გაიხსნა „არტილერიის სკოლა“, რომელშიაც ცნო-  
ბილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი სწავლობდა.

### 31. მესტვირეები

გუდა-სტვირზე დამკვრელ-დამამღერებელი მესტვირეები,  
რომელთა ხელოვნება ხალხური პოეზიისა და ხალხური მუსიკის  
შერწყმის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, ძველი დროიდანვე  
იყვნენ საქართველოში ცნობილნი.

„მესტვირის დასაკრავი და სიმღერა მოკლე პრელუდიით  
იწყება, შემდეგ გუდასტვირის დაკვრით შებანებული ლექსად  
წარმოთქმული სიმღერა მისდევს, ბოლოში კი მოკლევე პოს-  
ტლუდიით თავდება“. 249

ქართველ მეფეთა კარზე სხვა დამკვრელთა შორის ყოფი-  
ლან მესტვირეებიც. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში  
დაწერილ ორიგინალურ პოემა „სიბილიანაში“ ეკითხულობთ:  
ბრძანა მეფემ, „წინ დასვით, ვინც კაი საზანდრებია“:

დასდნენ და მალა დაუკრეს  
ხმა ტბილად ალამრებია...  
ჩანგსა კვრიდენ და ქამანჩას,  
ჩოგურებს და დამბურასა...  
ხურნასა და დაბდაბასა,  
სტვირი უიმობს ხმა შვიდ-რევასა.<sup>250</sup>

მესტვირეები მშრომელთა წიაღიდან იყვნენ გამოსულნი,  
რომელთათვისაც ეს პროფესია დამატებით შემოსავლის წყა-

როს წარმოდგენდა. სანესტეგორეოდ ისინი დაბა-ქალაქებს შემოდგომასა და ზამთარში შეჰოივლდნენ ხოლმე, გასამჯელოს ღებულობდნენ. როგორც ფულით, ისე ნატურით. თითქმის ყველა მათგანს ბატონი ჰყავდა, რომელიც მათი „გასტროლების“ შემოსავლიდან „წილს“ იღებდა და ეს „წილი“ ხშირად მესტვირის მიერ დაგროვილი კაპიტალის მთელი ოდენობა იყო.

გაქირვება მუდმივი თანამგზავრი იყო სახალხო მომღერალთა. საქართველოში ცნობილი მესტვირე ბლიაძეც კი მარად ეკონომიურ სივიწროვეში ყოფილა. ხალხური ლექსი ამბობს მასზე:

ბლიაძისა კარზედაო  
მტერს ნუ დაალამდესაო!  
ჭადი ვთხოვე, ვერ მიშოვნა,  
ქერქი ვდვა ჯამზედაო.<sup>251</sup>

მესტვირეები ნაციონალურ ჰანგებზე აღილინებდნენ მსუბუქი, ნარნარი ხალხური ლექსის ნიმუშებს და საკუთარ იმპროვიზაციებს.

მესტვირე „ძეობის“ (რომელიც თხუთმეტ დღეს გრძელდებოდა) აუცილებელი ელემენტი იყო. თეიმურაზ მეორე თავის პოემა „სარკე თქმულთაში“ გვაუწყებს, რომ ძეობის პირველ დღესვე:

მენესტვეებსა მოვუსშენ იქ დასაკრვლად სტვირითო,  
ქალი და კაცი მუდამად ღამეს ათევდნენ ღზინითო.<sup>252</sup>

მესამე დღეს, როდესაც მელოგინის მოლოცვა იწყებოდა: ჯერ ქალები ულოცავდნენ, მერე კაცები: შემდეგ ერთად ცეკვავდნენ „ფერხისას“, რომლის დამთავრების შემდეგ იმართებოდა „ერთჯამა“. თეიმურაზ მეორე ამბობს:

რა გაათონ ფერხისა,  
გამართვენ ერთა ჭამასო,  
დასხდნენ ქალების პირდაპირ,  
არვინ დაიშლის ამასო,

შემოიყვანენ მესტვირეს,  
უკვრვენ, ჩააბმენ სამასო.  
მისთანა ღზინი უხარის  
ყმაწვილის დედას მამასო.<sup>253</sup>



შემდეგ აღწერილია სურათი მთელი ლხინისა, რომლის დროს სამიჯნურო შაირებიც წარმოითქმოდა:

ცალგნით არის კაცის ხმანი,  
ცალგნით იყოს ქალებისა,  
ძეობაში უკუ ყრა და  
ყოფა არის მენესტვისა,  
შაირს ეტყვის სამიჯნუროს,  
უკრავს, ახლოს უდგებისა.<sup>254</sup>

აღსანიშნავია, რომ „ძეობის“ მთელი ცერემონიალის აღწერისას, თეიმურაზ მეორე მესტვირეს გარდა სხვა სახის დამკვრელ-მომღერლებს არ ასახელებს.

არანაკლებ როლს თამაშობდნენ მესტვირეები საქორწილო რიტუალის ასრულების დროსაც. აღექსანდრე ორბელიანი გადმოგვცენს:

„მეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდაწერილებს რო გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაკრულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მღერით, იქ მხიარული ლხინი უნდა გამართულიყო, სხვადასხვა სოფლურის სიმღერებით. თან თუ მესტვირე ეყოლებოდათ. იმის სტვირის დაკვრაზე როკვას დაიწყებდნენ ქალნი და კაცნი. ის მესტვირე მრავალს ქებას შეასხამდა მექორწილებს, სხვადასხვა სიმღერის ხმებში, რომელიც ამისათვის მიიღებდა საჩუქარსა ყველაჟაგან“.<sup>255</sup>

მეთვრამეტე საუკუნემდე ჩვენ ვერ დავასახელებთ. მესტვირეთა გვარებს.

გაბრიელ მცირეს „გვირგვინში“, რომელიც დაწერილია მეთვრამეტე საუკუნეში, შექმებულია ერთი მესტვირე, რომელსაც ორი ტყვედ მყოფი გამოუხსნია.<sup>256</sup>

პირველი მესტვირე, რომლის გვარმა და იმპროვიზაციების ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია, პოეტ ქალ მანანასთან მოშაირე ახალციხელი კოტაშვილია. შენახულია კოტაშვილის რამდენიმე მუნასიბი.

კოტაშვილის დროსვე ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მესტვირე კიქიაშვილი. შენახულია კიქიაშვილის მესტვირული ლექსი მეფე ერეკლეზე:

დიდება და მაღლი ღმერთსა,  
რომ ბრძანება იქმნა ღვთისა.  
აღმოსავლეთს მხე დაბნელდა,  
დასავლეთი ირგვინგვისა,  
მოეკიდა ხმალი სმალსა,  
იქნა ომი პირველ ჟამსა,  
ჩარხი უყულმა დაბრუნდა.  
მგზავრი შეწყდა ყოვლის მხრისა,  
ერეკლესთანა ბატონსა  
ძვირად გაზრდის დედა შვილსა,  
პირველ არის ღვთის მლოცველი,  
მერე მშველელია ტყვისა.<sup>257</sup>

მესტვირე ბლიაძე თანამედროვეა საათნავეასი და ბესიკისა. როგორც იკვლევთ, ბესარიონ გაბაშვილს განუცდია გავლენა ბლიაძის „ხალხური ვერსიფიკაციისა“. „მაღალი სტილის“ მწერლები აღმფოთებულნი იყვნენ ამის გამო. სქოლასტი ჭაბუა ორბელიანიც ამ ჯგუფში იყო. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, თურმე ჭაბუა წუნობდა ბესიკისაგან თქმულთა ლექსებსა და ბლიაძეს ეძახდა პოეტს.<sup>258</sup>

გრიგოლ ბატონიშვილი ბესიკის ლექსს „დამპალო ლეშოს“ (რომელიც ჭაბუა ორბელიანზე სატირას წარმოადგენს) ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ჭაბუა მდივანბეგი დიდი საპატიო და მეცნიერი და შემაქცევარი კაცი იყო, და მეფე ირაკლის დიდად უყვარდა და ხუმრობაებიც იცოდა და მოთხრობა სიტყვისა მსწრაფლად და მარდად იცოდა. კურთხეულმა მეფე ირაკლიმ უბრძანა: „ჭაბუავე, რატომ ბესარიონს მაგიერ ლექსს არას დაუწერო“ და მაშინვე, იმავე წამს მოახსენა: „შენი ჭირიმე ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო“.<sup>259</sup>

ბლიაძის პოეტური იმპროვიზაციები შენახული არ არიან. მე-18 საუკუნელ ბლიაძის შემდეგ მათ გვარში მესტვირეობა შემკვიდრეობით გადასულა. ხალხში კარგ მესტვირეს მერე ბლიაძეს ეძახდნენ. მესტვირე და ბლიაძე სინონიშებად იქცნენ. გაზ. „დროება“ წერდა: „ყოველ კაი რაქველ ხუროს „ლანდიას“ ეძახდნენ. როგორც რომ დღესაც ეძახიან კაი მესტვირეს „ბლიაძეს“, კაი პური მკელს „თაბაგარს“, და მოჭიდავე ფალავანს „ხიზამბარელს“.<sup>260</sup>

ცნობილი მწერალი ალექსანდრე ორბელიანი შენიშნავდა:

„მესტიერესა ახლა ბლიაძეს ეძახიან, მაგრამ ბლიაძე გვარია და არა მესტიერე, რადგან საგანგებო მესტიერე ყოფილა რომელიმე ბლიაძე, იმის სახელი მესტიერისათვის დაურკმევიათ“.<sup>261</sup>

ბლიაძე - მესტიერეების პოეზიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტიკაზე: „ერთხელ, — გადმოგვცენს ა. ორბელიანი, — ვკითხე ა. ჭავჭავაძის სხვადასხვა ლექსების ქებისა ჩვენს ლირიკაში.

— კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავეთ და მსუბუქი ანუ ლბილი წყობილება რომ მიეცით, საიდან შემოიღე ანგვარი მოლექსეობა? იმან სიამოვნით გალიმებულმა მიპასუხა:

— სწორედ გეტყვი, ჩვენი ბლიაძეებისაგან შეზოვიღე (მესტიერეებისაგან). კარგად იცით, მე ბევრს ფრანციკულს წიგნებს ვკითხულობ, ჩვენი მესტიერეების მარტივს ყბედობას, ევროპული სიამოვნება მიევეცი და აქედან გაკეთდა ისეთი ლექსები. აი, ეს არის მიზეზი, სხვა არაფერი“.<sup>262</sup>

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ალექსანდრე ორბელიანის მიერ ჩაწერილი „ავტობიოგრაფია“ ვინმე მესტიერე ზაქარიასი, რომელიც მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდის მესტიერული პოეზიისა და მუსიკის შესასწავლად. ეს „ავტობიოგრაფია“ მეტად საყურადღებო დოკუმენტია მესტიერეთა პირადი ცხოვრების გასათვალისწინებლად.

ავტობიოგრაფიიდან ჩანს, რომ ზაქარია აღმოსავლეთ საქართველოს მცვიდრია. მას სრულიად ახალგაზრდას „გამოკყავდა“ თურმე სხვადასხვა ხმები და „ფერხისათვის“ საკუთარი მუსიკაც შეუქმნია.

სამწუხაროდ ამ მესტიერის გვარი არა ჩანს, არც ის ირკვევა, თუ რა რეპერტუარს ასრულებდა იგი.

აი ეს „ავტობიოგრაფია“:

„დედამამისაგან ობოლს მე არც დაი მყვანდა და არც ძმა, თვინიერ ერთი მოხუცებული ქვრივი მამიდასა, რომელსაც ორი ყმაწვილიკაცი შვილები ჰყავდა, სოფლის გვარზედ კარგად გაზრდილი ღვდელთან, და მე კი ერთს მონასტერში ბერებს მიმაბარა შაგირდად, სადაც კარგახანი დაურჩი იმათში და ვისწავლე მართლა კარგათ საღმთო-სასულიერო სწავლა.

ერთ დღეს ჩემი მოხუცებული მამიდა მოვიდა იქ მონასტერში ბერთან და ჩემი ამბავი გამოჰკითხა. უამბეს ჩემი ნიჭი და სწავლა. იმან ეს რომ გაიგონა, მაშინვე გამომიყვანა, და გზასაც ჩქარა მოვდიოდით ჩვენის სოფლისაკენ.

ჩვენს სოფელში შემომეხვივნენ დედაკაცნი და კაცნი სიხარულით, მე იმათი ნახვა დიდათ მეუცხოა, ამისათვის, რომ შვიდი წელაწადი მე ისინი არ მენახა და რიგიანად აღარ მაგონდებოდნენ არც ერთნი.

ამ სოფლის ღვდელს ვეხმარებოდი ეკლესიაში, უფრო დიდ დღესასწაულებში, რომელნიცა ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ ჩემს წიგნების კითხვაზე: ასე კარგად და ჩინებულად ვკითხულობდი.

მამიდაჩემი მე ასე მანებიერებდა, ასე მიფროთხილდებოდა თავის შვილებზე მომეტებულად, მაგრამ ამ უცხოს ჩემს ნიჭთან ერთი ვნება დამეშართა და არ ვიცი სასაცილოდ გეჩვენებათ, თუ არა?

იმ ჩვენს სოფელში ერთი საუცხოვო მესტვირე იყო, აცყევ იმას და ასე კარგად ვისწავლე, მართლა საუცხოვოდ. მე ეს იმისგან არ ვიკმარე, გაქსწიე და მთელი ქართლ-კახეთი შემოვიარე: სადაც გამოჩენილი მესტვირე ვნახე ანუ მომღერალი იმათი ხმები სულ ვისწავლე და ბოლოს ჩემი საკუთარი ბევრი დაეუმატე. ასეთი მომღერალი და მესტვირე შევიქენ, რომ საკვირველი!

ამ ყოფით ოთხი წელიწადი შემოვიარე. ქართლ-კახეთი, მასუკან იმერეთში გადავედი; იქაური ღილინები და სიმღერაც სულ ვისწავლე. სულ სტვირზე ვამბობდი ყველას: ასე მძვენიერად, რომ მართლად გაკვირვებულნი იყვნენ ყველანი.

იმერეთშიაც ერთი წელიწადი დავყავი, მერე ვთქვი: წავალ ჩემ სოფლისკენ, სადაც დავბადებულვარ, სადაც ჩემს მშობელს დედას თავის ძუძუს რძით გავუზრდივარ და სადაც მე, ობოლს, მამიდაჩემი მანებიერებდა მეთქი...

ნაშოენი ორასი თუმანი ფული ცხენს აჰკიდე, შევჯექ ჩერქეზულს საუცხოვოს იაბოზე, რომელიცა მეფე სოლომონმა მიბოძა და ჩვენი სოფლისაკენ გავსწიე. ჩვენ სოფელს რომ დაუახლოვდი, იმის დანახვა ასე მიამა, უკეთესი სიანოვნება თავის დღეში ჩემს გულს არ უკრძენია. მეტის სიანოვნით ავიღე სტვირი, მოვამზადე, ამასთან დაკვრას მივყევ და ზედ ჩვენი სოფლის სიმღერა დავძახე მშვენიერის ხმითა.

ჩვენი სოფელი მაღლობზე იყო დასახლებული, საიდგანაც იმის წინ დაცემული მამულები ჩანდა სრულიად. ეს დღე იყო კვირა, ახალი წირვა გამოსული დილისა, და სოფლის ხალხი ეკლესიის გარეთ იდგნენ. დედაკაცი და კაცი სულერთიან ჩემმა სიმღერამ და ჩემმა სტვირის ხმამ, იმ სოფლის მიდამო ასტვირები სრულიად მოიკო და სოფლის ხალხის ყურამდისინაც მიღწევილ იყო, რითაცა ჯერ ყური დაეგდოთ, მასუკან ჩემს მოხუცებულს მაჰიდას დაეკვილა: ჩემი ძმისწული ზაქარია არისო. ამასთან გიყსავით გამოქცეულიყო. თან მთელი სოფლის ხალხი დავინახე, ერთიანათ წამოვიდნენ, დედა კაცი და კაცი. ამ დროს მეც სოფლის ვენახებს დავუახლოვდი ორლობის მახლობლად.

ამ ორლობეში შევხედე მოხუცებული მამიდაჩემი ქეთევანა ხელეგაშლილი, თვალეზე მსხვილი ცრემლით მორბოდა და უკან სოფლის ხალხი მოსდევდა, დედაკაცი და კაცი, დიდნი და პატარანი სულ ერთიან. ეს რომ ვნახე გული ამიდულდა, ამისათვის, რომ დედა მყოლოდა, მომეტებული სიყვარული არ მექნებოდა იმისი, როგორც მამიდაჩემი მიყვარდა მე. დიდი ჭირნახული ჰქონდა ჩემზე — იმის ფიქრით ღვლად მაჰზადებდა ჩვენი სოფლისათვის. ამისათვის, რომ იმ ჩვენი სოფლას ღვდელს ერთი ქალის მეტი არ ჰყვანდა და ის ქალი აღრითვე დაენიშნათ ჩემთვის, რომელიცა ორის წლით ვიქნებოდი იმაზე უფროსი, მაგრამ ჯერ თვალის კი არ მენახა ის ქალი.

რალა მოგახსენოთ, მეც ცხენიდგან გადავხტი გულდადღღებული, სტვირი შორს გავტყორცნე, იქიდგან მოხუცებული მამიდაჩემი და აქედგან მე გადავხევევნით ერთმანეთს გიყსავით. საწყალმა გულში ჩამიკრა ნახევარ საათი მეტი და ორნივე ვქვითინებდით საცოდავად, რისყოფით ჩვენმა ნათესავმა და ხალხთა ძლივს გავყვარეს ერთმანეთს. შეჰდგომ მოვიდნენ და ყველანი მომესალმნენ სიხარულით.

წამოვიდნენ და წამომიყვანეს მხიარული სიცილით. სოფლის თავში სოფლის ღვდელი მამეგება თავისი ცოლით, რომელთაცა დიდის სიამოვნით მიმიღეს; ღვდელმა გულმხურვალედ დამლოცა და მეც გულმობიერად ხელზე ვემთხვიე-მეტის სიამოვნით ღვდელმა ერთიან სოფელი სადილად მიიპატიჟა მაშინვე და თავის დიაკვნებს და ნათესავებს უბრძანა: ეხლავ

ორი ჩემი ძროხა, რამდენიმე ცხვარი, ქათმები, დაკალით და მარანში ქვევრები დახადეთ ღვინისა, დღეს დიდი ღვინი უნდა გადავხადოთ, ამისთვის რომ ჩემი სასიძო მშვიდობით ვნახეო. არც სიმდიდრე აკლდა არაფრისა იმ ღვდელს.

მამიდაჩემმა თავის სახლში მიმიყვანა. ამისი ვაჟკაცი უცოლ-შვილო, ხუთი შვილი გარს მეხვეოდნენ სიაპოვნით, სადაც ჩემი სასიძამრო და სასიდედროც შემოვიდნენ და სხვანიც ბევრი. მიმიყვანეს და ხალიჩა გაშლილს ტახტზე დამსვეს. მამიდაჩემმა ჩითის ბალიში მომიტანა: ჩემო სიცოცხლეო შვილო, დაეუდო, დაღალული ხარო. მაგრამ მაშინ მე თერამეტის წლისას რა დამღალამდა! ამასთან მამიდაჩემმა საყვედურსავით მითხრა: რა იყო შენი მაგისტანა თვით რუჯულობა, რომ არ დაიშალე. მაიკალ თავი და წახვედიო? ამის პასუხათ მეც ეს უთხარ:

— არა დამიკარგავს რა, ჩემო უსაყვარლესო მამიდავ და დედიჩემის მსგავსო. მთელი იმერეთი, ქართლ-კახეთი შემოვიარე. მეტათ მომეწონა ის ქვეყნები, მოხუცებულს მეფე ირაკლის ვახლდი; იმერეთის მეფეს ვეახელ და ბევრი სხვა დიდრონი კაცები ვნახე და ორასი თუმანი ფულიც მოგიტანე. მამიდავ.

ეს სიტყვა მამიდას ეწყინა: „არა, შვილო, მე ანგარი დედაკაცი არა ვარ. შენ რომ აგტეხოდა რამე, წყალში გადავიგდებდი თავსა. რად მინდა შენი ორასი თუმანი, ღმერთმა მოგახმაროს, შვილო. ჩემი შვილებიც ასე იტყვიან, შენმა გაზრდამ“.

მასუკან ღვდელმა გადაასხვაფერა:

— ჩემო სასიძო ზაქარიავ, მეფე ირაკლი სად ნახე? ან მეფე სოლომონ?

— მეფე ირაკლი ვნახე თელავს; ამ ჩემს სტვირს თორმეტი სხვა ხმა ჩაუმატე, რომელიც სულ თოთხმეტი იყო, ზოგი სალამურისა და ზოგი სხვადასხვა ხმის საკრავი, მაღალი და მდაბალი, შეწყობილი ხმები, რომელსაც ვინ მოსთვლის რომ რამდენს შეწყობილისა ხმებსა დავაკრევენებდი ხოლმე მეტად საუცხოვოდ.

ეს ამბავი მეფის ირაკლისათვის მოეხსენებიათ. მაშინვე ებრძანებინა ჩემი მიყვანა. მიმიყვანეს, მაგრამ დიდად დამკრთლად.

პატივცემულსა ბატონს თაყვანი ვეც; დამკრთალობა რომ შემატყო, მიბრძანა: „ყმაწვილო კაცო! ნუ იშიშვ, მეცა შენსავით კაცი ვარ“, მე უფრო თაყვანი ვეც მდაბლად. ჩემი სადაურობა და ვინაობა გამომკითხა, მე რაც ვიცოდი მოგახსენე, მასუკან სტვირის დაკერა მიბრძანა, მოვყევი: საუკეთესო ხნები დაუკარ და ზედ დავძახე.

ასე მოეწონა ბატონს მეფეს, რომ სიამოვნის ცრემლები გადმოყარა. კარგახანი დაუკარ და ბატონსაც დიდად იამებოდა. ბოლოს გავწყვიტე. ბატონმა დიდი მადლობა მიბრძანა და შეიერცხლილი თოფიც მაჩუქა ყირიმისა. ჩემი გამოსვლის დროს მიბრძანა მე: „ბევრი საქმე მაქვს, თორემ არ გაგიშვებდიო, მაგრამ მაგ ჩემს თოფს გაუფრთხილდი, როცა საჭირო იყოს, მოდი და მამულისათვის მენსახურეო.“ ეს რომ ბრძანა, თაყვანი ვეც და წაველ.

იქიდგან შემოვიარე ყოველი ჩვენი ქვეყანა. ბოლოს იმერთში გადაველ და ქუთაისს მეფე სოლომონს ვეახელ. იმასაც მოეწონა ჩემი სიმღერა და სტვირის დაკერა, როგორც მეფე ირაკლის, რომელმაცა ეს საუცხოვო ლუჯი ჩერქეზული იაბო მიბოძა და ჩემს საჯდომად მყავს. გარდა ამისა ყოველს დიდ კაცს ვეახლებოდი, რომელნიცა დამასაჩუქრებდნენ და კარგად გამისტუმრებდნენ. ბევრმა დიდმა კაცმა მთხოვეს ვხლებოდი, მაგრამ ეს ჩვენი სოფელი რომ მაგონდებოდა, ვერსად ვერ დავდეგ, და ვმადლობ ღმერსა, რომ ერთი კიდეც მელირსა ამისი ნახეა.

იმ დღეს ჩემი სასიამამრო საუცხოოთ დავგიხვდა, რომელსაცა მთელი სოფელი სულ იქ ჰყვანდა მიპატივებული სადილად, დედაკაცი და კაცი; კაცი ერთს დარბაზში ისხდნენ და დედაკაცი მეორეს დარბაზში. რაღა მოგახსენოთ, ასეთი ლხინი გადაიხადა ღვედელმა, მართლა მოსაწონი. სიმღერა, ლილინები და გალობა საუკეთესო და საუკეთესო იყო ხოლმე. სადილს უკან ჩემი სტვირი მომიტანეს, გაემართე, მოვამზადე და დაკერას მოვეყევი, მთელი სოფლის დედაკაცი თავს მამეხვივნენ, რომელთაცა ყველამ გაიკვირეს: ეს რა მოუგონია ამისთანა საკვირველი საკრავიო. თვითონ აღარც სიმღერა თქვეს, აღარც ლილინი და აღარც გალობა, სულ ჩემს

სტვირში გამომყვანდა ყოველი ხმა. ბოლოს ფერხულისათვის დაუჟარ ჩემგნით გაკეთებული ახალი ხმა, რომელშიაც მოდახილი, ბანი, დვრინი, თქმა და სხვა წვრილი ხმები სულ სტვირში გამომყვანდა, ასე კარგად, რომ გეგონებოდათ ბევრი დედაკაცი და კაცი ერთად იმღერისო, სულ თავ თავის შეწყობილს მშვენიერს ხმას ამბობენო.

ეს დღე მეტად მხიარულად გავატარეთ და საღამო ჟამზე ყველანი თავთავისად წავედით.

მეორე დღეს, ორშაბათსა, მთელი სოფელი სამუშაოდ გავიდა, მეც დილა ადრიან ავდეგ, ეკლესიაში ღვდელს ცისკარზე მოვეხმარე და შემდგომ წირვაზედაც, რომელმაცა დიდი მადლობა მითხრა: კიდევ კარგად გხსომებია და კარგად მამეხმარეო!

— რად დამავიწყდებოდა, რომ გარდა შექცევისა სამხთო წერილსაც ვკითხულობდი ხშირად და ღვდლებსაც ვეხმარებოდი, სადაც მივიდოდი იმ სოფლის ეკლესიაში, ამისთვის უფრო მადლობა მითხრა ჩემმა სასიამაო მღვდელმა, რომელიცა სადილად მოვიწვიე, მობრძანებულყო ჩემთან, მაგრამ უარი მითხრა: მე და შენი სიდედრი ეხლა ცხენებზე უნდა შევსხდეთ, ჩემს დეიდაშვილთან წავიდეთ აგერ ახლო სოფელში და ხვალ ისევ მოვალთო შინ.

ამასთან ხელზე ვემთხვიე და შინისაკენ წამოველ. გზაზე ვიფიქრე, ჯერ ხომ სადილის დრო არ არის, აქ ამ სოფლის ტყეში ერთი მშვენიერი წყარო რომ გამოდის მუხის ძირში, წავალ იმ მშვენიერს ადგილს ვნახამ და იმ წყაროს წყალსაც დავლევ მეოქი. ეს ტყე თითქმის სოფლის პირში იყო უკან მხრივ და სხვა ტყიანი მთაც ზედ მოებმოდა. შინ მოველ, ჩემი სტვირი ავიღე და იქითკენ გაესწიე“.263

ზაქარიას თანამედროვე იყო ცნობილი მესტვირე გიორგი ქებაძე. აკაკი წერეთელი თავის ლექსში „ირაკლის საფლავზე“ ამბობს:

„სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის,  
ქამანჩა ქებაძისაო“

და იქვე შენიშნავს, რომ „ბლიაძე და ქებაძე განთქმული მესტვირეები იყვნენ ძველ დროში.“ 264



უკანასკნელ ხანებამდე „არსენას ლექსის“ გამოთქმას მეცხრამეტე საუკუნის 60-70 წლებში ვარაუდობდნენ. ჩემს მიერ ყურადღება მიქცეული ერთი ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ არსენას სახალხო ლექსი 1845 წელს უკვე გამოთქმული ყოფილა.<sup>265</sup>

1845 წლის აღდგომის მეშვიდე ხუთშაბათს თბილისში „არსენას ლექსი“ მამადავითობაზე მთლიანად უმღერია ვილაც მესტვირეს. ცნობაში ვკითხულობთ: „სჯობია მოუსმინოთ მესტვირე ბლიაძეს. ხალხში სტვირის დაკვირვით სეირნობისას. ის წარმოთქვამს სხვადასხვა სახუმარო ამბებს, ანდა რეჩიტატივით გადასცემს მსმენელებს ლეგენდებს ყაჩაღ არსენასა და სხვა სახალხო გმირების შესახებ“.<sup>266</sup>

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მესტვირეებიდან აღსანიშნავნი არიან: ბიკელა ოდიშელი, ტახტისძირელი, ანდრია ნადირაძე, სხირტლაძე და სხვ.

## 32. ღროშკები და ეტლები

წვიმების დროს თბილისში ტალახსა და ლაფში ამოუსვრელად გავლა შეუძლებელი იყო.

„ქალაქში, — გადმოგვცემს ბარონ ტორნაუ, — არ იყო ქვაფენილები. მათი უქონლობა მშრალ ამინდში ისე არ იყო საგრძნობი, მაგრამ საკმარისი იყო ცოტა წამოეწვიმა, რომ მთელი ქუჩები გაუვალ ლაფით გავსილიყო. თვით საქართველოში თავადაზნაურობა კაცი და ქალი, უმეტეს შემთხვევაში მოგზაურობდნენ ცხენებით, იშვიათად ურმით ან და ტანტრეგანებით (ეს იყო ორცხენსა თუ ორჯორს შორის ჩაკიდული საკაცე). მოქალაქენი და რუსის ოფიცრობა უპირატესობას აძლევდა ცხენებით მოგზაურობას“.<sup>267</sup>

ამასვე ადასტურებს დიმიტრი ყიფიანიც: „მისვლა-მოსვლა თბილისში ჩვენი უშნო ურმებით ან ბედაური ცხენებით იყო. მაგრამ ასეთი საშუალება დიდად უხერხული იყო ავდარში, როდესაც მშვენიერ სქესს უნდა დაემშვენებინა მთავარმართებლების მიერ გამართული საღამოები და ბალები“.<sup>268</sup>

ძველი ტრანსპორტის შეცვლის ეამი უნდა დაწყებულიყო და დაიწყო კიდეც. 1790 წელს პეტერბურგიდან საქართველოში ოჯახით დაბრუნებულმა გარსევან ქავჭავაძემ ჩამოიტანა პირველი „კარეტა“ თბილისში.

ოთხი წლის ალექსანდრე ქავჭავაძე, მასწავლებელთან ერთად, პირველი დასრიალებდა კარეტით თბილისში. ი. მეუნარგია მოგვითხრობს: „ბედისაგან განებივრებული ალექსანდრე თავის ფრანცუზის მეცნიერებას ისვენდა და თავისუფალ დროს დასეირნობდა მაშამისისაგან ჩვენში გადმოტანილ კარეტით“.<sup>269</sup>

პირველი კალიასკა სიპიაგინს მოუყვანია. „პირველი კალიასკა, — წერს დ. ყიფიანი, — თბილისის პირველი სანჯედრო გუბერნატორისა, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ მარტვიანის-ძე სიპიაგინისა, თბილისის ქუჩებში გამოჩნდა სპარსეთთან ომის დროს 1826-1828 წლებში“.<sup>270</sup>

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში „კარეტებისა და კალიასკების“ რიცხვი ათამდე ყოფილა. „1832 წელს, — გვიამბობს ტორნაუ, — თბილისში სულ რვა თუ ათი კარეტა და კალიასკა იყო. ესენი ეკუთვნოდა მთავრობის წარმომადგენლებს და ორიოდღე მდიდარ ქართულ ოჯახს“.<sup>271</sup>

გაჩნდნენ „დროშკები“ და „ეკიპაჟებიც“: ქეთევან ორბელიანი გვამცნობს: „ერმოლოვის დროს დროშკა ერთი თექვლე ბატონიშვილს ყავდა, მეორე გრიგოლ სარაჯიშვილს (აქაური ვაჟარი იყო), გიორგი კნიახსა (ერისთავსა) და გიორგი თუმანიშვილს. სულ ოთხი იყო მთელ ქალაქში. ეკიპაჟები როზენის დროს გავრცელდა“.<sup>272</sup>

ქალაქში დროშკებითა და ეტლებით სიარულის საჭიროებას იწვევდა ისიც, რომ თითქმის, მთელი თბილისის, ქუჩები უფარნებოდ იყვნენ.

მალე გამოვიდნენ „ბირეის“ ეტლებიც. „პირველი მერცხალი“ მეეტლე ცაკანა იყო. „მე მახსოვს, — წერს დ. ყიფიანი, — თბილისში პირველი ეტლის გამოსვლა ბირეაზე, მეეტლე ცაკანას „დროშკებისა“, რომელიც ოციან წლებში რამდენიმე წლის განმავლობაში ბირეის ერთადერთი მეეტლე იყო ამ ქალაქში“.<sup>272</sup>

ერთი ალიაქოთი და ზეიმ-ზარი იყო დროშეებისა და ეტლების გამოჩენისას. მოსახლეობა „ქუდმოგლეჯილი“ გამობოდა სასეიროდ. მეეტლე ცაკანას რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა მეეტლეებიც მოყვნენ. ქალაქში მეეტლეებს სადგომად, რამდენიმე ადგილი ჰქონდათ აჩენილი. ტორნაუ ამბობს მათ შესახებ:

„დროშეები ჩვეულებრივად განწყირივებული იდგნენ შუა ბაზარში, მაღათოვის მოედანზე. თბილისის მედროშენი ძალიან ჩქარა მიაქროლებდნენ თავიანთ ცხენებს. დიდად სახიფათო იყო შიგ ჩაჯდომა. თუ გვერდულად დაჯდებოდი, პირველ შესახვევშივე გადაგისვრიდა და ლაფში აპოიგანვლებოდი, ან არა და პირდაპირ ყირამალა გადაყარდებოდი.

ამ დროშეებზე იმ შემთხვევაში შეიძლებოდა თავის შეკავება, თუ ეტლს ცხენივით გადაალაჯებდი. მიუხედავად ამისა თბილისის ქართველი ქალები, ახერხებდნენ თავიანთი გამოგონილი ხერხით — ოთხ-ოთხი ერთად მგზავრობას. ორი ჯდებოდა ერთმანეთის პირდაპირ, ორი თავსდებოდა მარცხნივ და მარჯვნივ თავიანთ ამბანავთა მუხლებზე, რომლებიც წელზე ხელს შემოხვევდნენ მათ. ამგვარად კეთდებოდა ქალთა ოთხთავიანი პირამიდა ასე მიჰქროდნენ ისინი თბილისის ქუჩებში. დროშეის ღერძზე შემოპჯდარი იყო პატარა ბიჭი, ურომლისოდაც ქართველი ქალი ქუჩაში არ გამოდიოდა.“<sup>274</sup>

დროშეითა და ეტლით სიარული საკმაოდ ძვირი ყოფილა. ა. ს. პუშკინი შენიშნავს: „ეტლით ორ ქუჩას გადავედი და ნახევარი საათის შემდეგ გავათავისუფლე მეეტლე: მაინც იძულებული გავხდი მიმეცა ორი მანეთი ოქროთი. პირველ ხანს გავიფიქრე, ახლად მოსულის გამოუცდელობით ისარგებლა-მეთქი, მაგრამ მითხრეს, ფასი სწორედ ასეთიაო.“<sup>275</sup>

ეტლით სეირნობა ნატვრა იყო მრავალ თბილისელთათვის. გ. ერისთავის ერთ ლექსში „დედა შვილი“ ოცნებობს: „ნეტა როდის იქნება კალიასკით ვიზიტობდეთ.“<sup>276</sup>

ქართველი არისტოკრატის უმაღლესი ნაწილი უსახსრობის გამო მოკლებული იყო „დროშეით“ სეირნობას და ამიტომ „ფეხით“ დადიოდა. „ყოველგან შინაური კაცი, — წერს ი. მეუნარგია, — ბარათაშვილი შეიქნა საზოგადოების საყვა-

რელ კაცად. საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწევოდა ის. დროშკების ფულები არა ჰქონდა ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოჭლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზეპირად იცოდა“. 277

დროშკითა და ეტლით „სიარულისას“ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს. 1832 წელს „დროშკიდან გადმოვარდნისას დაშავდა ლუარსაბ ორბელიანი. ა. ორბელიანი გადმოგვცემს: „ლუარსაბთან მივედით, ვნახეთ, რომ ქვეშაგებში იწვა, დროშკიდან გადმოვარდნილიყო და ცხვირი გაეტეხა“. 278

ეტლებს „ადინაჩკები“ მოჰყვა. ა. ჭავჭავაძე იყო პირველი კაცი ქალაქში, რომელიც „ადინაჩკამ“ იმსხვერპლა. ეს მოხდა 1846 წლის 6 ნოემბერს:

„ა. ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემგზავრა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალაცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ. მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინაჩკას“ ქუჩერმა და ალექსანდრე დაეშვა პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით.

როცა ის დაუხლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდან საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა, სწორედ იმ დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ეტლი, ცხენი დაფრთხა, წაართვა თავი ქუჩერს. შეშინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს; „კნიაზო, მე ამის დაქერა არ შემიძლია, თავს უშველეო“. ალექსანდრემ იფიქრა ქუჩერის მიშველება, წამოიწია, და რომ უნდოდა სწვდომოდა ადვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოვარდნა სასიკვდილო შეიქნა“. 279

მოდასაყოლილ ქართველ თავადაზნაურობისათვის იდეალი იყო საკუთარი კალიასკის, დროშკისა თუ ეტლის შეძენა. გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას სწერდა: „ჩემო ილიკო. პირობაზე როგორ ხარ? თრიბელიუზის კალასკა რომ დამპირდი, აბა სად არის? ამ მოხუცებულობაში მაშ რით ვიარო? ამაზედ რას მეტყვი! ჰაა! თუ იტყვი, კურთხეული ზურაბ

ყაფლანაშვილი უფრო მოხუცებული, ლურჯის ცხენით დადიოდა. ევ ხომ ჩემის სიტყვის პასუხი არ იქნება, შენ იცი“.<sup>280</sup>

გ. ორბელიანს მეტად გაუძნელდა ეტლში ფულის გადახდა, მეეტლესათვის ტანისამოსის შექმნა. „ეს სულ შენ მიყავ, — სწერდა პოეტი უმცროს ძმას ილიას, — მე რად მიწოდოდა ფაეტონები და სხვადასხვან რაღაებიცა, თუ ფული დამეხარჯებოდა, ახრ, ფული არა სჯობია ყველა ნივთებსა და ფაეტონებსა? მაგრამ რაღა გაეწყობა, ისევე კანკალითა და წვევლითა უნდა გავალო ჩემი კარგი ყუთი და გამოვესალმო ამდენ ფულებს“.<sup>281</sup>

რამდენიმე დღის შემდეგ, „ორბელიანთა უბნიდან“, გრიგოლ ორბელიანის ეტლიც გამოვიდა პროსპექტზე.

### 33. საყავიები

მეტეხის ციხის მახლობლად ყავანჩებს რამდენიმე ყავახანა ჰქონდათ. ყავის, ხმელი ხილის და ნამცხვარის გარდა, აქ შესული, დანაყრდებოდა ნაირფერ აღმოსავლურ კერძებითაც.

ყავახანა აშულთა შესაკრეფი პუნქტი იყო, სადაც ყოველ საღამოთი იპართებოდა კამათი, დაკვრა, და „ლექსებით ძებნა გამოცანებისა“. პაექრობებში გარეშენიც მონაწილეობდნენ.

ერთი აშული ლექსად დასწერდა მულამბაზს (გამოცანას). ნაწერ ქალაღს მიაკრებდა ძვირფასად ნაქსოვ ნახელავ ქირმან შალზე ან ყალამქარის ბაღდაღზედ და ჩამოჰკიდებდნენ ყავახანაში. ყავახანა მუდამ ხალხით იყო სავსე და, აშულთა წასაქვებლად, გარდა აშულეზის არმაღანისა მეტს ფულსაც ჩამოდიოდნენ და ამ ფულს აკრავდნენ ქირმანშალზედ დაკრულ გამოცანის გარშემო.

ეს ფული, ფულთან ის ქირმანშალიც, გამარჯვებულ აშულს ეკუთვნოდა. თუ ამ გამოცანას ვერავინ ახსნიდა, შალიც და შეკრებილი ფულიც გამოცანის ავტორს რჩებოდა. როცა ლექსით მძებნელი სისწორით ახსენებდა გამოცანის სახელს, ყავაზი მაშინვე დაჰკრავდა თუნუქის ნაქვრზედ რკინის მამას და დაიძახებდა: „დადექით! იპონა!“ მაშინ გამარჯვებული

გამოცანის პატრონსაც მოსთხოვდა, ხალხის თანდასწრებით, ხმოვან ასოთა რაოდენობით და ქორონიკონის ანგარიშით დამტკიცებას. გამარჯვებულს შალით, ფულით ეს ყავაჩი აჯილდოებდა“.<sup>282</sup>

ოცდაათიან წლებში ამ ყავახანებში დადიოდნენ 1832 წლის შეთქმულების წევრები და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობდნენ. ელიზბარ ერისთავი ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ წერს: „ი. ფალავანდოვმა დაგვპატიჟა ვახშმად საყავე სახლში მეტეხის ციხის მახლობლად. აქ იყვნენ ანტონ აფხაზოვი, ალ. ორბელიანი, ზაალ ჩოლოყაყევი, სოლ. დოდაევი და მე. იქ ვილაპარაკეთ საქართველოზე, მის სიღარიბეზე. თავადების ურთიერთშორის გაუთავებელ შუღლსა და დავაზე“.<sup>283</sup>

დღევანდელ პუშკინის ქუჩაზე, ყავახანებში დახლის, საყავის, გატეხილი ჩაიდნის და სახელურ თუ, პირმომტვრეულ ფინჯანების მეტს ვერაფერს ნახავდით. ცუდი ხარისხის ყავისა და ჩაის გარდა არაფერი იყო. მოსულნი ამითაც კმაყოფილდებოდნენ, რადგან აქ მათ სულ სხვა იზიდავდა. ეს ყავახანები აზარტულ თამაშობათა სადგურს წარმოადგენდა.<sup>284</sup>

ჩამოდიოდნენ ამ ყავახანებში, სხვადასხვა საქმეებზე მოსალაპარაკებლადაც. ყავახანების მომსვლელები იყვნენ: უსაქმოდ მოხეტიალე, სამსახურიდან დათხოვნილი. გადამწერლები, გადაყენებული იუნკრები, ბულკების დამტარებლები და სხვ. დილიდანვე ყავახანა ივსებოდა ხალხით.

„მოსულები, — წერს ს. ქიშმიშევი, — ოთხი-ხუთი და ხან მეტი ცალკე ჯგუფებად ჯდებოდნენ და იწყებდნენ თამაშს“<sup>285</sup>.

თბილისში მალე გაჩნდნენ სულ სხვა ტიპის საყავეები, სადაც სრულიად მოურიდებლად დადიოდნენ ქალებიც. ერთი ასეთი საყავე ჰქონდა ტოლეს. გ. ორბელიანი ტასო ოგლობ-ჟიოსადმი მიწერილ ბარათში სწერდა: „გაუთხოვარნი ქალები გროვდებიან ტოლეს მალაზნინში, ყავასა სმენ ყმაწვილ კაცების საზოგადოებაში“.<sup>286</sup>

ასეთ საყავეთა რიცხვი თანდათან იზღებოდა თბილისში.

### 34. თულუხჩები

სამკურნალო წყლებით მდიდარი ქალაქი ღარიბი იყო სასმელი წყლით. ქების სიმლაშისა და წყაროების სიმცირის გამო იმდროინდელი თბილისის სასმელად უმთავრესად მტკვრის წყალს ხმარობდა.

„თბილისში მთავარი მდინარე მტკვარია,—ვკითხულობთ ძველ აღწერაში,—შემდეგ კი ორი პატარა მდინარე: ვერა და წავკისი. ორივე ეს მდინარე უერთდება მტკვარს: პირველი ჩრდილოეთით, ხოლო მეორე—სამხრეთით; მტკვრის წყალი გაზაფხულსა და ზაფხულში მომეტებულად მღვრიეა, ამ დროს კავკასიის მთებზე თოვლის დნობის გამო, ზაფხულში კი სხვადასხვა ადგილებში კოკისპირული წვიმების გამო. წვიმის ნიაღვრები წალეკავენ ხოლმე მიწასა და ქალაქის უსუფთაობას და ჩადიან მტკვარში. ამის გარდა ყველა სანაპირო სახლებიდანაც უსუფთაობა ჩადის მტკვარშივე.

დაყენებული მტკვრის წყალი გემრიელი და სასიამოვნოა დასალევად. შემოდგომასა და ზამთარში კი იგი უფრო სუფთაა. ქალაქის მცხოვრებლები სასმელად ხმარობენ მხოლოდ მტკვრის წყალს. ვერის წყალი მლაშეა და ვარჯა მხოლოდ ქალაქის ბაღების მოსარწყავად; ზაფხულში ის ერთობ მცირდება. წავკისი კი აბანოებთან უერთდება თბილ გოგირდნაცარტუტოვან მინერალურ წყლებს და გამოიყენება მხოლოდ თეთრეულისა, ნოხებასა და შინაურ ნივთების სარეცხად“.<sup>287</sup>

თბილისის მტკნარწყლიან წყაროებიდან ყველაზე დიდი თათრების სასაფლაოს დასაუღეთით მომდინარე წყარო იყო, რომლის ნაწილი თიხის მილებით მეჩეთში ჩადიოდა. ამ წყაროს თავისუფლად შეეძლო დაეკმაყოფილებინა მეიღნის მცხოვრებთა უმეტესობა, მაგრამ ხალხი მას „მურდაშირს“, ე. ი. მკვდრების გასაბან წყალს ეძახდა და სასმელად არ ხმარობდა. მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში, „მურდაშირი“ გამოყენებული იქნა მეიღანზე საზოგადო წყაროდ.

ქალაქის ღარიბი მოსახლეობა მტკვრიდან კოკებითა და დოქებით ეზიდებოდა წყალს. შეძლებულ ოჯახებს კი წყლის მომტანად თულუხჩები ჰყავდათ.

„ცხენზე, უფრო ხშირად ჯორზე,—წერდა ნეპიროვიჩ-და-ხჩენკო,—ჰკიდია ორმაგი თულუხი, რომელიც კეხზეა შეერთებული. თულუხს ზევიდან ფართო ნახვრეტი აქვს, როკელშიაც პირდაპირ მდინარიდან ასხამენ წყალს. ქვევიდან, უფრო წვრილი ნახვრეტიდან, წყალს კასრებში ასხამენ. თულუხი მოიტანს წყალს, წონასწორობისათვის ხან ერთი მხრიდან ჩამოასხამს, ხან მეორედან. წყლის მოტანისათვის იღებდა შაურს. ნაღდად კი არა: მზარეული გამოიტანდა ჯოხს, რომელზედაც თულუხი გააკეთებდა ნაქდევს. როცა 20 ნაქდევი შეგროვდებოდა, მიიღებდა მანეთს“.<sup>288</sup>

მადათოვის კუნძულის თავთან იყო საგანგებო ადგილი, საიდანაც თულუხები წყალს ეზიდებოდნენ. არსებული კანონის თანახმად, მის ახლომახლო ადგილებში, ნაგვისა და სხვა სიბინძურის გადაყრა არ შეიძლებოდა. წყლის სხვა ადგილიდან აღება აკრძალული იყო. „საქართველოს გაზეთში“ დაბეჭდილი განკარგულება იუწყებოდა: „რადგანაც ქალაქის მცხოვრებნი სასმელად და საქმლის სახარშავად ხმარობენ მტკვრის წყალს, ამისთვის უნდა დაიშალონ მათ წყლის აღება იმ ადგილებში, სადაც რაოდენსამე ზევით ჰყრიან მრავალგვარს ნაგავს“.<sup>289</sup>

ვიდრე მეხანძრეთა რაზმი ჩამოყალიბდებოდა, თულუხები, მეხანძრეების მაგივრობასაც სწევდნენ.

### 35. სატრფიალო ლირიკა

„ვარდ-ბულბულიანობის“ მოტივი გადმოჰყვა მე-19 საუკუნის დამდეგის ზოგიერთ პოეტსაც.

„ვარდ-ბულბულიანობის“ სიმბოლიკა ასეთია: სატრფო — ვარდია, ხოლო მიჯნური ბულბული. დავით რექტორი ბესარიონ გაბაშვილის პოეზიის მაგალითზე ასე წარმოგვიდგენს „ვარდ-ბულბულიანობის“ ჩვეულ სახეობას.

ბესიკის ლექსის „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალეხას“ შენიშვნაში დავით რექტორი წერდა: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული: მუხამბაზი ხუთშიაირად. ბესარიონს ვარდად თქმული უყვარდა და ვარდასაც ბესარიონ უყვარდა.“



როდესაც ბესარიონ მოტყუვდა სხვის შეყვარებით, ვარდმა შეუტყუო და თავისთან აღარ გაატარა. მაშინ ჰსთქვა: „სვედის ბალს შეველ“.

შემდგომ ბესარიონ თავის დანიშნულს და ვარდის ხადუმთან საყვედურს ახლა კიდევ ამ ბუთს მუხამბაზში ამბობს: „მქსნენელნო, თქვენ იგულისხმეთ ვარდი ვინ არის, თორემ ბესარიონ რომ ვარდს ეძახის, ის ვარდი თავისთავს იას უწოდდა; და ახ მეორე ბესარიონისაგან შეყვარებული ვინ არის. მე სახელები არ დაწვერე: არა ჰსჯობდა თქვენ გამოიცანით“. 190

მე-19 საუკუნის დამდეგის პოეტებიც ხარკს უხდიდნენ „ვარდ-ბულბულიანობას“. პირველ რიგში მოხსენებულ უნდა იქნას ალექსანდრე ჭავჭავაძე. მას ეკუთვნის შემდეგი ლექსები ამ თემაზე: „მაისის ვარდმან“, „ვარდო კოკობო“, „ვარდის გაყრილსა“, „როს ბულბული“, ოდოევსკიდან თარგმნილი „ვარდი და ბულბული“ და სხვა ლექსები. აქვე უნდა მოვიხსენიოთ გ. ორბელიანის: „წინანდლის ვარდო“, „საამოა სახილველად“ და სხვა.

რა თქმა უნდა, ზემოდასახელებულ ლექსებშიც „ბულბულად“, „ვარდად“, „იად“, „ნარგიზად“, „ყაყაზოდ“ და სხვ. განსაზღვრული პიროვნებანი იგულისხმებოდნენ. სატრფოს — შეყვარებულის ვარდად წოდება „ლელიად“ შეიცვალა. დავით რექტორის განმარტებით: „ლელია არაბულია, ხოლო ქართულად ითქმის ხორბლის ფერი“. 291

რომ „ლელია“ იმდროინდელ თბილისში სატრფოს — შეყვარებულს ნიშნავს, შეიძლება რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ. როგორც ცნობილია, გ. ერასთავი მთელ, თავის სიცოცხლეში ეტრფოდა ეკატერინე ჭავჭავაძეს. 1832 წლის შეთქმულების გამომეძღვანების შემდეგ, პოლონეთში მყოფი გ. ერასთავი გ. ორბელიანს სწორედ ამის შესახებ სწერდა კერძო წერილში. 292

იმავე ხანებში დაწერილ ლექსში „ყაბახისადმი“ გიორგი ერასთავი ამბობდა:

ჰოი მოედანო, მიყვარდა მე ეამს გაზაფხულის  
მიმოსვლა შენზედ, დავსტკებოდრი წაინდის ჭაერით,  
შენითგან ვჭკვრეტდი მჯდომარესა სატრფოსა გულის,  
სეირნობაში დამათრობდი ლეილას მხერით.

მარკვი, ვინ არის შენი გმირი ტრფობით შეშლილი?  
ლეილას თვალნი ნეტარ თუ ვის აწ ეძიებენ?  
დახშული კარი მამულისა რო განმელების,  
რომ ერთ გზისცა კვლავ მელირსოს შენზედანვე სვლა!  
თუ მოაჯირით ლეილაცა გამილიმდების,  
უტყვე მოკვდე, შენ საშუალ მელირსოს დაფვლა. 203

რა თქმა უნდა, აქ „ლეილა“ ზოგადად სატრფოს ამღ-  
ვნიშენელი მცნებაა და არა საკუთარი სახელი შეყვარებულისა.

ლეილა სატრფოს მნიშვნელობითაა მოხსენებული დ. ყორ-  
ღანაშვილის წერილში გ. ორბელიანისადმი 204.

მირიან ბატონიშვილი თავის სატრფოს შემდეგს სტრი-  
ქონებს უძღვნის:

ოდეს განზე გამოსული  
სარკმელსა, ვით მთვარე სრული,  
დამიტყვევე სრულად გული, ლამაზო,  
ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!  
ქვეყნად გასულა შენი ხმა,  
ბრძენთა ვერ ძალუც ქების თქმა,  
გიხდება დია შავი თმა, ლამაზო,  
ნუ მწვავ ესდენ, სიყვარულო შენ ნაზო!  
გშვენიან ინდის ხალები,  
მკვრეტელთა შემაშალები,  
შავნი წარბნ-წამწამ თვალები, ლამაზო!  
ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!  
ბ: გე ვარდი ახლად შლილი,  
კბილხი მარგალიტ წყობილნი,  
ხარ მუსაიბ ენა ტკბილი, ლამაზო  
ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!  
ხარ ტან-წველილი, ლამაზ-წელი,  
ვით ალვა ნარნარ მრხეველი,  
მით ხარ ყარიბისა მკვლელი, ლამაზო,  
ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო! 205

„სატრფოს სარკმელთან“ მდგარი ალექსანდრე ორბელიანი  
ნაღვლიანად მღეროდა:

მე შენ კარზე ყურებით, ქალო,  
დამიყრუვდა ყურები.  
ვერ ვისმინე ხმა შენი, ქალო,  
ვერ ვიხილე სახენი.

ნეტარება იმასა, ქალო,  
ვინც გიხილებს სახესა,  
დაგიკოცნის თვალებსა, ქალო,  
დაგინახამს ხალებსა.  
მე რათ მინდა ლექსები, ქალო,  
შენის ეშხითა ვკვდები,  
მსურს შენთან ხლებანი, ქალო,  
დამრთე ამისა ნებანი. 298

„მიჯნურის სარკმელთან“ მომლოდინე დიმიტრი ონიკაშვილს  
გრიგოლ ორბელიანი ასე ალაპარაკებს:

ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?  
გული მეწვის, სასიკვდილოდ, მხადა ვარ!  
ძალსავეითა ვჭვდივარ ა იმ ქეჩაში,  
ვჭყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,  
ერთს მოაჯირს, ორ პატარა ჭანჯარას;  
ვგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!..  
ეშხისაგან გონება გამოცლილსა,  
მზე ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის არ მესმის!  
განა ღამით ძილი არის-ლა სადმე,  
ანუ დღისით განსვენება სულისა?  
ან ვილასა აგონდება სადილი,  
ანუ ღამით აბანოში ღებინები?...  
ნაბად-გაზვეული ვჭვდივარ ქუჩაში;  
ვოხრავ, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?  
ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?  
— შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?  
მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი,  
მოდე ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!  
ჩემი დარდი, თვალის ჩინი აქ არის;  
ერთი მითხარ, მე სად უნდა წავიდე?  
თვალის ჩინო, დროა რომ შემებრალო:  
მოშარჩინო ამდენ დავიდარაბას!  
გამობრწყინდე მოაჯირზე მხესავეთ,  
პირ-დავემხო, მიწას მადლით ვემთხვიო!  
გამაგონო სირინოზის ხმა შენი,  
სიყვარულის სიტყვითა გული მიღებინო!  
აბა, შემომხედე ღამაზ თვალებით,  
ნახე, როგორ გავდიდვადე, გავმეფდე?  
მაშინ მნახავ, თავი ცამდის ამელოს,  
ჩემზედ მეტად არსად არვინა ჰსჩანდე!  
შემიძლია მაშინ ვებრძო ქვეყანას,  
შენი ეშხი მამცემს იმდენ ძალასა! 299

ყაფლან ორბელიანი კი, ხშირად გათენებამდე ყელშოღერებული მღეროდა სატრუოს სარკმელთან. „როცა მე ვინმე მიყვარდა, — უთქვამს ყაფლანს, — მთელ ღამეს მის ფანჯარის ქვეშ ვათენებდი და ვმღეროდი. ხანდახან სატრუო ფანჯრიდან გადმომძახებდა: ყაფლან, გეყოფა, გაცივდებიო. მეც ვეტყუოდი: მაშ შენი საბურველი გადმომიგდევო და მართლაც გადმომიგდებდაო“.<sup>298</sup>

ასეთი იყო იმდროინდელი თბილისის სატრფიალო ლირიკა.

### 36. დოქტაჰრები და ექიმები

სამკურნალო საქმეს საქართველოში ძველი დროიდანვე იცნობდნენ.

ჩვენს ხელნაწერთა საცავებში არა ერთი „კარაბადინი“ და სხვა საექიმო თხზულებაა დაცული. ივანე ბატონიშვილი თავის ენციკლოპედიური ხასიათის „კალმასობაში“ ჩამოსთვლის და განიხილავს მთავარ სამედიცინო დარგებს. ხოლო თვით მედიცინის რაობას ასე განმარტავს:

„მკურნალობა, გინა ექიმობა, არს სწავლა განმრთველი განხილვითა კაცთა სნეულისა; და ყოვლისა მის ცნობაი, რაიცალა სახმარ იყოფის დაცვისთვის სიმრთელისა, და რაიცა შესაძლებელ არს ხმევად ღონისძიებისა მოქცევად მისა პირველსავე სიმართლესა შინა, ოდესცა ვისმე შეხვდების ვითარიმე სნეულება და დაკარგულ ჰყოფს სიმრთელესა თვისსა“.<sup>299</sup>

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII კარზე ცნობილ ექიმებად ითვლებოდნენ: თათულა ყორღანაშვილი, იოსებ ყორღანაშვილი, იოსებ ყარაშვილი, იოანე ყარაშვილი, სტეფანე შარიმანაშვილი, პატრი დამიანე, პატრი ფილიპე და სხვანი.

თუ რას ღებულობდნენ გასამრჯელოდ სასახლის მკურნალები, ვგებულობთ 1798 წლის ერთი დოკუმენტიდან: „ბარათით პატრი ფილიპეს, ექიმს თათულას და ექიმს ოსტეფას ორის კვირის ულუფად მიეცა ცხრაშეტი მინალთუნი და სამი აბაზი“.<sup>300</sup>

სახალხო დოსტაქარსა შორის სახელი ჰქონდათ დარბეული ბაჯიაშვილებს, თურმანიძეებს და სხვ. მოსახლეობის დაბალი ფენა ბითქმის მთლიანად ექიმბაშების, ბებია-ქალების და მკითხავეების ხელში იყო.

თათრის მოედანზე ექიმბაშთა აფთიაქხანა იყო, სადაც იყიდებოდა სხვადასხვანაირი „წამალი“: ჰინა, მურდასანგი, ბასმა, ინდუსყაირი, ხაშხაში, თიახფარუხი, დარიჩინი, ზარიშკი, ჯავოზი, ყარამფილი და სანელებელი მცენარეულობა.

1800 წელს, როცა ახალციხიდან შავი ჭირი შემოვიდა, კოვალენსკის წინადადებით, ქალაქის შესასვლელთან კარანტინები მოაწყვეს. აქ, „ტანსაცმელის შებოღებას“ აწარმოებდნენ და სნეულთ სამკურნალოდ აწვევდნენ. პ. იოსელიანი წერდა:

„სასნეულო ჭირიანთათვის გამართეს თვით რუსთა ვერაზე ლურჯ მონასტრისა გვერდით. სახლად აუშენეს ოთხი წნელის დიდი სახლი, გარედამ და შინიდან ლესულნი გაჯითა და ზევით ქერი ფიცრითა დახურვილი. აპრილიდან აგვისტომდინ იყო ესე. მზრუნველობას სნეულთა სანოვაგესა და საწოლისა, მიანდევს ქალაქისა მელიქსა დარჩია ბებუთოვს და ერთსა სომეხსა ადალოს, ოსმალოდამ მოსულსა, კირნახადასა“.<sup>301</sup>

რამდენიმე ხნის შემდეგ პატრმა ფილიქემ ააშენა „სასნეულო, საკურნებლად სნეულთა უპოვართა“.

მე-19 საუკუნის დამდეგს, თბილისში, რამდენიმე რუსი და ევროპელი ექიმი იყო. ისეთი დოსტაქრები, როგორც თურმანიძეები იყვნენ, კვლავ პოპულარობით და ნდობით საზღვებლობდნენ.

1812 წელს, როცა მემბოზე გლეხკაცმა პოეტ ა. ჭავჭავაძემ მუხლში მძიმე კრილობა მიაყენა, იგი სიკვდილისაგან თურმანიძემ იხსნა. „კრილობას, — წერს ი. მეუნარგია, — ძლიერ ცუდი შედეგი ექნებოდა პოეტისათვის, რომ დროზე არ მიშველებოდნენ თურმანიძეები, რომელნიც იმ დროშიაც შესანიშნავი ექიმები იყვნენ“.<sup>302</sup>

ჩამოსულ ექიმთაგან აღსანიშნავია „შტაბდოქტორი“ ნიკოფორ ივანეს ძე იავლენცკი და პოლონელი ექიმი პოპეიკა, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებასთან. გ. ერისთავი, საიდუმლო ანბანით დაწერილ, ფილადელფოს

კიკნაძისადმი გაგზავნილ ბარათში, პოპეიკა'ს შესახებ ამბობდა: „მამაო, ნწერთ, პოპეიკა გაიცან, ჩემთვის საჭირო არისო. იმას თუმცა ვიცნობ, მაგრამ ახლო ვერ ვიცნობ“. <sup>302</sup>

ხოლო თვითონ ფილადელფოს კიკნაძე ერთ თავის ჩვენებაში პოპეიკაზე შემდეგს უჩვენებდა: „პოპეიკა მწამლობდა მე 1824 წელში სიღნაღს სწეულებასა და მარგო. შემდგომ იქიდან ამ დრომდე სწეულება ესე მცირედ, მცხარედ იზრდება ჩემში, და ახლა ძალიან მინდოდა ჩამოვსულიყავ ქალაქს და ეწამლა. ვსთხოვე, რომ კარგად გაეცნა, რომ მეგობარი უფრო ერთგულად მიწამლებს მეთქი: ამისათვის ვსთხოვედი (გ. ერისთავზეა ლაპარაკი — ი. ბ) გაცნობას“. <sup>303</sup>

რა თქმა უნდა, რომ ყველაფერი ეს, საკითხის მეორე მხარე იყო. პოლონელ ექიმ პოპეიკასთან გ. ერისთავის და სხვა შეთქმულთა დაახლოება ფილადელფოს კიკნაძეს სრულიად სხვა მიზნებისათვის ესაჭიროებოდა.

შემდეგ მოხსენებულ უნდა იქნას პრიბილი, რომელიც ჯინკრის ციებისაგან ჰკურნავდა თბილისში მყოფ ა. ს. გრიბოედოვს. პრიბილიც კარგ დამოკიდებულებაში იყო თბილისის მოწინავე ქართველობასთან. ავლაბრის ყაზარმაში პატიმრად მყოფი პოეტი ვ. ორბელიანი სწერდა თავის რძალს ეკატერინეს: „ეს სამი დღეა, დიდად უკეთა ვარ, ასე რომ იმედი არა მქონდა, რომ ასე უკეთ შევიქნებოდი, თუ კიდევ შეუძლოთ შევიქნები, შეგატყობინებთ და თქვენც ეცადეთ მაშინ, რომ პრიბილმა მნახოს“. <sup>304</sup>

პოპულარული იყო ექიმი თომა ივანესძე უმისა, რომელმაც 1829 წლის 9 სექტემბერს, ახლადჯვარდაწერილი გრიბოედოვი ცოლითურთ თბილისიდან ერევნამდე გააცილა. ივანე კარლისძე დეპნერი თბილისელთა სიძე იყო. მას ცოლად ჰყავდა სალომე დიმიტრის ასული თარხნიშვილისა. დეპნერს მშვენიერი სახლი ედგა, „კუზნეცი“ (მკედლების) ქუჩაზე. ამ სახლში 1832 წლის ზამთარი გაატარა ჭავჭავაძიანთ ოჯახმა. დეპნერმა სიკვდილისაგან იხსნა თბილისში მყოფი ცნობილი დეკაბრისტი მწერალი — ალექსანდრე ბესტუჟევი-მარლინსკი. დეპნერის სახელთან დაკავშირებულია ერთი პირველი აფთიაქის დაარსება თბილისში. დეპნერის აფთიაქზე იმ ხანად ასეთი „შელამაზებული“ ანეკდოტი დადიოდა:

„ნეიდგარდი შევიდა თბილისის აფთიაქში, რომელიც ეკუთვნოდა დოქტორს დეპნერს და ნახა, რომ იქ დიდი უწმინდურება და არეულობა არის. ამ გარემოებამ ძლიერ გააჯავრა მთავარმართებელი.

— გამიგონე, დოქტორო, პირიდან სასაქმებელი წამალი გაქვთ?

— გახლავს, თქვენო უაღმატებულესობავ.

— სრულებით საკირო არ არის ეს წამალი: ავადმყოფი შემოიყვანეთ თქვენს აფთიაქში და აქაურობის დანახვა საკმაო, რომ პირიდან ზიდილი დააწყებინოს.“<sup>306</sup>

1844 წლის ზაფხულში დეპნერი გარდაიცვალა. ნ. ბარათაშვილი იმავე წლის აგვისტოს გ. ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში სწერდა: „ივან კარლიჩი (დეპნერი, ი. ბ.) გარდაიცვალა, სალომე კარგი ქვრივი დარჩა, სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უანდერძა *ЗАКОННЫМ АКТОМ*“.<sup>307</sup>

იმ დროის თბილისში ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობა იყო ციება. ა. ს. პუშკინი ამბობს ამის გამო: „ამბობენ თბილისის ჰავა ჯანსაღი არ არისო. აქაური ციებ-ცხელება საზარელია, არჩენენ მას მერკურით (ვერცხლის წყლით), რომლის მოხმარებასაც სიცხეების გამო ვნება არ მოაქვს. აქაური მკურნალები უსირცხვილოდ ჰკვებავენ მერკურით თავიანთ ავადმყოფებს. ამბობენ, გენერალი სიპიაგინი იმიტომ მოკვდა, რომ მის ექიმს მასთან ერთად პეტერბურგიდან ჩამოსულს, შეეშინდა აქაური ექიმების მიერ განკუთვნილი რაოდენობისა და არ მისცა იგი ავადმყოფს. აქაური ციებ-ცხელება ყირიმისა და მოლდავისას ჰგავს და ორივეს ერთნაირად არჩენენ“<sup>308</sup>.

მუდმივი ტალახის, უსუფთაობის, ქუჩების დანაგვიანების შედეგად ჰაერი იზხამებოდა. ბევრი ხილი და მტკვრის წყალი ხელს უწყობდა დიზენტერიის და სხვა ეპიდემიური დაავადებების გავრცელებას. გიულდენშტენდტი პირის შესახებ წერს: „შავი პირის დროს ავადმყოფნი მეტწილად ქუჩაში გაჰქონდათ, და შემჩნეულ იქნა, რომ ქუჩაში გატანისაგან უფრო მეტი იკურნებოდა, ვიდრე სახლში დარჩენილთაგან“.<sup>309</sup>

იაკობ გოგებაშვილის ცნობით ხოლერეიანობის დროს მოსა-

ხლეობა მანგლისს შეეფარებოდა თურმე. „მანგლისს, — წერდა იგი, — თავის დღეში არ უნახავს ხოლერა. დიდ ხოლერობის დროსა 1830 წელსა ნახევარი თბილისი მანგლისში და მის გარშემო ყოფილა დახიზნებული და ხოლერა აქ მაინც არ გაჩენილა. დიდი ხოლერობის შემდეგ საქართველოს თუნდა ოთხჯერ გამოუცდია პატარა ხოლერობა და აქ თურმე ერთი მცხოვრებიც არ გამხდარა ავადა არც ერთხელ“. <sup>310</sup>

რუსეთსა და საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ქართველნი, „საექიმო კურსსაც“ ასრულებდნენ. მათგან პირველი იყო სარდიონ დიმიტრის-ძე ალექსი-მესხიშვილი (1826 — 1863), რომელმაც დაასრულა პეტერბურგის სამხედრო ქირურგიული აკადემია. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი მწერლობდა. მას ეკუთვნის მარმონტელის „მეუდაბნოენის“ თარგმანი, რომელიც 1857 წლის ქურ. „ცისკარში“ დაიბეჭდა.

ევროპაში სწავლამიღებულ ექიმებიდან მოსახსენებელია ლაიპციგის სამკურნალო ფაკულტეტდასრულებული ზაქარია მიხეილის-ძე ზუბალაშვილი.

### 37. ფინჯან ჩაიში .

პეტერბურგში გამართულ ერთ-ერთ შეკრებაზე საქართველოს მეფის ნაცვალმა მ. ს. ვოროხცოვმა განაცხადა: „კავკასიაში მშვიდობიანობა მაშინ ჩამოვარდება, როცა მთებში ჩვენი სამოვარი გაჩნდებაო“. <sup>311</sup>

მართალია, ეს პროცესი „ბარში“ გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ თბილისში პირველი სამოვარი მთიელმა აადულა. მარიამ ყაზბეგი გვიამბობს:

„იმპერატრიცა ეკატერინემ მეფე ერეკლეს ჩაის ქურქელი, სამოვარი და სხვა ნივთები გამოუგზავნა საჩუქრად. ნივთები საქართველოს მიჯნაზე მოიტანეს და ყაზბეგიანთ გადასცეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ეს ნივთები ყაზბეგმა თბილისში მეფეს ჩაუტანა, სამეფო სახლში, ყუთი გახსნეს და ნივთები ამოალაგეს, მერე მეფემ სამოვრის დადგმა ბრძანა, მაგრამ სასახლის მოსამსახურებმა, ერთმაც ვერ დადგა სამოვარი. ბოლოს ყაზბეგიდამ ნივთების მიმტანმა მთიელმა დადგა თვითსადულარი, აადულა, ჩაიც გააკეთა და მეფეს მიარ-



თვა. ეს ამბავი შეფის ქალებმა ერეკლეს მოახსენეს. მეფემ გაიცინა და სთქვა: „ბარში რომ ჰქუა დაიკარგა, მთაში იპოვნესო, სირცხვილია, რომ მთის კაცმა გასწავლათ. როგორ ვერ შეატყვეთ, თუ საიღამ წყალი უნდა ჩაგესხათ, და საიღამ ნახშირი უნდა ჩაგეყარათო“. <sup>312</sup>

პ. იოსელიანის ცნობით, გიორგი მეთორმეტე: „დბლითა, შემდგომად ცისკრისა დღე — ყოველ მოსმენისა, მიიერთმევედა ჩაისა ილით და დარიჩინით მოღულებულსა; ჩინეთისა ჩაისა, რომელიც მოერთმეოდა რუსეთიღამ, მიიღებდნენ სნეულებისა დროსა სამკურნალოდ“. <sup>313</sup>

შაქარი ჯერ იხმარებოდა „ყანდისა“ რომელიც მოდიოდა ირანიდან და მისირიდან. ევროპული შაქარი უფრო ძვირი იყო, ის ახალციხის გზით შემოდებოდა ჩვენში.

თბილისს, რუსეთთან ურთიერთობის შედეგად, მოედო „ჩაით ლხინის“ ტრადიცია. „ორბელიანთა უბანშიაც“ შემოიქრა ჩაი. მეფე ერეკლეს სასახლეში „ნამყოფ და ნამსახურ“ პოეტ გრიგოლ ორბელიანის მამა ზურაბსაც ნაწენვეი ჰქონდა ჩაის გემო. ი. მეუნარგია ივანე მუხრანბატონისაგან განაგონს ასე გადმოგვცემს:

„მოდა იყო, ჩაის სმას რომ გაათავებდნენ, თუ არ უნდოდათ მეტის დაღევა, ჰქიქა პირქვე უნდა დაემხოთ. ერთხელ, როდესაც ზურაბი (მამა გ. ორბელიანისა — ი. ბ.) ნარდს თამაშობდა, გართულმა, უნებლიედ ჰქიქა გადმოაბრუნა და ბიჭმაც მეტი ჩაი არ მოუტანა. თამაში რომ გათავდა, ბიქსა ჰკითხა: ჩაი რატომ არ მომიტანეო?

— ბატონო, თქვენ აკი ჰქიქა პირქვე დაამხეთ.

— ბიჭო, და, რა უღელი ხარი იმის გადაბრუნებას უნდოდა, რით ვერ მოერიეო, — უპასუხა სიცილით ჩაის მწყურვალე თავადმა“. <sup>314</sup>

თუ წინათ მეგობრები ერთმანეთს სახლში „ღვინოზე“ პატივებდნენ, ახლა „ჰქიქა ჩაის“ დასალევად იწვევდნენ. ა. ორბელიანი ერთ ასეთ შემთხვევის გამო წერს: „1830 წელსა ერთსა საღამო ეამზე მივდიოდი სიონის ბაზარში ქვემოდან, და სიონის ქუჩის შესავალში რომ დაუპირდაპირდი, იქ ქუჩაში იასე ფალავანდოვი დამხვდა. თავი დაუჯარით ერთმა-

ნეთს, და ლაპარაკი დავიწყეთ, მას უკან ჩაიზე ამიწვია თავის სახლში, რომელიც წავედი და დავსხედით, სხვადასხვა ლაპარაკი დავიწყეთ, შემდეგ ჩაის დაღვეისა წამოველ“. <sup>315</sup>

ჩაიზე პატივობდა სტუმრებს სოლომონ დოდაშვილიც. შეკრებილნი მთელ საღამოს „უთრობელ ღვინის“ სმაში და მეგობრულ საუბარში ატარებდნენ. ალ. ორბელიანი გვიამბობს: „1831 წელსა ზაფხულს ერთს საღამო ეამზე გარეთუბნისაკენ სასაიროდ ვიყავით და შემდეგ სოლომონ დოდაევის სანახავად მივედით, როდესაც იმ სახლსა შინა შეველ, იქ ოსმალოს პოსლანიკი დამხვდა. მცირე ხანს უკან ელიზბარ ერისთავი და ჩემი ძმა ვახტანგ. ესენიც მოვიდნენ დოდაევის სანახავად. ჩაის ვსომდით, მურაბას ვქამდით და მე ქართულ სიმღერებს ფორტოპიანოზე ვუკრავდი“. <sup>316</sup>

თავგამოსაჩენი იყო, ვისაც ჩაის კარგი „სერვიზი“ ჰქონდა. 1834 წლის 13 აგვისტოს ა. ორბელიანი ქ. ორენბურგიდან სწერდა თავის ცოლს: „საუცხოვო ფარფორის ალუბლისფერი ექვსი ფინჯანი, ერთი ჩაინიკი, ერთი საშაქრე, კიდევ თავისი გაწყობილობით შენ მოგართვი. ოთხი პატარა წვრილი ფინჯნები, რადგანაც ჩვენს სახლში ოთხი წვრილნი ყმაწვილნი არიან: დარია, დათიკა, მაიკო და ლიზიკა, ამ ოთხს თითო ჩემ მაგიერ დაურიგე, და ეგ ერთი თლილი ბროლის ფინჯანი, ჩემ მაგიერ ჩემს პატარა დათიკას მიეცი“. <sup>317</sup>

ჩაის სასმელად ქალთა მარაქა ორთაქალის ბაღში, დროშკებით მიემართებოდა. უცნობი პირის 1834 წლის დღიურში ვკითხულობთ:

„ერთ ჩემ მეგობარს დაუპატიჟნია ქალნი და მათ შორის შენი სიცოცხლეცა თავის ნათესავის ქალით და მშობლითურთ. ცოტა ხანს შემდგომ შევხედე ბალკონიდგან, ოთხი დროშკა დავინახე, შიგ ქალები ისხდნენ, რომელთაგანშიაც ერთში ჩემი სიცოცხლე თავის ნათესავის ქალით სხედან. მოვიდნენ, გადმოვიდნენ დროშკებიდან, მიეგება ის ჩემი მეგობარი, რომლისგანაც დაპატივებულები იყვნენ. მიიწვია ბაღში, სადაცა იმათვის საფენი გაშლილი იყო. ერთს საამურს შემოფარგლულს ალაგს თუთას ქვეშ უნებებიათ დაბრძანება. მას უკან ჩაი მიუერთმეგიათ“. <sup>318</sup>

ჩაის სმას ქალები აბანოშიაც აწყობდნენ. „აბანოს ტანგა-სახდელ დერეფანში უშველებელი სამოვარი იდგა, რომელიც „კბილ-ჩაცვივულ ბებერსაკით“ ჩიფჩიფებდა. სამოვრის ირგვლივ ჩაის ქიქები ლამბაქებითურთ ჯარისკაცებივით იყვნენ გამწკრივებულნი და გვერდებზე თოფების მაგიერ კოვზები ჰქონდათ შემოწყობილნი. თვით სამოვარზე კი ამხედრებული ჩაიდანი მთავარსარდალივით იბღვირებოდა და მრისხანების ნიშნად თავს ახტუნებდა და არაკუნებდა“.<sup>319</sup>

პეტერბურგიდან თბილისში მომავალმა გ. ორბელიანმა დუშეთში გამოვლისას ჩაის დასალევად მიაკითხა ისტორიკოს პ. იოსელიანს. იოსელიანი სახლში არ დაუხვდა პოეტს. ორბელიანმა კარზე დაუწერა:

გირაკუნე, არ გამიღე კარია,  
მწყუროდა, და აღარ მასვი ჩაია“.<sup>320</sup>

ისე სწრაფად გავრცელდა „ჩაი“ იმდროინდელ თბილისში, რომ სულ მალე „დილის პურობა“ „ჩაის დალევით“ შეიცვალა.

### 38. საზანდარბი და მომღერლები

პირველი საზანდარი მაშინდელი თბილისისა არის ალავერდა.

სრულიად ახალგაზრდა ალავერდა მეფე ერეკლესთან ერთად გულადად იბრძოდა აზატხანის წინააღმდეგ. მემატიანე მოგვითხრობს: „ყოველსა ჟამსა მოქმედებისასა ალავერდა მოუშორებლად იმყოფებოდა მეფეს ირაკლისთან და მხნედ იბრძოდა“.<sup>321</sup> მეფე ერეკლეს დასაფლავების ცერემონიალში ტკბილმა საზანდარმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო. მან გაუთალა კუბო ერეკლეს. დ. ბატონიშვილი ერთ თავის ლექსში აღწერს რა „მოხუცი პაპის“ გარდაცვალებასა და დაკრძალვას, ალავერდას შესახებ ამბობს: „ალავერდა საკაცისა გამთლელი“.<sup>322</sup>

ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ ალავერდა კვლავ განაგრძობდა სასახლეში სიარულს. ყველაზე კარგ დამოკიდებულებაში იყო იგი ალექსანდრე ბატონიშვილთან. ალექსანდრე ალავერდას გარეშე მაგიდასთან არ ჯდებოდა. ალავერდა

თან ახლდა მას შულავერში გადახდილ ნაღიმზეც. „ქალმა სობა“ გვაუწყებს: „ბრძანა ალექსანდრე ბატონიშვილმან ვახშმის მოღება მოვიდნენ ვინც მუნ იყვნენ ღირსნი სხდომისანი. მოიღეს ვახშამი, და ბრძანა ალავერდა მოსაკრავისა მოყვანება. მოვიდა რგიცა და მოყვა საკრავთა კერასა და ტკბილად სიქლერასა“. 323

ალავერდა შესანიშნავად უკრავდა სალამურზე, ჩონგურზე, თარზე და მღეროდა ალექსანდრე ქავჭავაძისა და სხვათა ლექსებს. ქეთევან ორბელიანი შენიშნავს: „ა. ქავჭავაძის ლექსებს მღეროდა თათარი ალავერდა და მოდიოდა ქავჭავაძის სახლში“. 324

„შავწვერიანი“ საზანდარი გარეგანი შეხედულებით მეტად წარმოსადგენი და ლამაზი ყოფილა.

„როდესაც ბაგრატი წაუყვანიათ პეტერბურგს, იმას ხვდება ზაზა ანდრონიკოვი. ეს ყოფილა დანიშნული მარიამ ბატონიშვილის ქალზე ანასტასიაზე. ზაზა პეტერბურგს რომ მისულა, დოსითეოს ეპისკოპოსთან საბანაოდ წასულან და ზაზა დამხრჩვალა.

ეს ყმაწვილი „ერთად ქამაში“ ნამყოფი ყოფილა ანასტასიასთან და რომ გამოუმტლავნეს, მოწყენილი იყო. ამ დროს მოიყვანეს ალავერდა საზანდარი. ამ სიმღერაში ეს საზანდარი შეუყვარდა. იმან მოიტაცა და წაიყვანა თავის სახლში აბანოსთან. კათალიკოსმა წარმოაყვანინა ქალი და დაუწყეს დევნა. ის თათარი მაშინ შევიდა გოგილის აბანოსთან გამოქვაბულში. მთელი ქალაქი მიდიოდა მისი აზანის (ლოცვა) საყურებლად. ანასტასია რომ მოკვდა, იმან სალამური გასტეხა და თარი აიღო. მერე აღარც ცოლი შეურთავს“. 325

გ. ორბელიანი ერთ თავის ლექსში ალავერდას შესახებ ამბობს:

სულით ერთნო მოლხინენო, აწ შვარბით  
თარით, ჯამით, ყანწით, ახარფეშებით!  
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით.  
ალავერდა დასვით თარით ნაქებით. 326

1832 წლის შეთქმულების საქმეში გარეული იყო ალავერდაც. მოლა ზამანთან ერთად მას დაჰალებული ჰქონდა გა-

მოყვანა სოფ. ასან აჯალის მცხოვრებნი. როცა ყველაფერი „გამოირკვა“ ალავერდა მოჰყვა შეთქმულთა იმ კატეგორიას, რომელთაც არ დაუმტკიცდათ აჯანყების მზადებაში მონაწილეობა. შეთქმულების გამომკვლავნების შემდეგ ღრმად მოხუცებული ალავერდა მიიცვალა.

ალავერდა პეტრუსა საზანდარმა შესცვალა. თბილისის ბალების „თვალის ჩინი“, „აბანოს ლხინების“ მუღმივი თანამგზავრი, „სახლში ნადიმების“ „ავანჩავეანი“ საზანდარი პეტრუსა იყო.

პეტრუსა მარტო დაქირავებული მოსაკრავე როდი იყო. იგი უახლოეს და პირად მეგობრობაში იმყოფებოდა თბილისის მოწინავე ფენებთან. როცა საზანდარმა პეტრუსამ ჯვარი დაიწერა. მისი ქორწილი ოც დღეს გაგრძელდა. 1835 წლის 17 თებერვალს თბილისიდან გ. ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში დ. ყორღანაშვილი ასე აღწერდა ამ ნადიმს:

„გუშინ დასრულდა მეოცე ღამე ქორწილში ყოფნისა. უკანასკნელი ორი ღამე იყო მეტად სამაგალითო. აგიწერ, მაგრამ საღერღელი არ აგეშალოს ლხინისა. ბილეთებით ვიყავით მიწვეულნი საზანდარის ქორწილში. დანიშნულს საათს ღამისას მირზაჯან, იაგორ სტეფანიჩი, მელიქხად, მე, იერუსალიმსკი, იოსებ ექიმოვი და სხვანი ათამდი ოთხის ფანრით მივედით სახლთან, შევედით დარბაზში, თეჯირებით და მაყუბით გამართულში, სადაც დაგვხედნენ, დასტა-დასტად კარგნი კამპანიანი“.<sup>327</sup>

დავით ყორღანაშვილის ამ წერილმა მართლაც რომ „საღერღელი აუშალა“ გრიგოლ ორბელიანს. საპასუხო ბარათში პოეტი სწერდა: „შენმა ქორწილებში ლხინებმა საღერღელი ამიშალა; ბიქო, ეგ ხომ გაცოფებულხარ, მეტის ლხინისაგან, ოცი ღამე რა ამბავია. ახ! ნეტავი როდის ვიქნები მეც თქვენთან“.<sup>328</sup>

თბილისის ნადიმებს მოშორებული, გადასახლებაში მყოფი გ. ორბელიანი ნაცნობმეგობრებისადმი მიწერილ ბარათებში იხვეწებოდა „ესა და ეს დააკვრეგინეთო და მე მომიგონეთო“.

ერთი ასეთი თხოვნის პასუხად დ. ყორღანაშვილი ატყობინებდა გ. ორბელიანს: „შენ მოგიწერია, რომ საზანდარს

ქორწილში ჩარგა დავაკრევეინო და შენ მოგიგონო, როგორ არ იცი, რომ ყოველ ეამს ჩემის ფიქრიდამ განუშორებელი და დაუვიწყარი ხარ, არამცთუ საზანდართან, და მათს სიმღერასთან, ღვდღების გალობაშიაც შენ მაგონდები. ამაღამ ერთს კარგს ალაგასა ვართ მე და მირზაჯანა. შენის გულისთვის სულ ჩარგას ვაკრევეინებთ გათენებამდისინ“.<sup>329</sup>

1835 წლის 24 სექტემბრის თარიღით იგივე პირი დასახელებულ ადრესატს სწერდა: „გუშინ სადილად ვიყავით ონიკოვთან. კარგნი გვამნი მოსაწონნი შენგან, გოგრები გაგვიცხელდა მეხუთეს საათში შუა დღიდან ჩავსხედით ერთობ დროშებში. საზანდარი პეტრუსაც ჩაყლაპული თავისის თარით და წავედით დირსიქალასა, სადაც იყო საუკეთესო კამპანია ბალში, ჩვენც მოვემატენით, ვსვით და ვსვით მშუშხანე მაქარი. ლხინი წარმოიდგინე როგორ იქნებოდა, პერანგები და გულღიები, იქიდან მოვედით შუა ღამისას ბნელაში სიმღერებით და ქვებით ტაშის დაკვრით“.<sup>330</sup>

სათარა უსაყვარლესი მომღერალი იყო მაშინდელი თბილისისა. აღმოსავლური ჰანგების უბადლო შემსრულებელი. სათარა თავისი შესანიშნავი ტენორით აჯადოებდა მსმენელთ. ნ. ბარათაშვილი შეყვარებული იყო სათარაზე. სათარას გარეშე იგი ქეიფს არ იხდიდა. პოეტის დაი ბარბარე ვეზირიშვილი გადმოგვცემს: „ნიკო ყოველ ლხინზე სათარას მოიყვანდა.“<sup>331</sup>

სათარა თან ახლდა ბარათაშვილს დის, ეკატერინეს, ქორწილში. ზ. ორბელიანისადმი მინაწერ ბარათში ნ. ბარათაშვილი ასე აღწერს ქსნის ხეობაში (ახალგორში) მისვლას, ნადიმს და იქ სათარას მონაწილეობას: „შევედით ახალგორს. სასახლე კრაქებით იყო გაჩახახებული, შეიდანო მაშხალებით. დაჰკრეს ზურნას. სათარას სიმღერა თანა გვყავდა“.<sup>332</sup>

ნ. ბარათაშვილს, ქართლში ყოფნისას, რომელიღაც ეკლესიის კარზე ლექსი დაუწერია მიძღვნილი სათარასადმი. ი. მეუნარჯია გვიამბობს: „სათარა პირველი მომღერალი იყო მისის დროისა, ბარათაშვილი. მისი პირველი თაყვანისმცემელი. დიმიტრი ვეზირიშვილისაგან გავიგონია, რომ პრეტს ქართლში სადღაც ეკლესიის კარზე დაუწერია ამ მომღერლის ქება“.<sup>333</sup>

იმ ხანად თბილისში მყოფმა პოეტმა იაკობ პოლონსკიმ ასეთი ლექსი უძღვნა სათარას:

Сатар! Сатар! твой плач гортанный,  
Рыдающий, глухой, молящий! дикий крик,  
Под звуки чянури трепл барабанной  
Мне сердце растерзал и в душу мне проник.  
Не знаю, что поешь, я слов не понимаю;  
И с детства в музыке привык совсем иной.  
Но ты поешь всю ночь на кровле земной,—  
И весь Тифлис молчит—и я тебя внимаю.—  
Как будто издали, с востока, брат больной  
Через тебя мне шлет упрек или ропот свой.  
Не знаю, что поешь—быт может песнь Кярама,  
Того певца любви, кого сожгла любовь;  
Быть может к месту ты вывнешь—кровь за кровь,  
Быть может славил ты кровавой меч Ислама—  
То дни, когда перед ним дрожали тьмы рабов.  
Не знаю,—слышу поплач—и мне не пужно слов! <sup>211</sup>

მალე ახალი მომღერალი, ჯაფარა, გაჩნდა თბილისში. ქალაქი ორად გაიყო. ერთნი სათარას ამჯობინებდნენ, მეორენი ჯაფარას. ნ. ბარათაშვილი სათარას მხარეზე იყო. ნახჩევნიდან მოწერილ ბარათში პოეტი სწერდა მაიკო ორბელიანს:

„ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიყდებით? მაგის ამბავი ჩვენა გვკითხონ: ეგ სულეიმან ხანმა გამოიყვანა სპარსეთითგან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იყვნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა. ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა ჰსჯობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია.—მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუტია და თან დაუმატებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო! ერთი, ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯობეთის მამზებლა“.<sup>212</sup>

1844 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, ილია ორბელიანმა, თბილისში ჭავჭავაძის ქალების დაბრუნების გამო, გადაიხადა დიდი ნაღიმი. ნაღიმზე მოწვეულ იყო სათარა. დასახელებული წლის 4 დეკემბერს გ. ორბელიანი ჯუნგუნდიდან სწერდა თავის ძმას ზაქარიას:

„ქალაქი დამ ეს ისმის, რომ კატინა მინგრელი დან და ნინო ოდესი დამ მოსულან. ბებუთოვის ცოლი დამდგარა მანანას სახლებში, ილიას დაუპატიენია და დიდი, დიდი მეჯლიში გაუმართავს, აღასათართა, დუდუკებითა, კიანურებითა“.<sup>336</sup>

როცა მუშტიადის ბალი გაიხსნა, სათარას მოცალემა აღარ ჰქონდა. მოქეიფეებს ყოველ ნადიმზე მიჰყავდათ იგი. გ. ორბელიანი ყაფლან ორბელიანს სწერდა: „ნიკომ დაჰპატიეა მთლად ჩვენი უბანი, მუშთეიდის ბალში მუზიკით, ზურნით, აღასათართ და შუა ღამის სამ საათზე დავიშალენით“.<sup>337</sup>

სათარა საკმაოდ კარგი იმპროვიზატორიც იყო. სრულიად თავისუფლად წერდა ლექსებს ქართულად. 1857 წლის 14 სექტემბერს ივანე კერესელიძე ატყობინებდა რაფიელ ერისთავს: „შენი „ნინო“ თბილისში ძალიან მოსწონთ, იძახიან, ვითომც განსვენებულს არჩილ მუხრანსკიზედ იყოს დაწერილი. ახ, რაფიელ! ხომ იცი, როგორ უყვარდა სათარას და უნდა გესმოდეს, თუ ვითა მღერობს ტირილით ახალს სიმღერას თავის არჩილზედ და ვითა ტირის“.<sup>338</sup>

1860 წლის 4 იანვარს, თბილისში, სათარას ბენეფისი იყო დანიშნული. დასახელებული წლის 3 იანვარს გ. ორბელიანი ატყობინებდა ყაფლან ორბელიანს: „ხვალ, ესე იგი, ორშაბათს, აქვს თეატრში აღასათარას ბენეფისი და ამ ბილეთიდან ჰსცნობ, რასაც იმღერის, თუ შეგიძლიან, მოდი პირდაპირ ჩემ ლოქაში“.<sup>339</sup>

სათარასა და ჯაფარას შემდეგ გამოჩნდა ევანგულა. იგი ქართულად მღეროდა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, გ. ერისთავის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა ლექსებს.

### 39. „უცხო ენებს სწავლობენ“

ქართველი ხალხის დაახლოებამ რუს ხალხთან ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას რუსული-სტილის გავლენა დაამჩნია.

„უმალღეს წრეებში ჩნდება რუსულ-ევროპული ტანისამოსი, კურკელი, ნიფთელი, „სადილი რუსთა წესითა“, „ქალაღდის



თამაშობა რუსული“, „მენენიკის“ ანუ სახელწოდების დღესასწაულის გამართვა“<sup>310</sup>.

რუსული „სტილის“ გამტკიცების საქმეში დამსახურება მიუძღვის თბილის-თელავის რუსული ტიპის სემინარიებს და რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან სახელმწიფოებრივ და სხვა საქმეებისათვის ჩამოსულ მოღვაწეებს. რუსული გავლენა ემჩნევა თარგმნილ ლიტერატურასაც.

„სახელმწიფო და კერძო მიმოწერაში ჩნდება რუსულ ევროპული წოდებრივ-თანამდებობრივი ტიტულები, სახელწოდებანი და მიმართვები, როგორც: „სენატორი“, „კანცლერი“, „გრაფი“, „კნიაზი“, „უმაღლესობა“, „ბრწყინვალეობა“, „კეთილშობილება“, „განათლებულობა“ და სხვ. 1790-იან წლებიდან შენიშნულია გვარების რუსული დაბოლოებაც, მაგალითად: „ბარათოვი“, „თუმანოვი“, „ქობულოვი“, „ლიონოვი“, „ჩოლოყოვი“, „რატიევი“ და სხვა.

სახელმწიფო მოღვაწენი, მოწინავე პირები, დაინტერესებულნი არიან რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებით, რუსეთის ამბებით. შემთხვევით როდია, როდესაც ანტონ 1-ლი სწერს რუსეთში მყოფ კორესპონდენტს: „რომელიც სათქმელი იყოს რუსული ამბავი, ვითხოვ, რომ მომწეროთ“.<sup>311</sup>

რუსეთში სასწავლებლად წასვლა იყო სწრაფვა იმდროინდელ ქართველ მოწინავე ახალგაზრდობისა. დაბრუნებულთ, ნ. ბარათაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ: „მოჰქონდათ მამულში განათლება და ხმა საამო“.

თბილისის კერძო თუ სახელმწიფო სასწავლებლებში რუსული სავალდებულო ენად ითვლებოდა. „რუსულ ენას, — წერს ი. მეუნარგია, — ხელით ნაწერ რვეულებიდან სწავლობდნენ. ამ რვეულის თავზე პირველი რუსული სიტყვა, ქართულად თარგმნილი, იყო რუსული თანდებულისათვის. ბავშვებმაც ამ რვეულს ეს სახელი დაარქვეს“.<sup>312</sup>

ქართველები, ოჯახებშიაც იყვანდნენ რუსული ენის მასწავლებლებს. დიმიტრი ორბელიანი თბილისიდან სწერდა ა. ორბელიანს: „მაიკოსთვისა, შენი ქალისთვის და ლიზასთვის ოსტატი მიჰირავს რუსის ქალი და წიგნსა სწავლობენ. ასე ლამაზად კითხულობენ და სწერენ რაც შეეფერება, და ლაპარაკობენ რუსულად“.<sup>313</sup>

რუსეთის გზით თბილისში გაერცელება იწყო ევროპულმა ენებმა, განსაკუთრებით კი ფრანგულმა. 1830 წლიდან თბილისის სკოლებში ფრანგული სავალდებულო ენად იქნა შემოღებული, ხოლო გერმანული არასავალდებულოდ. 1832 წლის თებერვალში ილია ორბელიანი ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს:

„დირექტორმა გვითხრა, რომ ვისაც სურს, თათრული ენა ისწავლოსო, და ვისაც სურს, გერმანულიო, ხოლო ფრანგული ენა კი ყველამ უნდა შეისწავლოსო. მე გერმანულს ვსწავლობ. გერმანულს ჩვენს სკოლაში მხოლოდ ოთხნი ვსწავლობთ: მე, ტატიკო, (ნ. ბარათაშვილი—ი. ბ.). ბაგრატიონ-დავითაშვილი და მელიქიშვილი (ლევანი—ი. ბ.). ეხლა ჩვენ გერმანულად ვკითხულობთ და ვწერთ ისევე, როგორც რუსულად და ჩქარა დავიწყებთ გრამატიკას. ფრანგულადაც აგრეთვე კარგად ვკითხულობთ და ამას წინათ გრამატიკაც დავიწყეთ“.<sup>344</sup>

უცხო ენებს „უფრო მოზრდილნიც“ სწავლობდნენ. გიორგი დავითის-ძე ერისთავი უჩვენებს: „მე და ავთანდილოვი ფრანციკულს და ნემეცურს ენას ვსწავლობდით ყიფიანის სახლში და ისიც სწავლობდა“.<sup>345</sup>

რუსული და ევროპული ენის უცოდინარობა ბევრს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. გ. ორბელიანი კერძო ბარათში ასე მიმართავდა უმცროს ძმას ილიას: „ნემეცურის ენის უცოდნობა ძალიან ბევრს მაკლებს მე, და ეხლა სიბერის დროს მინდა მისი სწავლა, მაგრამ ვგრძნობ, რომ სწავლის დრო წასულა“.<sup>346</sup>

იმავე აღრესაჭისადმი გაგზავნილ პოეტის მეორე ბარათში ვკითხულობთ: „ვინძლო ილიკო! რომ ნემენცური და ფრანციკული რაც კი გისწავლია, არ დაივიწყო და კიდევ შენის მეცადინეობით უმეტეს ისწავლო, თუ გინდ სლოვარით ეგ ორი ენა არის ძალიან ხმარებულ რუსეთში საზოგადოობისაგან. ნუ ჰგონია, რომ მარადის თბილისში იყო, აქეთ მხარესაც კნახავ და მაშინ ბევრს შეინანებ. ეხლა ხარ 18 წლის, რომ დაიწყო ერთის რომელისამე ენის სწავლა, მანამ გახდები 20 წლისა, კარგად გეცოდინება. სლოვარს რომ ისწავლი, პირველს შემ-

თხვევაშივე გაგიადვილდება ლაპარაკი. თუ გინდა გამოგიგზავნი ნემენცურ სლოვარს“.<sup>347</sup>

ევროპულ ენებს სწავლობდნენ ქართველი ქალებიც. დიმიტრი ორბელიანი თავის ძმას ალექსანდრეს სწერდა თბილისიდან: „დარია პანსიონში დადის, და მანამ მოხვალ, ფრანციულის კარგა ეცოდინება“.<sup>348</sup>

ფრანგულს სწავლობდნენ მანანა ორბელიანის შვილებიც. გრიგოლ ორბელიანს ის სწერდა ამის გამო: „ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს. ფრანციულს კი ლაპარაკობს ცოტად და სწერს. კითხვითაც კითხულობს. ქალიც მაღამ დანელოვიჩთან მყავს, წელიწადში 25 თუმანს მართმევს თეთრს ფულს, ისიც სწავლობს, მაგრამ ივანეს გონება კარგი აქვს, ვინემ ტასოს“.<sup>349</sup>

რუსული ენის შემდეგ განსაკუთრებით ფრანგულს ეტანებოდნენ შესასწავლად.

#### 40. რიგისპური

მორიგეობით სადილებს, რომლებსაც თბილისის ადგილობრივი მოქალაქენი უკმ დღეებში აწყობდნენ, რეგისტური ერქვა.

რიგისპური—ოცი, ოცდაათი სულისაგან შემდგარი ნადიმი იყო, რომელიც მორიგეობით ეწყობოდა. მაგიდაზე დაჯდომისთანავე სვამდნენ იმის სადღეგრძელოს. ვისთანაც შემდეგი რიგისპური უნდა გამართულიყო: ამ ტრადიციული პურის ქამის მთელი ეფექტურობა იმაში მდგომარეობდა, რომ „მოქიშპე“ დაეჩრდილა მასპინძელს კერძების რიცხვით, გემოვნებითა და ღვინის ხარისხით. ასეთ მოქიშპედ ითვლებოდა „წინა რიგისპურის მომწყობი“.

პურობა შუადღის ორი საათიანთვის იწყებოდა. მაგიდასთან დაჯდომისთანავე ირჩევდნენ თამადას. როგორც ვთქვით, პირველი სასმისი მისი იყო, ვისთანაც შემდეგი რიგისპური უნდა გადახდილიყო. მერე კი იწყებოდა მორიგეობითი სადღეგრძელოები. ისმოდა ოხუნჯობა, მახვილსიტყვაობა. ხშირად სუტრაზე მომღერლებიც იყვნენ და მათ შორის უპირველესად განთქმული სათარა.

ზაფხულობით რიგასპურს მართავდნენ ორთაქალისა და კრწანისის ბაღებში. ღია ცის ქვეშ, მწვანეზე ფენდნენ სუფრას. ხაში—ეს პირველი კერძი ზამთრისა, დროის მიხედვით გამაგრილებელი კერძით იცვლებოდა. ცეკვავენ ლეკურს. მოქეიფეთ საგანგებოდ ყავდათ აკვანილი კაცი, რომელიც ყოველ საღმრთო დღეს შემდეგ თოფს სცლიდა.

ოცდაათიან წლებში „რიგისპური“ 1832 წლის შეთქმულების წევრებმა კონსპირაციული შეკრებებისათვის გამოიყენეს.

#### 41. დაღუპული ბარათები

არასოდეს საქართველოში იმდენი პირადი ბარათები არ უწერიათ, როგორც მე-19 საუკუნეში და უფრო ამ საუკუნის პირველ ნახევარში.

იმდროინდელ თბილისშიაც (როგორც საერთოდ სხვაგანაც) ორგვარ „კორესპონდენციებს აწარმოებდნენ“: ადგილობრივისა და საქალაქგარეთოს.

გავრცელებული იყო ბარათების გალექსვა. აი ერთი მაგალითი:

ბედზედ დაგნატრი, ბარათო,  
მაც ნახამ მხისა დარათო,  
ვის უდგან ზანგნი ჯარათო,  
ჩემს გულში გასაყარათო.  
კრძალვით მიერთვი წყნარათო,  
ქვეყნისა დასაყარათო,  
თუ ჩემი ნდობა შეიტყო,  
შენთვის კმა გასახარადო. 258

პასუხი:

შენ რომ წიგნი მოგეწერა,  
რა ღირს ვიყავ აგრე ტკბილსა,  
დაეწერა ბროლის თითსა,  
მარგალიტი ბაგე ტკბილსა.  
ზედ რა თვალსა დაეხედა,  
უშურველად მოწყობილსა.  
წასაკითხათ მომივიდა,  
ბალში ვიჯექ ალვის ძირსა,

გავშალე და წავიკითხე  
ვაკოცე და დავეძე ძირსა.  
ამა წიგნსა შენეულსა  
ვაკოცებ და მოვქამ ჰირსა,  
უბეშია დებისაგან  
ესე გავხვდი ვითა ჩირსა.  
სუფრაზედან წინ დავიდებ  
არ ვაღირსებ თვალთა ძილსა. 351

სტეუანე ფეშანგიშვილი სამძიმარს ლექსად წერს.

სადადიანოს დედოფლის გარდაცვალებაზედ სამძიმრის ნაცვლად დავით  
დადიანთან მიწერილი

მართებს ბრძენსა თავის სიბრძნით  
გულსა ენგი არ მიაცხოვს,  
თუ სოფელმა დააკენესოს,  
ლხინის ნაცვლად აღირაცხოვს,  
უსარგებლო ცრემლთა დენა  
განაქარვოს, გარდაფაცხოვს,  
სევდისაგან არ იძლიოს,  
სევდა თვითონ დაამარცხოვს.

მყისვე იცნობს კაცი სოფელს,  
რაჟამს ქვეყნად თავსა იშობს,  
მწუხარებას ვინც მოითმენს,  
მოთმინება კეთილ ნიშობს,  
ბევრი კაცი უსარგებლოდ  
იგლოვს, კენესის, ოხრავს, ვიშობს,  
გლოვის შემდგომ ლხინიც მოსდევს,  
ვინც ბრძენია, რათა შიშობს?

მე შენ სიყრმით ბრძენად გიციან,  
არ გაუწყებ პირათ სათნოთ.  
გლოვის სახშილი დაშრიტე,  
უსარგებლოთ არ აღანთოთ,  
სევდისაგან მჭიდრო გული  
გმართებს ლხინში გვანდეს ფართოთ.  
დედოფალსა წირვით, ლოცვით,  
სულის გზანი წარუმართოთ.

საპეტროლის დედ მთავარსა  
მამა თქვენსა ღადიანსა,  
ცრუსოფლითგან დაჩარულსა,  
მწუხარებით სევდიანსა,  
სიხარულსა განშორებულს,  
საუნჯეს ლაწვ ვარდიანსა,  
გმართებს კეთილ ნუგეშ ჰსცემდე  
ბრძენსა და იმედინსა.

წენის სამთავროს ვარსკვლავო,  
მამა თქვენის მჩობლო თვალო,  
ამ წერილით რაც მოგწერე,  
გმართებს გულსა დაივალო,  
არ დახოგო საუნჯენი,  
უხვად მამას ანაცვალო.  
რაც შეიძლო, ანუგეშო,  
გლოვა ლხინად შეუცვალო.

ამის მეტი ვერ გავბეძე  
სასამძიმროდ მოსაწერათ,  
გვაჯები, მოგვიტეოთ,  
რაც ვერ იყოს შესაფერათ,  
არვის შეგნის მეტი გლოვა,  
არამც იქნეს თავის მტერად,  
მაშა, ჯერარს ძაძა, ფლასი,  
გამოსცვალეთ კეთილ ფერად. <sup>352</sup>

ვიდრე რეგულარული ფოსტა დაიწყებდა მუშაობას, წერილის დამტარებლებად ფეხმარდ შიკრიკებს, სწრაფ-მსრბოლელთ და შათირებს ირჩევდნენ.

კონვერტი სად იყო მაშინ; ოთხად დაკეცილ, ლუქით დაბეჭდილ ბარათს ჩააბარებდნენ ახლანდელ ფოსტალიონის მოვალეობის შემსრულებელს. შიკრიკ-შათირს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, უნდა მოენახა წერილის აღრესატი და პირადად ჩაებარებინა ბარათი. ამიტომაა, რომ ხშირად იმდროინდელ ბარათებს აღრესატის გარკვეული ადგილი არ უზის. ერთ-ერთ ბარათზე ასეთი წარწერაა: „ეს წიგნი მიერთოს მდაბლად, კნეინას ქეთევანს დიმიტრის ასულს, ორბელიანისას მთაში, ბარში, ბათუმში, ახალციხეს, პარიჟ-ვენაში, ანუ სადაცა იყოფებოდეს“. <sup>353</sup>

თბილისს სხვადასხვა მიზეზით მოშორებულთათვის უდიდესი სანუკვარი იყო ქალაქის ამბების მაუწყებელ წერილების მიღება. ეს სიხარული უფრო იზრდებოდა, თუ ბარათი იყო „დალაგებული,“ საესე, „ნემსიღამ ამოღებულის“ სხვადასხვა ამბებით.

იმდროინდელ თბილისს ჰყავდა ასეთი წერილების ვირტუოზები. ერთი მათგანი დავით ყორღანაშვილი იყო. რიგაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი ამის გამო სწერდა მას:

„ჩემო საყვარელო დავითჯან, შენი დიდი თაბახი წიგნი, დიდმარხვის ორშაბათს დაწერილი, მომივიდა სწორედ აღდგომა დღეს. შენ თვით იფიქრე, რა მხიარულად წავიდა ჩემთვის დღე იგი. იმის ეშხით სამჯერ ვაკოცე პისერსა კუპრიან ულვაშებში, შენის წიგნის მომტანსა, რომელიცა შუბლზე მივიდე და ტყუილს ყიზილბაშულს ენაზე ლოკვები ესტკვი.

ახ! დავითჯან, რამდენს სიამოვნებას მაძლევენ შენნი წიგნები მარილიანად დაწერილები, რომელიცა ყოველთვის ჩვეულებათა მაქვს, რომ უნდა უბეში მედოს და ვკითხულობ ხშირ-ხშირად, მანამ მამივა ახალი, მაშინ ძველს *приниschau и с прежним твоим письмам* და ახალსა ვატარებ უბეში მეორე წიგნის მიღებამდის.“<sup>54</sup>

ხოლო ლექსით მიმართვაში, პოეტი ამბობდა:

დ. ყორღანაშვილს]

შენი წიგნი ასე მატკობს, მახარებს,

ვით ყიზილბაშს ყალიონი და ჭალვა!

ვაბობ! ნეტა ბედი როდის მალირსებს

რომ შენს გრიგოლს ჩემო დავით ეხილვა! <sup>55</sup>

სალომე ქავჭავაძეს და მის ასულს ნინოს გ. ორბელიანი ასეთ სტრიქონებს სწერდა:

„მოვიდა ჩვენი აღუტანტი და მომიტანა ორი პაკეტი, ერთი ჩემის ძმისა და ერთი კიდევ ვერ ვიცან, თუმცა დიდხან დავყურე პაკეტსა და ვფიქრობდი ახ! ღმერთო, ვისგან უნდა იყოს? ვაიმე ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს ხელი აღრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას. მაშინვე სიხარულით დავაძახებინე პესენიკებს (ანუ მომღერალთ სალდაოებს) და სალამომდის ვალრიალე.

ამათი ხმა რიგაში ისმოდა. ეხლა თქვენი წერილი ნაწილებ-სავით უბეში მაქვს და ყოველ დღე დაუჯდომელის მაგიერ ვკითხულობ“. <sup>356</sup>

არანაკლები ზეიმ-ზარი იყო გრიგოლ ორბელიანისაგან წე-რილის მიღება. კერძო წერილში დ. ყორღანაშვილი სწერდა პოეტს: „ძალიან გაეხარდა შენს დედას და აგრეთვე მთელს თქვენს უბანს, შენი წიგნი რომ მიუტანე, სწორედ ერთი ტრე-ვოვა შეიქნა“. <sup>357</sup>

არის სხვისი წერილების წაკითხვის ცნობისმოყვარეობის სენიცი. ის ბევრს სკირდა იმდროინდელ თბილისში. გაგულისე-ბული მანანა ორბელიანი ატყობინებდა გ. ორბელიანს:

„დანაშაულზედ თავს დავდებ, რომ დიდი ხანია შენთ-ვის წიგნი არ მომიწერია, მაგრამ მე მაქვს მიზეზი. ზა-ქარიას დაგაბეზღებ, სულ იმისი დანაშაული არის, რამდენსაც წიგნს მოგწერ და მივსცემ იმას შენთან გამოსაგზავნათ, შე-უძლებელი არის, რომ არ გახსნას; მეც შეფიციე, არასდროს აღარ მივწერ მეთქი. ახლაც ამ წიგნს იმას ვაძლევ, რომ შენ გამოგიგზავნოს, რასაკვირველია, წაიკითხამა, თუნდ წაიკითხოს, რა არის, რა იქნება იმისთანა, რომ დასამალავი იყოს, მაგ-რამ საკვირველად მძულს, ვინც ჩემს წიგნს გახსნის და წაი-კითხამს“. <sup>358</sup>

თითქოს ამ ბარათის საპასუხოდ, წერდა გრიგოლ ორბე-ლიანი სვიმონ შალიკაშვილის წერილის გახსნის თაობაზე: „მითომ სვიმონის წერილი რომ გაგხსნა და წაიკითხო, რა ცოდვა არის, ანუ სადა ჰსწერია ამგვარ შეცოდებისთვის წაწყმენდა სულისა“. <sup>359</sup>

რამდენად სასიხარულო იყო ბარათის მიღება, იმდენად საძნელო საქმედ მიიჩნდა ზოგს პასუხის გაგზავნა. გ. ორბე-ლიანი საყვედურობდა ანტონ ორბელიანს: „რა წამს ეს წიგ-ნი მოგივიდეს, მაშინვე მომწერე. ამას ნუ იტყვი, ხვალ მივწერ; სადილს უკან დავწერ, აბანოდან რომ მოვალ, მაშინ მივწერ; ამაში დღეები გავა, დაგვიანდება და მას უკან იტყვი: ეჰ, რაღა მივწერო“. <sup>360</sup>

მეორე აღრესატიისადმი პოეტი სწერდა: „წერას რად სწავ-ლობდი, თუ კაცს წიგნს არ მისწერდი“. <sup>361</sup> ყაფლან ორბე-



ლიანთან მიმართულო ბარათიდან: „მწერ, რომ შენი ავიატ-მყოფობა შევიტყვე, იმიტომ მოგწერეო. ოღონდ შენი წერილი მომდიოდეს ხშირად და თუ გინდა ეხლავ კიდევ დავწვები ქვეშაგებში კრუსუნითა და ხენეშითა“. <sup>362</sup>

ბარათების გაგზავნის საქმე საგრძნობლად გაუძჯობესდა მას შემდეგ, რაც თბილისში „რეგულარულმა“ ფოსტამ დაიწყო მუშაობა. მთავარი განყოფილება, სიონის ქუჩაზე იყო მოთავსებული. პეტერბურგიდან და ოდესიდან თბილისში წერილი 25 დღის შემდეგ მოდიოდა. პარიზიდან 50-55 დღის შემდეგ. ისე კი ფოსტა სისტემატურად მოდიოდა თბილისში. თბილისიდანაც კვირაში ერთხელ — სახელდობრ — სამშაბათობით.

ნ. ბარათაშვილი სწერდა ამის გამო გ. ორბელიანს: „ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია რიცხვზე შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულ-მაგიწყობა. ვერადროს ვერ დავეჩვიე, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოსტა“. <sup>363</sup>

თუ რა ღირდა მაშინ წერილის ფოსტით გაგზავნა, ვგებულობთ გ. ორბელიანის მიერ ილიასადმი მიწერილ ბარათიდან: „ილიკო! ფოშტაში შენს სახელზე კონვერტები იყო. და რის ყოფით გამოეართვი; მაგრამ რა გაეხსენ, შევინანე და ეს ЛЮБОПИЕТВО ორ აბაზად დამიჯდა, რომ ხელმეორედ უნდა გამოეგზავნო შენთან“. <sup>364</sup>

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის პირველ საფოსტო მარკას ერქვა „თბილისი“. იგი გამოცემულ იქნა 1840 წელს.

მეტად მკაცრი იყო იმდროინდელი ცენზურა და არანაკლებ — საფოსტო ცენზურა. ბევრი ბარათი არ მისულა დანიშნულებისამებრ. ზოგიერთ ბარათს აჩერებდნენ და სინჯავდნენ. ამ მიზეზით ბევრი ერიდებოდა წერილის ფოსტით გადაგზავნას. შეთქმული გ. ერისთავი სწერდა ამის გამო ფილადელფოს კიკნაძეს: „მიზეზი ჩემის მღუპარებისა ის იყო, რომ კარგი მგზავრი ვერავენ ვიშოვე და ფოშტით არ მოგწერე იმისთვის, რომ როცა პახოდობა შეიქმნება ხოლმე, ყოველთვის წიგნსა ხსნიან, აგრეთვე თქვენცა გთხოვთ, ფოსტით აღარ მომწეროთ“. <sup>365</sup>

ხშირად გაშინჯულ წერილს უკან უბრუნებდნენ გამგზავნს. გრიგოლ ორბელიანი დ. ყორღანაშვილს სწერდა: „იმედი მაქვს, რომ შენ წიგნებს ალარ გასჩხრიკენ უწინდელსავით“. <sup>365</sup> ეს იმედი უმწეო იყო. გ. ორბელიანის ეს წერილი ყორღანაშვილისადმი ცენზურამ დააკავა, „გასჩხრიკა“ და უკან დაუბრუნა გამგზავნს.

უფრო ძნელი იყო ბარათის საზღვარგარეთ „გაპარება“. „ხშირად, -- წერს ი. გრიშაშვილი, -- შიკრიკებს საზღვარზე იჭერდნენ და თბილისში ჩამოყავდათ: კაცს სატუსალოში ამწყვდევდნენ, ხოლო წერილებს ჩამოართვებდნენ და არქივს გადასცემდნენ“. <sup>367</sup>

ჩვენს არქივებში შენახულია ასეთი გზით დაკავებული არაერთი ბარათი.

## 42. ბაზეთები და ჟურნალები

1819 წელს თბილისში იწყო გამოსვლა პირველმა ქართულმა გაზეთმა „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით. ერთი წლის შემდეგ მას სახელი შეუცვალეს, და „ქართული გაზეთი“ უწოდეს. 1822 წელს მისი გამოცემა შეწყდა.

6 წლის შემდეგ 4 ივლისს, თბილისში გამოვიდა რუსული გაზეთი „Тифлиские ведомости“, რომლის ორეულები გამოდიოდნენ ქართულ და თათრულ ენებზე. რუსული „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ღირსების შესახებ ა. ს. პუშკინი რედაქტორისადმი მიმართულ კერძო ბარათში სწერდა: „მე დიდად მადლობელი ვარ თქვენს მიერ გამოგზავნილ თბილისის გაზეთისათვის, რომელიც ერთადერთია რუსულ გაზეთებს შორის, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ღირებულება და სადაც გვხვდება საერთო ევროპული მნიშვნელობის სტატიები“. <sup>368</sup>

1832 წლის იანვრიდან სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოვიდა: „სალიტერატურონი ნაწილნი თბილისის უწყებათანი“. გაზეთი, რომელიც უფრო ჟურნალის იერს ატარებდა, განიცდიდა სრულ უსახსრობას. 1832 წლის 6 თებერვალს გაზეთის რედაქტორი მიმართავდა ფილადელფოს კიკნაძეს:

„გაზეთები და ჟურნალი გამოდის, წელიწადში რვა მანეთი თეთრი ფული გახლავსთ მისი ფასი. უკეთუ თქვენ აღწერთ რასმეს სტიხათ თუ პროზად, დაჰბეჭდენ ჟურნალში. მე გირჩევ იყიდოთ, ამისათვის რომელ მრავალი სასარგებლო აღწერა იქნება იმაში, და უკეთუ თქვენ შეჰნიშნავთ რასმე ცუდსა, ძალგიძთ წინააღმდეგომი დასწეროთ, როჰელიც დაიბეჭდება.

ორ ნომერს ეხლავე გიგზავნით, რვა მანეთი გამოგზავნეთ, თუ გნებავთ მანდაურს ნაჩალნიკს მთავრით და ის გამოგზავნის, რათა შემდგომი ნომრებიც კომიტეტმა გაჰოგვიზავნოთ.

სხვათაჲ სთხოვე და კიდევ ეცადენი, რათა ხელი მოაწერონ, მე ფრიად დამავალებთ, ამისათვის რომელ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა; თუ დადგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია.

როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვთ ეცადოთ ათიოდ მსურველი იშოვნოთ, თუ მეტს იშოვნით უფრო უკეთესი, ნურავინ დაზოგავს რვა მანეთს, ყოველთავე ურჩიეთ“.<sup>369</sup>

სულ გამოვიდა აღნიშნული ჟურნალის ხუთი ნომერი. მეხუთე უკანასკნელი ნომრის ვიზა ცენზურის მიერ გაცემულია 1832 წლის 15 მარტს.

რამდენიმე წელს თბილისი უგაზეთოდ იყო. 1838 წელს იწყო გამოსვლა „ИЗВЕЩАЮЩИЙ ЛЕСТИК“-მა. ის ყოველ შაბათობით გამოდიოდა. 1845 წლიდან პლატონ იოსელიანის რედაქტორობით გამოვიდა ყოველკვირეული ქართული გაზეთი „ქავკასიის მხარეთა უწყებანი“. 1846 წლიდან კი რუსული გაზეთი „Наблюд“-ი.

1845 წლის პირველი მაისიდან უნდა გამოცემულიყო ქართული ჟურნალი „სინათლე“, მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. „ცისკრის“ გამოცემამდე პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს ნაბეჭდი ორგანო „არე“ უნდა გამოეშუათ, მაგრამ ეს საქმეც ვერ მოგვარდა.

1852 წელს თბილისში გიორგი ერისთავმა ყოველთვიური ნაბეჭდი ჟურნალის „ცისკრის“ გამოცემა დაიწყო, რაც ორ წელს გაგრძელდა.

### 43. ეპიტაფიები

საფლავის ქვაზე მიწერილ ლექსს, თუ მხატვრულ აფორიზმს, იმდროინდელი თბილისი იცნობდა. თბილისის სასაფლაოები გადაქრელებულია ნაირფერი ეპიტაფიებით.

1832 წელს, როცა მირზაჯანა მადათოვის გარდაცვალების ხმა დაირხა (რაც ტყუილი აღმოჩნდა), პეტერბურგში მყოფმა გრიგოლ ორბელიანმა მაშინვე დასწერა ლექსი საფლავის ქვაზე წასაწერად:

#### მ ი რ ზ ა ჯ ა ნ ა ს ე პ ი ტ ა ფ ი ა

მუბთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!  
დაღუბე ვშეში და ღვინოში ყოელი სიმწარე,  
რომ გხა ცხოვრების განვლო ღვინით, ვით მე ვიარე,  
რომ შავ-ბედის წინ შეუპოვრად ხმამაღლივ დაჰკლერ!  
თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქნა მტვერ!<sup>310</sup>

რამდენიმე წლის შემდეგ გ. ორბელიანმა თავისი საფლავის წარწერაც მოამზადა.

#### ჩ ე მ ი ე პ ი ტ ა ფ ი ა

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო,  
მეცა მიყვარდა, მეც ვჰსტიროდი, ვილხენდი,  
და დაფქრებით დაემხერდი საფლავებსა!

მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაჰმხერ შენ!  
ამ ზენა-სჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს:  
ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით,  
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,  
ვერც სიჭაბუკე შევნებითა შემკული  
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით!  
ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,  
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხოველი,  
მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრი.<sup>311</sup>

თბილისის ვერის სასაფლაოზე დამარხულ პოეტ სტეფანე ფეშანგიშვილის საფლავის ქვაზე ასეთი ლექსითი წარწერა იყო:

ყოველი დაბადებული,  
მიკვირს რად გეტრფის, სოფელო,  
ურგებო, ცუდად სახმარო,  
ყოვლითურთ მიუნდობელო,  
თვალათვის ტურფად საჩინო,  
სამკვიდროდ წუთსაყოფელო;  
ყოვლის მეფსა, კეისრის  
მიწაში დაჰამბობელო,  
სტეფანე ფეშანგოვანო,  
კეთილ მოსაგონებელო.<sup>371</sup>

მოვიყვან თბილისის სასაფლაოთა სხვა წარწერებსაც:  
კრწანისის სასაფლაოზე დაკრძალულ სალდასტის კრივში  
მოკლულის საფლავზე ვკითხულობთ:

გულში ქვა მომბედა, მეცა ზარები,  
თავს დამეხვიენენ ტოლნი-ჯარები;  
ჩამომატარეს ციხის კარები,  
საწყალ დედაჩემს შერჩეს გონება,  
ყველამ მალირსეთ თითო ცხონება.<sup>372</sup>

კიდევ სხვა ეპიტაფიების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ კმარა.

#### 44. წიგნები და ბუქინისტები

ვახტანგ მეექვსის მიერ, 1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის საერო  
ლიტერატურიდან სხვა არაფერი იყო დაბეჭდილი.

თბილისის მაშინდელი თაობა ძალაუვნებურად „ხელნაწერებს  
კითხულობდა და ხელთნაწერებს უსჯენდა“. ლუკა ისარლი-  
შვილი ნ. ბარათაშვილზე და მისი წრის ამხანაგებზე წერს:  
„ჩვენ ვკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“ და მთელი ადგი-  
ლები ზეპირად ვიცოდით. ვკითხულობდით აგრეთვე „ვისრა-  
მიანს“, ჩახრუხადეს და სხვ.“<sup>374</sup>

პეტერბურგში 1819 წელს გამოვიდა დიმიტრი ბაგრატიონის  
„წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა“, რომელიც მაშინვე  
გავრცელდა თბილისში.

სწორედ ამ დროისათვის თბილისში, სიონის ეკლესიასთან,  
გაიხსნა ქართული ნაბეჭდი და ხელნაწერ წიგნთა სავაქრო.

„საქართველოს გაზეთი“ იუწყებოდა: „1819 წლის სექტემბრის 22 სიონის საბოროსთან ახლო გახსნილია დუქანი, სადაც იყიდება „წიგნი საღმრთოის წერილისანი“ და სხვ.“<sup>375</sup>

1830 წელს, თბილისის სტამბაში დაიბეჭდა სოლომონ დოდაშვილის შემოკლებული „ქართული გრამატიკა“.

1838 წელს დაიბეჭდა პ. იოსელიანის „ანბანი ქართული სასარგებლო ქართველთა ახალ მოსწავლეთა ყრმათა“, შავთელისა და ჩახრუხაძის პოემები.

1840 წელს პეტერბურგში დავით ჩუბინიშვილმა გამოსცა „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი“. ერთი წლის შემდეგ იქვე დაბეჭდა მან „ვეფხისტყაოსანი“. 1845 წელს, იქვე გამოიცა ვახუშტი ბატონიშვილის „ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა“. 1846 წელს იქვე დ. ჩუბინიშვილმა დაბეჭდა თავისი ცნობილი ორნაწილიანი „ქრესტომატია“, რომელშიაც შევიდა, როგორც პოეზია, ისე პროზა. ორი წლის შემდეგ იქვე მარი ბროსემ გამოსცა „ქართლის ცხოვრება“. 1850 წელს თბილისში დაიბეჭდა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“.

მაშინდელი თბილისი მარტო ქართული წიგნებითა და ხელნაწერებით არ კმაყოფილდებოდა. ის რუსულ და უცხოურ, ლიტერატურასაც ეტანებოდა. გ. ორბელიანი თხოვდა ნ. ბარათაშვილს ეზოვნა მისთვის „დემენტევის ლექსები“, ხოლო სოლომონ რაზმაძეს ეუკოვსკის „Псалм“-ი.

ევროპელ მწერლებიდან მოწონება ჰქონდა ვალტერ სკოტის ისტორიულ რომანებს. 1835 წლის 16 მაისს უიგის მახლობლად მყოფი გ. ორბელიანი ძმას ილიას სწერდა: „По-прежнему читаетъ романы, но только съ временъ вальтера скота т. е. историческiя; а до него все вдѣль и редкiй изъ нихъ достъ-ви и чтѣнья“.<sup>376</sup>

გაჩნდნენ ბუკინისტებიც. ერთი პირველი ბუკინისტთაგანი თათრის მოედანზე ყოფილა. რუსი მოგზაური დუნკენ-ველინგი გადმოგვცემს: „თათრის მოედანზე ხშირად შეხვედებით ადგილობრივ ბუკინისტს პირამიდასავეთ დაწყობილი და მაგრად ღვედ გადაკრული წიგნების ხროვით“.<sup>377</sup>

1846 წელს ოდეიდან თბილისში ჩამოსულმა პელეტიმ გახსნა ფრანგული წიგნების მაღაზია.

## 45. ლოტო

არცერთ აზარტულ თამაშს, არათუ იმპროინდელი თბილისში მთელს საქართველოშიაც, ისეთი ფართო გავრცელება არ ჰქონია, როგორც ლოტოთი თავგართობას.

ლოტოს საწინააღმდეგოდ „ცისკარი“ წერდა: „მართლადა, საყვარელო ქართველნო, ასე ხნეოღის წამახდენი კიდეე არის რამ ქვეყანაზედ, როგორც ეს წყეული ლოტოა! სახლ-კარიანობაზედ გულის აცრუება, თავის დანებება, ყურის უგდებლობა, — ეს ხომ მეტი საშინელებაა! ისეთი საშინელება, რომელაცა მთელს სახლს მიწასთან გაასწორებს.“<sup>378</sup>

ლოტოთი გატაცებული ქალები საათობით უჯდნენ სათამაშო მაგიდას.

„გათენდა დილა, — წერდა „ცისკარი“, — ჯერ უნდა მოგახსენოთ მკითხველო, ლოტოს მიმდევართათვის დილა არის, მეათე, ეს კიდეე აღრე მოგახსენეთ, ანუ მეთერთმეტე საათი. წამოყო თუ არა თავი ჩვენმა სახლის ქალმა მოზდის ბარათი, კნენია . . . . გთხოვთ ამალამ ლოტოზე მობრძანდითო, სხვანიც ბევრნი არიანო, დრო ერთად გავატაროთო“; ან კიდეე: „ბარბარე პოლოსოვისამ ერთი ჩვენსკენაც ემეახარ ლოტოს შევექცეთო, — თქვენი რისხვა მქონდეს, თუ იმას ლოტოსი გაეგებოდეს რამე, — მაგრამ რომ „მოდნა“ არის. მაშ ახარ არ მიძდიოს ამანაც. დიახ, მოუვიდა ბარათი თუ არა, შეუდგა ერთი ალიაქოთი, ჰაი კაბა, ჰაი სარკე, ჰაი უმარილი, ფერი.“<sup>379</sup>

თავადაზნაურთა და ვაქართა ქალებს მოხელეთა ცოლებიც აყენენ. „ამ დღეებში“, — წერდა ერთი ლიტერატორი, — ჩემი მეუღლე ატყდა, ამალამ მე ლოტოზედ მივცივარო. ერთი ექვსი თუ შვიდი თვის ძუძუნწოვარა ყმაწვილი მყავს და რადგანაც ამდენი ჯ მაგირი არა მაქვს, ძიძა დავიკირო, თითონ აწოვებს ძუძუს. დიახ, ლოტოზე მივიდივარო და თუ ყმაწვილი ასტყდესო, მეზობელი დედაკაცი შემოაყვანინე და ის მოაწუებს ძუძუსაო.

შეიქმნა ღამის თერთმეტი საათი, ასტყდა ყმაწვილი, სტირის, ძუძუ უნდა. გავგზავნე მეზობელ დედაკაცთან, სძინავს.

მე თითონ წაველ, შევებეწე, მოდის — აძლევს ძუძუს, არ იჭერს, რა ვქნა, ვის მივმართო? ზამთარია, ცივა! წამოვავლე ფარანს ხელი და ფეხების მტკრევით მიველ, რაც ძალა მქონდა ჩავკარ ზარს, გამოდის ბიჭი, არ მიშვებს სახლში, ბრძანება მაქვს, კაცი არავინ უნდა შეუშო, სულ ცარიელი ქალები არიანო და თამაშობენო; ქალბატონმა მიბრძანა ქალების კრებაში კაცს ხელი არ აქვსო“.<sup>320</sup>

ვის სახლშიაც ლოტოს თამაშობდნენ, იმას საკმაოდ ძვირად უჯდებოდა ეს თავგართობა. აბა იანგარიშეთ 30-40 ქალის ჩაი, შაქარი, ხილი, სანთელი და სხვ. მშვიდად დაწყებული ლოტოს თამაში მომეტებულად ჩხუბით მთავრდებოდა.

„ჩხუბები, — შენიშნავდა თავხელი, — დამავიწყდა მერე, ქალების ჩხუბი რა სერიია, მეტად ძალიანი მუშტები იციან, — იცით იმათი მუშტით ცემა რომელია? როცა ქალი გულზედ არ მოვა, ხედავს აგებს, ასტეხს შარს — შენ მომპარეო, არა შენი დვადცატ-პეტი არ იყოვო, იქნება ერთი-ორი თითქოს თორემ, იმ საათშივე კავებში მივარდება“.<sup>321</sup>

ხშირად საქმე სასამართლომდე მიდიოდა. მოლაყბე წერდა ამის გაპო: „ერთ სახლში, ლამის თორმეტ საათამდინ გაჩაღებული თამაშობაა ლოტოთი, კაცებიც იმათი ამყოლნი ყაყანებენ კუთხეებში, აშიკობენ, იცინიან..... მოსდით ორ ქალს ჩხუბი. ერთი ქალი არის მოქალაქეთაგანი, მეორე კეთილშობილთაგანი; ჰაი აქეთ, ჰაი იქით; აპა — ვერა რომელი დარიგება და ალერსი ვერ შევლის; ბოლოს იქამდინ მიდის საქმე, რომ უპატიურ სიტყვებს უეუბნებიან ერთმანეთს და რაღაებსაც წამოუძახებენ.“

თქვენ რა გგონიათ, როგორა თავდება საქმე? მეორეს დღეს, კეთილშობილის ქმარს შეაქვს საჩივარი სამჯავროში და თხოულობს დაკმაყოფილებას. იმის ცოლის შეურაცხობის მიცემისათვის. შემოაქვს მეორე პირის ქმარს პასუხი; იმართება გამოძიება, — მტყუნდება მოქალაქის ცოლი, — მაგრამ უკაცრაოდ, ამ უკანასკნელს, რადგანც გადაწყვეტილობის თანახმა არ არის, აპველიაცია შეაქვს უმაღლეს ალაგას“.<sup>322</sup>

„ყველგან შინაური კაცი“ ნ. ბარათაშვილი, ხშირად ახერხებდა ლოტოს მოთამაშე ქალთა მარაქაში შექრას. ქეთევან



ერისთავი იგონებს: „როცა ქალები ვიყავით და ლოტოს ვთამაშობდით, ნ. ბარათაშვილი უცებ ხან ქუდს გადმოგვივლებდა ფანჯრიდან, ხან ბაყაყს, ერთ წივილ-კივილს მოგყვებოდით, ვიტყოდით: ალბათ ტატო მოვიდაო! მერე თვითონ შემოგვეყვებოდა“. 383

ლოტოს „მაგენ ზნის“ წინააღმდეგ გალაშქრებამ ზოგიერთ ადგილებში დადებითი ნაყოფი გამოიღო. „ცისკრის“ რედაქტორი შენიშნავდა: „დიდად მოხარულსა ვარ, რომ მოლაყბის ზნეობის გასამარტავემა სტატიამ ბევრს მაგალითი მისცა თავიანთ სახლკარიანობის წარმათებისა. კახეთიდან მოგვივიდა მადლობის წიგნი კირილე შაფწყაროელისაგან, რომელიცა უცხადებს მოლაყბეს მასზედ, რომელ იმათს უპატივეცემულეს მეულეს რა წაუკითხავს ის სტატია, იმავე დროს ხელი აულია ლოტოზე. ღმერთმა ინებოს მიმბაძაენი მრავალნი აღმოჩნდნენ“. 384

თბილისის ყველა სახლში როდი ბატონობდა ლოტო. იყო ბინები, სადაც უკვე შექრილი იყო წიგნის კულტურა. გახარებული ა. ფურცელაძე წერდა:

„ამ წინაზედ, ერთ ქუჩაში, დაბალ სახლში, ძალიან გაჩაღებული იყო ოთახები; რომ შევიხედე, ელდა მეცა, იმდენი ქალები ისხდნენ, ერთ გახურებულს ლოტოს თამაშობაში იყვნენ, დიდი ყაყანი ჰქონდათ. ზოგს თავი ჩაეკიდნა მეტის უძილობით, მაგრამ მაინც ნომრებს არ ეშვებოდა; ზოგს დასცხომოდა და თითქოს ბუზებს იგერებდა; მეტად სასოებით თამაშობდნენ, თითქოს ერთ საშინელ სახალხო საქმეში არიანო და ბაასობნო..... უყურე, უყურე, დანანებით თავი გაეიქნიე და წამოველ გულჩათხრობილი.“

როდესაც ქუჩის ბოლოს მივეუახლოვდი, ერთი სახლის ფანჯარაში შევხედე, თარდა არ იყო ჩამოფარებული, — შევიხედე, ვნახე, მრგვალ სტოლს შემოხვევიან ოთხი პატარა ყმაწვილები, შუაში ჩაჯდომია დედა და ასწავლის წიგნს, მეორე კუთხეში იჯდა ჩინოვნიკი ერთი ხანში შესული, გაზეთს კითხულობდა. შექველია მამა იყო ამ ყმაწვილების. აბა ახლა, ჩემო კეთილო მკითხველო, შეამოწმე ეს ორი სცენა, ამათში რომელნი უფრო ატარებდნენ დროს“. 385

მიუხედავად ამისა, ლოტო ზოგიერთ სახლებში მაინც სადგურობდა.

## 46. მიწურ საღვრთა მოზინაღრანი

თბილისის განაპირა უბნებში, სარდაფებსა და მიწურ საღვრებში, უკიდურეს გაკირვებაში ცხოვრობდა ქალაქის დაბალი მოსახლეობა. არავინ ზრუნავდა მათზე.

თბილისის კეთილმოწყობის გეგმა ამ უბნებს არ ეხებოდა. სიბინძურე, ტალახი და ეპიდემია ბუდობდა მათ სახლებსა და საღვრებში. ასეთ მოსახლეთა რიცხვი მეტად დიდი იყო თბილისში. ჰერცენის „კოლოკოლი“ წერდა:

„საქართველოში მუშას მოქალაქის არავითარი უფლება არა აქვს. ის „მეშჩანინი“ დროებით გათარხნებულიც-კი არ არის, ის გამოქცეული კაცია და მეტი არაფერი. ესენი არიან იმერელი, გურული, მეგრელი და რაჭველი გლეხები, რომლებიც არ ემორჩილებიან ბატონის ძალადობას და ბატონის მათარხნისათვის ვერ გაუძლიათ, თბილისში მორბიან. იგი ბურჟუაზიისა და მოხელეების ხელქვეითი, ლუკმაპურის ძებნის მონად ხდება. დიდი უმრავლესობა ქვასა ქვიშასა და კირს ეზიდება შენობის ასაგებად. ტომრებსა და სხვა მძიმე ტვირთს — ვაჭრებისათვის, წყალსა და შეშას ქალაქელ მცხოვრებთათვის“.<sup>388</sup>

თბილისის მშრომელთა ყოველდღიური გაწამებული ცხოვრება 1846 წლის გაზ. „იავკაზში“ ასეა დახასიათებული: „შეხედეთ აუარებელ მასას შავ მუშათა კლასისა თბილისში. ესენი მძიმე შრომით ჰპოულობენ თავის გამოსაკვებს; ფეტვის ქაღი, კონა მწვანელი, ქიქა ღვინო ანუ წყალი შეადგენს მათს საკვებს. ხშირად ღია ცა და ტიტველი მიწა — მათი სახლი და ლოგინია; უხეში ბამბაქსოვილის ნაპერი, ნაბადი, ანუ სალდათის ძველი შინელი — მთელი მათი ტანისამოსია. მათ ერთი საზრუნავი აქვთ: იშოვნონ ფული სახელმწიფო გადასახადისათვის, საბატონო ბეგარისათვის და ოჯახის გამოსაკვებად“.<sup>387</sup>

თბილისის მოსახლეთა ამ წყებას, ეკუთვნოდნენ უმუშევარი ხელოსნები თავიანთი ოჯახებით. „აგერ, — წერდა „ცისკარი“, — უბრალო ხელოსნის ქალი, დასცქერის ტანისამოსსა და ამბობს: დღეს ეს კაბა, კვირას კი აღარ ჩამეცმე-

ბაო“. მამამისს კი ისე გაკვირვებია ცხოვრება, რომ დგას შეი-  
დანზე და ითხოვს მოწყალებას.

აგერ სახლეულობა საწყალი კაცისა, რომელსაც ორი დღეა  
პური არ გაუტეხია, მისუსტებულა თავის და შეიღების  
მწუხარებითა. დედა ძლივს აშოშმინებს ყმაწვილებსა, ეხლა  
მოვა მამილო და პურსაც მოიტანსო. შემოდის მამა დალო-  
ნებული და გამოაგდებს ვერცხლის ქამარსა, გაიტა, დააგირა-  
ვეო... ყველანი სხედან პურის საქმელად, მამის გარდა  
„მშიან და ვერ მიჭაპია, ყელში არ ჩამდისო!“

შემდგომ ყველანი წვებიან, მამაკაცი დადის გაცხარებული  
ოთახში, რალაც საზარელი თიქრი აწუხებს და საშინელს  
მოუსვენარობაში იმყოფება. შუა ღამისას კუთხიდან რალაცას  
აიღებს და ჩაიდებს ჯიბეში, ოხვრით გადახედავს ცოლშვილს,  
წამოიბუტბუტებს: „დრო არისო“ და გავა. ვინ იცის სადა  
და რისთვის?“<sup>288</sup>

იგივე მდგომარეობა იყო მეზობელ სადგომშიაც.

#### 47. წიგნსაცავები და ბიბლიოოთეკები

საუკუნეთა მანძილზე ძველ თბილისში არაერთი მდიდარი  
წიგნთსაცავი იყო.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში და-  
ცულია უცნობი ავტორის მეტად საყურადღებო ცნობა იოსებ  
თბილელის მიერ მეთექვსმეტე საუკუნეში თბილისში დაარსე-  
ბული ბიბლიოთეკის შესახებ:

„დომენტიმ დააარსა ბიბლიოთეკა დასაწყისს მეთვრამეტე  
საუკუნისა, იმ ალაგასა, საც მეთექვსმეტე საუკუნეში თბილელ  
მიტროპოლიტს იოსებ სააკაძეს დაუარსებია. თვით იმ მიტ-  
როპოლიტისაგან აშენებულ წიგნთსაცავმა ჩვენ დროჲდინაც  
მოახწია, რომლის კარების შესავალზედ ერთი მარმარილოს  
ქვაც იყო კედელში და ზედ ეწერა შემდეგი სიტყვები: „ეს წიგნ-  
საცავი აღვაშენე თფილელმა მიტროპოლიტმა იოსებ სააკაძეს  
ძემ, შევაძკე და განვარცე წიგნებით და მოვრთვი ოქსინოთი“.   
ამას შემდეგ ეწერა ხელჩართული მიტროპოლიტისა, მაგრამ  
ჩვენდა საუბედუროდ ის წიგნთსაცავი ათას რვაას სამოც წლის  
შემდეგ ეგზარხი ევსევის ბრძანებით დააქციეს, ის ქვაც

გამოიღეს და მოიხმარეს სხვანაირად, რადგანაც სუფთა მარ-  
მარილო ყოფილა და გადააკეთეს შეშის შესანახავათ. ამ შე-  
შის შესანახავის გვერდით დარჩა ხელუხლებელი ერთი ძვე-  
ლი მარანი, რომლის კარების ზევიდამ დღესაც სჩანს მარ-  
მარილოს ქვა“<sup>389</sup>

იოსებ თბილისელის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკის წიგ-  
ნებს ასეთი წარწერა ჰქონიათ: „ტფილელის იოსებისაა ეს  
წიგნი“.<sup>390</sup>

სხვადასხვა ჯურის დამპყრობნი თბილისის დარბევისას  
მიუტაცებელს არ სტოვებდნენ წიგნთსაცავებსაც. დავით გუ-  
რამიშვილი ჩიოდა:

„სულ გარს მტრად გვადგა  
თურქ-ყიზილბაში,  
მით იკლო სწავლამა,—  
ჩვენში ლეკთ დავლამა  
წიგნი წარსტყვევნა!  
დარჩნენ უწიგნო  
ბერებ-ხუცები  
ჩემის დროს ყრმანი  
უწვრთნელ-უცები“.<sup>391</sup>

თბილისის ბიბლიოთეკებმა ბოლო კატასტროფა განიცადეს  
1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას. დავით რექტორი,  
ავტორი „ძველი ქართული მწერლობის კატალოგისა“ 1810  
წლის 26 სექტემბერს წერდა: „...ესენი აღეწერე თვით ჩემის  
მეგობრის თხოვნით. მე ესენი მახსოვან... რომელიმე ამათ  
წერილთაგანი თვით მეცა მაქვს და რომელიც სახლსა ჩემსა  
იპოვებოდა და წარტაცებულ იქნა წელსა 1795 სექტემბრის  
22 სამშაბათს, დროსა ალა მუხამედ ხან ასტრაბადელის შე-  
მოსევისასა“.<sup>392</sup>

დასახელებულ მიზეზის გამო მეცხრამეტე საუკუნის დამ-  
დეგს თბილისში არც ერთი ბიბლიოთეკა არ ყოფილა.

თბილისში პირველი წიგნთსაცავის დაარსება დაკავშირე-  
ბულია თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებლის“ გახსნას-  
თან 1802 წლის 22 სექტემბერს. მაგრამ ეს სკოლა წლისთავზე  
დაიხურა და იგი ხელახლა გახსნეს 1804 წლის 31 მაისს.

„კეთილშობილთა სასწავლებელთან“ არსებული ბიბლიოთეკა გარეშე პირთათვისაც ხელმისაწვდომი იყო.

1806 წელს ვილაც რომენსკის დასახელებულ ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს 113 ტომი წიგნი. ხოლო ამავე სასწავლებლის ყოფილ პედაგოგ სამუილ მარტინისაგან სკოლას შეუძენია 122 სახელწოდების წიგნი რუსულ და უცხოურ ენებზე.<sup>393</sup>

თბილისში 1819 წლის დამლევს დაარსებულ კლუბთან გახსნილი იქნა ბიბლიოთეკა და სამკითხველო. ვან-გაგენი წერს თავის მემუარებში: „ზაფხულობით თბილისის საზოგადოება თავს იყრიდა საჯარო ბაღში, ხოლო ზამთარში — 1819 წლის დამლევს დაარსებულ კლუბში. კლუბთან არსებობდა ბიბლიოთეკა, რომელსაც გამოწერილი ჰქონდა რამდენიმე ფრანგული და გერმანული ეურნალი; რამდენიმე ოთახი განკუთვნილი იყო კითხვისათვის“.<sup>394</sup>

ორიოდე წლის შემდეგ ამ კლუბისა და მასთან არსებულ წიგნთსაცავის წევრი გახდა თბილისში ჩამოსული ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვი. 1826 წ. 11 დეკემბერს გრიბოედოვი თბილისიდან პეტერბურგში სწერდა გაზეთ „სევერნაია პჩელას“ რედაქტორს: „აქ შენი ფურცლები ისე ფასობენ, რომ მათ ნაკუწებად ხევენ და ჩემამდე ერთი სტრიქონიც არ აღწევს, თუმცა იმ კლუბის წევრი ვარ, რომელიც ყოველგვარ გაზეთებს იწერს“.<sup>395</sup>

ამიტომ გრიბოედოვმა გადაწყვიტა დაეარსებინა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა და უზრუნველყო იგი წიგნებით. ადგილობრივი პერიოდიკითა და რუსეთისა და უცხოური ეურნალ-გაზეთებით. იმავე ადრესატისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „ჩემამდე იშვიათად აღწევს „სინ ოტეჩესტვა“ და „სევერნი არხივი“, „სევერნაია პჩელა“ კი საკმაოდ რეგულარულად მომდის. მაგრამ რისთვის არ მიგზავნი სხვა ეურნალებს? უცხოურების ხსენებაც არ არის. ჰქენი სიკეთე, გაისარჯე ამისათვისაც“.<sup>396</sup>

ა. ს. გრიბოედოვმა თუმცა ბიბლიოთეკის გახსნის ნება მიიღო, მაგრამ სუბსიდიისაზე უარს ეთქვა და წინადადება მიეცა საკირო თანხები შემოწირულებათა გზით გამოენახა.

პეტერბურგის უნივერსიტეტდასრულებული სოლომონ დო-  
დაშვილი, 1827 წლის ივლისს თბილისში ჩამოსვლისთანავე,  
ენერგიულ ლიტერატურულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერ-  
თად, ზრუნავდა საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაზეც.

ამ მიზნისათვის მას აღუწერია ექვსასამდე ქართული ხელ-  
ნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. 1829 წლის 28 დეკემბერს ს. დო-  
დაშვილი თბილისიდან სწერდა იონა ხელაშვილს: „შევადგინე  
რეესტრი ქართულის წიგნებისა, რიცხვთა ექვსასამდე: ვისგან,  
სადა და ოდესა და თვითელი რას იპყრობს თვის შორის“. <sup>397</sup>

1830 წლის ივლისში ეკატერინე კოტოვამ დააარსა პირველი  
კერძო ბიბლიოთეკა თბილისში. წიგნთსაცავის დამაარსებლის  
განცხადებით „ბიბლიოთეკაში მოთავსებული იქნებოდა რუ-  
სულ ენაზე დაწერილი ორიგინალური და ნათარგმნი საუკე-  
თესო ნაწარმოებნი 1.575 სახელწოდებისა. წლიური ხელის-  
მომწერნი იხდიდნენ 13 მანეთს ვერცხლით, ნახევარი წლით  
ხელისმომწერნი — 8 მან., სამი თვით — 5 მან., ხოლო ერთი  
თვით — 2 მანეთს ვერცხლით. წესდებაში აღნიშნულია წიგ-  
ნებით სარგებლობის პირობები. ხელმომწერლებს წიგნების  
კატალოგიც ურიგდებოდა. ბიბლიოთეკა ღია იქნებოდა კვირა-  
უქმეს გარდა, ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საა-  
თამდე. ხელმომწერა მიიღებოდა ბიბლიოთეკაში, სახაზინო  
სახლში, პოლიციის მოედანზე, სინოდალური კონტორის პირ-  
დაპირ“. <sup>398</sup>

ბიბლიოთეკის გახსნისთანავე მთავრობამ ეკატერინე კოტო-  
ვას წიგნთსაცავში იპოვა ათი სახელწოდების წიგნი, რომ-  
ლებიც სასულიერო ცენტურაში გატარებული არ იყო. აღ-  
მინისტრაციამ „მათ კონფისკაცია უყო, ზოგი კი პატრონმა  
მოასწრო უცნობ პირებზე გაეყიდა“. <sup>399</sup>

აღსანიშნავია თბილისის მცხოვრებთა შინაური სამწიგნო-  
ბროებიც, რომლებითაც სხვებიც სარგებლობდნენ.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მწერალ ალექსანდრე  
ორბელიანის შინაური ბიბლიოთეკა, სადაც შურნალ-გაზეთე-  
ბის ახალი ნომრების გასაცნობად მოდიოდნენ მის მეგობარ-  
ნაცნობები. დიმიტრი პაუშენკო გადმოგვცემს: „1830 და  
1831 წწ. პოლონეთისა და საფრანგეთის აძებების შესახებ ალექ-

სანდრე ორბელიანი ჩვენ ხშირად გვიამბობდა, ჰკრებდა რამებებს გაზეთებიდან, რომლებიც ზავილეისკისაგან მოჰქონდა და შემდგომში კი, საკუთარ სახელზე მიღებული გაზეთებიდან. მეც ზოგჯერ მასთან მივსულვარ გაზეთებითურთ წასაკითხავად<sup>400</sup>

ამასვე წერს დიმიტრი ყიფიანიც: „როცა მივდიოდი ორბელიანებისას, თითქმის ყოველთვის მომმართავდა ხოლმე ალექსანდრე კითხვით: „ა, დიმიტრი ივანეს ძეგ, თქვენ არ წავიკითხავთ უკანასკნელი გაზეთები?“ მე ხან ვეტყოდი, რომ წავიკითხე, ხან კი არა თქო. „უპ, ეს წყეული ფრანგები, მითხრა მან ერთხელ, ან ისევ პოლანდიელები“ — და ამავდროს გადმომცა „სევერნაია პჩელას“ ფურცლები, რომელშიაც მიჩრევედა წამეკითხა განსაკუთრებით თანამედროვე პოლიტიკა“<sup>401</sup>

იმავე ხანებში რუსეთიდან დაბრუნებულმა პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა თავისი ბიბლიოთეკა არა ერთი ძვირფასი წიგნითა და პერიოდული გამოცემით გაამდიდრა. ზაალ ავთანდილაშვილი ამბობს: „ვახტანგ ორბელიანს ვიცნობდი, დავიარებოდი მასთან, სადაც ერთად ვკითხულობდით ხოლმე მის მიერ პეტერბურგიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომელთა შესახებაც მსჯელობას ვმართავდით ხოლმე.“<sup>402</sup>

სოლომონ დოდაშვილის განზრახვა საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ თანდათან ხორცს იხამდა. თავის ერთ-ერთ ჩვენებაში ს. დოდაშვილი წერს: „ვახშამი ჩემს ბინაზე გაიმართა. ჩვენ აქ წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბელოვის თხზულებანი და ვმსჯელობდით. ვამბობდით შეგვედგინა საზოგადოება, გამოველო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა. ზოგი მათგანი ამბობდა, რომ ას მანეთს დავდებო, ზოგი ორასს ხმობდა და ასე ყველანი. მე ეს მოვახსენე ჩემს უფროსს ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორს გრუბერს, რომელმაც მოიწონა. უთხარი აგრეთვე ბიბლიოთეკარს კოტოვს, რომელმაც აღუთქვი, რომ მიღებული თაწილიან მისგან შევიძინდი ბიბლიოთეკას; ის ძლიერ კმაყოფილი დარჩა და მთხოვა ვცდილიყავ ამ საქმეზე“<sup>403</sup>

1832 წლის 9 დეკემბერს „ფარული საზოგადოების“ გამო-

ამკარავებამ ეს წამოწყება ჩაშალა. დაპატიმრებულთა ბინების ჩხრეკამ, ქონების კონფისკაციამ და უპატრონობამ კი თბილისის არა ერთი შინაური წიგნთსაცავი გაანიავა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კულტურის სარბილზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელმძღვანელობით ახალი თაობა გამოვიდა.

საერთო ხასიათის ქართული წიგნებიდან მაშინ თითქმის არაფერი არ იყო დაბეჭდილი და თბილისის იმდროინდელი საზოგადოება მხოლოდ „ხელნაწერებს კითხულობდა და ხელნაწერებს უსმენდა“. ამ ხარვეზის რამდენადმე შევსებას ხელნაწერი კრებულების გადაწერითა და გადამრავლებით ცდილობდნენ. მამაკაცებთან ერთად მუშაკობდნენ ქალებიც.

ურყევ ტრადიციად დაკანონდა, რომ ქართველ ქალებს სხვა მზითვთა შორის თავიდანვე შინაურ ბიბლიოთეკასაც უგროვებდნენ, რომელშიაც პირველი ადგილი „ვეფხისტყაოსანს“ ეკავა. ამ წიგნთსაცავის დიდი ნაწილი თვითონ გასათხოვარის გადაწერილ-დაკაზმული იყო ხოლმე.

„მზითვის სიებში“ ჩვენ ვხვდებით წიგნთსაცავების საკმაოდ მდიდარ დასახელებებს. იმ დროს ერთ-ერთ „მზითვის სიაში“ ჯერ სასულიერო წიგნებია ჩამოთვლილი და მერე, „მათ გარეშე“ მოხსენებულთა: „ქართლის ცხოვრება“, „სი ჭყვათა კონა“, „ქილილა და დამანა“, „ზეილანიანი“, „ვარდულბულიანი“, „შამი ფარვანიანი“, „გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება“, „ანბანთ ქება“, „მაჯამა“, „ლრამატიკა“ „რიტორიკა“, „დიალექტიკა“, „კატელორია“, „სიბრძნე სიცრუე“, „ვისრამიანი“, „ჩარდავრიშიანი“, „მირიანიანი“, „დაფნის ქალაქი“, „ყარამანიანი“.<sup>401</sup>

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ არაერთი ცდა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დასაარსებლად მარცხით დამთავრდა. ის, რაც ოცდაათიან წლებში არ მოხერხდა, ქართველი ინტელიგენციის მცირე ჯგუფმა განახორციელა ორმოციან წლებში დიმიტრი ყიფიანის მეთაურობით. მოგვყავს ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სია: დიმ. ყიფიანი, ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ზაქარია ორბელიანი, კონსტანტინე დადიანი, ალექსონიკოვი, ლევან მელიქიშვილი, ნიკოლოზ (ტატო) ბარათა-



შეილი, თევდორე კოცებუ, ზნაჩკო-იავორსკი, ნიკ, ბეზაკი, კონსტანტინე ორლოვსკი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, დავით არზანოვი, სერგეი ვასილევსკი, დავით ქავ-ქავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ივანე ორბელიანი.<sup>406</sup>

ბიბლიოთეკის დაარსების მეორე ინიციატორი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ზაქარია ფალავანდიშვილი, სიხარულის საესე გრძნობით ატყობინებდა ლიტერატორ იური ახვერდოვს: „აი კიდევ ახალი ამბავი... შენ თბილისში აღარ დაგპირდება იმდენი წიგნები, რამდენიც ჩვეულებრივ აქ ჩამოგაქვს ხოლ-მე. ჩვენ — 20-დე კაცს — აზრი დაგვებადა შევადგინოთ კერძო ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ საზოგადოებრივი გახდება. თვითეული ჩვენგანი სწირავს 30 მანეთს ვერცხლის ფულით; წესები უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა, იქნებ ბანქოს თამაშმა იკლოს“.<sup>407</sup>

როცა ამ წიგნთსაცაეის დაარსება გაიგო პეტერბურგში მყოფმა აკად. მარი ბროსემ, მან „საბიბლიოთეკო ამხანა-გობას“ წიგნების საკმაო ოდენობა შემოსწირა. ბიბლიოთეკის ერთ-ერთ გამგებელთაგანი — ზაქარია ფალავანდიშვილი მად-ლობის ნიშნად სწერდა ბროსეს: „ბიბლიოთეკას არ შეუძლია არ მიიღოს თქვენი შემოწირულება, ესოდენ სანუკვარი მის-თვის, არსებობის პირველ დღეებში“.<sup>407</sup>

შენაგროვ თანხებიდან ბიბლიოთეკის გამგებლებმა პეტერ-ბურგიდან წიგნების გამოწერა განიზრახეს. ამ საქმეში დახ-მარება მათ აკად. მარი ბროსეს შესთხოვეს. ზ. ფალავანდი-შვილი ასე მიმართავდა კერძო ბარათში ბროსეს:

„ჩემს სალაროში სრულიად უმნიშვნელო თანხაა პეტერ-ბურგში. გამოსაგზავნად — 300 მანეთი ვერცხლით, თუ აქვე მივათვლით ბიბლიოთეკის ფულსაც. კეთილგანწყობილება, რომელსაც მე ყოველთვის ვპოვებდი თქვენგან, მამედვინებს გთხოვოთ გაისარჯოთ და დაგვეხმაროთ ჩვენ და აი როგორ: რუსულ წიგნებისათვის მიმართეთ წიგნის მოვაპკრეებს ოლ-ხინს, იუნგმეისტერს, ან პოლევოის, რომელნიც ალბათ რა-მეს დაგვიკლებენ. მერე მიეცით კატალოგი, იქ აღნიშნონ ფა-სები გამოგზავნით და შემდეგ ფული უბოძეთ. ფრანგულ წიგნებზე მოელაპარაკეთ ისაკოვს. უთხარით ამ ბატონებს

გამოგვიგზავნონ თავიანთი წიგნების კატალოგები და ანგარიში პატარა განმარტებით მომავლისათვის“. <sup>408</sup>

ბროსესადმი გაგზავნილ წერილებში ზ. ფალაევანდიშვილი სთხოვს მას გაგზავნილი თანხით შეიძინოს ბიბლიოთეკისათვის გიბონის „რომის იმპერიის დაქვეითებისა და დაშლის ისტორია“, მიშლეს „საფრანგეთის ისტორია“, მონტესკიეს „კანონთა არსი“. „უცხოელ მწერალთა ბიბლიოთეკა რუსეთის შესახებ“. გოეტეს „ფაუსტი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, კრილოვის „იგავ არაკები“, აპ. მაიკოვის, ლერმონტოვის, ბენედიქტოვის, იაზიკოვის და სხვათა ლექსები. <sup>409</sup>

„საბიბლიოთეკო ამხანაგობა“ მხოლოდ ნაბეჭდ წიგნებს როდი აგროვებდა. ზ. ფალაევანდიშვილი ერთ კერძო ბარათში წერდა: „ბიბლიოთეკა უნდა შეეცადოს შეიძინოს ქართული ხელნაწერები, რათა ისინი გაიცნოს მასებმა“. <sup>410</sup>

დიმიტრი ყიფიანის ფართო და მდიდრულად მორთულ ბინაზე გახსნილი ბიბლიოთეკა, შუადღის შემდეგ სავსე იყო ლიტერატურით დაინტერესებული პირებით. ჟურნალ-გაზეთების ახალი ნომრების გადათვალეირება და წაკითხვა, წიგნების შეცვლა, მსჯელობა წაკითხულზე, კამათი გვიანობამდის არ წყდებოდა.

რადგან „საბიბლიოთეკო ამხანაგობის“ წევრთა შორის პოეტები და მწერლებიც იყვნენ, მათ ნაბეჭდი ლიტერატურული კრებულის გამოცემა განიზრახეს. „შესაძლოა, — სწერდა ზ. ფალაევანდიშვილი მარი ბროსეს, — პატარა ჟურნალიც ვიქონიოთ“. <sup>411</sup>

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, თუმანიშვილთა საგვარეულო არქივში დაცულ პოეტ ლუკა ისარლიშვილის პირადი ბარათიდან ვიგებთ, რომ განზრახულ აღმანახის გამოცემისათვის მასალების შეგროვება სწარმოებდა და აღნიშნულ ჟურნალს „ცდა“ რქმევია.

1841 წლის 15 დეკემბერს ლუკა ისარლიშვილი ქუთაისიდან თბილისში სწერდა მიხეილ თუმანიშვილს: „შენ ძწერდი იმის შესახებ, რათა მე შემეტანა რაიმე ლიტერატურული აღმანახში. მე ვერ მოვასწარი გადამეწერა ბოლომდე ბესტუჟევის „გამცდა“, რომელიც მზადა მაქვს. ამის გამო მე აქ

მივეცი დიპიტრი ივანეს-ძე ყიფიანს ორი ელეგიური ლექსი და არ ვიცი იქნებიან, თუ არა ისინი ღირსნი შეტანილ იქმნენ „ცდა“-ში. როგორც კი გადავწერ „გამცდას“ მაშინვე გამოვგზავნი“. <sup>412</sup>

არ ვიცი თუ რა მიზეზით, აღნიშნულმა აღმანახმა დღის სინათლე ვერ იხილა.

ორმოციან წლებშივე „სათავადაზნაურო საკრებულოსთან“ გახსნილი იქნა ბიბლიოთეკა და სამკითხველო, რომელსაც გამოწერილი ჰქონია რუსული და ევროპული ჟურნალ-გაზეთები. 1843 წლის 23 მარტს თბილისში ჩამოსული „H. A. — B“-ის ინიციალებს ამოფარებული რუსი მოგზაური შენიშნა: „თბილისის თავადაზნაურთა საკრებულო ღებულობს რუსეთის საუკუთესო ჟურნალებსა და გაზეთებს, ხოლო უცხოეთის პერიოდიკიდან გამოწერილი აქვს: „ალგემინე ცაიტუნგი“, „რევიუ დე პარი“, „ჟურნალ დე ფრანფურკტი“ და „რევიუ ე ტრანჟერი“. <sup>413</sup>

გაჩნდნენ წიგნით ხელზე მოვაჭრე ბუკინისტებიც. მოგზაური ღუხენ-ველინგი გადმოგვცემს: „თათრის მოედანზე ხშირად შეხვდებით ადგილობრივ ბუკინისტს, პირამიდისავეით დაწყობილი და მაგრა ღვედ-გადაკრული წიგნების ხროვით“. <sup>414</sup>

გაიხსნა წიგნების გასაყიდი საგანგებო მაღაზიებიც. 1846 წელს ოდესიდან ჩამოსულმა პელეტიმ გახსნა ფრანგული წიგნების პირველი დუქანი თბილისში.

მყიდველთა მოსაზიდად წიგნის მაღაზიებთან საჯარო სამკითხველოები იყო მოწყობილი.

#### 48. მღივან-მწიგნობრები

საქართველოს სამეფოს გაუქმებასთან დაკავშირებით, თუმცა მეფისა და დედოფლის მდივნობის თანამდებობა გაუქმდა, მაგრამ მდივან-მწიგნობართა და დამწერთა მოთხოვნილება, დღითი-დღე იზრდებოდა.

წერა-კითხვის არპცოდნე თბილისის მოსახლეობა მთლიანად მწიგნობარ-დამწერებზე იყო მინდობილი. ბევრი ამ ხელო-

ბით ირჩენდა თავს. იესე ოსეშვილი გვიამბობს, რომ როცა უსამსახუროდ დავრჩი „თითო—ოროლს შაურს ვიშოვიდი, ან სიგელს დაუწერდი ვისმე ან ოქმს“. <sup>415</sup>

სახალხო მწიგნობარ დამწერთა „სანოტარო“ განყოფილებები თბილისის ქუჩებში „ღია ცის ქვეშ“ იყო მოთავსებული. ევგენი მარკოვი წერდა:

„ქუჩების კუთხეებში მედიდურად სხედან ბუხრის ქუდიანი ფეხებმოკეცილი მწიგნობარ დამწერნი. მათ წინ უდგიათ ხის ვიწრო ყუთები სამელნეებით, კალმებითა და დანებით. ხალხი გამოუღეველად ახვევიათ თავზე. მუხლზე დადებულ თაბახის ქალაღებზე უწერენ არზებს, საჩივრებს, პირობის წიგნებს. უკითხავენ წერილებს; უწერენ პასუხებს, აძლევენ სხვადასხვა სახის რჩევა-დარიგებებს. ყველაფერ ამაში კი ლებულობენ მეტად ზომიერ გასამრჯელოს“. <sup>416</sup>

როცა საქმის წარმოება რუსულ ენაზე გადავიდა, ამ მდევან წიგნობრებს რუსული ენის მცოდნე თარჯიმანებიც მოემატნენ.



#### 49. ხელნაწერი ალმანახები

1833 წლის დასაწყისიდან თბილისის პირველი გიმნაზიის ლიტერატურული წრე ხელნაწერი ქართული ალმანახის გამოცემას შეუდგა. ამ წრეში შედიოდნენ: ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, ილია ორბელიანი, პეტრე ბაგრატიონი, ლუკა ისარლიშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ბებუთაშვილი, გარსევან ვარლამაშვილი, ლევან მილიქიშვილი, ალექსანდრე მონასტირსკი, მირიან ჭყონია და სხვანი.

თბილისის გიმნაზიის ლიტერატურული წრის წევრთა თხზულებების გარდა, ამ ალმანახში შეიტანეს, როგორც პროფესიული მწერლების, ისე არა პროფესიულ ავტორთა ნაწერებიც, რომლებსაც არავითარი ურთიერთობა სასწავლებელთან არ ჰქონდათ.

მოკლე დროში ალმანახი მოამზადეს და 1833 წლის დასასრულს „გამოვიდა“ კიდევც.

ეს შრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო აღმანახი ამეამად ინახება საქართველოს მუზეუმში (H.N 2684). სამწუხაროდ აღმანახს გარეკანი არ ახლავს, ამიტომ ჯერჯერობით ძნელია თქმა, რა ერქვა თბილისის გიმნაზიის ლიტერატურულ ორგანოს.

აღმანახი ჩვეულებრივი ზომის რვეულის სახეს ატარებს. ტექსტი დაწერილია მოაერთრო სქელ ქალაღზე აღმანახის რედაქტორ გამომცემლის მიხეილ თუმანიშვილის ხელით. 'ეურნალის ფურცლებს უზის პაგინაცია (არაბული ციფრებით), საიდანაც ვგებულობთ, რომ თავდაპირველად ეურნალში 22 ფურცელი ყოფილა, მაგრამ ამეამად აღმანახს შუაში მე-11 და მე-12 ფურცელი აკლია. ეურნალი ოთხ განყოფილებას შეიცავს, რომელთაგან ფურცლების (მე-11 და მე-12) დაკარგვის მიზეზით, მესამე განყოფილება უსათაუროდ და თავნაკლულადაა წარმოდგენილი. მომყავს აღმანახის განყოფილებათა სათაურები, მათში მოთაესებულ ნაწარმოებთა და ავტორთა სია.

### პირველი განყოფილება

პოეზია აპოლოგიური. ზღაპარი

1. ვირი და ბულბული. რუს. თ. გრიგოლ ორბელიანოვი.
2. ვარდი და ია. თ. ნიკოლოზ ბარათოვი, 3. ფოთოლნი და ფესენი. რუს. თ. მიხაილ თუმანოვი.
4. პრიპინა და კიანქველა, რუს. თ. გრიგოლ ორბელიანოვი.
5. ნარგიზი და ყაყაჩო თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი.
6. სირი და კვინტა. რუს. თ. მიხეილ თუმანოვი.
7. ნადირთა პირი. თ. გრიგოლ ორბელიანოვი.
8. ვარდი და ბულბული. თ. ნიკოლოზ ბარათოვი.
9. სოფლელნი და მდინარე. თ. გრიგოლ ორბელიანოვი.
10. ბაყაყნი მთხოველნი მეფისა. თ. მიხაილ თუმანოვი.

### მეორე განყოფილება

პოეზია ბუკოლიური. იდილა

1. შირტილი. თ. მიხეილ თუმანოვი, 2. დაუდგრომელი მწყემსი და კეთილი მწყემსი ანუ კომბლე და ხლოე. თ. გ. ორბელიანოვი.
3. მთოვარე. თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.

ამ ლექსის შემდეგ რვეულში, როგორც ავლინებთ ორი ფურკელი აკლია, ამის გამო ვფიქრობთ, რომ ამ განყოფილებას რამდენიმე ლექსი უნდა აკლდეს.

### მესამე განყოფილება

ამავე მიზეზით მესამე განყოფილების წარწერა. სათაური და დასაწყისი დაკარგულია. ამჟამად პირველი ადგილი უკავია თავნაკლულ ეპიზოდს „ვეფხისტყაოსნიდან“ სახელდობრ როსტევან მეფის მიერ ნადირობის დროს უცხო ყმის (ტარიელის) ნახვის ამბავს, რომელიც იწყება ტექსტით: „გაბედითდა სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტკბილი“.

2. კავკასიური მოთხრობა, თ. ნიკოლოზ ბარათოვი.

3. ოსური მოთხრობა (პოემა). თ. გიორგი დ. ქსნის ერისთავი. 4. პოემიდან კავკასიის ტყვე. რუსულთ. მ. თუმანოვი.

### მეოთხე განყოფილება

#### პოეზია დიდაქტიური. ასაწერი

1. შემოღამება მთაწმინდაზედ. თქ. თ. ნიკოლოზ ბარათოვისა, 2. კახეთი. თ. მიხეილ თუმანოვი, 3. თოვლი. თ. დავით მაჩაბელოვი, 4. რომანსი („ავდარში ღამით შემოდგომისა“) რუს. დ. ყორღანოვი. 5. იარალისადმი (ავტორი აღნიშნული არ არის; მაგრამ ესაა გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი, რომელიც 30-იან წლებში ხელთნაწერის სახით ხელმოუწერლად ვრცელდებოდა). 6. როს ნაპალეონ შვიდმეფით. (ლექსი). ავტორი ნაჩვენები არ არის. დასასრულს მოთავსებულია ერთი ხანა „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც იწყება სიტყვებით: „ილოცვის, იტყვის“.

რამდენ ცალად გამოცემა წრემ ეს ხელთნაწერი აღმანახი, ცნობილი არ არის.

ქართულ ენაზე აღმანახის გამოცემიდან ორი წლის შემდეგ თბილისის პირველი გიმნაზიის ლიტერატურული წრე რუსული ხელთნაწერი პერიოდული ორგანოს გამოცემას შეუდგა. 1835 წლის ივნისში გამოვიდა დასახელებული წრის რუსული ლიტერატურული ჟურნალის „Цветок тифлисской гимназии“-ს პირველი ნომერი.

ჟურნალის პირველი ნომრის ყდაზე წერია სათაური, აღნიშნულია თანამშრომელთა სახელი და გვარები, რედაქტორი და თარიღი. მომყავს იგი უცვლელად:

Цве(тои)

Тифлисской гимн(ази)

Журна(л)

Словесности, наук, художеств, промышленности и новостей.

Составленный из класных упражнений Кн. И. Алдропкова, Кн. М. Баратова, Кн. М. Бебутова, Б. Бежапова, Г. Варламова, Е. Вилемса, (А. Юзюмскаго), А. Монастирскаго, Л. Меликова, (Даний Д одор... го). И. Титкова, Кн. М. Туянова и прочих.

Книжка первая

Место

печати

Тифлис

1835 «     » Май, Кн. М. Бебутов, издание Кн. М. Туянова.

### Программа

Журнал, под названием, Цветок Гимназии, с 1-го мая 1825 года выходит ежемесячно.

Каждая тетрадь заключает в себе не менее 12 листов.

В сём журнале участвуют почти все известные своими дарованиями и произведениями в стихах и прозе ученики Тифлисской Гимназии, имеет предметом одну общую пользу — развить умственные способности учащихся и тем достигнуть цели, предназначасмой наставниками.

Цветок Гимназии, сообразно с содержанием помещаемых в нем сочинений, разделяется на 6 отделений:

# I

## Русская Словесность

Стихотворения: Новые стихотворения в сем роде отличавшихся учеников. Проза. Повести, Описания, Письма, Рассказы, Путешествия, История и тому подобныя.

# II

## Иностранная Словесность

Переводы прозаическия и стихотворения, статей как Азиатских, так и Европейских языков.

# III

## Наука и Художества

Разсуждения о разных предметах, касающихся до Всеобщей Истории, Древностей, Естественной Истории, Географии, Изыщных Художеств.

# IV

## Промышленность и сельское хозяйство

Разсуждения о разных отраслях промышленности торговли. Опыты сельского хозяйства, ремесел и описания завод, машин и фабрик.

# V

## К р и т и к а

Разборы сочинений в стихах и прозе и других.

# VI

## С м е с ь

Разныя любопытныя замечания, известия о новостях и проч...



საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში დატულია აღნიშნული ქურნალის ოთხი ნომერი, სულ კი გამოსულა ხუთი წიგნი, მეოთხე ნომერი ჯერჯერობით დაკარგულია, მაგრამ მის შინაარს ჩვენ ვგებულობთ მეხუთე ნომრის მეშვეობით.

პირველი ნომრიდან ჩვენამდე მოვიდა 18 გვერდი და ისიც უამრავი შესწორებით. გადარჩენილ ნაწილში მოთავსებულია აღმოსავლური ზღაპარი „ბედნიერება“ და მიხეილ თუმანოვის პროზა „ქართლში ჩასვლა“ („სალამო გორის გზაზე“).

№ 2 შენახულია მთლიანად (63 გვ.) მასში მოთავსებულია ლექსები ე. ვილემსისა — „მეგობრებს“, „თავ. მ. თუმანოვს“ და მ. თუმანოვისა — „კაეკასია“, აგრეთვე მ. თუმანოვის პროზა „თელეთობა“, იასე ანდრონიკოვისა — „წერილებიდან კახეთზე“, ა. მონასტირსკისა — „ბრძოლა მთიელებთან“ (რუსი ოფიცრის ნაამბობი). ნ. ვილემსისა — „გერმანული ანეგდოტები“ და „გამოუცდელობა“ (არაკი), მ. ბებუთოვისა — „რომაელთა ზნე-ჩვეულებებზე“. აქვე მოთავსებულია „ვისრამიანიდან“ თარგმნილი ნაწყვეტი „შაპროს მოთქმა ვისზე“.

№ 3 (47 გვ.) — ლექსები მ. თუმანოვის — „პოეტი და აღმაფრენა“, „ელეგია“, „განმარტობა“, „ტოტი და ობოლი“, ე. ვილემსისა — „ველიზარი ნარგიზი კართან“, მ. ბებუთოვის პროზა — „ერმაკის სიკვდილი“. ი. ტიტკოვისა — „წერილები სოფლიდან“, ი. ანდრონიკოვის — „მოხუცის ნაამბობი“, ხოლო ისტორიულ განყოფილებაში — სტატიები მ. თუმანოვისა „ერეკლე II მეფობა“ (თარგმანი ს. დოდაშვილიდან) და „შეხედულება ძველი მსოფლიოს ამბებზე“.

№ 4 მოთავსებული ყოფილა ლექსები გ. ვარლამოვისა — „ელეგია“, „სალამო ტბის მიდამოებში“, მ. თუმანოვისა — „კახეთი“, „ტყის სიზმარი“, ე. ვილემსისა — „თავ. მ. ბებუთოვს“, პროზა გ. ვარლამოვისა — „ფურცელი კახეთზე“, ნ. ბარათაშვილისა — „წერილი სოფლიდან“, „პაპის ხელისუფლების შესახებ“, (1. პაპიზმის განდიდების შესახებ, 2. მისი დაცემის შესახებ) და „ვისრამიანის“ ნაწყვეტის თარგმანი, ლ. მელიქოვისა — „წერილები საქართველოდან“, გ. გასპაროვისა — „ქოხი“, ა. მონასტირსკისა — „სასაფლაო“, ი. ტიტკოვი-

სა — „რა ხშირად გვიგზავნის განგება მეგობარსა და თანა-  
შემწეს უბედურებაში“, მ. თუმანოვისა — „კობის ციხე“, ი.  
ანდრონიკოვისა — „ფრანგული ანეკდოტები“, მ. ჭყონიასი —  
„მამის მკვლელობა“, ე. ვილემსისა — „ნატურის პატარა ნა-  
წარმოებანი ახალციხის ფაშალიკში“.

№ 5 (82 გვ.) ლექსები თ. თუმანოვისა — „მფარველ გენიას“  
და „მეგობარს“, ე. ვილემსისა — „მსოფლიოს ამოება“, პროზა  
ე. ვილემსისა — „მეფე ერეკლე II და თათარი ალაიერდა“,  
მ. ბებუთოვისა — „მოგზაურობა სომხეთში“, ს. დოდაშვილის  
„ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“ (თარგმანი  
მ. თუმანოვისა) და მ. თუმანოვის — „საერთო ცნება საშუალო  
საუკუნეთა მდგომარეობის შესახებ“.

„ცვეტოკის“ უცანასკნელი მეხუთე ნომერი გამოვიდა 1836  
წლის თებერვალში. შემდეგი წიგნების გამოცემა მასალის  
უქონლობის გამო ველარ მოხერხდა, თვითონ წრეც რამდე-  
ნიმე ხნის შემდეგ დაიშალა.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე „სასამართლოსა და  
განჩინების“ ექსპედიციაში მსახურობდა, მას თავისი მოასა-  
კენი ხშირად დაჰყავდა მანანა ორბელიანის სალონში. წრემ  
სალონის გამგებელს, მადლობის ნიშნად, საგანგებოდ შედ-  
გენილი აღმანახი მიუძღვნა.

დ. ყიფიანი ამის გამო გადმოგვცემს: „მათი ნაწარმოებები  
მათ ჩასწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული; მანანა ორბე-  
ლიანს, რომელიც მათ გულლიათ იღებდა, როგორც პატივ-  
ცემული დედაკაცი, ახალისებდა მათ ამგვარი შრომისათ-  
ვის“.<sup>117</sup>

ეს კრებული ჯერ აღმოჩენილი არ არის.

## 50. ქარვასლები და მაღაზიები

იმ დროს თბილისში რამდენიმე ქარვასლა იყო:

1. „ბატონიშვილების“ ქარვასლა, სიონის ეკლესიის მახლო-  
ბლად აშენებული მე-18 საუკუნეში. ქარვასლას ჰქონდა 62  
სასტუმრო ოთხი, 30 სავაჭრო დუქანი, საქონლის შესანახი  
საწყობები და სარდაფი ღვინისათვის. აქვე მოთავსებული

იყო სხვადასხვა სახის 15 სახელოსნო. ქარვასლას ჰქონდა საკმაოდ დიდი ეზო მოსულ ქარავნებისათვის.

2. „ბატონიშვილების ქარვასლის“ პირდაპირ 1818 წელს გეურქ ალა-არწრუნმა, გამბას ცნობით, „ააგო აქ ვებერთელა ქარვასლა. ამ შენობისათვის საჭირო მიწის ნაკერში, რომელიც სიგანით 8 საეენს, ხოლო სიგრძით 30—40 საეენს არ აღემატებოდა, მან მისცა 81.000 მან. ასიგნაციით“. <sup>418</sup> არწრუნის ქარვასლა სამსართულიანი იყო. მას ჰქონდა 33 სასტუმრო ოთახი, 25 დუქანი, საწყობები და სარდაფები.

3. „ბნელ რიგში“ მოთავსებული იყო ბებუთოვების ქარვასლა.

4. 1828 წელს კორხმაზ მელიქიშვილმა ააგო საკმაოდ მოზრდილი ქარვასლა. ამ ქარვასლაში, მომავალ 1832 წლის შეთქმულების წევრებს, უნდა გაემართათ ნადიმი და ამოეულიტათ თბილისში მყოფი მთელი სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა. ეს ქარვასლა კლუბის მაგიერობასაც სწევდა. 1831 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში დ. ყორღანაშვილი თბილისიდან სწერდა გ. ორბელიანს: „ქალაქში ძალიან მშვიდობიანობა და მხიარულება არის უწინდელივით. კლუბი იმართება ყორხმაზის ქარვასლაში“. <sup>419</sup>

5. სარაჯიშვილის ქარვასლა, აშენებული 1823 წელს. მას ჰქონდა 18 სასტუმრო ოთახი, 9 საწყობი, 5 მაღაზია.

6. სარქისოვის ქარვასლა უმთავრესად აზიური საქონლით ვაჭრობდა. აგებულ იქნა 1820 წელს. შესდგებოდა 30 სასტუმრო ოთახისა, 73 დუქნისა, საწყობებისა და სარდაფებისაგანა.

ქარვასლების გვერდით გაჩერდნენ ევროპული ტიპის მაღაზიებიც. „ყოველდღიურად, — წერდა-გაზ. „კავკაზი“, — ჩნდებიან ახალი აბრები, ახალი მაღაზიები. ფულის მძებნელი ახალი ფორტუნები“ <sup>420</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ლაბიელის სახელგანთქმული მაღაზია. ლაბიელის ქალი დაუბარებია თბილისში, აბრეშუმხვევის ფაბრიკის მებატრონე კასტელას, რომელიც მალე გარდაცვლილა. უმუშევრად დარჩენილ ლაბიელს გაუხსნია ერთ-ერთი პირველი ევროპული ტიპის მაღაზია.

შოთავსებული ყოფილა იგი დღევანდელ ბერიას სახელობის მოედნისა და შუა ბაზრის კუთხეში. გაზ. „კავკაზი“ წერდა: „გახსნილია ახალი საკანდიტერო, რომლის აბრა ამაყად ჩანს ჯერ ისევ შერჩენილ ძველ ყველასათვის ცნობილ აბრის გვერდით „საკანდიტერო ქ-ნ ლაბიელისა“. ვის არ ახსოვს, ეს კეთილი მოხუცი ქალი, რომელსაც წელთა განმავლობაში გამოუღვევლად ჰქონდა ფრანგული მოდური ნაწარმი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მხიარულ შეხვედრას, არც ერთ მეგობრულ გაცილებას, არც ერთ ქორწილს, სადღესასწაულო სადილს, არ ჩაუვლია ლაბიელის შამპანურის გარეშე“. 421

ლაბიელის მალაზია შეცვალა ბლოტისამ. ბლოტის მალაზია იყო პირველი უნივერსალური მალაზია თბილისში. გაზ. „კავკაზი“ ვკითხულობთ. „ბ-ნ ბლოტს, სურს გაამართლოს რა ნდობა, რომლითაც წელთა განმავლობაში ეკიდება მას, პატივცემული საზოგადოება, იუწყება, რომ პარიზში თავის უკანასკნელ მგზავრობისას მან შეიძინა ფრანგული მრეწველობის საუკეთესო ნაწარმოებები.

სრულიად ზოპიერ ფასებში მასთან შეიძლება შეიძინოთ: სხვადასხვანაირი აბრეშუმის ქსოვილები, მაუდი, ფლანელი, ავეჯის გადასაკრავი მატერია, ბაბთი, საღეჩაქე, ხავერდი, ქისეია, ბატისტა, ქალის შეკერილი ტანსაცმელი, ხელოვნური ყუავილები, შლიაპების გასაწყობი ფრთები, ზონარები, აბრეშუმის ჩულქები, ჰოლანდიის ტილო, ქალის და მამაკაცის ხელთათმანები, ნელსაცხებელი, საპონი, პომადა, საბურავები, ქოლგები სხვადასხვა ხარისხის ქალაღდი, ხელოვნური ბრილიანტი და სხვა.

ქ-ნი ბლოტი, რომელსაც თბილისის საზოგადოება მრავალ წელთა განმავლობაში შლიაპების შეკვეთებით ასიამოვნებდა, იღებს კვლავინდებურად ყოველგვარ შეკვეთას. ბ-ბლოტი, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობა აქვს კლიკოს ქერივთან პარიზში, იუწყება რომ იგი ჰყიდის ნამდვილ შამპანურს ბოთლს 3 მან. 30 კაპ. ვერცხლით. ამის გარდა მასთან არის სხვა სახის უცხოური ღვინოები, საუკეთესო რომი, კონიაკი, აგრეთვე პროვანსის ზეთი, ხველი ხილი და სხვა“. 422

ბლოტის მერე უნივერსალური ხასიათის მალაზია ჰქონდა ტოლეს.

## 51. მხატვრები და დაბეროტიკები

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის თბილისში ადგილობრივ პორტრეტისტებიდან გამოირჩეოდა ნიკიტა იონათამიშვილი. იგი იყო შთამომავალი ვახტანგ მეექვსის კარის მხატვრისა და მგოსნის იონათანისა და შვილი ვრეკლე მეორის სამეფო კარის მხატვრის იონათან ნაყაშისა.

„კალმასობის“ ერთ-ერთი დიალოგიდან ირკვევა, რომ ნიკიტა იონათამიშვილი პორტრეტების საკმაოდ კარგი ოსტატი ყოფილა.

„ღიაკვანი წარვალს, — წერს იოანე ბატონიშვილი, — მხატვარ დავითასთან და იგი მიიღებს კარგად; და უკანასკნელ ბერი სთხოვს, რათა აჩვენოს მან ნახატნი თვისგან. მაშინ მხატვარმან შეიწვია სახლსა შინა, სადაც ხატვიდა იგი. რა იოანემ გასინჯა ხატნი ესე, იხილა, რომელ ხელთა წილ აბიათ ფერხნი და ფერხისა წილ ხელნი, და ფრიად ზომისაგან სხვა სახედ ქმნილნი. მაშინ იოანემ პრკვა: „უფალო მხატვარო, მე იპოკენტავრული, მეტოლოლიური და გონების არსის გამოხატულებანი არ მინდა, სწორე ხატები მაჩვენეთ“.

**მხატვარი:** რადგან არ მოგწონს, წადი ჩემს ოსტატის შვილთან და იმას სთხოვე.

ღიაკვანი მოვალს იონათამისშვილთან, იგი კარგად მიიღებს, აჩვენებს თვისგან დახატულებსა და ეს კი მოეწონება ღიაკვანს. იყიდის რაოდენსამე და ეტყვის: „თქვენი შეგირდი ვერ გაგისწავლებიათ კარგად“. იგი ეტყვის: „არ შეასრულა სწავლა და ჩვენი დანაშაული არა არის-რა“. მაშინ იოანემ უთხრა: „პირველი საჭირო არს, რომელ მხაზველობაი უნდა გვარზედ ისწავლოს მხატვრობის მოსწავლემ“.<sup>423</sup>

ნიკიტა იონათამიშვილის ფუნჯს ეკუთვნის იმ დროის არა ერთი ცნობილი პიროვნების პორტრეტები. გარდაიცვალა იგი 1842 წელს. მას დარჩა ორი ვაჟი: იაკობი და ალაფონი, ორივე მხატვრები.

1829 წელს, პასკევიჩმა იშუამდგომლა, რომ იაკობი მიეღოთ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასთან არსებულ სკოლაში, მაგრამ შემსკლელის დიდმა წლოვანებამ საქმე შეაფერ-

ხა. იაკობი დარჩა თბილისში, პორტრეტების ხატვას მიჰყო ხელი და სულ მალე სახელი გაითქვა.

თავისი სამხატვრო ატელიე მოთავსებული ჰქონია მას ყოფილ ციციშვილის (ამჟამად ნ. ბარათაშვილის) ქუჩაზე, საკუთარ სახლში. „კავკაზსკი კალენდარი“ აცხადებდა: „დახელოვნებული ოსტატი ი. ნ. იონათამიშვილი. ციციშვილის ქუჩა, საკუთარი სახლი“<sup>424</sup>.

იაკობ იონათამიშვილის უმცროსი ძმა ალაფონი, 1836 წელს მთავრობის ხარჯზე გაიგზავნა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. იქ იგი სწავლობდა ცნობილი მხატვრის კ. ბრიულოვის ხელმძღვანელობით. აკადემია ალაფონმა დაამთავრა 1843 წელს და თბილისში ჩამოვიდა. 1844 წლის დასაწყისში. ის უნდა მოეწყობოთ თბილისის გიმნაზიაში ხატვის მასწავლებლად, მაგრამ გიმნაზიიდან უპასუხეს, რომ მათ უკვე ათი წელია, რაც ჰყავთ ხატვის მასწავლებლად როცი. ალაფონს მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ გიმნაზიასთან დამატებითი კლასები გაიხსნებაო.

თბილისის გიმნაზიასთან დამატებითი კლასები აღარ გახსნილა. ალაფონმა ძმასავეთ კერძო შეკვეთებს მიჰყო ხელი. მას დაუხატია პორტრეტები ბებუთაშვილების, მელიქიშვილების, სურგუნოვების, ყორღანაშვილების და სხვებისა. ამ პორტრეტების უმრავლესობა დაცულია თბილისში. სამწუხაროდ პორტრეტთა დიდ ნაწილს დახატული პიროვნების ვინაობა არ ახლავს.

შემდეგ პორტრეტისტად დასახელებულ უნდა იქნეს გრიგოლ ივანეს-ძე მაისურაძე. დაბადებულა იგი კახეთში, წინანდლის მიდამოებში. გრიგოლ მაისურაძე ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა ყოფილა და ჭავჭავაძის დახმარებითვე უსწავლია პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

1844 წელს მას სამხატვრო აკადემია დაუმთავრებია. ორიოდვე წელი. იალტა-ყირიმში უმუშავნია და მერე იტალიაში წასულა.

საქართველოში დაბრუნებულს უხატია პორტრეტები, კანკელები, ფრესკები და სხვ. მის ფუნჯს ეკუთვნის ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის პორტრეტი, დავით დადია

ნის პორტრეტი და სხვ. მეტეხის მუზეუმში დაცულია გ. მაისურაძის მიერ პეტერბურგში 1839 წლის შვიდ აგვისტოს დასრულებული ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟის ალექსანდრეს პორტრეტი, იქვე ინახება მხატვრის ავტოპორტრეტი, რომელშიაც გ. მაისურაძე 40 45 წლისად გამოიყურება.

შალვა კვასხვაძის აზრით, გრიგოლ მაისურაძეს უნდა ეკუთვნოდეს მეტეხის მუზეუმისეული ექსპონატი № 30, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძეს გამოსახავს.<sup>425</sup>

გ. ი. მაისურაძე გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, ქუთაისში 1885 წლის 6 ივნისს.

ჩამოთვლილ პორტრეტისტებიდან იმდროის თბილისში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა იაკობ იონათამიშვილი, რომელიც მაშინდელ თბილისს ფოტოგრაფის მაგიერობას უწევდა. „საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, — წერდა გაზეთი „კავკაზი“, — ჩვენ გვყავდა მხოლოდ ერთი პორტრეტისტი, ცნობილი „ქართველი რაფაელის“ სახელით. ვისაც დასჭირდებოდა პორტრეტი, მიიღებდა ი. ი. იონათამიშვილთან და იგი ყოველთვის წარმატებით აკმაყოფილებდა დამკვეთის ყოველგვარ მოთხოვნას. ხშირად ზეპირად ხატავდა გარდაცვლილ პიროვნებათა სახეებს რომლებიც კი ოდესმე უნახავს და მუდამ ზუსტად ამსგავსებდა. იონათამიშვილის ფუნჯს ეკუთვნის სრულიად მიმსგავსებული პორტრეტები ჩვენს მხარეში მყოფ ყველა მთავარი ხელმძღვანელი პიროვნებისა“<sup>426</sup>.

1845 წლის დასაწყისში თბილისში ჩამოსულან ჯერ დაგეროტიპისტი ბარტი და მერე ოდესელი პორტრეტისტი კონრადი. 1846 წლის გაზ. „კავკაზის“ 20 აპრილის ნომერში მოთავსებულია ფელეტონი თბილისის ცხოვრებიდან, რომელშიაც გადმოცემულია 1845 წლის ქალაქის ამბები და მათ შორის ფრიად საყურადღებო შემდეგი ცნობა: „თვითნასწავლ მხატვრის იონათამიშვილის დასახმარებლად ჩამოვიდნენ თბილისში თავდაპირველად დაგეროტიპისტი ბარტი, ხოლო შემდეგ კი ოდესელი პორტრეტისტი კონრადი“.<sup>427</sup>

დღევანდელი ფოტოგრაფიის წინაპარი დაგეროტიპია, ვერცხლის, ან მოვერცხლილი სპილენძის ფირფიტაზე ქიმიური რეაქტივებითა და სხივების ზემოქმედებით ანაბექდის მიღება; იგი შემოღებულ იქნა 1839 წელს ლუი დაგერის მიერ. დაგეროტიპი გადაღებისას მხოლოდ ერთ სურათს იძლეოდა, მისი გადაღების შემდეგ გამრავლება არ შეიძლებოდა. ერთი გადაღებიდან ნეგატივის მიღების შედეგად ქალაღზე სურათების ბეჭდვა ფოტოგრაფიას ეკუთვნის. ეს აღმოჩენა შემდეგი დროის ამბავია.

ბარტის ჩამოსვლის შემდეგ თბილისში თანდათან გავრცელება დაიწყო დაგეროტიპმა. თემირხანშურაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი თბილისში სწერდა ყაფლან ორბელიანს: „ჩემო თვალისჩინო ყაფლან! თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, დაეხატვინე დაღეროტიპსა და გამომიგზავნე შენი პორტრეტი. შენ გენაცვალოს ჩემი თავი. ამაზედ უარს ნუ მეტყვი“. <sup>428</sup>

ცხადია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ის დაგეროტიპული პორტრეტი, რომელიც დუბელირის ფოტოგრაფიის ხანძრის დროს დაიღუპა, ბარტის მიერ იყო დაგეროტიპებული 1845 წლის მაისის დამდეგიდან, პოეტის მიერ ნახჭევნიდან თბილისში ჩამოსვლის დროიდან, იმავე წლის ივნისის მეორე ნახევრამდე, განჯაში გამგზავრებამდე.

## - 52. ციკვიპი

არც ერთ დღესასწაულს, მეჯლისს, ძეობას, ქორწილს, თუ ჩვეულებრივ მოღზენას, არასდროს არ ჩაუვლია მროკველთა და მოცეკვავეთა გარეშე.

- მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თბილისში სხვა მოცეკვავეთა შორის, გამოირჩეოდნენ „შვიდნი ქალნი, საჩენად მორთულნი, მშვენიერებითა ბრწყინავნი, ტკბილად მოუბარნი, საოცრად მროკველნი. ესენი იყვნენ: 1. პაატა ციციშვილის ქალი სოფიო, 2. თუჩანიშვილის ცოლი ქეთევან, დიდად კეკლუცი. 3. მყაუშვილის ქალი ნინო, 4. თინათინ, ქალი ამილახვრისა ამირინდოსი, 5. ელენე დაი თინათინისა, ცოლი



აბაშიძისა დავითისა. 6. ბარბარე ყაფლანიშვილი, 7. ელისა-  
ბედ ბარათაშვილის ცოლი, სიტყვა მარჯვე, მოხუშარი და  
ზმათა მთქმელი, შესაქცევად მრავალთა“. <sup>429</sup>

ქართული ცეკვებიდან იმ დროს თბილისში ყველაზე მე-  
ტად ლეკური იყო გავრცელებული.

როგორც კი მზე მამადავითის კალთებს მოეფარებოდა და  
მთები მტრედისფერ ჩრდილებს დაუშვებდნენ, დღიური ჯა-  
ფით დაღლილი თბილისი ისვენებდა. ქუჩები, მოედნები,  
აივნები და ბანები იესებოდა ხალხით. „ადგილის განურჩე-  
ვლად მეფობდა ხმა საზანდარისა, ღღერდა ჩონგური, ჭიქუნებ-  
და ზურნა, წკრიალებდა დაირა და ტაშისკვრის ხმაზე სრია-  
ლებდა ლეკური“. <sup>430</sup>

ქართულ ლეკურს არაფერი აქვს საერთო ლეკთა ლეკურ-  
თან. ლეკთა ლეკური ასეთია:

„გამოვა ორი მოსხლეთილი ახალგაზრდა ჩერქეზულ ახა-  
ლუხში, ფეხზე წულა-მესტით, დაუვლიან მცირედს და გაჩერ-  
დებიან. მერე ერთი შემოტრიალდება ვიწრო წრეში თავის  
გარშემო, ჩაივლებს მარცხენა ხელს ხანჯალში, რომ მოძრაო-  
ბის დროს არ უშლიდეს, და გაუსვამს ფეხს.

ფეხის გასმა იმდენად რიტმიულია, თანაც მთელი ფეხის  
გულით, გეგონებათ მიწას ფეხს არ აშორებსო. ამასთანავე,  
ზედა ტანის რხევა სულ არ ემჩნევა, თითქო იგი მხოლოდ  
მუხლებს ქვემოდ მოძრაობდეს, გააკეთებს პირუეტს, ე. ი.  
ფეხის თითებზე შედგება და შემოტრიალდება, ან ზევით ახ-  
ტება და ანაზღეულად გაჩერდება, თანაც მოჯიბრეს შესძა-  
ხებს: ახლა შენაო.

მეორე გააკეთებს ასევე ყველაფერს, რაც პირველმა გააკე-  
თა და, თავის მხრით პირუეტამდე წაუშატებს რაიმე ახალ  
ფიგურაციას; მაგალითად, ფეხის გასმის დროს ანაზღეულად  
მარცხენა ფეხის ტერფს მარჯვენაზე შემოიდებს და ისე ცალ  
ფეხზე გაქანდება. მერე მარცხენა ფეხით გაიმეორებს ასეთ  
ფანდს, გახტება და დასძახებს მეტოქეს: ახლა შენაო.

ასე და ამგვარად თვითეული მათგანი ყოველ გამოსვლაზე  
რაიმე ახალ ფიგურაციას უშატებს, ვიდრე მათი რეპერტუა-  
რი მთლად არ ამოიწურება. ამის შემდეგ, ორივენი ჩამოუფ-

ლიან საბოლოოდ, შედგებიან ფეხის თითებზე და გათავდა“.<sup>421</sup>

სულ სხვაა ქართული ლექური.

ქართული ლექური „განსახლებული იდეაა, რომლის განსახორციელებლადაც სათანადო ტექნიკაა გამოყენებული. რამდენადაც ლექთა ლექურში ფეხის ტექნიკა თვითმიზანია, იმდენად ქართულ ლექურში — იგი სარჩულია, დამხმარე საშუალება მიზნის განსახორციელებლად. აქ ლექური გააზრებულია. საგულისხმოა, რომ ქართველმა მამაკაცის სურვილის მოკამათეთ მამაკაცი კი არ გამოიყვანა, არამედ — ქალი! ამით მან მთლად გადააბრუნა ამ საცეკვაოს მნიშვნელობა. მან შეუქმნა შინაარსი ლამაზ, მოხდენილ, მაგრამ უშინაარსო სულთა სწრაფვას.

ლექური მთლიანი პოემაა ტრფიალებისა, მას აქვს სათანადო დასაწყისი — „შორით ბნედა, შორით ალვა“. მას აქვს განვითარება — „კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა“; მას აქვს დასასრული — „სიყვარული აგვამალღებს“. ლექური ისე იწყება, ისე ვითარდება და ისე მთავრდება, რომ ვაეი ქალს არც ერთხელ არ ეხება; მხოლოდ დამთავრების სურათი გვიჩვენებს, რომ მათი ბედი გადაწყვეტილია, ისინი უნდა შეერთდნენ“.<sup>422</sup>

იმ დროის ლექურის შემსრულებელთაგან თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ ეკატერინე ალექსანდრეს-ასული ჰავჭავაძე (1816-1882). სამშობლოს მოშორებული გრიგოლ ორბელიანი სწერდა სალომე ჰავჭავაძეს: „ყოველთვის ახალს სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაქცილი ლექურს თამაშობდა და იმღეროდა: „ბროლის ფიქარი, აფიცარი გულს დაგეკონოს“.<sup>423</sup>

პირბადრი, ტანკენარი მართა ალექსანდრეს ასული სოლოლაშვილი ორმოციანი წლების თბილისში ლექურის უბადლო ოსტატი იყო. ანდრეი ფადეევი გადმოგვცემს: „1842 წელს თბილისში ჩამოსული ალექსანდრე ივანეს-ძე ჩერნიშევი, ჰავჭავაძეებთან საღამოებზე ახალგაზრდული გატაცებით ცეკვავდა ლექურს სილამაზითა და გრძელი თმებით ცნობილ მართა სოლოლაშვილთან“.<sup>424</sup>

ლეკურის პროფესიული მოცეკვავე დარია სულხანიას ასული ბეგთაბეგიშვილი ყოფილა. გიორგი ერისთავს აქვს ლექსი „ქნიაენა დარია ბეგთაბეგოვისას (ლეკურის თამაშობაზე)“:

დიდიხანია თვალსა ჩემსა სოფლით დაღალულს  
ტრფობისა ღელვით გაცივებულს ამა ჩემსა გულს  
არ მიუღია მეჯლისთაგან სიამოვნება;  
მაგრამ ლეკურმა, ჩვენებურმა, ჩემი გონება  
განციფრებითა პოეტთ ცასა ზე აღიტაცა!  
მუხთა შთაბერვის, თვარა სხვაგვარ ვიტყვოდი რასმცა?  
ეს ვინ მოჭყრინავს? ფერია, თუ ცითა ნავარდობს,  
მეჯლიში ხახა და იამა, ჰარობს და მარდობს!  
ერთი შეხედეთ, ვით ყარყატი ყელ მოღურებით,  
მოსტურავა ეგრე მშუნიერად და ნარნარებით,  
ჟუჟურეთ ფებთა თვალ ვერ ჰსწრებით როგორა ხმარობს,  
ჰაერთა ზვირთთა თვისის ფრთებით, ვითა განაპობს?  
ხედავთ მაგ ტანსა, გულწამტანსა, ნორჩსა მრხეველსა;  
შეხედეთ თმათა, ხშირთა შავთა, — შევნიშნენ წელსა.  
მკლავს მე ხელების, ზესთა ფრთების უცხოდ ხმარება  
აგრე მოჭყრინავს, თითქო მიწას არ ეკარება!  
ვიშ მაგ სახესა, სინაზესა, სულის სარკესა;  
მაგ ნახს ტუჩებზედ ეგ ღიმილი ვინ დაგიწვსა?  
ხედავთ, კავები, წყვეულები ტაშსა ჰყვებიან,  
როგორ ცელქობენ, ამიკობენ, ეკონებიან?  
აი თვალეპი, მაშვენეპი ლაშახის სახის,  
სავსე ცეცხლითა და ელვითა, სადგურნი ეშხის,  
მოღით, მკერეტუნო, ტაშის მკერელნო, უთხართ მადლობა,  
დავლოცით მაგის ცხოვრება და ყმაწვილ-ქალობა,  
ან მე შევამკობ, თქვენ კებისა დაჰკარით ტაში,  
ეს ლექსი ვუძღვენ, მან მიიღოს ვითა შაბაში. 435

ბავშვობიდანვე ლეკურს განსაცვიფრებლად ცეკვავდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია აღნიშნავს: „სხვაზე უფრო დაწინაურებული იყო ბარათაშვილი ცეკვითაც. სასწავლებელს ჰყავდა „ტანცების“ მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი „ტანცკლასი“. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი აღდადანოვი, რომელიც ლეკურსაც ასწავლიდა, ბარათაშვილი პირველი მოცეკვავე იყო და უპირველესი მოლეკური, თუმცა მესამე კლასში იყო, თუ მეოთხეში“. 436

გადმოვარდნის შედეგად, მარცხენა ფეხის წვივ-კოქის და ზიანებამ, ოდნავადაც ხელი ვერ შეუშალა ბარათაშვილს ცეკვაში. დაშავების რამდენიმე ხნის შემდეგ, 1837 წლის თებერვალში, იგი თავის ბიძას გრ. ორბელიანს სწერდა: „...ფეხი კარგადაც მაქვს. ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვბტი და კიდევ ვტანცაობ“. 437

დაკოქლების შემდეგ იყო, 1843 წლის 15 აგვისტოს, მარტყოფის ჯვარობაზე პოეტმა ლეკურის ცეკვით საყოველთაო ყურადღება რომ მიიპყრო. ლუკა ისარღიშვილი იგონებს: „ნ. ბარათაშვილმა მარტყოფში მშვენიერი ლეკური ითამაშა“. 438

ლეკური წარმატებით სრულდებოდა ოფიციალურ ბალებზედაც. 1845 წლის 21 აპრილს მ. ს. ვორონცოვს თავის დღიურში ჩაუნიშნია: „სალამოს ბალი. უქმე დღე. ბალი იყო შესანიშნავი. ცეკვაედნენ ლეკურსა და აფხაზურს“. 439

დრო იცვლებოდა და ლეკური, სხვა ქართულ ცეკვებთან ერთად, ზოგიერთ ოჯახებში დავიწყებას ეძლეოდა. გულისწუხილით აღნიშნავდა გრიგოლ ორბელიანი: „ნეტავ ეს ლეკური მაინც დარჩეს ჩვენის საბრალო ქართველობისაგან, რომელიც ასე ადვილად და დაუდევნელად იცვლის თავის ლამაზსა ფერსა“. 440

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შედეგად თბილისში შემოვიდნენ რუსული და ევროპული ცეკვებიც. პირველი ქართული სახლი თბილისში, სადაც რუსულმა ცეკვებმა იწყეს გავრცელება, ალექსანდრე ჭავჭავაძის ბინა იყო. მისი ასულები — ნინო და ეკატერინე, ჩინებულად ცეკვაედნენ, ქართულ ცეკვებთან ერთად, რუსულ და ევროპულ საცეკვაოებსაც: მაზურკას, ვალსს, პოლონეზს, კადრილსა და სხვ.

1832 წლის იანვარში, რომან ივანეს-ძე ბაგრატიონის ბინაზე, „ვთი ქუჩისაგანის“ წარმოდგენის შემდეგ „გათავდა თუ არა პიესა, სცენა და დეკორაციები აალაგეს, იგრილა მუსიკამ და ახალგაზრდობა ხალისით დაეწაფა ვალსს. მაზურკა და ფრანგული კადრილები გაგრძელდა ღამის ორ საათამდე. საუცხოვო სანახავი იყო, თუ როგორ სრიალებდა ქართველი ქალების თვალმომტაცი ფეხები კადრილში და

როგორ იხატებოდა მათი მოქნილი ტახი ფრაზგული კადრი-  
ლების ასრულებისას“. <sup>441</sup>

ქართული, რუსული და ევროპული ცეკვების ნამდვილი  
ზეიმი გაიმართა 1837 წლის 11 ოქტომბერს ზუბალაშვილე-  
ბის ბინაში მოწყობილ ბალზე. ამ ბალს ქალთაგან დაეწრნენ:  
ნინო გრიბოედოვი, ეკატერინე ჭავჭავაძე, მართა სოლოლა-  
შვილი, მარიამ ერისთავი, მაიკო ორბელიანი და სხვ. კაც-  
თაგან: მ. ი. ლერმონტოვი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილი და სხვანი. ბალი პოლონეზის ცეკვით დაიწყო.  
რიჩარდ ვილბრეხამი იგონებს:

„რამდენიმე ქართველი ევროპულ ტანსაცმელში გამოწყო-  
ბილი შეუერთდა ცეკვას. ამის შემდეგ დაიწყო სხვა პო-  
ლონეზი და ოთახის გრძელ რიგში ისე გავრცელდა ეს სეი-  
რნობა, რომ ბევრ მათგანს მუსიკის ხმაც არ ესმოდა. კად-  
რილის ცეკვაც დამთავრდა. რამდენიმე ქართველმა იცეკვა  
ლეკური და როდესაც ოთახში ხალხი ცოტათი შეთხელდა,  
მცირე ჯგუფმა დავიწყეთ ვალსი. ჩემი წყვილი დედოფალი  
ეკატერინე ჭავჭავაძე, ლამაზი ქართველი ქალი, თავისუფლად  
ლაპარაკობდა ფრანგულს, მისი მიხვრა-მოხვრა და ტანსაც-  
მელი ევროპული იყო. აქვე იყო მისი და ქ-ნი გრიბოედოვა,  
აქაური ადათი უკრძალავს ქალებს ერთჯერ მეტად შემოუ-  
არონ წრეს ერთ და იმავე მამაკაცთან, ამის გამო იყო მუდ-  
მივი ცვლა ქალებისა“. <sup>442</sup>

ძველ თბილისს ბევრი სხვა მოცეკვავეც ჰყავდა.

### 53. მანდილოსანთა ალბომები

იმდროინდელი პოეზია კასტურ, სალონურ გარემოცვაში  
ვითარდებოდა. ლექსები იწერებოდა არა დასაბუქლად,  
არამედ ხელნაწერებად გასაფრცელებლად, მეგობართა შო-  
რის წასაკითხად და საალბომოდ.

„ჩვენ, — განაცხადა ერთხელ პოეტმა გრიგოლ ორბელი-  
ანმა, — თუ რაიმე ლექსებს ვსწერდით, ჩვენის ნათესავები-  
სათვის და მეგობრებისათვის ვსწერდით და არა დასაბუქ-  
ლად“. <sup>443</sup>

ალბომური ქანრი ერთი მთავარ ქანრთაგანი იყო იმ პერიოდის ლირიკისა. საალბომო ლირიკა, პიროვნული და კონკრეტულია. იგი უმეტესად ქალებისადმი მიძღვნილი.

თუ ქართული მამაკაცები მტერს იარაღით „ხოცავდნენ“, ლამაზი ქალები კი — „სილამაზით“. გრ. ორბელიანის ერთ-ბარათში ვკითხულობთ: „ქალაქის ბალებში პირველ კრასავიცად გამოჩენილია ივან ოსებიჩის ყორღანოვის ქალი. ესეც მიულოცე იოსებს: ძმა მამაცი, და კრასავიცა. — ეგ ხმლითა ჰხოცს, ეს სილამაზით“. <sup>444</sup>

ამიტომ ქალების „ყოველი კაბინეთის კუთხე და ალბომები აღვსილი იყო სხვადასხვა ლექსით და პასლანით“.

საალბომო ლირიკა ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. შეილებისა და ნათესავ-მეგობრებისადმი მიძღვნილი დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი და 2. გულის მიჯნურისა და შეყვარებულისადმი მიმართული სახოტბო ხასიათისა.

მაშინდელ თბილისში ალბომების ისეთივე „მოდა“ იყო, როგორც „შლიაპის“, „ხაბარდის“, „ბაშმაქის“, „კორსეტი-სა“ და სხვა.

პოეტ დიმიტრი ბაგრატიონის მცირეწლოვან ქალიშვილს ელისაბედს აკენიდანვე ჰქონდა ალბომი. ერთი პირველი ლექსთაგანი მამამ ჩაუწერა მას:

### ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ელისაბედს

შვილო, შენმც მიგი ღვთისაგან,  
კურთხევით ზედა ზედითა,  
დღეთა სიგრძითა, სიბრძნითა,  
ბჭუითა სვე და ბედითა,  
სახელ ზვეჭითა, შვებითა,  
სინწარე გაღობადითა.  
შენ ჩემო ელისაბედო,  
მამისა და ბედო,  
ხან გიკვრეტ მზისა სახედო,  
ხან მთვარედ მოშუქარედო,  
პირმშვენიერო, ლამაზო,  
ტანად ხარიფო და ნაზო.

გითარის ქებით ალგაშკო,  
 ჩინელთ სახატად სახაზო.  
 მაწვევ ალბომთა წერასა,  
 გამოიყენებ შენ რასა,  
 დაუწყებ ოდენ მზერასა,  
 სხვას ვერას ირგებ ვერასა.  
 არ გესმის ჩემგან თქმულები,  
 შენს საალერსოდ ქმულები.  
 წამიხდა კირნახულები,  
 ამოდ ვარ ჯულნაკლულები.  
 თუ ისმენ შენ ჩემს რჩევასა  
 ეცდე კეთილსა ჩევასა,  
 სიბრძნე დაგიწყებს წვევასა,  
 გასწავლის ყოფაქცევასა.  
 ქალთათვის მშვენიერება,  
 არს სახის ზომიერება;  
 ჭკუა და გონიერება,  
 შორს ისმის, მოიქლერება.  
 თუ გინდა კეთილქალობა,  
 გიხმს ლეთისა მოტრფიალობა.  
 დაგიცვავს ზესთა ძალობა,  
 ანგელოსთ მრავალთვალობა.  
 მსურს იყო კარგის ბედითა,  
 მაღლითზე გარდმოხედვითა,  
 შენ ტოლი გიჯდეს ეფერდითა,  
 მიყრდნილი მკერდსა მკერდითა.  
 ელისაბედო — ღმერთი გყვეს მწველო.  
 ყოველსა ზედო, კეთილ მომხრედო.  
 მას დაემონე, იყავ მართლ მრონე  
 თავ მოუწონე, სიმდაბლის მქონე.  
 მშვიდი და წყნარი, მოსაწონარი.  
 ტკბილ მოუბარი, გლახაკთ შემწყნარი.  
 ცამ დაგიფაროს, შენს ნებად აროს,  
 ქრმით გაგახაროს, გაშვილიეროს. <sup>45</sup>

დიმიტრი ბაგრატიონის მეორე ქალს ანასტასიას მამისა-  
 გან ალბომში ასეთი ლექსი ჰქონდა ჩაწერილი:

**ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ანასტასიას**

გაკურთხოს, შვილო, მაღალმან,  
 დღეთ სიგრძით მრავალ წელლობო.

ჰკუთ, ცოდნით და ზრდილობით,  
 იყომცა საშურველობით.  
 სიმდიდრე გადაგროვდეს,  
 უხვებდუ კეთილ ქველობით,  
 იხარებდუ და იშვებდუ  
 უმანკობით წრფელობით.  
 ეს ქალი ანასტასია  
 შვებით ედემის მსგავსია,  
 უფშვიან ყვაგილთ დასია,  
 სურნელობითა სავისია.  
 ჩემი ვარდი გაფუჩენილობს,  
 ფერად ტურფობს, ლაღად შლილობს,  
 ლამაზ ბუტკთა დაკუწვილობს,  
 ბულბულთ სტვენას შეუცილობს.  
 შეუდეგ ღვთისა მცნებასა,  
 იგ გაქნევს თვისსა ნებასა.  
 მალ მოგაშორებს ვნებასა,  
 დაგხსნის თაემოწონებასა.  
 თაესა ამითი სწერთნიდია,  
 იყო დაბალი, მშვიდია,  
 კეთილთა გზათა ვლიდია,  
 ავი ბოროტთა ხიდია.  
 დიდგვარი კეთილშობილი,  
 ხამს იყოს ჰკუა ცნობილი,  
 ყოფაქცევითა მკობილი,  
 აროდეს იქმნეს გმობილი.  
 მისგან მიიღო ყოველი,  
 ვინ არს კეთილთა მოველი,  
 თუ გულითა ხარ მთხოველი,  
 მოგეცეს, რასაც მოელი.  
 შენც მივი ბედით სვიანი,  
 გონიერი და ჰკვიანი,  
 სავარდუ ყვავილიანი,  
 ნუმც დაგიჰქცნების იანი.  
 აღბომთა წერა, ვინ მაწვიერა,  
 მას უწყე მხერა, ჩემაგიერა.  
 ღმერთიკა გუარავს, მოგივლენს არ ავს.  
 შენს გასახარავს, დაგადგამს კარავს.  
 ქალთათვის ქება, სახელ მოგება,  
 არს მშობელთ შვება და ნეტარება.  
 იყავმცა შვებით, პირ აცილებით,  
 შენს წადილ ნებით, კარგ ქმარშვილებით.<sup>448</sup>



ხინო გრიბოედოვის დაბადება ჰავკავაძიანთ სახლში დი-  
დი ზეიმიტ გადაიხადეს და მეტად თავისებურებითაც აღ-  
ნიშნეს. იონა მეუნარგიას ცნობით: „ალექსანდრეს ქალი  
რომ დაიბადა, მაშინ, ერთს ქვევრში ღვინო ჩაასხეს მის სა-  
ქორწილოდ“. 417

ახლადდაბადებულს ნინოს მაშინვე განუკუთვნეს ალბომი.  
რევაზ ვახვახიშვილმა ასეთი ლექსი ჩასწერა შიგ:

### ნინას დაბადებაზედ

მომილოცავს ქალის ყოლა, დღეობა,  
ვარდთ ღიმილი, ია ზამბახთ ღრეობა.  
სირინოზთ ხმა, ბულბულთაგან ძეობა,  
მინერვასგან კურთხევითა ზნეობა.  
მარხმან შვა კრონოს წყრომით ასული,  
მუშტარსა სჯობს ულისეს ველს შასული.  
მღრბიბის მზე ღრუბელთაგან გასული  
პოლკოვნიკი ჰავკავაძის ასული. 418

როცა ნინო ოდნავ წამოიზარდა, ალექსანდრე ჰავკავაძემ  
თავის ქალის მაგიერ, შემდეგი ლექსი ჩასწერა ალბომში:

არც მამასავით მაქვს მე სხვადასხვა ფიქრები,  
არც დედასავით მტანჯავს უსაფუძლო იკვები,  
ჩემს შუბლს კმუხვილს ვინ ნახავს, სულ მიცინის კიკები,  
გავიზრდები, მექნება უკეთესი ნიკები. 419

როცა ნინო თხუთმეტი წლის შეიქნა, დიმიტრი თუმანი-  
შვილმა ჩაუწერა ალბომში:

### ალექსანდრე ჰავკავაძის ასულს

ნინას მენენიკის დღეს მიგუძღვანე იამბიკო ესე დიმიტრი  
თუმანოვიმან

ნათლიდა მოგვი, ნაბრწყინი თვალ უდგმული,  
იცავს ვლვას ბუნების შესაბამსა,  
ნეტარი ნინა. ნინას, ემწუემქებარა,  
ამხვევა მხედნი სატრფო მორფ ნაკვეთითა  
წლის ქცევადობას კეთილსბრით განატარებს,  
პირმშოთ ხატი მსგავსი არსებისავე,

წარმოიხაზავი ბუტყვი ძაღალ სიროთა,  
ძამშენი, მამკი, უხადო სფერაი,  
ფრიადის სურვით მენენიკის განმცნადი,  
ტრაპესს დაგვიგებს უხვების ტრფიალებით. <sup>400</sup>

1839 წლის 15 სექტემბერს პოეტმა გიორგი ერისთავმა  
ნინო ჭავჭავაძეს ალბომში ჩაუწერა შემდეგი ლექსი:

### თოვლი

#### კნიაუნა ნინა ჭავჭავაძისას

ნახეთ ნინას, როს სპეტაკ გულს  
ვით დაეცა თოვლი ქედად.  
მას ეგონა, სითეთრითა  
ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად.  
მაგრამ რა ნახა მალიად  
ეს თვისა შეცდომილება,  
დადნა შეტისა სირცხვილით  
და ცრემლად იწყო დინება. <sup>401</sup>

ლუკა ისარლიშვილმა შემდეგი სტრიქონები უძღვნა ნინოს  
ალბომს:

#### ნინა გრიბოედოვისას, ჭავჭავაძისას

ერთხელა ბედმა მეც შემისმინა  
და შენის ნახვით მახედნიერა;  
მარა თვალები მყის გამიშტურდა;  
განცვიფრებულსა ცნებაც მიღელდა,  
ენაცა ჩემიცი მყისვე დასდუმნა!  
და მე იდუმალ დაფიქრებული,  
შენ გმზერდი ჩემად გაშტურებული.  
მართ შენი სახე, შენი შვენება,  
ვამსგავსე მყისვე ციურთ ოცნებას!...  
მარამა შენსა ენხსა, სიტურფის,  
შენსა შენება' და შენს სინახეს  
შენს ტანოვნებას და შენთა თვალთა,  
სხივ შეუოსილთა; გულის მგზნებელთა —  
ვერ მიედრების, ვერა მსგავსება:  
მე აღარ მიკვირს, რომ ბედმან შენა,  
შვენიერების საგნად გადგინა.

და წინანდლისა ღმრთად მოგაეღინა...  
მხოლოდ ძაშვრალი იგი მებრალვის,  
ვის ერაზხელ მაინც სიცოცხლის გზასა  
ერთოდენ ხილვა შენი ეღირსა:  
და მიერიდან მოსტირის, მოჰგლოვს  
თვისსა წარსულსა ბედნიერებასი...<sup>182</sup>

პოეტმა ქალმა ეკატერინე ერისთავმა ჩაუწერა ალბომში  
ნინო ქავაჭავაძეს.

### ნ(ინოს) ალბომში

ალბომში ვინცა შენა გმფლობს,  
ნატრიან სხეც მას მფლობდეს,  
როს შევნიერმა ხელთ გიპყრას,  
სთხოვე მეც მომიგონებდეს.  
მას ტურფას ესრეთ უპერეტენ,  
ვით წალკოტს აყვავებულსა,  
შიგან მდგომს ვარდსა სუმბულით  
ხამბახთან შეერთებულსა.

მის გარეშემო მფრინველნი  
სხვა და სხვა შემოკრებნიან,  
იადონი და ბულბული  
ერთმანეთს ეცილებნიან,  
ესრეთსა მშვენიერებას  
და საოცარსა ქმნილებას,  
ვინ არა ეტრფის, არ ჰპოვებს  
მის შორის მრავალს სრულებას;

მეცა ამისთვის მოვსულვარ,  
შენზედ მის ქება დაესწარო,  
ბედნიერების ჩანგხედა  
ეს ჩემი გრძნობა დამღერო.  
მაგრამ მეც ამა შრომისთვის,  
მსურს ვიყო მისგან ხსოვილი,  
ვინც ჩეჰგან წერა ისურვა  
და ვისგანც იყო თხოველი.  
ეს სისაეტაკე ფურცელთა  
გიგავს თვით შენსა მფლობელსა,  
ლაყვარდ მისილი ვინ კართოლვით  
აკვირვებს თვისსა მცნობელსა,

ეს მსგავსებს მაშინ ვენერას,  
ქვეყნად ზეცილამ მოსულსა,  
ნარნარს, შეენიერს, უმანკოს  
ციურსა წმინდასა სულსა. <sup>459</sup>

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება ეკატერინე  
კავკავაძის ალბომი. ამ ალბომში ჩაწერილია გრიგოლ ორ-  
ბელიანის შემდეგი ლექსი:

### ეკატერინე კავკავაძის ასულს

წინანდლის ვარდო  
სულითა ტრედო,  
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო  
ვითა ცისკარი,  
ხარ მოცინარი,  
რომე მხილველის გული ახარო.  
იმხიარულე,  
ვიდრე სიცოცხლე  
შენი მშვენიერებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;  
ვიდრემდის შენზე  
დაგნათის ვით მზე  
სიკაბუკისა ნათელ ვარსკვლავი  
კმუნვის ღრუბელი  
გულ — დამაბნელი,  
ვიდრე მხიარულს არ შეგხებია:  
ვიდრე ამ სოფლის  
დაუფგრომელის,  
ვარდნი ეკლად არ გადაგცევი! <sup>460</sup>

— — —

თეიმურაზ ბატონიშვილს ასეთი ლექსი ჩაუწერია ამ ალ-  
ბომში 1839 წლის 18 აპრილს:

### ეკატერინე კავკავაძეს

სჭერეტს ირონიით, ნათელ - მჭკროლინა,  
მთიებრ შუქმფენი სპერაკ - ბროლინა,

თვალ - შავარდნება, ჰეროდმ-წყახარობა  
 გულის მიდამის სულს მომდარინა.  
 მშვილდნი მოზიდნა, გიშრის ისრინა,  
 ინდთ რაზმით ფრიხა გულს განასწირნა;  
 ვართ კოკობთ მცინა კავკას ხშირინა,  
 ესრეთ შემკულარს ეკატერინა.  
 ეკატერინა ვარდ კოკობინა,  
 სულნელ კასია ალო შტახსინა.  
 ცქრიალა მცინა კარგ თვალთ მაქცინა,  
 სიხარულის ფრთით კოლხიდს მომფრინა  
 თვალ თილისმინა, ბაგე ყანდინა,  
 წელწერწეტინა, გულს განმაკრთინა,  
 ვით მტრედ-გვრიტირა შენდამლიდინა  
 სიხარულს თვის ტოლს მდიდრად შემძინა. <sup>454</sup>

ლევან მელიქიშვილის მეუღლეს ალექსანდრა მაკარის ასულ  
 ორბელიანსაც ჰქონდა ალბომი. გიორგი ერისთავს ასეთი  
 ლექსი უძღვნია მისთვის;

ალბომში კნიაჟ. ა. ორბ...

(კნ. მელიქოვისა)

უტევე, ამ თეთრს ქალღმერთს  
 აჰყვავდეს ჩემი ლექსები,  
 ხანდისხან მოუწოდებდეს  
 შენ გულს ეს ტურფა თვალები,  
 სპეტაკ ქალღმერთსა უწერდეს  
 ჰგავს ჯერეთ შენი ცხოვრება  
 ნეტარ შემეძლოს მახედან  
 დავწერო ბედნიერება <sup>455</sup>

ა. კარლისძე ოპერმანის მეუღლესაც ჰქონდა ლექსთა ალ-  
 ბომები, რომელშიაც არა ერთხელ ჩაუწერია ლექსები გრი-  
 გოლ ორბელიანს. ნინო გრიბოედოვი ამის გამო წერდა გრი-  
 გოლ ორბელიანს: „რასაკვირველია, გაზეთით შეიტყობდით  
 ჩვენის საყვარელის გრაფინია ოპერმანის დაქვრივებას. აბა  
 ახლა უნდა ქერივის და ობლის ნუგეში. ეხლა იაბება თქვენ-  
 გან წიგნის მოწერა და მოგონება, მაგრამ მგონია სტარუ-  
 ხასთან მოწერაში ის ვდახნავენია და გრძნობა ალარას წარ-

ბოლშევიკები, როდესაც უწინ უოველი იმის კაბინეტის კუთხე და ალბომები აღვისილი იყო თქვენის სხვა და სხვა ლექსით და პასლანით“. <sup>457</sup>

გრაფინია ოპერმანისადმი მიძღვნილია გრიგოლ ორბელიანის ლექსი: „ალბომში ღრ... ოპ... ს“

#### 54. „ფორტოპიანოზე“

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან სამხედრო სასულე ორკესტრის ხმებთან ერთად, იმ დროინდელ თბილისში, ის-მოდა კლარნეტის, ფლეიტის, გიტარის, ბალალაიკის, ვიოლინოს, ვიოლონჩელისა და ფორტეპიანოს მელოდიები.

1826 წლის 16 აპრილს თბილისში ღარიბთა სასარგებლოდ გაიმართა ქართული, რუსული და ევროპული მუსიკის პირველი საჯარო კონცერტი. ამ კონცერტის გამო გაზ. „ტიფლისკი ვედომოსტი“ შენიშნავდა:

„გასულ პარასკევს მუსიკის მოყვარულთაგან ღარიბების დასახმარებლად მოეწყო მუსიკალური საღამო. შესრულებულ იქნა შემდეგი სიმღერები: პირველი განყოფილება: უვერტიურა რომბერგის, კონცერტი ვიოლინოზე მაჟერის, კონცერტი კლარნეტზე ბლენის, არია მენუელის; მეორე განყოფილება: უვერტიურა ოპერიდან „დონკუანი“, კონცერტი ფლეიტაზე დულონის, ვარიაცია ვიოლინოზე როდესი, ქართული სიმღერა „ახალ აღნაგო“, ფინალი“. <sup>458</sup>

ამ კონცერტიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ თბილისში ჩამოსულ ა. ს. პუშკინის პატივსაცემად ორთაქალის ბაღში გამართულ ნადიმზე უკრავდა რუსული სამხედრო სასულე ორკესტრი, რომელსაც, სხვათაშორის, შეუსრულებია მარში ოპერა „თეთრი ქალიდან“. <sup>459</sup>

ოცდაათიან წლების თბილისში ელისაბედ დიმიტრის ასული როზენი კვირაში ორჯერ — ხუთშაბათობით და კვირაობით მართავდა მუსიკალურ საღამოებს, რომლებშიაც თითონ მონაწილეობდა თავის ქალიშვილებთან ერთად. ამის გარდა „ელისაბედ დიმიტრის ასული იყენებდა სალონის დამსწრე

უხარისხებულნი დაღუპულნი. ზოგს ვიოლინოზე და ვიოლონჩელზე აკომპანირებას ავალებდა, ზოგს სიმღერას.<sup>460</sup>

იმავე ხანებში რომან ივანეს-ძე ბაგრატიონის ბინაზე ეწყობოდა მუსიკალური კვარტეტები და სრულდებოდა როგორც ქართული, ისე რუსული და ევროპული სიმღერები.

1832 წლის 21 იანვარს პირველად ამ ბინაზე წარმოდგენილი იქნა გრიბოედოვის უკვდავი „ვაი ქეუისაგან“. სპექტაკლზე სხვადასხვა მელოდიებს უკრავდა რუსეთისათვის ცნობილი ვიოლინოზე დამკვრელი სტეფანე სტეფანეს-ძე აპრაქსინი. მუსიკა კი, ეკუთვნოდა თბილისის მკვიდრთათვის საყვარელ კომპოზიტორს ი. ა. სოკოლოვსკის.<sup>461</sup>

ვიოლინოზე უკრავდნენ ქართველებიც. ავლაბრის საპატიმროდან ცოლისადმი მიმართულ ბარათში ალექსანდრე ორბელიანი წერდა: „თუ ჩვენთან დააყენებ ვისმე, ისევე ყველას ყიფიანი სჯობიან, ძალიან მხიარული არის და სკრიპკაც იცის და უკრავს“.<sup>462</sup>

პირველი ფორტეპიანო თბილისში, ოციან წლებში, ნიკოლოზ მურავიოვ-ყარსკიმ ჩამოიტანა. ეს ფორტეპიანო შემდეგ ა. ს. გრიბოედოვმა იყიდა, რომელზედაც ის ჰქმნიდა სხვადასხვა სახის მუსიკალურ ჰმნილებებს.

მეორე ფორტეპიანო ედგა მ. ი. ლერმონტოვის თბილისელ ნათესავს პრასკოვია ახვერდოვას, სადაც ძალიან ხშირად დადიოდა ა. გრიბოედოვი.

„გრიბოედოვი, — იგონებს დარია ხარლამოვა, — მოდიოდა სტუმართმოყვარე ახვერდოვებთან და გატაცებით ეძლეოდა მუსიკას. უკრავდა არა მარტო თავისთვის, არამედ იმ მრავალრიცხოვან მოზრდილებისა და ბავშვებისათვისაც, რომლებიც ცხოვრობდნენ გენერლის მეუღლესთან დიდ დარბაზში. ჩვეულებრივად, გრიბოედოვი თუ კარგ ხასიათზე იყო და თუ ახვერდოვებთან ნაკლებად ნაცნობი სტუმრები არ ისხდნენ, სადილობის დამთავრებისთანავე ეტყოდა ბავშვებს: „წამოდი, ვიცეკვოთ“, და გასწევდა სადარბაზო ოთახში, მიუჯდებოდა ფორტეპიანოს. როცა ბავშვები ცეკვით გულს იჯერებდნენ, გადადიოდა სხვა იმპროვიზაციებზე და ხშირად მთელ საღამოს საკრავთან ატარებდა. სოჟიო ორბელიანს ჩვეულებ-

ბად ჰქობდა, ძლიერ ახლო მისულიყო ფორტეპიანოსთან, აღ-  
ბად იმისთვის, რომ უფრო კარგად მოესმინა მუსიკა“.<sup>463</sup>

მესამე ფორტეპიანო სახელოვანი ქართველი პოეტის ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძის სახლში იდგა. მგონის ორი ულამაზესი  
ასული საუცხოოდ უკრავდა ფორტეპიანოზე, განსაკუთრებით  
ნინო—მეუღლე ა. ს. გრიბოედოვისა.

ნინომ ფორტეპიანოზე დაკვრა და მრავალი სიმღერა ქმრი-  
საგან ისწავლა, „ნინო ალექსანდრეს ასულმა.—წერს ბოროზ-  
დინი,—ბევრი სიმღერა იცოდა თავისი ქმრის საკუთარი კომ-  
პოზიციისა, რომელნიც გამოიჩინოდნენ ოსტატური დამუ-  
შაგებითა და მელოდიების ორიგინალობით. იგი სიამოვნებით  
უკრავდა მუსიკის მოყვარულთა შორის; განსაკუთრებით კარგი  
იყო ერთი სონატა—შესრულებული გულწრფელი მშვენი-  
ერებით. სამწუხაროა, რომ ეს სიმღერები დარჩნენ ჩაუწერა-  
ვნი; ნინო ალექსანდრეს ასულმა ჩაიტანა ისინი სამარეში“.<sup>464</sup>

ეკატერინე ჭავჭავაძე უბადლო ოსტატი იყო ფორტეპიანოზე  
დაკვრისა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა უძღვნა ბრწყინვალე  
ქმნილება „თავადის ქ...ძის ასულს, ეკ...ნას.“

ფორტეპიანოზე კარგად უკრავდა და მღეროდა სოფიო  
ივანეს ასული ორბელიანი. მანანა ორბელიანი თბილისიდან  
წერდა გრიგოლ ორბელიანს: „სოფიო ლამაზად იმღერის და  
უკრავს ფორტეპიანოს“.<sup>465</sup>

ფორტეპიანოზე კონცერტებს მართავდა სოლომონ დოდა-  
შვილიც. ერთ-ერთ თავის ჩვენებაში იგი ამბობს: „მე მო-  
ვიწვიე ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც ფორტეპია-  
ნოზე აზიურ სიმღერებს კარგად უკრავს და მისი ძმა ვახ-  
ტანგი, რომელიც რუსულ სიმღერებს უკრავს და პატარა კონ-  
ცერტი შევადგინე. ფორტეპიანოზე და ბალადაკაზე ვუკრავ-  
დით და ვმღეროდით ევროპიულ და აზიურ სიმღერებს“.<sup>466</sup>

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველები გაეცე-  
ნენ რუს და ევროპულ კომპოზიტორთა ქმნილებებს და მათ  
შესახებ მსჯელობას მართავდნენ ხოლმე. გრ. ორბელიანის  
1831 წლის პეტერბურგისეულ პერიოდის დღიურში ვკითხუ-  
ლობთ:

„15-სა (ნოემბერს—ი. ბ.) საღამოზე ვიყავ ფარნაოზ ბატო-  
ნიშვილთან, სადაც შემდგომად სხვა და სხვათა უბნობათა



დომიტრი ბატონიშვილთან ლაპარაკი გვექონდა მუზიკანტებზე: მოცარტზე, რომელმაცა დაწერა „შექმნა სიკვდილისა“ და არს საკვირველი მისი თხზულება „ხაოსი და იქმნას ნათელი“. ვებერზე, რომელიცა მოკედა 38 წლისა, ამისი არს „ფრეიშიცა“, ფრიად საქებელი მუზიკა; როსინზე, რომელმანცა ყმაწვალმა ოცის წლისამ დაწერა „სილკელსკის ცირულნიკი“, და სხვანი მრავალნი უცხო მუზიკანი; ბერუბინზე, რომლის „მწამს ერთი ღმერთი“, ფრიად საქებელ არს და უფრო „და ევნო, და დაეფლა და აღსდგა ღღესა საფლავით“, არს ფრიად საკვირველი მუზიკა“. <sup>467</sup>

როცა თბილისში საოპერო წარმოდგენები დაიწყო, ქართველები აღტაცებით შეხედნენ ამ სპექტაკლებს. ალექსანდრე ორბელიანი ასე აგვიწერს თავის ქალიშვილის აღფრთოვანებას ერთ-ერთი ოპერის მოსმენის დროს: „ლოეაში რომ შევედით და კრესლოზე ჩამოვსხედით, განათებულს თეატრს მოხედა მაიკომ, იმისი თვალებიც რაღაც ნეტარებას მიეცა, აქეთ-იქით მიტრიალ-მოტრიალებით. ფარდა აიხადა, დაიწყეს ოპერა უუმშვენიერესის გალობით. ჩემს მაიკოს ვუყურებდი თვალ მოუშორად, ვხედავდი იმის სახეს, რომ იმის გული და სული ტკებოდა, ნეტარებაში იყო ყოველს მოქედებაზე. ბოლოს ლოცვას რომ მოჰყენენ გალობით, მაიკოს თვალებიდგან რამდენიმე ცრელი გადმოსცივდა. დასასრულზე, როდესაც ქალი აღზნებულს ცეცხლში ჩასაგდებად წაიყვანეს, მაიკო ჭულაღელვებულნი წამოდგა, შეუმიჩნევლად კარზე გავიდა“. <sup>468</sup>

ფორტეპიანოთა რიცხვი თბილისში თანდათან იზრდებოდა... გრიგოლ ორბელიანის ერთი ბარათიდან ვიგებთ ამ საკრავის იმდროინდელ ღირებულებას. „შევიტყვე, — სწერდა გრ. ორბელიანი ქეთევან ორბელიანს, — ჩვენი კრკო ჰსწავლობს თურმე ფორტეპიანოსა, რომელიცა უყიდნია თვრამეტ თუმნად“. <sup>469</sup>

ალექსანდრე ქავჭავაძეს თავის მამულში — წინანდალში, სადაც ოჯახთან და მრავალრიცხოვან სტუმრებთან ერთად ზაფხულსა და შემოდგომას ატარებდა პოეტი, ორი ფორტეპიანო ედგა.

1854 წლის 4 ივლისს შამილის ხელქვეითებმა სოფ. წინანდლის დარბევისას ააწიოეს ქვეყავადიანთ კარმიდამო და დაუზიანებელი არ დასტოვეს ფორტეპიანოებიც. ა. ქვეყავადის შვილიშვილის ამლზრდელი ქალი დრანსე იგონებს: „ლეკების დარტყმებზე ხმაურით ცვიოდა შუშები, კრაქუნობდა ავეჯი, სკივრებში წკრიალებდა ვერცხლეული; ჩვენამდე მოდიოდა ორი ფორტეპიანოს არეული ხმები, რომელთა კლავიშებზედაც ისინი აბრაახუნებდნენ“.<sup>170</sup>

ქვეყავადისეულმა ერთ-ერთმა ფორტეპიანომ ჩვენამდე მოაღწია. 1949 წლის 18 ივნისს წინანდლის სახლ-მუზეუმის თანამშრომელ ირაკლი ხმალადისაგან მე მივიღე ბარათი, რომელშიაც იგი მწერს:

„ჩვიდმეტი წლის წინათ წინანდალში ჩამოსვლისას გავიგე, რომ გიუნაშვილების ოჯახში იყო ქვეყავადისეული ფორტეპიანო. გასულ წელს, აქ ჩამოვიდა ამ ქვეყავადეების შორეული ნათესავი, სპირიდონ მიხეილის ძე ქვეყავადე, მან გაიხსენა, რომ დავით ალექსანდრეს ძე ქვეყავადის მეუღლემ ანა ილიას-ასულმა, ალექსანდრე ქვეყავადის ძველი ფორტეპიანო აჩუქა პაპაჩემს და ის შემდეგ, ჩვენი აქედან წასვლისას, მივყიდეთ გიუნაშვილებსო“.

ვინ იცის იქნებ, ეს ქვეყავადიანთ სწორედ ის ფორტეპიანოა, რომელსაც თავის ლექსში „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ასეთი სტრიქონები უძღვნა:

შმა საკრავისა,  
ნელ ნარნარისა,  
სულს განახარებს;  
და მშვენიერის  
ენა ამიშლის  
გულისა კირებს!<sup>171</sup>

ხსენებული ფორტეპიანო ამჟამად წინანდალში იხახება.

## 55. ცხენოსნები

წესად იყო დადებული ყმაწვილს ზნეობრივ აღზრდასთან ერთად სხვადასხვა სახის სპორტულ ჩვევებს უწვებდნენ, ასწავლიდნენ ცხენოსნობასაც.

ალექსანდრე ორბელიანი გადმოგვცემს: „სიცელქეს და თამაშობასაც კი არ მიშლიდნენ ჩემს ტოლ-ყმაწვილებთან და კრივშიც წამიყვანდნენ ხოლმე უფრო ამისთვის, რომ ვაეკაცობის გული მიეცესო. ცხენითაც ხშირად მატარებდნენ. იმავე ყმაწვილობითვე ასე კარგათ ვიჯექი ცხენზე და ასე კარგათ ვხმარობდი, როგორც კარგი მხედარი“.<sup>472</sup>

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1950 წლის პირველი იანვრის ნომერში დაბეჭდილია ამხ. კ. ნაჭყებიას წერილი „ცხენბურთისა და პოლოს შესახებ“.

სხვა მასალათა შორის ამ წერილში მოყვანილია ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც პანეგირიკს წარმოადგენს დოღში დაწინაურებულ ცხენზე, რომლის საცქერაობაც „ხედვად გამოვლენ ქალები“:

ცხენო, პატრონიმც გენაცვლებ,  
შევარდნს გგავს თვალები,  
ოთხითავე დაქედილი ხაო,  
ფეხს გაქს მოწყობილ ნალები,  
დოღში წინ და წინ მომიხვალ,  
ხედვად გამოვლენ ქალები.

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი ქალები დოღის მარტო მაცქერალნი როდი ყოფილან. ჩვენს საისტორიო წყაროებში შემონახულია არა ერთი საყურადღებო ცნობა ცხენოსანი ქალების შესახებ. აი, ზოგიერთი ამ ცნობებიდან.

თავდაცვითი ბრძოლებისათვის მზადყოფნის მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართველ ქალებს პატარაობიდანვე, წერა-კითხვასა და საოჯახო საქმის გარდა, ცხენოსნობასა და იარაღის ხმარებასაც ასწავლიდნენ. XVII საუკუნის მოგზაური პავლე მარია ფაინცელი წერდა: „ქართველი დედა-ქალები ტანმალანი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან,

ცხენოსნობაც იციან, სახადიროდ მიმიხზო დაჰყავს ხელით და თან დააქვთ მშვილდ-ისარი და კაპარჯი“.<sup>473</sup>

XVIII საუკუნეში ცხენოსნის განთქმული სახელი ჰქონია დარბეული კავთისხეველ ნინო ქვლივიძეს. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს: „ჯერეთ რვისა წლისა (ვიორგი მე-XII—ი. ბ.) დანიშნეს ჩერქებ ბატონის ქალზედ. განსასწავლებლად ქალისა წარუვლინეს მას შარიდან შალიკაშვილი, ექვსი მოახლე ქალები და ქვლივიძისა ქვრივი ნინო სოფლისა კავთისხევიდამ, დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი კეთითა. დიდი ცხენოსანი იყო, ბრძანებდა თვით მეფე გიორგი და გულოვნობისათვის მისისა დიდად პატივს ცემდნენ მას სასახლეში“.<sup>474</sup>

ქართველი ქალების ცხენოსნობის ხელოვნებით გაკვირებული ეთნოგრაფი ა. პაკტჰაუზენი სწერდა თავის თბილისის პერიოდის დღიურში: „მოჯირითდა ქართველი ეროვნულ სამოსში, მასთან ქართველი მანდილოსანი და მხლებელი. ქალმა შეაჩერა ცხენი, სხვების დაუხმარებლად სწრაფად და გრაციოზულად ჩამოხტა ცხენიდან, გაასწორა უნაგირზე გაწყვეტილი ღვედი, ასეთივე სისწრაფით შეხტა უნაგირზე და წამში თვალთაგან მოგვეფარა“.<sup>475</sup>

ცხენოსნობაში სახელგანთქმული იყვნენ პოეტ ალექსანდრე ჰავჭავაძის ასულნი ნინო და ეკატერინე: 1835 წლის 22 მაისს ნინო ჰავჭავაძე წინანდლიდან წერდა პოეტ გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენ საკმაოდ კარგად და სასიამოვნოთ ვატარებთ დროს, ვკითხულობთ, ვკერავთ და ცხენით ვსეირნობთ“.<sup>476</sup>

ცხენოსნობა განსაკუთრებით გამოადგა ეკატერინე ჰავჭავაძეს, რომელიც შემდეგ დედოფალი გახდა. 1855 წელს, როცა თურქი დამპყრობლები შემოესიენ საქართველოს, ეკატერინე ყაბაღაჩის მთებში დაიხიდა და იარაღისხმული, ხმლით ხელში, ცხენზე მჯდომი მიუძღოდა სამშობლოს დამცველთა რაზმს. კ. ბოროზდინი გადმოგვცემს: „ეკატერინე მეგრელთა მილიციას გაუძღვა და მონაწილეობა მიიღო რამდენსამე პარტიზანულ ლაშქრობაში ოსმალების წინააღმდეგ. ნაბადი ჰქონდა მოსხმული, თავი ყაბაღაჩით წაქრული, ცხენზე შემჯდარი მტრის ტყვიას უშვერდა გულს და მისი ზეჰუზნი ხშირად ესმოდა“.<sup>477</sup>

